

# მგზ

N44 (229) 28/X.-3/XI.2004. ფასი 60 ლ

1168  
2004



**თემა:**  
**ხელფესვიკრული**  
**მამაკაცი**



**აღაკო მალხაზიშვილმა**  
**გერი ქართულ სკოლაში**  
**მიიყვანა — რატომ აერიცა**  
**რუსი ძალი უკრაინელში**

**ქურდურობილის აღსარება: „კიუპევი“ და „მასტერკა“, „პრიგავორი“ გორიანთოვის და სხვა**



**„სუნიშვილების“**  
**ახალი სახე —**  
**„ვეიკი სემროს**  
**ტყუპის გენით“**



**დავაქორწინეთ, მა-აჟ... —**  
**„გზამ“ 13 წლის წინ**  
**მიქინებულ სიყვარულს**  
**გაამბრჯებინა**

№22(82) 28.X-10.XI 2004

მე

ოქსის

# მკურნალი

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თეთრი

მთავარი თემა:  
ყუღის  
ტკივილი

„ფიზიოლოგიური“  
სურფი

ბრინჯი

ზოგი რამ  
შივის შესახებ

ბოყინი –  
დელიკატური  
პრობლემა

როგორ  
მოვუაროთ  
ჭივს

ბიოპია

ვიზიტი  
ონკოლოგთან

გაგნიპოთერაპია

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის

**მინიატურები**

„არს სირაქხანა, ალარს ღუქნები“  
ანუ თბილისობა ევროპულად 3

**ერთი კითხვა** 4

**ოფსაიტი**

მასტანბ რჩეულიშვილს  
სონილისტობაზე ჰომონაქსუალებამ  
ათქმევიწინეს უარი 6

**სახე**

პანღური ახლოღლისთვის ანუ  
„ცინე შიგნიდან ტყუილა“ 8

**საპატარალო**

ნინო ჯოხაძე: „ვეკვებ ისეთ  
საქმროს, ვისაც ტყუის ბენი აქვს...“ 10

**სასიქო**

„...პატარა გოგო რად გინდა?..  
შენ ჩემნადირი გოგო გვირღებია!“ 12

**კრიმინალი**

- მკვლელობა მოსკოვის გაგვირგე 13
- ყაჩაღთა ბანდამ ნავთობაგვის  
ღირებულონი სისოცხლეს გამოსასლამ 15

**გემოვნება**

როგორი ქალები მოსწონს  
ნიკო გომელაურს ანუ „მოსულა“  
თუ არა საქართველოში  
თავისუფალი სიყვარული 18

**შეამონეთ თქვენი სოცია**

ტანტი ერუდისიაგე 20

**ალსარება**

ქურდყოფილის მოგონებები  
(ბაბრქელეა) 22

**ანტიღვარქანსანი**

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი  
გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან 24

**ოსტატი**

ბოღისხეველი მკურნალიშვილი  
შროქელამ მკურნალებამ  
განაწყენეს 26

**მრავალქამიქი**

„ღავაქროწინეთ, მა-აჟ!..“ 27

**ტანტი**

ერთგული მკითხველი 28

**გზავნილები**

„ღეღამ მარტო მგრიღამ ღა მის  
რჩევეს ანგარიში გავუწიე. ამიტომ  
უსიყვარულოდ გავითხოვე...“ 29

**განმარტველოვა**

- ბრიკი – მგალ ვართ თუ  
არა ახალი ევიღემიებისათვის 32
- ციფრებით გამოსატული  
აღამიანის სტრუქტურა 34

**ტაქარი**

რა უნდა ვიცოღეთ მესამე ღა  
მერთხე მცნებებთან ღაკავშირებით? 35

**ხეღმეუბრული მამაკანი**



ნუთუ, ყველა ადამიანში ხეღმეუბრული მამაკაცი უფულო, უქონელ მამაკაცთან ასოცირდება? რაგომ მიაჩნიათ ფსიქოლოგებს, რომ როცა მამაკაცი ასეთ მღგომარეობაში აღმოწნდება, მიზეზი უმეტესად მის გარშემო მყოფ ქალთან წრეში უნდა ვეებებოთ?

37


**პანღური ახლოღლისთვის ანუ „ცინე შიგნიდან ტყუილა“**

„ვთხოვე, ჩემი სახელით ვერასთვის გადაეცა ყვავილები ღა ბარათი, საღაც ეწერა: Красота этих цветов ху...ня по сравнению с твоей красотой. შემღდეგ, ვერას ახალი საცხოვრებელი ადგილი შევთავაზებ – რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად – ღა თანმობაც მივიღებ...“



8

**ქურდყოფილის მოგონებები**



„...ბორია გაგიქდა. მთელი ცინე ელოღებოღა, რამე შეწლოღა. სმაურზე ფანჯრიღან გოშქამ გაღმოსქახა – ბორია, ღირსება არ ღაკარგო! ამან ვერ მოითმინა ღა გოშქასაც გაღსწვღა. გოშქამ კი, „პრიგავორი“ ღაწერა... ასე ხღება ქურღლებში...“

22

**ნინო ჯოხაძე: „ვეკვებ ისეთ საქმროს, ვისაც ტყუის ბენი აქვს...“**

„მოგეხსენებთ, ინაუგურაციის ცერემონია გამთარში ჩაგარღა. საშინელი სუსხი ღა სიცივე იყო. ხელღები გამეყინა ღა ერთიანად ვკანკალებღი სიცივისგან. ხელში კონსტიგუცია მიჭირაღს ღა სიამაყით ვარ აღუსიღი, რომ მისი გამოგანის პაგივი მე მხეღა წიღად... უეცრად შევნიშნე, რომ კაბა მქონღა შესასწორებელი...“



10

<b>გარემო</b>	
მტაცებელი მსენარეები	36
<b>თემა</b>	
ხელფესვიერული მამაკაცი – ბანსაკუთრებული რეცეპტი უიღლოთათვის: ღედის წახალისება+სოლის თანაღმრთა...	37
<b>საუნებურთო მინდვრებზე</b>	40
<b>სპორტული მოზაიკა</b>	41
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. მტაცებლის ინსტინქტი (ბაბრქაძე) 42	42
<b>პარსკვლავი</b>	
კიკი – ყველაზე კვირად ღირებული პოლივერული ბავშვი	46
<b>პოეზი</b>	48
<b>ქალი საქონთან</b>	
„ოქალის“ მოვლით დატანჯული თაქო ბაჩხილაძე „ბუბატივი“ ოცნებობს	49
<b>პირველი პაეანი</b>	
გურა ხანიძე: „ბეგრჯერ მივიქრია, რომ ეს უკანასკნელი სიყვარული იყო...“	50
<b>ოჯახი</b>	
თაფლობისთვის დროინდელი კონსულიქტი და გარდინული ყავის ელდა	52
<b>რჩენი</b>	
ესპანეთის მეფისთან წაბაბული ორთაბრძოლა, ნადირობა ნინაბეგზე და ბიორგი კანდელაკისთვის ნასროლი ხელთათმანი	54
<b>მოგზაურის დღიურები</b>	
რატომ განვახსნაღე უარი ვერტმურენით მიაბი-ბიჩის ღათვალიერებაზე...	56
<b>ავტო</b>	59
<b>პროსკოპი</b>	
კვირის (1-7 ნოემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
<b>სქანვორდი</b>	61
<b>იუმორი</b>	62
<b>ტენტი</b>	
რამდენად პატივმოყვარა ალამიანი ხართ?	63
<b>ქალღმრთო</b>	
ჩრდილ-ჩრდილი ამბები	64

**გარეკანზე: ბიორგი შორშოლიანის კოლაჟი**  
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურნალი „გზა“  
 ბამოდის კვირაში ერთხელ, სუთუბაბათობით  
 ბაჭუთი „კვირის პალიტრის“ ღამათება  
 შურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
 მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
 მეწველერი: მათე კბილაძე  
 მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8  
 ტელ: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
 შურნალი იბეჭდება გამომცემლობა „ეკოლოში“

## „დაგატრინეთ, მა-აჰ!..“




...სუფრასთან კი კახური „მრავალ-  
ქამიერი“ და „აჭარული“ ენაცვლებ-  
ოდა ერთმანეთს. მე კი, სიძის ბრძა-  
ნებით, სუფრის თავში ვიჯექი და ბედ-  
ნიერი წყვილის ყურებით ვტკბებო-  
დი...

გამომშვიდობებისას, გვიადმა მი-  
თხრა: „მარი, რა მეშველებოდა, შენ  
და „გმა“ რომ არ ყოფილიყავით?..“

27

## თაფლობისთვის დროინდელი კონსულიქტი და გარდინული ყავის ელდა

„იმ ნომერში, სადაც უნდა გავ-  
ჩერებულიყავით, ვიღაც ჩინოვნი-  
კი ცხოვრობდა და ცოცხალი თავ-  
ით არ გამოდიოდა... სხვა ნომერი  
შემოგვთავაზეს, მაგრამ მაზა სას-  
ტიკად შეეწინააღმდეგა და თითქ-  
მის კონსულიქტამდე მივიდა საქმე  
– კინაღამ დაგვიჭირეს...“



52

## კიკი – ყველაზე კვირად ღირებული პოლივერული ბავშვი



1993 წელს, რეჟისორმა ნილ ჯო-  
რდანიამ 5000 პრეგენდენგს შორის,  
11 წლის კირსტენ დანსტი გამოარ-  
ჩია და ფილმში – „ინგერვიუ ვამპი-  
რთან“ – მთავარ როლზე მიიწვია,  
მოგვიანებით გოგონა გამოტყდა,  
რომ ფილმის გადაღებისას, ყველაზე  
მეგობარ ის სცენები არ მოსწონდა, სა-  
დაც ბრედ პიტის კოცნა უწევდა...

46

## მწაცენლოს ინსცინქსი


– იმასაც ხომ ხვდები, რომ ამ  
ღილაადრიან შენთან ჩაის დასა-  
ლევად არ შემოვიდლოდი...

– ვხვდები... – თავი დამნაშავე-  
სავით ჩაქინდრა მეგიმ და ისე  
დაუბაგა: გისმენთ, დეიდა თამარ!..  
თამარმა რამდენიმე ყლუპი ჩაი  
კიდევ მოსვა და მერეღა დაიწყო...



42

# „არც სირაჯხანა, ატარც დუქნები“ ახუ თბილისობა ევროპულად



ყველანაირად მომგებიანი ადგილმდებარეობა უკავია საქართველოს: ევროპასაც ეკუთვნის და აზიასაც. ამ უპირატესობას ჩვენი ხელისუფლებაც მომგებიანად იყენებს და როცა უნდა — ევროპაა, როცა უნდა — აზია. მაგალითად, გაჭირვების მოთმენა და მორჩილება ხალხს აზიური მართებს, მაგრამ დღესასწაულების აზიურად აღნიშვნა ნამდვილად შეანელებდა ნატოსა და ევროკავშირში თავის შერევის პროცესს. გვაკვირდება, ბატონო, ის ხალხი! ტერიტორიული მთლიანობის პრობლემაზეც თვალს ხუჭავს და ახლა, „ინტო-ყარაჩოხელებით“ რომ ალგვენისა დედაქალაქობა, ხომ მთლად მოგვეჭრებოდა თავი?!

მეც ევროპულად მოვეშადა, ნათხოვარი სმოკინგი მოვირგე, გაზეთში დაბეჭდილი ღონისძიებების პროგრამა ხელში დავიჭირე და ქალაქის ქუჩებს ჩამოვუარე. ყოჩაღ, ძმაო, მერია და საკრებულო! მართლა უზღვავე სამუშაო ჩაუტარებიათ: ყველა შუქნიშანი მუშაობდა (იმუშავებს, აბა, რა იქნება, უფროსი რომ იარაღით დაადგება მუშებს). ასფალტის საფარიც კი შეუკეთებიათ: ერთი დიდი ორმო მეგულეობდა, რომელშიც ჯერ მანქანები ცვიოდა, მერე იმხელა გახდა, რომ სოფლიდან ჩამოსული სტუდენტები ცხოვრობდნენ შიგ; ისიც კი ამოევსოთ!..

არც გარეუბნების მოსახლეობის გართობა გამორჩენილ და გლდანში ნინო ქათამაძის კონცერტი გაუმართავთ. გაიხარეს სილაშაზის სალონების თანამშრომლებმა და უცებ აუწიეს ფასი: თმის შეჭრა — 50 დოლარი, დავარცხნა — 100 დოლარი.

სულმა წამძლია და მაინც გავედი რიყეზე, სადაც წინა თბილისობებზე სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გლეხები მასპინძლობდნენ მასპინძლებს. კარგი იყო, იმერულ ხაჭაპურსა და მეგრულ ელარჯს, კახურ მწვადსა და ღვინოს რომ დააყოლებდი... წელს კოვზი ნაცარში კი ჩამივარდა, მაგრამ ევროპულ სუფრაზე, ა-ლა-ფურშეტს რომ ვეძახით, მაინც ამოვყავი თავი: პირდაპირ მერიის წინ გავშალათ შვედური მაგიდა (სხვათა შორის, შვედური მაგიდა ჩვენებურ ქელებს სუფრას ჰგავს — მარტო ხსოვნის სადღევრძელოები ისმება და სულ ფეხზე დგახარ)...

სუფრას თვით საკრებულოს წევრები მასპინძლობდნენ. მივხვდი, რომ ე.წ. ა-ლა-ფურშეტზე ცოტა დამავიანდა, რადგან „ალა“ უკვე შეეჭამათ და მარტო „ფურშეტილა“ დარჩენილიყო... დედაქალაქის პრემიერი საბუტერბროდუ ძეხვის დაჭრით იყო დაკავებული და სქელი ნაჭრები რომ არ გამოსვლოდა, ძეხვს შალაშინით თლიდა. ერთი ბუტერბროდისკენ მეც გავიშვირე ხელი, ძეხვის „ფურცელი“ ქარს რომ არ მოეტაცა, პურზე სკოჩით გადავაკარი და ჩემი დედაქალაქის სადღევრძელო ცხელი პუნშით მივირთვი.


განსაკუთრებით მომეწონა თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების ტრადიციული ცერემონია. რატომღაც არც ერთი პარლამენტარი და მინისტრი არ მოხვედრილა ამ სიაში, ან კი სად ეცალათ ამისთვის, როცა გუდაურში ხინკლის სათრით ძლივს თანხმდებოდნენ ბიუჯეტის საკითხზე?!

დღესასწაულის ყველაზე საპატიო სტუმარი, მეზობელი სომხეთის პრეზიდენტი იყო, რომელიც მისმა ქართველმა

კოლეგამ ისე მოქანცა ფეხით სიარულით, რომ კარგა ხანს აღარ იზამს პირს აქეთ...

არც დანარჩენ ღონისძიებებს დავაკლდი: მერთან ერთად ტრამვაითაც ვიმგზავრე. მართალია, მომღერლებმა თავი ამხადეს, მაგრამ მაინც კარგი იყო: მათი ხმის გაგონებისას გზაზე მდგარი ხალხი გარბოდა და ავარიის საშიშროება გამოუცდელი მძღოლის ხელშიც კი არ არსებობდა...

მერე, ორ პრეზიდენტთან ერთად ავტობუსშიც ავედი. ჯიბგირობა რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის აუცილებელი ატრიბუტია, ეს გასაგებია, მაგრამ ასეთი, პოლიტიკურად ბეცი ჯიბგირები ნამდვილად არ ეკადრება ჩვენს ევროპულ ღონეს: ერთმა ჯიბგირმა ვერ იცნო პრეზიდენტი და მის ჯიბეს „წაეჩალიჩა“... ამკარად დავინახე საფრთხე, რომელიც 2005 წლის ბიუჯეტს დაემუქრა და „ხელმარჯვე ოსტატს“ საკუთარი ჯიბე შეეთავაზე... კარგა ხანს აფათურა



ხელი ცარიელ ჯიბეში, ბოლოს — მათხოვარო! — სადღესასწაულო ღიმილით ჩამჩურჩულა და გაგვეცალა.


თბილისობის დღესასწაულის კულმინაცია ბუშტების გაშვება და ფეიერვერკი იყო, რომელიც იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ დიდი ღიახვის ხეობაში საპასუხო სროლებიც კი მოჰყვა, რაც შეგვიძლია, იმითაც ავსხნათ, რომ ოსმა ბოევიკებმაც მოგვილოცეს ზეიმი...

**P.S.** თბილისობის აღმნიშვნელი კონცერტი თანამედროვე ესტრადის ვარსკვლავებმაც გამართეს. მას პრეზიდენტიც დაესწრო. მაყურებელთა დიალოგი:

— ხედავ, რა ჯიგარი პრეზიდენტი გვყავს? ამით კონცერტზეც მოვიდა.

— ჰო, უნდა, გვაგრძნობინოს, რომ პრეზიდენტი მზადაა, ყველაზე მძიმე პირობებშიც კი ხალხის გვერდით დადგეს.

პრომოქაბორი



# „კოკოითს სურს, 25 ათასი ქართველი დავნილად აქციოს“

— ედუარდ კოკოითის დე ფაქტო ხელისუფლება დიდი ლიახვის ქართულ სოფლებზე ფართომასშტაბიან შეტევას იწყებს. როგორია ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა და ვინ უნდა დაიცვას მისი უსაფრთხოება?

**გურამ ვახტანგიშვილი**, პარლამენტარი ლიახვის ხეობიდან:

— ცხინვალის რეგიონში უკიდურესად მწვავე სიტუაციაა. ქართული საჯარისო ნაწილების მიერ მიტოვებული სიმაღლეები კოკოითის ბოვიკებმა დაიკავეს და ქართული სოფლების მიმართულებით ინტენსიურად ისვრიან. ბოლო პერიოდში, სეპარატისტების მთავარ სამიზნედ დიდი ლიახვის ქართული სოფლები იქცა. ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სეპარატისტებს ამ პროვოკაციით სურთ, აიძულონ ლიახვის ხეობის ქართული მოსახლეობა, მიატოვოს საცხოვრებელი ადგილები და დევნილად იქცეს. იქაურმა ქართველებმა არაერთხელ დაამტკიცეს, რომ საკუთარი ქვეყნისა და კუთხის პატრიოტები არიან, მაგრამ დღეს უკვე რეალურად არსებობს იმის საფრთხე, რომ მათ ვეღარ გაუძლონ მუდმივად საომარი მოქმედებების პირობებში ცხოვრებას. თუ ეს მოხდა, 20-25 ათასი კაცი თბილისში ლტოლვილის სტატუსით მოგვეკვლინება. ჩემთვის გასაგებია საქართველოს ხელისუფლების პოზიცია — რომ არ გვსურს, ფართომასშტაბიან ომში ჩავეთირონ. ამის სურვილი არც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს. მაგრამ ხალხის უსაფრთხოების დაცვა სახელმწიფომ სრულად უნდა იკისროს. თუ კოკოითმა ლიახვის ხეობიდან ქართველების გამოძევება მოახერხა, ჩვენთვის ეს იქნება უდიდესი დარტყმა — როგორც მორალური, ისე პოლიტიკური. ამიტომ, შექმნილი სიტუაციის განსამუხტავად რადიკალური ზომები უნდა მივიღოთ.

# „რუსული სავსნამსახურები აფხაზეთში გაგზავნიან რუსეთში“

— თქვენი ინფორმაციით, რატომ აჭიანურებს აფხაზეთის უმაღლესი სასამართლო ხაჯიძის სარჩელის განხილვას და რით შეიძლება დასრულდეს ბალაფშის თანაგუნდელების — ანჭვებისა და ლაკობას მოსკოვში ვიზიტი?

**ლევან კიძნაძე**, აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების უშიშროების სამმართველოს უფროსი:

— აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში სერიოზული დაბნეულობა სუფევს. ობიექტური გადაწყვეტილების მიღება და გამარჯვებულად ბალაფშის გამოცხადება რუსეთის მხარეს და არძინბას ხელისუფლებას ხელს არ აძლევს, ხაჯიძის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთების კი ემინათ, რადგან ბალაფშის მხარდაჭერები იარაღის ხელში აღებით იმუქრებიან... როგორც ჩანს, ხაჯიძის სარჩელის განხილვა გაგრძელდება მანამ, სანამ რუსეთი შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს არ იპოვის. მოსკოვში აღუქმანდრე ანჭვებისა და სტანისლავ ლაკობას გამოძახება ამის დამადასტურებელი ფაქტია. მათთან მოლაპარ-

აკებები რამდენიმე საკითხზე წარიმართება. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბალაფშის თანაგუნდელების გადაბირებასაც შეეცდებიან. მანამდე კი, აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე გამოჩნდნენ ყარაჩაელები, ჩერქეზები, ადიგელები, რომლებიც ხაჯიძის მხარდასაჭერ მიტინგებზე გამოდიან. ხაჯიძის გვერდით ვეტერანი მომხრეების ნაწილიც დადგა, რომლებიც ცოტა ხნის წინ, ბალაფშის უჭერდნენ მხარს. გარდა ამისა, აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან გააქტიურდა რამდენიმე ჩრდილოკავკასიური ორგანიზაცია, მათ შორის — „ადიგეასე“, რომელიც მძლავრი ორგანიზაცია განლავთ და ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის დროს ჩვენი მოწინააღმდეგეების მხარდასაჭერად იბრძოდა. ყოველივე ეს, მიანიშნებს იმაზე, რომ აფხაზეთში რუსული სპეცსამსახურები გეგმის მიხედვით მუშაობენ. დამინების და გადაბირების გზით აფხაზეთში მზადდება ნიადაგი ხაჯიძის გაგრძელებებისთვის. სავარაუდოა, რომ უმაღლესი სასამართლო დასკვნას მხოლოდ სპეცსამსახურების მიერ გატარებული „ლიონსი-იების“ შემდეგ წარმოადგენს. ■

# „ვინ დაიჯერებს, რომ ნარჩენაშვილის წინააღმდეგ სამხილები ჰქონდათ და პირთი წლის განმავლობაში არ დააკავეს?“

— ყოფილ შინაგან საქმეთა მინისტრს სამსახურებრივ გულგრილობას და მომწამლავი ნივთიერების შემოტანაში ადანაშაულებენ. პროკურატურის წარმომადგენელთა განცხადებით, დაკავებამდე ნარჩენაშვილი რამდენჯერმე დაუბრებიათ დასაკითხად, მაგრამ ის არ გამოცხადებულა.

**ზალვა შავგულიძე**, კობა ნარჩენაშვილის ადვოკატი:

— ცრემლსადენი ვაზის შემოტანასთან დაკავშირებით საქმე 10 თვის წინ აღიძრა, რის გამოც ნარჩენაშვილი სამხედრო პროკურატურაში დაიბარეს, სადაც ბატონი კობა მოწმის სახით დაიკითხა. მაგრამ ამ პერიოდში, მისი ბრალულობის კონტრუბიც კი არ გამოკვეთილა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, მისთვის ბრალი არ წარუდგენიათ. ვინ დაიჯერებს, რომ ნარჩენაშვილის წინააღმდეგ სამხილები ჰქონდათ და თითქმის

ერთი წლის განმავლობაში, მისი დაკავება არ განახორციელეს?.. მით უმეტეს, რომ ბატონი კობა არასოდეს დამალულა, როგორც ჩანს, ვიდაცას ახლა დასჭირდა მისი დაპატიმრება და ამიტომ აიყვანეს. ობიექტური სამართალწარმოების პირობებში, მას ვერც სამსახურებრივ გულგრილობას დაუმტკიცებენ, რადგან მანქანების განბაჟების საკითხი მას ფუნქციურად არ ეხებოდა. აღნიშნულზე პასუხისმგებელი იყო მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე, დავით თოღუა (ნარჩენაშვილმა იგი თავის დროზე ამ დარღვევის გამო გაათავისუფლა). მან ამ საქმიდან თავის დასაღწევად, ბოუჯუტის სასარგებლოდ 600 ათასი დოლარი გადაიხადა. ბრალდებები, რომლებიც ნარჩენაშვილს წაუყენეს, იმდენად აბსურდულია, რომ პროკურატურის თანამშრომლებსაც კი უჭირთ მასზე საუბარი.

იმედი მაქვს, პროკურატურა თავის „შეცდომას“ მიხვდება და ბატონ კობას გაათავისუფლებენ. ■

## „ელენე თევდორაძე საზაგიეროს გადახდით და დაჭრით მემუარება“

— ტელეეთერთ, კერძოდ გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“ გაჟღერებული ბრალდების შემდეგ, თქვენ გამართეთ საგანგებო პრესკონფერენცია და გააკეთეთ განცხადება შევებულებაში გასვლის შესახებ. ვისი მითითებით მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება? **ზაშან სიშვილი**, მოსამართლე:

— სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ცილი დამწამეს. არავინ იფიქროს, საგანგებო ბრიფინგზე თავის მართლება მსურდა. უბრალოდ, საჯაროდ მინდოდა, განმეცხადებინა, რომ კანონი არ დამირღვევია, ქრთამი ან რაიმე სხვა საჩუქარი არ მიმიღია და არც თანამდებობიდან წასვლას ვაპირებ. სახალხო დამცველის აპარატის წევრმა ბაჩო ახალაძემ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა, როცა ქრთამის აღებაში დამადანაშაულა. ელენე თევდორაძის ბრალდებები კი, მხოლოდ პირადი ანგარიშსწორებაა: 2003 წელს ქალბატონმა ელენემ ტელეფონით დამირეკა და ერთერთ სამოქალაქო საქმეზე მისთვის სასურველი გადაწყვეტილების გამო-

ტანა მოხოვა. მე მისი სურვილის დაკმაყოფილება ვერ შევძელი. ამ მიზეზით თევდორაძე სამაგიეროს მიხდის და დაჭერით მემუქრება. რაც შეეხება თავად სულხან მოლაშვილს, მისი საქმის დეტალებზე საუბარი არ მსურს, თუმცა მოლაშვილთან მიმართებაში კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს წინასწარი პატიმრობის ვადა გაუვგრძელებ. მართალია, სასამართლო პროცესი დამის პირველ საათზე მოეწყო, მაგრამ ამით ბრალდებულის უფლებები არ დარღვეულა. თვითონ მოლაშვილი სხდომას იმ მიზეზით ვერ დაესწრო, რომ საძილე აბები ჰქონდა მიღებული; როცა გაიღვიძა, გადაწყვეტილება მაშინ გააცნეს. არ ვიცი, მასმედიაში ასეთი აჟიოტაჟი რამ გამოიწვია. ამ ეტაპზე ჩემს წინააღმდეგ გამოთქმულ ცილისწამებებზე მოკვლევას პროკურატურას ვთხოვ, შემდეგ კი სასამართლოში შევიტან სარჩელს ახალაძისა და თევდორაძის წინააღმდეგ. ეს ჩემი პირადი გადაწყვეტილებაა და არავის მითითებით არ ვმოქმედებ. ■

## „მარტო დიდუბის რაიონში რამდენიმე მანქანა დავაფიქსირეთ...“

— შუალედური არჩევნების შედეგებით ოპოზიცია უკმაყოფილოა. თუმცა ცესკოს ნარმომადგენლები აცხადებენ, რომ გაყალბების ფაქტები არ დაფიქსირებულა.

**კოვა დავითაშვილი**, პარლამენტის წევრი:

— საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებს ეკრძალებათ წინასაარჩევნო აგიტაციის ჩატარება. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი სააკაშვილი უშუალოდ ამომრჩევლებთან მიდიოდა და ისინი უბნებზე ხმის მისაცემად მიჰყავდა. ამის მგავსი პრეცედენტი მხოლოდ ბელორუსიაში დაფიქსირდა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ისტერიკული შიში ჰქონდა არჩევნებში დამარცხების. სამწუხაროა, რომ ის ხალხი, რომელიც შევარდნაძეს, არჩევნების გაყალბების გამო დაუპირისპირდა, დღეს თავად ატრიალებს „კარუ-


სელეს“. მარტო დიდუბის რაიონში რამდენიმე მანქანა დავაფიქსირეთ, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ერთსა და იმავე ადამიანებს სხვადასხვა უბანზე ხმის მისაცემად დაატარებდა. გარდა ამისა, კვადარი სულებით მანიპულირების ფაქტებიც მოგვეპოვება. როცა ხელისუფლების მხარდამჭერი პირები ასე თავგასულად, თავხედურად ბედავენ არჩევნების გაყალბებას, ეს ნიშნავს იმას, რომ მათ პრეზიდენტისაგან სრული მხარდაჭერა აქვთ. ხელისუფლება ხედავს, რომ ქვეყანაში არსებობს ძლიერი ოპოზიცია. ჩვენი გააქტიურება მათი მცდარი და დანაშაულებრივი პოლიტიკის შედეგია. თუ შევარდნაძის მსგავსად, სააკაშვილიც საკუთარ შეცდომებზე თვალის დახუჭვითა და არჩევნების გაყალბებით აპირებს ქვეყნის მართვას, მაშინ მის კარიერას წერტილი მალე დაესმება. ■

## „საქართველოში პალე მსიჩა მენარმეები პლარ იქნებოიან“

— რატომ ფიქრობთ, რომ ახალი საგადასახდო კოდექსის დამტკიცების შემდეგ, საქართველოში მცირე მენარმეთა საქმიანობა შეუძლებელი გახდება?

**ანზორ საპანდელიძე**, მცირე მენარმეთა ასოციაციის პრეზიდენტი:

— მცირე მენარმეებსა და ხელისუფლებას შორის ხილი ჩატეხილია, მაგრამ მისი აღდგენით ხელისუფლება დაინტერესებული არ არის. პრეზიდენტი დამწყებ ბიზნესმენებსა და მცირე მენარმეებს 2 წლით გადასახადებისგან გათავისუფლებას დაჰპირდა, ინდემწარმეებისთვის კი, გადასახადები საერთოდ უნდა გაუქმებინათ, მაგრამ მას ეს დაპირება არ შეუსრულებია. ახალი საგადასახდო კოდექსის 237-ე მუხლი, ამჟამად მოქმედი კოდექსის 112-ე მუხლის ზუსტი ასლია, რომლის მიხედვით, მცირე და მსხვილი მენარმეები თანაბრად იბეგრებიან. 112-ე მუხლმა საქართველოში მცირე მენარმეობა გაანადგურა... ახალი კოდექსის შესაბამისად, გამკაცრებულია ადმინისტრაციული წინეხი, რაც მცირე მენარმეთა საქმიანობის საბოლოო დასამარებას მოგვიტანს; გაიზრდება უმუშევარ, დაუსაქმებელ ადამიანთა რიცხვიც. საოცარია, რატომ არ უნდა ზურაბ ნოლაიდილს, მცირე მენარმეებს ფიქსირებული გადასახადი დაუწესოს და ამით მათ საქმიანობას შეუწყოს ხელი?... ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ხომ მცირე მენარმეებზეა დამოკიდებული! იქნება შთაბეჭდილება, რომ ნოლაიდილი ამას მიზანმიმართულად აკეთებს, რათა ქვეყანაში არ გამოეცალოს ნიადაგი კორუფციას, რომელიც წლების განმავლობაში, ჩინოვნიკებისთვის არალეგალური შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა... ვფიქრობ, ახალი კოდექსის დამტკიცებამდე, საქართველოს პრეზიდენტი მენარმეთათვის მიცემულ პირობას გაიხსენებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩინასახშივე გაქრება მცირე მენარმის თვით ცნებაც კი. ■



პასტანა

ნანა ფიცხელაური

ბატონო ვახტანგ, თითქმის მთელი წელია, რაც პოლიტიკურ არენაზე აღარ ჩანხართ. რატომ წახვედით პოლიტიკიდან? ქვეყნის ბედი აღარ გალევებთ?..

პოლიტიკიდან ცხადია, რევოლუციის გამო წავედი. სამთავრობო ბლოკი იძულებული იყო, თამაშიდან გასულიყო. 7 წლის განმავლობაში მთავრობის ოპოზიციაში გახლდით. სამთავრობო ბლოკში იმიტომ შევედი, რომ დიდ პოლიტიკაში მოვსულიყავი. ეს არ გამომივიდა. ხელისუფლებაში მოვიდა იგივე, შევარდნაძის ძალები... იმას არ ვამბობ, რომ წინასწარდადგმული სცენარი იყო, თუმცა, საზოგადოებაში ასეთი ვარაუდიც არსებობს. მიმაჩნია, რომ დასავლეთისათვის ერთადერთი მისაღები ძალა ჟვანია-საკაშვილის გუნდი აღმოჩნდა ანუ ჩვენი სამთავრობო ბლოკი დასავლეთის სიმპათიას აღარ იმსახურებდა. ის ბევრი სახელგატეხილი ადამიანით იყო „გაბერილი“... მასსოვს, ამერიკამ ჯორჯბუშმა არ მიიღო ოფიციალური ვიზიტი, პირადად მე კი, ლიმ პასკომ კიდევ მიმიღო და მხარიც დაუჭირა ჩემს კონცეფციას, რომელიც შეეხებოდა რუსეთთან ურთიერთობის გამოსწორებას და ამერიკასთან ურთიერთობის გაგრძელებას. მიღებდნენ, როგორც პოლიტოლოგს, თორემ ბლოკის მიმართ უკვე გაცივებული ურთიერთობა შეიძინოდა. ასე რომ, რუსეთისთვის აბსოლუტურად მიუღებელი შევარდნაძე დასავლეთისთვისაც მიუღებელი გახდა.

მანც რატომ გაიმეფეთ თავი და ბოლომდე დადეთ იმ პოლიტიკოსის გვერდით, ვინც არაერთგზის გაამწესეთ პოლიტიკურ სანაგვეზე?

იმ პოლიტიკის, რისი ცხოვრებაში გატარებაც ვითავე, ჯვრისებრი კონცეფცია ანუ რუსეთთან და ამერიკასთან სამკუთხედის შეკვრა (თბილისი-მოსკოვი-ვაშინგტონი), პარტიის პოზიციიდან შეუძლებელი იყო. როცა პარტიაში ახმოვნებ რადაცას, დანარჩენი პარტიები, როგორც მტერს, ისე გიყურებენ. ეს ისეთი ზოგად-

ერთ დროს პირველმა სოციალისტმა ვახტანგ რჩეულიშვილმა დიდი პოლიტიკიდან მეცნიერებაში გადაინაცვლა. მას მიაჩნია, რომ ეს სფერო ბევრად უფრო სუფთაა, ვიდრე პოლიტიკა. იქ არც უაზრო კონკურენციაა და არც ვაზების წვიმა. მართალია, ყველაზე კომფორტულად თავს მაშინ გრძნობს, როცა ლიდერია, მაგრამ მაინც მადლობას სწირავს უფალს და „ვარდების რევოლუციის“ ავტორებს იმისთვის, პოლიტიკიდან წასვლისა და დასვენების საშუალება რომ მისცეს...

რჩეულიშვილს სოციალისტობაზე ჰომოსექსუალებმა ათქმევინეს უარი

ქართული ამოცანაა, რომ მისი ერთი პარტიის მხრიდან გაყვლება არ შეიძლება. ეს უნდა გახდეს სახელმწიფო პოლიტიკა. შევარდნაძესთან ერთად იმისათვის გვაკეთე ბლოკი, რომ ის თანხმად იყო, გამეგრძელებინა საქმიანობა ამ სამკუთხედის ასაგებად. ახალმა ხელისუფლებამაც მხარი დაიჭირა. მაგრამ დღეს რა ხდება? რუსეთს უნდა, ნატოზე უარი ვთქვათ, სანაცვლოდ კი, ოსეთს და აფხაზეთს მაინც ვერ ელევა... ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინის არჩევნებს. თუ იქ ამერიკის მიერ მხარდაჭერილმა კაცმა გაიმარჯვა, გამოდის, რუსეთი აფხაზეთის დამბრუნებელი არ არის. ნატოს რაც შეეხება, თუკი აფხაზეთის პრობლემა არ გადაწყვეტა, იქ არც მივდივართ... როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, მიმაჩნია, რომ რუსეთთან უნდა მოვაკაროთ ურთიერთობა.

ანუ, როგორც თქვენ იტყვით, რუსეთი მაინც ჩვენი მეზობელია... კეთილი, ბატონო ვახტანგ, მაგრამ რუსეთთან დამოკიდებულებისაგან განსხვავებით, სოციალისტურ იდეოლოგიას რატომღა უღალატეთ?

სოციალისტურ პარტიაზე რევოლუციამდე ამცრუვდა გული, - ე.ი. მაშინ, როცა ძლიერი გუნდი ვიყავით. დღეს სოციალისტური იდეოლოგია ნაკლებად მხიბლავს. იცით, რატომ ვერ ვრჩები სოციალისტად? მაღიზიანებს სოციალისტების მხრიდან სექსუალური უმცირესობის თავგადაკლული დაცვა. ჯერ იყო და, კლინტონმა ჰომოსექსუალებს ჯარში სამსახური დააწყებინა. ამერიკაში დემოკრატიებს მხარს უჭერენ ცისფრები, ლეზბოსელები... თუ მრავალრიცხოვანი ამერიკისთვის ეს არაფერია, ჩვენთვის ტრაგედიაა. ევროპაშიც, პარიზის მთავარი სოციალისტი ჰომოსექსუალია. გამაგიჟებს, რა რაღაც გული ავიყარე საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაზე, ამ აშკარა მხარდაჭერის გამო. ჰომოსექსუალებს დევნასა და თავების დაჭრას ვერ დაუწყებ, როგორც ეს ირანში ხდებოდა, მაგრამ პოლიტიკაში რა უნდათ?.. სხვაა, თუ ასეთი ადამიანი ხელოვნების სფეროში

მოღვაწეობს და ხელს არავის უშლის... — ე.ი. ხელისუფლებაში დასახვევად არ მივაჩნიათ...

— ნუ იქნება აგრესიული ეს ჰომოსექსუალი, ისეთი, ვინც ავტოციას უწყევს თავსი ცხოვრების წესს!.. სხვათა შორის, კალიფორნიის გუბერნატორი კონსერვატორი შვარცნეგერიც კი ვერ უპირისპირდება მათ. ის კი არა, რომის პაპს 300000-მა ჰომოსექსუალმა მიტინგი გაუძარტა, სადაც სოლომონის ცოდვების სიდან ამ სენის ამოღებას მოითხოვდა, მაგრამ რომის პაპიც და კათოლიკური ეკლესიაც ჯერჯერობით ვაჟკაცურად დგას. აი, ანგლიკანურმა ეკლესიამ კი ჰომოსექსუალური ეპისკოპოსიც კი შეიწვნარა.

სოციალისტები ევროპასა და თითქმის ყველგან, ჰომოსექსუალებს გარდა უქონელთა დამცველები არიან. თქვენზე არ ითქმის უქონელიაო. აქედან გამომდინარე, როგორ შეგიძლოთ უქონელთა ინტერესების დაცვა?..

— არ იფიქროთ, რომ უქონელთა დამცველი თავად უქონელია. უქონელი უქონელს არასოდეს იცავს. მშვიდი კაცი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. განა, მათხოვარი მათხოვარს კაპიკს გადაუგდებს?!. ყველა დიდი სოციალისტი, როგორც წესი, მდიდარი იყო. მაგალითად, მარქსისთვის ეს, ბიზნესმენი და ფაბრიკანტი ენგელსი იყო... ბევრ შეძლებულ ადამიანს უჩნდება კომპლექსი — მე კარგად ვცხოვრობ, სხვა ცუდად, — და დახმარების სურვილი ებადება.

— მითხართ, ამჟამად რას საქმიანობთ?

— უნივერსიტეტში მძივებლად გაფორმდი, მალე დისერტაციას დავიცავ თემაზე — ქართულ-რუსული ურთიერთობები. წიგნსაც ვამზადებ ამ ურთიერთობებზე. დაცვის შემდეგ, პოლიტოლოგიის კათედრაზე დავრჩები. ამავდროულად, დავაფუძნებ საქართველო-რუსეთის მეგობრობისა და ურთიერთობის ფონდი და მისი თანათავმჯდომარე ვარ. რუსეთის მხარეს წარმოადგენს ანატოლი სობჩაკის მეუღლე, ქალბატონი ნარუსოვა, რომელიც ძალზე კეთილგანწყობილია საქართველოს



მიმართ. ის ფილმსაც ამზადებს ქართველ ქალებზე. მისი გმირები იქნებიან ქალბატონი ნინო ბურჯანაძე და სანდრა რულოვსი. დღესდღეობით ჩემი საქმიანობა ბევრად უფრო სუფთაა, ვიდრე პოლიტიკა, სადაც ადამიანები ყველაფერზე მიდიან...

**— და მაინც, რაიმეს ხომ არ ნანობთ?**

— შეიძლება, პარტია ნანობს. წაგებულნი ის უფრო აღმოჩნდა, თორემ, მე არაფერი მაქვს სანანებელი. შევარდნაძესთან მქონდა როგორც ცუდი, ისე კარგი ურთიერთობების პერიოდი. გახსოვთ, ჩვენ ერთად ავეფთქადეთ მანქანაში... ძალიან არ მომწონდა, რასაც აკეთებდა. როცა მასთან მივედი, შევეცადე, რაღაც მეღონა, რომ ხელისუფლებაში აღარ დარჩენილიყვნენ ფანია და მისი გუნდი, რაც ვერ მოვახერხე. მინდოდა, ხელისუფლებაში მე და ჩემი თანამებრძოლები ვყოფილიყავით... არც ამაზე მწყდება გული, პირიქით — მაღლობა უფალს, რომ დამასვენა! წლების მანძილზე პირველად მოვიცალე პოზისთვის. მიყვარს ცხენი და მოგზაურობა, თავისუფალ ღროს ვმოგზაურობ, როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე — საზღვარგარეთ. უწმიდესსა და უნეტარესთან ერთად საბერძნეთში გახლდით წასული. სხვათა შორის, ათონის მთაზე თავი დაგანებე სივარეტს. იშვიათად სივარას თუ მოგწევ...

**— გაგვიმხილეთ, როგორ გადაურჩით ახალ მთავრობას? მართალია, რომ 15 მილიონი დოლარი გადაუხადეთ?**

— 15 მილიონი რომ მქონოდა, აქ ერთ წუთსაც არ გავჩერდებოდი — ეგრევე „დავგაზავდი“... დიდი ფული არასოდეს მქონია. თანაც, ფულს მე და ჩემი ოჯახი არასოდეს ვინახავთ — როცა გვაქვს, ვხარჯავთ, მანქანას, ბინას ვყიდულობთ ან ვმოგზაურობთ. მეორეც — ქრთამი არასოდეს ამიღია და არც კორუფციულ გარიგებაში შევსულვარ; მთავრობამ, რომც ეტებოს, ასეთ რამეს ვერ აღმოაჩენს. ეს მათ ჩემზე კარგად იციან. თუმცა, ამ მთავრობამ თუ ძალიან აიღო ხელი ნამუსზე, ჩემი დაჭერაც შეიძლება — უფლის წინაშე ყველანი დაუცველები ვართ.

**— თქვენ ყოველთვის აგრესიულად იყავით განწყობილი ზურაბ ფანიას მიმართ. რატომ? მასში თქვენს ანტიპოდს ხედავდით თუ შევარდნაძის პროტოტიპს?**

— ორივე მიზეზი რეალურია. სხვათა შორის, შევარდნაძემ ფანიას დარად, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, ყველა ასაკოვანი პირი გაუშვა და 25-27 წლის ბიჭები მოიყვანა თანამდებობებზე. ამ მინისტრების ფონზე, ფანია დაბრძენებული ჩანს... მიმას თანაუფერძნობ იმიტომ, რომ რაღაც

კარგი ძერები დაიწყო, დინამიკური კაცია, ამერიკასთანაც ააწყო ურთიერთობა და პუტინთანაც. ახლა, ცოტა არ იყოს, „დატორმუხდა“... იცით, რა არის პრობლემა?... მიმაც, ნინოც და ზურაბიც ხალხს ბევრს ჰპირდებიან — გეშველებათ, გეშველებათ; ცოტა ხანში, ეს ხალხი, როგორც შევარდნაძეს, მათაც გინებას დაუწყებს. ისინი რა ხანია ხელისუფლებაში არიან. მათი ჩამოვლება და ახალი რევოლუციის მოწყობა ცოტა ძნელი იქნება, მაგრამ ხალხის იმედის დაკარგვა გარდაუვალია...

**— თუ მოხდა სასწაული და ხელისუფლებამ თანამშრომლობა შემოგთავაზათ. რას იზამთ?**

— არა მგონია... არავითარ თანამდებობაზე არ წავიდოდი. თუ ძალიან დასჭირდა ქვეყანას, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მედიატორის როლს თუ შევასრულებდი. მეც ხომ ვებრძობი, უკვე 50 წლის კაცი ვარ. რისი ნახვაც ვერ მოვასწარი, ახლა ვნახულობ. სხვათა შორის, ხალხი ყველგან დიდი სიყვარულით მხვდება, იმიტომ, რომ ყოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდი. ჩემს შეცდომებსაც მახსენებენ — რატომ წავედი შევარდნაძესთან?... დღესაც ვერაინ დამიმტკიცებს, რომ შევარდნაძე იყო უფრო ცუდი პოლიტიკოსი, ვიდრე მიმა ან ზურა არიან. ის კიდევ უფრო გამოცდილი იყო. მეუფე ერეკლე ხომ დიდი პატრიოტი იყო და სიბერეში შვიდ შვილს გაუყო სამეფო... არ მიკვირს, რომ ასაკში შესულ შევარდნაძეს გაუჭირდა, ან ვთქვით, ჩერჩილს გაუჭირდა... ვამაყობ, რომ მასთან ვუმშობდი. ის კი არა, ჯაბა ოსიელიანი ხომ პოლიტიკაში ნონსენსია, ისიც კი საინტერესო იყო.

**— პარლამენტის ნოსტალგია ხომ არ განუხებთ?**

— ღმერთმა დამიფაროს! იქ ჩემი ბევრი ძველი მეგობარია და წარმატებას ვუსურვებ. რა დროს პარლამენტია, ცხოვრებაში პირველად დავისვენე. 19 დეკემბრისთვის წმინდა ნიკოლოზის ნაკვეთზე იტალიაში ჩასვლას ვაპირებთ. ამაზე ფილმის გაკეთებასაც ვგეგმავთ.

**— თქვენი ვაჟი რას საქმიანობს?**

— გოკა ოჯახს მხარში ამოუდგა და საოჯახო ფირმის — „ცენტრ-პონტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეა, მაიასთან და რუსუდანთან (ბ-ნი ვახტანგის ცოლი და ცოლისდა. — ავტ.) ერთად მოღვაწეობს. დაამთავრა ლონდონის უნივერსიტეტი და პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრია. მიუხედავად ამისა, ბიზნესში წავიდა. პროლიუსერის რანგშიც მოგვევლინა — მეგობრებთან ერთად, კინოთეატრ „ამირანის“ თანამფლობელია. ამჟამად ინდოეთში იმყოფება. ვფიქრობ, საინტერესო მომავალი აქვს.

**— ბატონო ვახტანგ, პარლამენტმა პენსიით უკვე უზრუნველგყოთ?**

— რაღაც საბუთებია შესავსები და პენსია მომეცემა. პენსიის იმედზე არა ვარ, მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ, მაიას ჩემი შემოსავალი ყოველთვის ძალზე ახარებდა. ფირმაში დღეს გაქვს შემოსავალი, სხვალ შეიძლება არ გქონდეს — რაღაც იყიდება, რაღაც არ იყიდება... სტაბილური შემოსავალი მნიშვნელოვანი და სასიამოვნოა. თუმცა წყენამ გადამიარა, პარლამენტში საბუთების მიმტანი მაინც არა ვარ...

**— თქვენ პლენარული ძველი ბიჭიც იყავით, საბჭოთა ნომენკლატურაც და დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკოსიც. მაინც რომელი მათგანი ხართ და, თქვენი აზრით, რა შესაბამისობა-წინააღმდეგობაა ამ სამ მდგომარეობას შორის?**

— ყველაფერი მოვასწარი. ბედნიერი ბავშვობა მქონდა. ჩვენი თაობა დაკარგული თაობაა — შევარდნაძეს არ ვუნდოდით და სააკაშვილს არ ვუნდევართ, ჩემთვის ყველაზე ბედნიერი, გორბაჩოვის ხანა იყო: გქონდა სრული თავისუფლება, ფული... რასაც გინდოდა, იმას აკეთებდი და სადაც გინდოდა, იქ მიდიოდი. მაშინ მოვიარე „აპონიები“ და „ამერიკები“. ბევრმა გაიხარა... მერე დაიშალა საბჭოთა კავშირი, დავრჩით მარტო. პუტინი, რევოლუციები, ჯაბა, კიტოვანი... მერე სოციალურად გავიჭირდა. ახლა კი, ავად თუ კარგად, ეს ქვეყანა შენდება. ცხოვრებაში ბევრი საქმე გამირჩევია, „პოზიციაშიც“ ვყოფილვარ და ოპოზიციაშიც, მაგრამ კარიერისტი არასდროს ვყოფილვარ. თუმცა, ვაღიარებ, რომ სრულ კომფორტს მხოლოდ ლიდერის ამპლუაში ყოფნისას ვგრძნობდი.





ქვა ტუხიაშვილი

— იუმორთან ბავშვობიდან „მეგობრობით“?

— ალბათ, ბავშვობაშიც მქონდა იუმორის გრძნობა, მაგრამ მაშინ თვალთვალის უფრო მიტაცებდა. ოჯახში ვამბობდი, რომ შინიდან გასვლას ვაპირებდი, თვითონ კი ერთ-ერთ სამალავში ვიმალებოდი და იქიდან ვუსმენდი, რას ამბობდნენ მშობლები ჩემზე. სწორედ ასე გავიგე, რომ თურმე, ჩემი ქათამი, რომელიც ძალიან მიყვარდა და სახელად მარუსიას ვეძახდი, კი არ მოუპარავთ, — დაუკლავთ და ვაზშმაღ გევიჭამია. სამალავიდან შევიტყვე, რომ არც ჩვენი ძალი მიკი გაპარულა სახლიდან, არამედ თოფით მოუკლავთ. თუმცა, რომ გითხრა — სექსიც ამ სამალავის წყალობით ვისწავლე-მეთქი, — არ იქნება მართალი...

— ახლა არ მითხრა, გოგონებისთვის არასდროს მითვალთვალა...

— ამას ვერ დავიბრალებ. აქ გოგონებს მხოლოდ ქუჩაში თუ უთვალთვალე, თორემ, აბანოში თვალთვალის საშუალება სად არის?... ისე, ფილმის — „ერთხელ ამერიკაში“ — გმირისა არ იყოს, შეიძლება გოგონებს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრშიც უთვალთვალე, მაგრამ მე ამის შესაძლებლობა არასდროს მქონია. არც ფუნსაცემელზე დამაგრებული სარკე გამომიყენებია ოდესმე გოგონების უკეთ შესათვალთვალე...

— გამოდის, რომ სკოლაში შენზე წყნარი და ბევრით ბავშვი არ დადიოდა...

— რომ გითხრა ახლა, ნიჭიერი ვიყავი, მაგრამ ზარმაცი-მეთქი, ტყუილი იქნება. არც ის იქნება სიმართლე, რომ გითხრა — ვსწავლობდი-მეთქი, თუმცა, არც მთლად უსწავლელი ვყოფილვარ. ჩემი სკოლის პერიოდი შემოიჭრა ეტაპებად დაყოფილ მეთხვე კლასამდე კარგად ვსწავლობდი, მეთხვედან მერვემდე ის პერიოდი, როდესაც ნიჭიერი ვიყავი, მაგრამ ზარმაცი, ხოლო მერვედან მეთერთმეტე კლასამდე, უკვე იბულებული ვიყავი, მესწავლა, რადგან უნივერსიტეტში ვაპირებდი ჩაბარებას. არ დავიბრალებ, ყოველი შატალის ინიციატორი მე ვიყავი-მეთქი, რადგან ჩვენს კლას-

მას, ვინც „ბუდარიას“ მიერ დაგეგმულ მახეში ვერ კიდეც არ გაბმულა, დიდი შანსი აქვს იმისა, რომ ფარული კამერებით გადაღებული სიუჟეტის გმირი გახდეს... ტელევიზიიდან ტელევიზიაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ, ალექსეი მალხაზიშვილმა საკუთარი გადაცემისთვის, კომპანია „202“-ს „რუსთავი 2“-ის ეთერი ამჯობინა. ამის შედეგად, ტელევიზია — „ფოცხვრია ბიჭი“ გამოაკლდა, (თუმცა, როგორც თავად ალექსეი მითხრა, მის ამ გადაწყვეტილებას ძველი მეგობრები არ გაუნანყებია); რა შეემატა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიას“, დრო გვიწვინებს, მატება თავად მსახიობის პირად ცხოვრებაში მომხდარა: ალექსეი და მის მეუღლეს ვერა შელესტს პატარა ლიზი შეეძინათ. თუმცა, მამობის პრაქტიკა „ეროვნული ფარული კამერების“ ავტორმა ცოტა უფრო ადრე შეიძინა, როდესაც ვერამ მას კრასნოდაროდან 6 წლის ნასტია ჩამოუყვანა.

panRuri axl obli sTvis anu „ci xe Signidan tydeba“

ში ყოველ შატალის თავისი „ავტორი“ ჰყავდა. მაგრამ ეროვნული მოძრაობის პერიოდში მე ავაჯანყე კლასი, რომ გაკვეთილებზე არ შევსულიყავით. დაფაზე დაწერეთ — „სიტყვის თავისუფლება“ — და მიტინგზე წავდიოდი. ისეთი შემთხვევაც მქონია, როდესაც რამდენიმე თანაკლასელთან ერთად მთელ კლასს მასწავლებლის არასწორ საქციელზე აუხილე თვალი და პროტესტის ნიშნად, მის გაკვეთილზე არ შევედი. უნდა გითხრა, რომ რუსულ სკოლაში ვსწავლობდი და ამ სკოლის მკაცრ განაწესს თუ გავითვალისწინებთ, ჩემი მხრიდან ეს საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო.

— რა პროფესიის ხარ?

— ორი პროფესია მაქვს — ეკონომისტი და გეოფიზიკოსი. პირველი პროფესია მშობლებმა შემირჩიეს და სიმართლე რომ გითხრა, არც მე ვიყავი მაშინ ჩამოყალიბებული იმ საკითხში, თუ რა მინდოდა მეკეთებინა ცხოვრებაში. მართალია, თეატრიც და კინოც ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მსახიობობაზე არასდროს მიფიქრია. მით უმეტეს, რომ დღეაღმდეგ მსახიობია და ჩემი დაც. გეოფიზიკის ფაკულტეტზე კი, იმის გამო ჩავაბარე, რომ სამხედრო წოდება მიმეღო და ახლა ლეიტენანტ ვარ.

— მოგინევს ოსიაურნი რეზერვისტებთან ერთად სამშობლოს წინაშე ვალის მოხდა...

— რატომაც არა?! თუმცა ვფიქრობ, რომ აქ უფრო საჭირო ვარ, ვიდრე იქ.

— დედის გენმა

შენში აშკარად იმლაფრა და შენგან მსახიობი უფრო დადგა... ისიც მითხარი, ახლა სად მოღვაწეობს დედაშენი?

— ჩემს თავს მსახიობს არ ვუწოდებ, საქმე რომელსაც ვემსახურები, უფრო კრეატივია და მე „ჯგუფის კაცი“ ვარ. რაც შეეხება დედას — ქალბატონი მაგული ტყემელაშვილი წლების განმავლობაში, თოჯინების თეატრში მუშაობდა მსახიობად, ამჟამად გორის თეატრში მუშაობს, როგორც რეჟისორი. სამომავლოდ კი, ალბათ ხაშურის თეატრში დირექტორად იმუშავებს. ასე რომ, წინსვლა მის კარიერაში ნამდვილად იგრძნობა (იცინის)... კიდევ შემოიძლია გითხრა, რომ დღეაღმდეგ ძალიან კარგი ქალია და სხვის ღებებს მირჩევნია...

— საკმაოდ დიდი ხანია, შენ და ბაკურ სვანიძე „ფარული კამერის“ ტიპის გადაცემას ამზადებთ. ფაქტობრივად, ეს არის სხვა ფორმატის „ბუდარია“. თუ გაიხსენებ, როგორი იყო ადამიანების რეაქცია ფარულ კამერაზე წლების წინ და როგორია ახლა?

— უკვე 10 წელია, რაც ამ ტიპის გადაცემას ვამზადებთ და დაახლოებით 7



შემოთავაზებული პირობები ჩემთვის ბევრად მისაღები იყო...

ტელევიზია გამოვიცვალეთ. რეაქციას რაც შეეხება, შემიძლია ვითხრა, რომ წლების წინ, ადამიანები საერთოდ ვერ ხვდებოდნენ, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ფარულ კამერას, ხან პოლიციელები ვეგონეთ და ხან „მაცნეს“ თანამშრომლები... ახლა უკვე ელიმბათი, როდესაც ვუმხელთ, ვინც ვართ. თუმცა, უარყოფით რეაქციასაც რესპონდენტების მხრიდან ვერ კიდევ ვხვდებით ხოლმე. ახლახან გვქონდა შემთხვევა, როდესაც ჩვენს მახეში მოხვედრილი ქალბატონი ისე გაგვიანაწყენდა, რომ ძლივს მოვახერხეთ მისი დამშვიდება, ხოლო სიუჟეტი გადაცემისთვის ვერ გამოვიყენეთ. გადაცემის გმირებს მხოლოდ ვიზუალურად ვირჩევთ, ამიტომ ცდომილება საკმაოდ ხშირია.

**— „202“-დან რატომ წამოხვედით?**

— უბრალოდ, ვერ ვითავსებდი ორ ტელევიზიაში ერთდროულად მუშაობას. მაგრამ იმასაც გეტყვი, რომ აქაური ანუ „რუსთავი 2“-ის პირობები ჩემთვის უფრო მისაღები იყო, ვიდრე „202“-ის, თუმცა, ამ შემთხვევაში მხოლოდ მატერიალურ დაინტერესებას არ ვვულისხმობ. შემოთავაზება იქიდან წამოვიდა: დამირეკა დათო გოგინიაშვილმა და მთელი რიგი პირობებისა შემომთავაზა. გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიმიღია, დაახლოებით 2-3 კვირის განმავლობაში ვფიქრობდი, მდგომარეობა ავწონ-დავწონე და „რუსთავი 2“-ის პლუსებმა აშკარად გადაწონა.

**— და მინც ალბათ პლუსებში შრომის ანაზღაურებასაც გულისხმობ, არა?**

— რა თქმა უნდა, ანაზღაურებამაც ითამაშა გარკვეული როლი, მაგრამ არა მხოლოდ ამან, რადგან შესაძლებელი იყო, სხვა ტელევიზიებს უფრო მეტი გადაეხალათ. მაგალითად, ჩვენ ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს ტელეკომპანია „იმედთან“, მაგრამ ეს მოლაპარაკებები ძალიან გაიწვლა დროში, ჩვენ კი ვჩქარობდით საქმის დაწყებას.

**— „ფარული კამერის“ პირველ გადაცემაში შენი მეგობრები განირე, ხშირად იქცევი ასე?**

— პანდური უცხოეთის რომ ამოგვერტვა, ეს არავსთებტიკური იქნებოდა. მეგობრები კი უფრო მიმტყველები აღმოჩნდნენ. საერთოდ, ტრადიცია გვაქვს უკვე ასეთი, რომ პირველი გადაცემის დროს ფარული კამერის მახეში მეგობრებს ვაბამთ.

**— სამაგიეროს გადახდის სურველი შენს მეგობრებს არასდროს გასჩენიათ?**

— იყო შემთხვევები, როდესაც ჩემი მეგობრები სხვადასხვა უწყების სახელით მირეკავდნენ და ასე ცდილობდნენ ჩემს შემინებას. კიდევ მახსოვს, როცა „მეორე არხზე“ ვმუშაობდით, რამდენიმე შემოქმედებითი ვგუფი მუშაობდა ილიაზე, რომ

ჩვენვე გავეხვიეთ ფარული კამერის მახეში და შემდეგ ეს ტელევიზიით გადაეცათ, მაგრამ „ციხე შიგნიდან გატყდა“ და ინფორმაციამ წინასწარ მოაღწია ჩვენამდე.

**— როგორც შევითქვე, უკრაინელი მეუღლე გყავს. როგორ და სად გაიცანი?**

— თავიდან ასეც მეგონა... ძალიან მინდოდა, უკრაინელი რომ ყოფილიყო, მაგრამ რუსია... 2 წლის წინ „მხიარულთა და საზრიანთა“ თამაშებზე კრასნოდარში გახლდით წასული, სადაც ჩემი მეუღლე ვერა რეგიონთაშორისო ლიგის ადმინისტრატორი იყო. მას ჩვენი პატრონაჟი ევალებოდა, მე კი, ჩემი მხრიდან — ადმინისტრატორთან საუკეთესო ურთიერთობების დამყარება. ეს მოვალეობა ისე პირნათლად შევასრულე, რომ ჩვენი ურთიერთობის ნაყოფი პატარა ლიზის სახით სახეზეა.

**— საინტერესოა, როგორ შესთავაზე მომავალ მეუღლეს გული და ხელი?**

— ერთხელ ჩემი მეგობარი კრასნოდარში მიემგზავრებოდა. მეც ფული გავატანე და ვთხოვე, ჩემი სახელით ვერასთვის გადაეცა ყვეალები და ბარათი, სადაც ეწერა: Красота этих цветов ху...ня по сравнению с твоей красотой. შემდეგ, ვერას ახალი საცხოვრებელი ადგილი შეითავაზე — რა თქმა უნდა, ჩემთან ერთად — და თანხმობაც მივიღე. 2 თვის განმავლობაში ვცხოვრობდით ერთად და ვთხოვე, რომ ამ პერიოდში კარგად შეეფასებინა მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან საქართველოში გადმოსვლით ის ფაქტობრივად, ყველა ანალოგიურს კარგავდა.

**— ვერასთვის ლიზი მეორე შვილია, არა?**

— კი, მას 6 წლის ნასტია ჰყავს, რომელიც ჩვენთან ერთად ცხოვრობს და ფაქტობრივად, ჩემი მეორე შვილია. ნასტია ქართულ სკოლაში დადის.

**— მეუღლეს თუ ახალვე ქართული?**

— ვერ კიდევ მაშინ, როდესაც „ბუდარია“ „პირველი სტერეოს“ ეთერში გადიოდა, ვერა რუსი კორესპონდენტის როლში გადავიღეთ, რამდენიმე ბილწი ქართული სიტყვა ვასწავლეთ: ის აჩერებდა გამვლელებს და ამ სიტყვების მნიშვნელობას ეკითხებოდა. კიდევ იცის ფრაზა — „ჭამა მინდა“...

**— რუსულ ბორძისა და პელმენებს ხშირად გიმზადებს?**

— მშვენიერი კერძები გამოისდის, რუსულის გარდა ფრანგული სამზარეულოც მშვენივრად იცის. მოკლედ, საწუწუნო არაფერი მაქვს, კარგი „ქართველი“ დისახლისი აღმოჩნდა ჩემი მეუღლე, აი ისეთი, სულ სუფრასთან რომ ტრიალებს და არ ჯდება.

ალეკო მალხაზიშვილი შეილებთან — ლიზისთან (მარცხნივ) და ნასტიათან ერთად



**— „მან-სან-კან-ზე“ (KBH — „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი“) მინდა გკითხო, საკმაოდ სერიოზული წარმატებების შემდეგ, ის რატომღაც ყველას მიაფინყდა. ასე არ არის?**

— ქართული „მან-სან-კანი“ ექსპორტირებადი აღარ არის. ეს დრომაც განაპირობა, გარკვეულწილად პოლიტიკურმა სივრცემაც, იმანაც, რომ ჩვენმა მომდევნო თაობებმა რუსული ენა თითქმის არ იციან. არადა, ბევრი ჩვენი ზუმბობა გამოიყენეს შემდეგ რუსულმა გუნდებმა. მაგალითად, როდესაც გიორგი ჭანტურია პირველად მტვერსასრუტით იმღერა, შემდეგ დაიწყო სხვებმა მუსიკალურ ნომრებში საყოფაცხოვრებო ნივთების გამოყენება. არც საქართველოშია ვინმე დიდად ამ საქმით დაინტერესებული, სწორედ ამიტომ, რომ ქართული KBH-ი ფაქტობრივად, მკვდარია.

**— ქუჩაში ალბათ ყველა გცნობს, თანაც ყველასთვის ალბათ ფარულ კამერასთან ასოცირდები. ეს უხერხულობას არ გიქმნის?**

— მე და ბაკური სვანიძეს („ფარული კამერის“ თანაავტორი. — ავტ.) გვექონდა შემთხვევა, როდესაც მანქანით სამსახურიდან ვმართა მოედნის გავლით ვბრუნდებოდით შინ და ჩვენ თვალწინ მანქანა ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. რა თქმა უნდა, გადმოვხტი მანქანიდან და სშველად მივვარდით დაშავებულს. ხალხმა დემონსტრაციულად წრე შემოგვარტყა და ყველა სიცილით კვდებოდა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს შემთხვევა „ფარული კამერისთვის“ დადგმული ინსცენირება იყო.

**— ალბათ განსაკუთრებულად საინტერესო იქნება „ფარული კამერის“ საახალწლო გადაცემა, არა?**

— ახალი წლისთვის ჩვენი ფარული კამერების მახეში ცნობილი ადამიანები გაებმებიან, მაგრამ ახლა არ გეტყვი, თუ რომელი სფეროს წარმომადგენლები იქნებიან ისინი. საკმაოდ საინტერესო პროექტი გვაქვს ჩაფიქრებული, ამიტომ სრული ეფექტის მისაღებად, დეტალებს წინასწარ არ გავამჟღავნებ.



**მარი ჯაფარიძე**

— ნინო, გაგვაცანი შენი ოჯახი.  
 — ვცხოვრობ მამასთან, დედასთან და დასთან ერთად. ჩემი და გასათხოვარია. ერთმანეთს არაფრით ვვაკართ. ის ქერაა და ცისფერთვალება, მე კი შავკვრემანი. ვცხოვრობ ვაკეში. მამა მოქანდაკეა, მეც მის კვალს მივყვები — ვსწავლობ სამხატვრო აკადემიაში. დედა ქიმიკოსია, მაგრამ ამჟამად არ მუშაობს. მამას აქვს კერძო სახელოსნო, ახლა მუშაობს წმინდა სამების ეკლესიის მშენებლობაზე, ქვამი რაც კეთდება, ყველაფერი მამაჩემის შესრულებულია. ამ ცოტა ხნის წინ კი გააკეთა ოსებს ნინეშვილის ბუსტი, რომელიც გურჯაანში დიდი ხარ-ზეიმით გაიხსნა.

— რამდენი წლის ხარ?

— 18-ის.

— დაახლოებით შენი თავი.

— ვარ ძალზე მიმწიფი ადამიანი. არ მიყვარს წყნის გულში ჩადება და ადამიანებს ძალზე იოლად ვაპატიებ წყენას. ვცდილობ, მეც არავის ვატყინო გული. ცუდ თვისებად მიმაჩნია ის, რომ ვარ ძალზე რომანტიკული, ცოტა მაღლა დავფრინავ... ბუზღუნა არა ვარ, მაგრამ ვაღიარებ, რომ ვარ ძალზე ჯიუტი. თუ რაიმეს ჩავიფიქრებ, აუცილებლად ისე ვაგაკეთებ, როგორც მე მინდა. მიზნის მისაღწევად ყველაფერს მოვიმოქმედებ. საერთოდ, ძალზე ოპტიმისტი ვარ. მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. თუ დარწმუნებული არა ვარ, რომ ესა თუ ის საქმე გამოივა, არც წამოვიწყებ. არ მიყვარს დაწყებული საქმის მიტოვება, აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიყვანო.

— ჰოროსკოპით ვინ ხარ?

— კურო, მაგრამ მერწმუნეთ, მისთვის დამახასიათებელი სიფიცხე არ მახასიათებს. წარმოშობით რაჭველი ვარ და ალბათ ამის გავლენაა, რომ ღინჯი და

ჩვენი დღევანდელი „საპატარძლო“ სახელმწიფო ანსამბლ „სუსნიშვილების“ მოცეკვავე ნინო ჯოსხაძე გახლავთ. რუბრიკის შინაარსი რომ გაიგო, თავიდან ცოტა გაჯიუტდა და — არა, არა, არ მინდა გათხოვებო, — ამბობდა, მაგრამ ბოლოს მაინც დავითანხმე და ვფიქრობ, საკმაოდ გულახდილი საუბარიც გამოგვივიდა. როგორი მამაკაცები მოხსონს ნინოს და რა უნდა პქონდეს გენეტიკაში, ამის შესახებ მისი ინტერვიუდან შეიტყობთ.

# ნინო ჯოსხაძე: „შაქაშა“

## იხმთ სქაქოს, ჰინაჯ ტყუილ ბენი ზქს...

აუღელვებელი გახლავართ.

— **ჭირვეული თუ ხარ?**

— არა, ეს თვისება ნამდვილად არ მაქვს. ყველანაირ პირობებს იოლად ვეუბნი. მოცეკვავეებს ძალზე მოუსვენარი ცხოვრება აქვთ. სულ ემოგზაურობ. ამის გამო მიწვევს სხვადასხვანაირ პირობებთან შეგუება, სხვადასხვანაირ ადამიანთან ურთიერთობა. ეს სულაც არ მიჭირს.

— **სშირად ტირი?**

— არა, მტირალა არა ვარ, თუმცა, ბავშვობაში ძალზე ბევრს ვტიროდი, რადგან უფრო იოლად მწყინდა რამე და ამას ტირილით გამოვხატავდი. გარეთ რომ ვინმე მაწყენინებდა, ვერაფერს ვუბნებოდი, სახლში მივიდოდი და ტირილით ვიკლავდი თავს... ახლა უკვე აღარ ვტირი. საერთოდ, ძალზე ემოციური ადამიანი ვარ და შესაძლოა, სიხარულის ცრემლი უფრო მომადგეს, ვიდრე მწუხარების. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მეგონა, რომ შეგვარებული ვიყავი... აი, მაშინ კი ძალზე ბევრს ვტიროდი.

— **ახლა შეგვარებული არა ხარ?**

— არა, ამჟამად არავინ მიყვარს. მაგრამ არც წინათ მყვარებია ვინმე — უბრალოდ, მეგონა, რომ მიყვარდა...

— **რადგან სიყვარულზე ჩამოვარდა სიტყვა, მოდი, თავყანისმცემლების შესახებ გვიამბე რამე.**

— თავყანისმცემლები საკმაოდ მყავს. მანებივრებენ საჩუქრებით, ყვავილებით, სიურპრიზებით, მთხოვენ შეხვედრას, გაუთავებლად მიმტკიცებენ, რომ ვუყვარვარ, მაგრამ ძალზე მკაცრი მამა მყავს. ამ საკითხს ცოტა სხვანაირად უყურებს, ამიტომ ჩემი თავყანისმცემლები ბევრს ვერაფერს ბედავენ. საერთოდ, ყურადღება ძალიან მიყვარს და ჩემი თავყანისმცემლები ამით ძალზე მანებივრებენ. ჩემი ხასიათიდან გამომ-

დინარე, როდესაც მეგონა, რომ შეგვარებული ვიყავი, ყოველთვის ვცდილობდი, ეს ადამიანი დამენახა ისეთად, როგორც მინდოდა, რომ ყოფილიყო. მაგრამ სამწუხაროდ, ადამიანის შეცვლა თურმე, შეუძლებელია. შესაძლოა, დროებით ითამაშოს, თავი მოგაჩვენოს, მაგრამ საბოლოოდ, მაინც გამოამჟღავნებს თავის თვისებებს.

— **აღგვიწერე, როგორი მამაკაცები მოგწონს.**

— უნდა იყოს რომანტიკული ადამიანი. საშინლად ვერ ვიტან ტყუილს. მირჩევნია, მწარე სიმართლე მოვისმინო. თუ ერთხელ ტყუილში დავიჭირე, იმ ადამიანის მიმართ ნდობას ვკარგავ და აღარაფერს ვუჯერებ. ძალზე მომწონს ძლიერი მამაკაცები, ძლიერი ხასიათით. მამაკაცი თავისი სიტყვის პატრონი უნდა იყოს. არ უნდა იყოს სუსტი, მე არ უნდა დამეჯახნინოს თავი. უნდა ვუყვარდე, პატივს სცემდეს ჩემს აზრს, მაგრამ თავისი სიტყვის გატანაც შეეძლოს... რაც შეეხება გარეგნობას — მიყვარს მაღალი, შავკვრემანი, ლურჯთვალე ბიჭები, ნავარჯიშევი სხეულით. მოცეკვავეს ცოლად არ ვაგვყვები...

— **რატომ?**

— ძალზე რთული პროფესიაა. სშირად გიწვევს ოჯახის დატოვება. როცა ცოლქმარი ერთად ცეკვავს, გამოდის, ორივემ უნდა მიატოვოს ოჯახი და შეილი...

— **მამაკაცსაც რომ იგივე პოზიცია პქონდეს, ხომ დარჩები გაუთხოვარი?.**



ქართველი მამაკაცები მომწონს, ისინი ცოტა აზიატები არიან, მაგრამ მირჩევნია, რომ ჩემი რჩეული ცოტა გავეროპელებული იყოს (მარჯვნიდან მეორე ნინო ჯოსხაძე)

– გეთანხმებით, ძალზე ძნელია მა-  
მაკაცისთვის, შევეუოს ჩემი პროფესიის  
ცოლთან ცხოვრებას, ძალზე დიდ დათ-  
მობაზე მოუწევს წასვლა. მაგრამ თუ  
აღამიანს უყვარხარ და იცის, რომ ცეკვის  
გარეშე ცხოვრება არ შეგიძლია, უნდა  
გაგიგოს. თუ ძლიერ ვეყვარები, იმ აღ-  
ამიანმა თვითონ უნდა დათმოს თავი სი  
პოზიცია და ჩემს პროფესიასთან ერთად  
უნდა შემიყვაროს. წინააღმდეგ შემთხ-  
ვევაში გამოდის, რომ არ ვყვარებივარ.  
მამაკაცი არ უნდა იყოს ეჭვიანი და  
უნდა შეეძლოს ერთგულება. მიმაჩნია,  
რომ თუ აღამიანს ერთგულების უნარი  
არ შესწევს, იქ ყველანაირ სიყვარულზე  
ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს მთავარი  
თვისებაა მამაკაცისთვის...

**ერთგულებაზე იმდენს ლა-  
პარაკობ, ალბათ ძალზე ეჭვიანი  
იქნები...**

– არა, ეჭვიანი არა ვარ, უბრალოდ, მე  
თვითონ ბუნებით ძალზე ერთგული ვარ.  
ამიტომ მიმაჩნია, რასაც ვასცემ, იგივე უნდა  
მიიღო საპასუხოდ. შესაძლოა, აღამიანს  
ბევრი რამ ვაპატიო, ბევრ რამეზე თვალი  
დავხუჭო, მაგრამ ღალატს ვერასოდეს ვე-  
რავის ვაპატიებ.

**საერთოდ, ქართველ მამაკა-  
ცებზე როგორი აზრის ხარ?**

– ქართველი მამაკაცი მომწონს, ისინი  
ცოლა აზიანებენ არიან, მაგრამ მირჩენია,  
რომ ჩემი რჩეული ცოლა გავერობელებუ-  
ლი იყოს, რადგან მოცეკვავე ვარ და აზიანტი  
ქმარი ჩემნაირ ცოლს ძნელად შეეგუება.

**საყვარელ აღამიანს ქორწი-  
ნებამდე სექსზე თუ დათანხმდები?**

– არავითარ შემთხვევაში, რადგან მი-  
მაჩნია, რომ ეს არის მრუშობა...

**ოჯახში უფრო ხშირად, რის  
გამო გასაყვედურობენ ხოლმე?**

– ვერ ვიხსენებ, რომ ოდესმე საყვე-  
დური მიმეღოს. დედასთან ძალზე ჰარმო-  
ნიული ურთიერთობა მაქვს. ყველანაირ  
თემაზე ვსაუბრობთ ხოლმე და ძალზე  
ახლო მეგობრად ვთვლი. ყველანაირ საი-  
ღუმლოს ვუმსხელ და სამაგიეროდ, რჩევებს  
ვღებულობ.

**საოჯახო საქმე თუ გეხერხ-  
ება?**

– ვაღიარებ, რომ არა. დროც არ მრჩე-  
ბა იმისთვის, რომ საოჯახო საქმე ვაკეთო.  
თანაც, დედა დასახლსია, არ მუშაობს  
და შინ რომ მივლივარ, ჩემი გასაკეთებელი  
არაფერი მხვდება. ისე თუ დრო მაქვს,  
დედიკოს საამონებელი ვენძარები ხოლმე.  
ვერც კარგ კულინარობას დავიკვებნი.  
კარტოფილის და კვერცხის შეწვას თუ  
მოვასხერხებ მხოლოდ. მაგრამ რომ მოვინ-  
დომო, ვფიქრობ, ყველაფერს ვისწავლი.

**ჭამა თუ გიყვარს?**

– არა, „უჭკმელი“ აღამიანი ვარ. აი,

რის გამო მსაყვედურობს ხოლმე დედა!..  
ვერ ვჭამ ხახვიან კერძს, არ მიყვარს ხორ-  
ცი, საერთოდ, ჩიტვით ცოტას ვჭამ. ასე-  
თი ვიყავი ბავშვობიდან. მახსოვს, პატ-  
არაობაში საჭმელს ქაღალდში ვახვევდი  
ხოლმე და ხან სად ვმაღავდი, ხან – სად.  
დედა კარგა ხნის შემდეგ პოულობდა, უკვე  
გაფუჭებულს და ყრიდა. მიყვარს ტკ-  
ბილეული და სხვადასხვა ნამცხვარი, რაც  
მოცეკვავისთვის არ შეიძლება...

**რამდენადღაც ვიცი, შენ სწორედ  
ის გოგონა ხარ, ვინც პრეზიდენტის  
ინაუგურაციის დროს კონსტიტუცია  
გამოიტანა. ხომ არ ვცდები?**

– არ ცდებით, ნამდვილად მე ვიყავი  
და იმ დღეს ერთი კურიოზიც შემემთხ-  
ვა. მოგეხსენებათ, ინაუგურაციის ცერე-  
მონია ზამთარში ჩატარდა. საშინელი  
სუსხი და სიცივე იყო. მე კი თხელ,  
ქართულ ეროვნულ კაბაში ვიყავი გამოწ-  
ყობილი. ძალზე მციოდა. ხელ-ფეხი  
გამეყინა და ერთიანად ვკანკალებდი  
სიცივისგან. ხელში კონსტიტუცია მი-  
ჭირავს და სიამაყით ვარ აღვსილი, რომ  
მისი გამოტანის პატივი მე მხვდა  
წილად... უეცრად შევნიშნე, რომ კაბა  
მქონდა შესასწორებელი. წიგნი ცალ  
ხელში დავიჭირე და უცებ, გამივარდა.  
მივიხედ-მოვიხედე და შევნიშნე, რომ უა-  
მრავი აღამიანი მიყურებდა. ვიღაცამ ისიც  
თქვა – აუ, ამ წიგნის დაგდება შეიძლე-  
ბოდაო; და უცებ ისე დამცხა, რომ საერ-  
თოდ გადამავიწყდა ყინვა და სიცივე.  
ოფლმა დამასხა და კიბეზე თავდახრილი  
და დარცხვენილი ჩავვდი...

**ოდესმე საკუთარი ქორწილი  
თუ წარმოგისახავს გონებაში?**

– კი, წარმომისახავს. ჩემი წარმოდ-  
გენით, ეს იქნება ყველაზე ბედნიერი დღე  
ჩემს ცხოვრებაში. წარმომიღგენია ჩემი  
საქორწინო კაბა, რომელიც ძალზე ფუშ-  
ფუშა და გაშლილი უნდა იყოს. გრძელი  
ფატა, აწეული თმა და... ჩემმა ქმარმა  
ცეკვა უნდა იცოდეს. წარმოიღგინეთ, მიუღი  
„სუსხიშვილები“ ჩემს ქორწილში იქნება  
და ქმარმა ცეკვა რომ არ იცოდეს!.. მი-  
ნდა, ჯვარი მეტეხში დავიწერო... ქართულ  
ქორწილზეც მიფიქრია – ვაიტონით, ხმ-  
ლების ქვეშ სიძე-პატარძლის გავლით...  
მაგრამ, წინასწარ რაიმის დაგეგმვა შეუ-  
ძლებელია.

**ჩამოთვალე შენი მზიოგი...**

– საცეკვაო ფესსაცმელი და მეტი  
არაფერი... ჰო, კიდევ – ნაწნავები, რომ-  
ლებსაც ცეკვის დროს ვიმაგრებ.

**წინასწარ ხომ არ დაგიგვე-  
მავს, რამდენი შვილი უნდა იყო-  
ლიო?**

– საერთოდ, ბავშვები ძალიან მიყვარს  
და თუ საშუალება მექნება, ბევრ შვილს  
გავაჩენ. მაგრამ ჩემი ოცნებაა ტყუპი.



ჩემი სასიათიდან  
გამომდინარე, როდესაც  
მეგონა, რომ შეყვარებული  
ვიყავი, ყოველთვის  
ველილოდი, ეს აღამიანი  
დამეჩნა ძნელად, რომ  
ყოფილიყო

ძალიან მიწა, ტყუპი ქალ-ვაჟი შემეძი-  
ნოს. ამიტომ, ვეძებ ისეთ საქმროს, ვისაც  
ტყუპის გენი აქვს...

**ამბობ, რომ ბევრს მოგზა-  
ურობ. ბევრი საინტერესო ამბავიც  
გექნება მოსაყოლი...**

– იტალიაში გასტროლების დროს,  
აქეთ გამოგზავრების წინ, ბანკეტი მოგვი-  
წვეს. ეს ხდებოდა კუნძულზე. ბანკეტის  
წინ დავიწყეთ ბარგის ჩალაგება. მე ძალზე  
დიდხანს მოვუნდი ამ საქმეს. ყველანი  
წავიდნენ, მე კი ძლივს მოვრჩი ჩემოდნის  
ჩაბარებას. მოვივიე ამ უზარმაზარ ჩე-  
მოდანს ხელი და დავიწყე იმ ადგილის  
ძებნა, სადაც ბანკეტი იყო. ბილიკ-ბილიკ  
მივდივარ... მე იტალიური არ ვიცოდი,  
იქაურებმა – ინგლისური და ვერაფერს  
ვაგებინებდით ერთმანეთს. დავდიოდი და  
ყველა შემხვედრს მხოლოდ ერთ სიტყ-  
ვას ვუბნებოდი – „ბანკეტო!“ „ბანკე-  
ტო!..“ ბოლოს, ძლივს მივაგენი ანსამბ-  
ლის წევრებს... მერე ცოტა იტალიური  
ვისწავლე, ის, რაც აუცილებელი იყო.  
მაგალითად, – „აიუტო“, რაც ნიშნავს –  
მიშველეთ. ეს სიტყვა საკმაოდ ხშირად  
გვჭირდებოდა ხოლმე...

ესეც ჩვენი მშენიერი „საპატარძლო“!  
წინოსთან დაკონტაქტების მსურველებს  
შეუძლიათ დამირეკონ ან დამიმესიჯონ  
ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61.

**სარეკლამო სკოლა**  
**ს ს ს**  
მომზადებს აბიტურიენტებს  
და მოსწავლეებს უმაღლეს  
სასწავლებლებში ჩასაბარებელი  
ტესტებისათვის  
ქართული, მათემატიკა, უცხო  
ენა, ზოგადი უნარ-ჩვევები.  
ტელ: 22 69 15  
www.sts.caucasus.net



**მარი ჩაპარიძე**

„ძალიან მინდა გოლას გაცნობა. ერთხელ კახინოში ვნახე და ძალზე მომეწონა“.

„ვაიმე, მარი, ეს რა ბიჭი გამოიყვანე სასიძოდ?! ამხელა კაცი პატარა გოგონებზე რომ ფიქრობ, არ გეშინია, რომ ხელში შემოგემტვრეს და იზარალო?... ამას სჯობია, შენი ზომის მონახო. ჩემს თავს შემოგთავაზებდი ცხოვრების მეზურად, მაგრამ სამწუხაროდ, შენზე უფროსი ვარ 3 წლით. თუ დარეკავ, შესაძლოა, გმოვიდეს რამე. 172 კილო ნამდვილად არა ვარ, ღმერთმა დამიფაროს! მაგრამ არც ტანწერწეტა ვარ. მოკლედ, ბედნიერებას გისურვებ“.

„ვა, ეს რამოდენა „სასიძო“ გყოლიათ?! მე და გოლა სპილოსა და ჭიანჭველასავით ვიქნებით, მაგას ვინ „დოუწობა“? გოგოებო, მაგასთან დაწოლას, ტანკს დაუწვეთ, ის ჯობია. მარიკო, ქუთაისი“.

„წუხელ სიზმარში ვნახე და გამახსენდი. მთელი დღე შენზე ვფიქრობდი. არადა, თითქოს დაგივიწყე... ახლა შუალამეა და არ მინდა, დავიძინო. კიდევ რომ დამესიზმრო, მეშინია, ისევ არ შემიყვარდე. მერე რა ვქნა?... რაღა მეშველება?... მეძინება, მაინც ვიძინებ. მოხვალ?... რუსო“.

„ძალიან საყვარელია თქვენი „სასიძო“. სარძოდ არა, მაგრამ სამეგობროდ ვეხმარები. შესაძლოა, მიცნობს კიდევ, რადგან ვარ მოცეკვავე და 11

„გზის“ წინა ნომრის „სასიძოს“ გოლა ტყაბლაძეს შევპირდი — შენს სახელზე მოსულ ყველა გამომხაურებას უცვლელად გამოვაქვეყნებ-მეთქი. ჰოდა, პირობას ვუსრულებ. თანაც, მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ გოგონებს ძალზე ჰყვარებიან ჩვენი პუტკუნა „სასიძო“ და ისეთი თბილი და სიყვარულით სავსე მესიჯები გამოგზავნეს, რომ... თუმცა, ჯობს, თავად წაიკითხოთ და დარწმუნდეთ, რომ არ ვტყუი.

**„...ნასახა უღვრს ხან ვინდა?..“**

**276 რეაქციები უღვრს უჭიკლავა!**

წელია, ტელევიზიაში ვმუშაობ. თიკა, 22 წლის“.

„მზე და მთვარე მხოლოდ შენზე ამომდის, ცრემლი მხოლოდ შენი მონატრებით ჩამოდის, შენი სიყვარულით გულიდან ცეცხლი გადმოდის, შენგან კი საპასუხოდ სიტოლო არ მომდის. სოფო“.

„გოლა, პატარა გოგო რად ვინდა?... ვინდა, რომ შენი ჯიში გადაავარო?... შენ ჩემნაირი გოგო გჭირდება. მაროკოში ისეთი ქალები მოსწონთ, ლოგინს რომ „შამსებენ“, ჰოდა, მასეთი ვარ. დამიმესიჯე, არ ინანებ. მართო ლოგინს კი არა, გულსაც „შავიმსებ“. ბიჭო, გამახარე, მხოლოდ ერთხელ გამახარე... შენს „ბუთურა“ გულზე დამაგორე! შენი „ბელი“. კ.მ.“

„შეგხედავ, მზეს — გხედავ შენ, შეგხედავ მთვარეს — გხედავ შენ, შეგხედავ ზღვას — შეგხედავ შენ... გაიწიე, რამხელა ხარ?... ინა“.

„ჩემო ბუთხუზავ, სიამოვნებით გაგიცნობდი. როგორ გოგოზეც ოცნებობ, ზუსტად ისეთი ვარ. უკვე წარმოვიდგინე ჩვენი ქორწილი. მეც იმერელი ვარ, ვცხოვრობ თბილისში. გელოდები“.

„გოლა, ძალიან მომეწონა შენი ინტერვიუ. კარგი პიროვნება ხარ. იქნებ, გაგვეცნო ერთმანეთი?...“

„გოლა ტელევიზორს შენი გულისთვის ვუყურებთ. ძალიან გვიყვარხარ.

თაკო, ლელა, ბელა“.

„მარი, ეგ ბუთხუზა სად გყავდა?... გოლა, გეუბტუნე, ეს ლექსი შენ: აბა, ბუშტო, გაიბერე, გახდი დიდზე დიდი, მაგრამ გოლა კი არ გასკდა, დარჩა გაბერილი... მაგარი ეშმაკუნა ვარ, „პახოლუ“ — ქუთაისელი“.

„ჩემო სიცოცხლე, შიშველი ანგელოზი აქ ვარ, წყალტუბოში, და გელოდები მთელი სულითა და გულით. ეგებ, გამიმართლოს და შენს მკლავებში აღმოვჩნდე?... სოფო“.

„გოლა, დიდი საწოლი გაქვს? თუ არა — არ ინერვიულო. გვერდიგვერდ თუ არა, ზევით-ქვევით მაინც დავეტევი. მთავარია, გაგვიძლოს, შენ შემოგველე! ახლა ზამთარი მოდის და იმედია, კარგად გამათობ. შენს ფუნჯულა ქონებში რომ გავეხვევი, რაღა შემამცივებებს?... ისე, არც მე ვარ ძვალი და ტყავი, საღაჯ, 100 კილოს „ვუკაკუნებ“... გოცნი და გეხვევი, ჩემო ღაბუა“.

„ჩემო პუტკუნა ბიჭო, ახლა შენი სურათი ვნახე ყურნალში. ძალიან მომეწონე. შენი იუმორიც მომეწონა. გელოდები, გადმორეკე“.

„გამარჯობა! ეს წუთია, წავიკითხე სტატია გოლაზე. გწერთ კივიდიან. სიამოვნებით გადმოვიდოდი მშობლიურ თბილისში, თუ მე და გოლა ქართულ ოჯახს ავაწყობდით... ნინო“.

**« დ ე ლ ტ ა »**  
**მეტალოკლასტმასის**  
**პარ-შანჯრებისა და**  
**ლაბინირებული ავოჯის**  
**დამზადება**  
**ბრტყელი გაღასურებები**  
 მის: გ. ლალიძის ქ. №9 ტ: 92 32 08; 92 14 95.

# გაკვლეობა მოსკოვის გაგზირზე

## ბიძაშვილები უცნობის დანას ემსხვერპლნენ

2003 წლის 22 ნოემბერს, თბილისში, მოსკოვის გაგზირზე საშინელი მკვლელობა მოხდა. სამართალდამცავებმა ლამით, — 24 წლის პართენ ჩარქსელიანის გვამი და სასოკვილოდ დაჭრილი მისი ბიძაშვილი — 27 წლის კონსტანტინე (კოტე) ჩარქსელიანი იპოვეს. დაჭრილი მაშინვე თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მას სიცოცხლე მიანიც ვერ შეუნარჩუნეს. 17 დეკემბერს, ღამის 3 საათზე კონსტანტინე ჩარქსელიანიც გარდაიცვალა...

დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილთან ახლოს, პოლიციამ ეჭვმიტანილი — 24 წლის ვლადიმერ კიკნაძე დააკავა. გამოძიებამ დაადგინა:

2003 წლის 22 ნოემბერს, კიკნაძემ თანაუბნელ ბიჭებთან ერთად ალკოჰოლური სასმელი დალია და ამის შემდეგ, მთვრალი, გორგასლის 115-ში — ბიძასთან მივიდა. იქიდან წასულმა, დაახლოებით საღამოს 11 საათზე, რესტორან „კრწანისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე ტაქსი გააჩერა და მელაანის ქუჩაზე წაყვანა სთხოვა. მანქანას ოლეგ ასლანიანიც მართავდა. კახეთის გზატკეცილს რომ მიუახლოვდნენ, მეზავრმა მძღოლს ფული მოსთხოვა. „ტაქსისტმა“ აუხსნა — ფული არა მაქვს, რამდენიმე საათის წინ უკანასკნელი 3 ლარით ჩავასხი ბენზინი მან-

ქანაშიო. დაახლოებით ათწუთიანი ლაპარაკის შემდეგ, მძღოლმა მეზავრს მანქანიდან ჩასვლა სთხოვა, მაგრამ კიკნაძე მას არ დაემორჩილა და ამის ნაცვლად ჰკითხა — თავად საით მიდიხარო? ასლანიანიც ნავთილეის ბაზრობამდე აპირებდა მისვლას. კიკნაძემაც მასთან ერთად წასვლის სურვილი გამოთქვა. სწორედ ამ დროს, ტაქსის მძღოლმა მეზავრის ხელში საეჭვო საგანი შენიშნა. იფიქრა, რომ ეს დანა იყო და ამიტომაც, უსიტყვოდ დაჰყვა კიკნაძის ნებას.

მოსკოვის გაგზირზე №1 საცხოვრებელ კორპუსს რომ მიუახლოვდნენ, კიკნაძემ მძღოლს სიგარეტის ყიდვა მოსთხოვა. „მანქანა იმ ჯიხურთან გააჩერე, სადაც თავად სისტემატურად ვყიდულობდი სიგარეტს. გამყიდველსაც შორიდან ვიცნობდი. ამიტომაც ვთხოვე მას — სიგარეტი ნისიად მომეცი, არ მინდა, მეზავრმა დაინახოს, ფულს რომ ვიხდი, რამდენიმე წუთის წინ მიხოვა და კუთხარი, რომ არ მქონდა-მეთქი“, — იხსენებს მძღოლი.

მაშინ დაახლოებით 12 საათი იყო. ჯიხურს ორი ნასვამი ახალგაზრდა მიუახლოვდა; ძეხვი და არაყი შეიძინეს და ის იყო, წასვლას აპირებდნენ, რომ უცებ ტაქსიდან კიკნაძე გადავიდა და განებე დაეჯავახა მათ.

**ინო წასიძე**, ჯიხურის გამყიდველი:

„გარეთ ბნელოდა, მაგრამ ჯიხურის წინ განათებული იყო. იმ ტერიტორიაზე ტაქსის მძღოლისა და იმ სამი ბიჭის გარდა, არავინ იმყოფებოდა. მანქანიდან

გადმოსულმა ჯერ უწმარსური სიტყვებით მიმართა ბიჭებს, შემდეგ კი ჩხუბი დაუწყო...“

პართენ და კონსტანტინე ჩარქსელიანები კიკნაძეს, როგორც გაირკვა, ადრე არ იცნობდნენ. ამიტომაც ჰკითხეს მას — რა გინდა, რატომ გვეჯავახებო? კამათი მალე ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. გამყიდველმა კიკნაძის ხელში დანა დანახა და ჩარქსელიანების გასაგონად იყვირა — ბიჭებო, ფრთხილად იყავით, ხელში დანა უჭირავსო! ამის მიუხედავად, ვერც ერთი ვერ დაუსხლტა იარაღიან მკვლელს. როგორც საბრალოდებო დასკვნაში წერია, კიკნაძე ჯერ პართენ ჩარქსელიანს ჩაარტყა ძლიერად სხეულში დანა. დაჭრილი იქვე, ჯიხურის წინ დაეცა და ადგილზევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ, კიკნაძე კონსტანტინე ჩარქსელიანს მივარდა და მასთან გააგრძელა ჩხუბი. ჩხუბისას ისინი საავტორო ჯიხურთან, გარეთ გამოფენილ პროდუქტების დახლს დაეჯახნენ.

### ინო წასიძე:

„ყველაფერი ძირს დაიყარა. ამიტომაც მაშინვე პროდუქტების დაღავეება დავიწყე და არ დამინახავს, იმ მომენტში რა მოხდა. როცა მათკენ გავიხედე, ვნახე, რომ მეორე ბიჭიც ძირს ეგლო. ვიფიქრე, ალბათ ლიანდავს წამოჰკრა ფეხი-მეთქი. თურმე, ისიც დაჭრილი ყოფილა...“

კონსტანტინე ჩარქსელიანს კიკნაძემ, როგორც პროკურატურა აცხადებს, სამი ჭრილობა — გულმკერდისა და საზარღულის არეში და წინამხრის ზედაპირზე მიაყენა. დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მან

### პოლიციელი

#### ხულიგნობისთვის დააპაპეს

25 ოქტომბერს, თბილისში, ჯავახეთის ქუჩაზე სამართალდამცავებმა ხულიგნობის ფაქტზე სამი ახალგაზრდა დააკავეს. ერთ-ერთი მათგანი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პოლიციელი, თემქის დასახლებაში მცხოვრები, 1984 წელს დაბადებული მამუკა ჟღენტი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მან მეგობრებთან — დავით ანდლულაძესა და შალვა გუმბარიძესთან ერთად, ჯავახეთის ქუჩაზე ჩხუბი აუტეხა მე-3 მასივში მცხოვრებ, 22 წლის ჯაბა ხვარციას, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას, შემდეგ კი, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე უმისამართოდ გაისროლა.

20 წლის დავით ანდლულაძე და 21 წლის შალვა გუმბარიძე დაკავებულები არიან. შემთხვევის დროს ისინი, ისევე, როგორც ჟღენტი, ნასვამები იყვნენ. სამართალდამცავებმა ჟღენტს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ტაბელური პისტოლეტი „მაკაროვი“ ჩამოართვეს. ამოღებულია აგრეთვე 5 ვაზნა და ერთი მასრა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას ისანი-სამგორის რაიონული პროკურატურა აწარმოებს. ■

### არასრულწლოვანება გოგონას შეურაცხყოფა მიაყენა

25 ოქტომბერს, თბილისში, რუსთაველის გაგზირზე, ნასვამმა არასრულწლოვანმა ბიჭებმა — ფონიჭალელმა, 17 წლის ივანე ჩეტიმმა, ბენდელიანის ქუჩაზე მცხოვრებმა, 16 წლის გურამ ფრიდონოვმა და ზეკარის ქუჩაზე მცხოვრებმა, 14 წლის გიორგი სარქისიანმა ახალგაზრდა გოგონას — ეკალითანიშვილს ჯერ სიტყვიერი, შემდეგ კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. სამართალდამცავთა ცნობით, გოგონას იმ დროს, თან ახლდნენ თბილისელები — როლანდ ბალოიანი და ირაკლი გაჩეჩილაძე. წინასწარი ინფორმაციით, სწორედ ბიჭებს მოუხდათ ერთმანეთში შელაპარაკება, ხელჩართულ ჩხუბში კი გოგონაც მოჰყვა. გამოძიებას მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პროკურატურა აწარმოებს. ■

შემთხვევის ადგილიდან მიმალვა სცადა, გაიქცა და სავაჭრო ვიზულებს მიეფარა, დანა კი სადღაც გადაავლო... რამდენიმე წუთში, ის პოლიციამ დააკავა, შემთხვევის ადგილთან ახლოს მათ დანაშაულის იარაღი – სისხლიანი დანაც იპოვეს.

დაკავებულმა სამართალდამცავებს ჩვენება არ მისცა და ღუმლის უფლება გამოიყენა. აღმოჩნდა, რომ ჩხუბის დროს, სხეულზე დაზიანებები (ექსპერტების თქმით, მსუბუქი ხარისხის) კიკნაძემაც მიიღო...

**ნათია ჩარაძე-ლიანი**, დაზარალებული:

„პარტენი, ქეთევან წამბულის ქუჩაზე არსებულ სამშვიდობო ბატალიონში მსახურობდა, კოტე კი – თავდაცვის სამინისტროს სისტემაში. კოტე სამშვიდობო მისიით კოსოვოში იმყოფებოდა 6 თვის განმავლობაში და მაშინ თბილისში შეგებულებით გახლდათ ჩამოსული. ორივენი უაღრესად წესიერი და პატიოსანი, უკონფლიქტო ახალგაზრდები იყვნენ. არასოდეს ყოფილან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში შემჩნეულნი. ქუჩაში ჩხუბი, მით უმეტეს, უმნიშვნელო მიზეზით, თუნდაც ნასვამებს, არ სჩვეოდათ. ცხადია, რომ იმ საღამოს, კიკნაძეს ვიღაცის დაყარა ჰქონდა განზრახვები და პარტენსა და კოტეს ამ მიზნით დაესხა თავს. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ის ტაქსის მძღოლიც კიკნაძესთან იყო შეკრული. როგორც მოწმეები ამბობენ, მიუღიან ჩხუბის მანძილზე, ოდნავ მოშორებით იდგა, თურმე, ადგილიდანაც არ დაძრულა და იქიდან უყურებდა, რაც ხდებოდა. სავარაუდოდ, მას გარდა, სხვებიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მხოლოდ კიკნაძე ორ-

თან გამკლავებას ვერ შეძლებდა. ყოველივე ეს ეჭვს ბადებს. ვფიქრობ, რომ ვგუფურ დანაშაულს ჰქონდა ადგილი და სასამართლოსგანაც შესაძამის რეაგირებას ველოთ“.

პროკურატურა, ისევე, როგორც განსასჯელის მხარე, დაზარალებულთა ამ ვარაუდს კატეგორიულად უარყოფს. ამას გამოირიცხავს ასლანიანის ჩვენებაც. თავად განსასჯელი კი აცხადებს, რომ არ ახსოვს, რა მოხდა იმ დღეს.

**ალექსანდრე ნოლია**, განსასჯელის ადვოკატი:

„აღნიშნული დანაშაული არა წინასწარი განზრახვით, არამედ აფექტურ მდგომარეობაშია ჩადენილი. ექსპერტებმა დადასტურეს, რომ იმ დღეს კიკნაძეც ნაცემი იყო. მას თავის არეში ჭრილობა აღენიშნებოდა, კერძოდ, თვალებზე ჰქონდა დაზიანებული. მიუხედავად ამისა, არ გარკვეულა საკითხი – შეიძლება თუ არა, თავში მიღებული ასეთი ტრავმის დროს, ადამიანმა დაკარგოს ცნობიერება და საკუთარი ქმედების კონტროლის უნარი. ვფიქრობ, სინამდვილეში სწორედ ამას ჰქონდა ადგილი და კიკნაძემ დანაშაული ცნობიერების დაკარგვის შემდეგ, ძლიერი სულიერი აღელვების საფუძველზე, რევლუქსურად ჩაიდინა“.

ადვოკატი უახლოეს მომავალში, სასამართლოს წინაშე სტაციონარული სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშნვის შესახებ შუამდგომლობის დაყენებას აპირებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ წინასწარი გამოძიების პერიოდში, კიკნაძეს ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა, რომ-

ლის შედეგადაც, ექსპერტებმა მისი შერაცხადობა დაადასტურეს და ისიც აღნიშნეს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში კიკნაძეს საკუთარი ქმედების ფაქტობრივი სასიათისა და მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება შეეძლო. ადვოკატი ამ დასკვნას აპროტესტებს.

კიკნაძე იმასაც ამბობს, რომ პოლიციელების მიერ შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა, მას არ ეკუთვნის. თუმცა, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დანაზე დაფიქსირებული სისხლი იმავე ჯგუფის (I ჯგუფის) აღმოჩნდა, რომელიც პარტენ ჩარქველიანს ჰქონდა. I ჯგუფის სისხლი დაფიქსირდა კიკნაძის ცხვირსახოცზეც, ხოლო კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, კიკნაძის ქუროუკზე პარტენ ჩარქველიანის ქუროუკის ქსოვილის ბოჭკოები აღმოაჩინეს...

ოფიციალური მონაცემებით, ვლადიმერ კიკნაძე წარსულში ნასამართლევი არ გახლდათ. ცხვირობდა ხარაგაულის რაიონის სოფელ სალანდილეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, ერთხანს სოფელში მუშაობდა, მოგვიანებით – თბილისში, შემდეგ კი, ინგლისში გაემგზავრა სამუშაოდ. ვიზის არქონის გამო, 2003 წელს საქართველოში იქნა დეპორტირებული. სხვათა შორის, საქმის მასალებში ისიცაა აღნიშნული, რომ ვლადიმერ კიკნაძის ფსიქიკაზე ძლიერ იმოქმედა მამის გარდაცვალებამ. ნათესავების ჩვენებით, ამის შემდეგ, კიკნაძე ძალზე აგრესიული გახდა და ოჯახის წევრების მიმართაც კი არაადეკვატურ რეაქციას ამჟღავნებდა. ■

**მამსიას მორიგ ყაჩაღობაში ადანაშაულება**

საგამომიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს რაიონული განყოფილების თანამშრომლები თბილისში მოქმედი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერის, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული გიორგი მამსიკაშვილის (მეტსახელად მამსიკას) წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებენ. სამართალდამცავთა ცნობით, მამსიკამ დელისის ქუჩაზე კერძო ტაქსის მძღოლებს – ალექსანდრე კუზანოვს და დავით სახვაძეს დანის მუქარით 45 და 40 ლარი წართვა; კუზანოვს მან დანით სახის არეში დაზიანებაც მიაყენა. ■

**დააჩავენ თავდასხმებში აჯვინიანილი ძაბი**

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ამ კვირაში ძმები – 1987 წელს დაბადებული ვლადიმერ და 1988 წელს დაბადებული დავით გოგიები დააკავეს. სამართალდამცავთა ცნობით, გოგიები ორ პირთან ერთად, დაახლოებით საღამოს 5 საათზე, სამგორის ქუჩაზე ლიკა ბოდაველს, ჰასმიკ კარაპეტიანს და ნინო გაბრიელოვას დაესხნენ თავს. ფიზიკური

ძალის გამოყენებით, ბოროტმოქმედებმა დასახელებულ პირებს ხელჩანთები და მობილური ტელეფონები წაართვეს. თუმცა, სამართალდამცავთა ინფორმაციით, ეს გოგიების მიერ ჩადენილი ერთადერთი დანაშაული არ გახლავთ. 23 ოქტომბერს, დამის საათებში, გლდანის მე-6 მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ისინი, კვლავ ორ პირთან ერთად, თავს დაესხნენ 18 წლის ნინო კობახიძეს და თათია ოქრუაშვილს. დანისა და პისტოლეტების მუქარით მათ ფული, პირადი ნივთები და მობილური ტელეფონი წაართვეს, 18 წლის ირაკლი ბახტაძეს კი – ავტომანქანიდან აუდიომეგნიტოფონი ამოუღეს. გატაცებული ნივთების ნაწილი ამოღებულია. ■

**წმინდა სამების ქალაქის გაქურდვის**

სამართალდამცავებმა ქურდობის ფაქტზე დააკავეს ჭიათურაში, სტალინის ქუჩაზე მცხოვრები, 1981 წელს დაბადებული გიორგი ტაბატაძე. შს სამინისტროს ინფორმაციით, მან ელიას მთაზე მშენებარე, წმინდა სამების სახელობის ეკლესია გაქურდა და იქიდან გუმბათების გადასახური სპილენძის ფურცლები მოიპარა. ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიებას საგამომიებო დეპარტამენტის ისანი-სამგორის რაიონული სამსახური აწარმოებს. ■



# ყარალთა განლაგ ნავთობგაზის დირექტორი სიხოსხლეს გაემოსალა

## ბოროტმოქმედები სუდადოვის ტყეში ან მახათას მთაზე დანაშაულის კვალს შლიდნენ

5 წლის წინ დედაქალაქში მოქმედმა ორგანიზებულმა და შეიარაღებულმა კრიმინალურმა დაჯგუფებამ თბილისში მცხოვრები შეღებული ოჯახის უფროსი, ნავთობგაზის დირექტორი – პაატა შარიფაშვილი სოცოცხლეს გამოასალმა. ყარალებმა იგი საკუთარ სახლთან სასიკვდილოდ დაჭრეს დანით... პროკურატურა ამ ბანდის მოქმედების შედეგად დაზარალებულ სხვა პირებზეც საუბრობს, კრიმინალური დაჯგუფების წევრებად კი ოთხ თბილისელს – სპირიდონ ყიფშიძეს, სერგო მაისაშვილს, შოთა მაისურაძესა და დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვან გურამ ლომჯარიას ასახელებს. ყიფშიძე და მაისაშვილი უკვე მსჯავრდებულები არიან, ლომჯარია ამჟამად წარდგა სამსჯავროს წინაშე, ხოლო მაისურაძე მიმალულია და იძებნება...

ბანდის მიერ ჩადენილი პირველი დანაშაული, რომლის შესახებაც პოლიციამ შეიტყო, პროკურატურამ კი გამოძიება ჩაატარა, 1999 წლის 9 იანვარს, დახლოებით ღამის 3-4 საათისთვის თბილისში, მამრადის ხევის ქუჩასთან ახლოს მოხდა. დანაშაულის შესახებ პოლიციას თავად დაზარალებულმა ალი ასლანიშვილმა შეატყობინა. საქმის მასალების მიხედვით, დავით აღმაშენებლის გამზირზე, ე.წ. ძველი ფილარმონიის შენობასთან, გურამ ლომჯარიამ, სპირიდონ ყიფშიძემ და სერგო მაისაშვილმა ტაქსი – ოქროსფერი „მერსედეს-123“ გააჩერეს.

### ალი ასლანიშვილი:

„წარმოშობით ირანელი გახლავართ. იქ დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ 1973 წელს საქართველოში გადმოვედი საცხოვრებლად. პროფესიით მხატვარი ვარ, მაგრამ იმისათვის, რომ ოჯახი მერჩინა, სათანადო ხელშეკრულებით მანქანა ავიყვანე და ტაქსის მძღოლად დავიწყე მუშაობა. იმ საღამოსაც, ჩვეულებრივ, სამუშაოდ გავედი. ალბათ, ღამის 3-ის ნახევარი მაინც იქნებოდა, როცა დავით აღმაშენებლის გამზირზე ორმა ყმაწვილმა მანიშნა, გაჩერებულიყავი. მეც შევაჩერე მანქანა, მათ კი მაშინვე მესამე

ბიჭს დაუმახეს. აღმოჩნდა, რომ ისიც მათ ახლდა, მაგრამ რატომღაც ვზის მოპირდაპირე მხარეს იდგა. იმწუთას გულმა რეჩნი მიეცო, რადგან სხვა მძღოლებისგან გაფრთხილებული ვახლდით, ღამით, ორზე მეტი ახალგაზრდა მამაკაცისთვის მანქანა არ გამეჩერებინა. იმ პერიოდში განსაკუთრებით ხშირად ხდებოდა „ტაქსისტების“ დაყარალება და უმრავლეს შემთხვევაში, ეს მძღოლის მკვლელობით სრულდებოდა. რამდენჯერმე მეც შემემთხვა მსგავსი ამბავი, მაგრამ სიკვდილს გადავურჩი...

ახლა კი სხვა გზა არ მქონდა, ვარჩიე, არ გამეღიზიანებინა ის ყმაწვილები და როგორმე უკონფლიქტოდ და რაიმე ექსცესის გარეშე დავშორებოდი მათ. მანქანაში რომ ჩასხდნენ, უშუალო კონტაქტის დამყარების მიზნით, მაშინვე ჩემი ბიოგრაფიისა და თავგადასავლების მოყოლა დავიწყე. ერთხანს ყურს მივდებდნენ, შემდეგ კი მოულოდნელად ერთ-ერთმა მითხრა – შენ რა იცი, რა გელოდებო?.. მეორემ დამატა – რასაც გეტყვით, ის გააკეთე, საითაც გეტყვით, იქით წადი და თან იცოდე, არაფერი შეიმჩნიო. მამრადის ხევის ქუჩასთან ახლოს, ყველაზე მიყრუებულ ადგილას გამაჩერებინეს მანქანა. ხელები გამი-

კავეს, მაგრამ თავდაპირველად მოვახერხე და ხელი გავაშვებინე. დაქოქილი მანქანა მივატოვე და გაქცევა ვცადე, მაგრამ მაინც დამეწივნენ და სასტიკად მცემეს. შემდეგ ისევ შემოჭნეს, ორი ჩემთან დარჩა, საყარაულოდ, მესამე კი მანქანასთან მივიდა და მის ძარცვას მიჰყო ხელი. რას ეძებდა, არ ვიცი. სულ 8 ლარი მელო ჯიბეში, მანქანაში კი ფასეული არაფერი მქონდა... მოკვლით შემუქრებოდნენ, მაგრამ ჯერ მუქარას მხოლოდ სიტყვიერი ფორმა ჰქონდა. შემდეგ ერთ-ერთმა, ყველაზე ახალგაზრდამ, რომელსაც ხელში დანა ეჭირა, თავის ამხანაგებს ჩემზე უთხრა – დავჭრიო. რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ დანარჩენები უარს ეუბნებოდნენ, ჩემი დაჭრის საშუალებას არ აძლევდნენ. საშინლად მცემეს, თავ-გა დასივებული მქონდა და თვალეში ვეღარ ვიხედებოდი, მაგრამ დაჭრას მაინც გადავურჩი...

ბოროტმოქმედებმა ასლანიშვილის ავტომანქანა გაძარცვეს, შემდეგ გაიტაცეს და ნაცემი და შებოჭილი ასლანიშვილი ხვეთან დატოვეს. მაგრამ მანქანის ტექნიკური გაუმართაობის გამო, იძულებული გახდნენ, იგი სააკაძის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მიეტოვებინათ.



„როგორღაც მოვახერხე და იმავე დილით, დაგლეჯილი პერანგისამარა მივადექი პოლიციის განყოფილებას. მაშინვე დაიწყეს მანქანის ძებნა, მაგრამ შემთხვევიდან მესამე დღეს, მე თვითონ, მეუღლის ახლობლების დახმარებით ვიპოვე მანქანა საბურთალოს ბაზრობასთან. მანქანაში საბურთალოს გარდა, არაფერი იყო და საშინლად იყო დამტკრეული, მინებიც ჩამსხვრეული ჰქონდა“... – აღნიშნავს დაზარალებუ-ლი.

გამოძიების მასალებით, ლომჯარიამ, ყიფშიძემ და მისაშვილმა იმ პერიოდში სხვა „ტაქსისის“ დაყარალებაც განიზრახეს. ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, 1999 წლის 18 იანვარს თბილისში, გადასასვლელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩასაფრდნენ. ცეცხლსასროლი იარაღი – კოლტის სისტემის პისტოლეტი მათ, როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, შოთა მისურაძემ გადასცა. მალე მათ ტაქსი – „ვაზ 2107“ გააჩერეს. მანქანას მინდობილობით მართავდა ავთანდილ ჩაკვეტაძე. მოურიგდნენ მძღოლს, რომ მეტროს სადგურ „ელექტროდეპოში“ მიეყვანა ისინი.

„ელდეპოში“ მისულებიც არ იყვნენ, როცა ბოროტმოქმედებმა ჩაკვეტაძეს მანქანის გაჩერება და იქიდან გადასვლა უბრძანეს. ლომჯარიამ, საბრალდებო დასკვნის მიხედვით, კოლტი გადატენა, ჩაკვეტაძეს საფეთქელზე მიადო და უთხრა – თუ მანქანიდან არ გადახვალ და არ წახვალ, ტვინს გაგიხვრეტო. მძღოლს სხვა რა გზა ჰქონდა? – მოთხოვნას დაემორჩილა. ყაჩაღებმა კი ავტომანქანა გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ. გატაცებული ტაქსით ისინი, ხუდადოვის ტყეში წავიდნენ, იქ მანქანა დაშალეს, ნაწილები გაყიდეს და მიღებული თანხა ერთმანეთში გაინაწილეს.

ზუსტად ერთ თვეში, გამოძიების მასალების მიხედვით, ბანდამ თბილისში, 9 ძმის ქუჩაზე მცხოვრები შარიფაშვილების ოჯახი დააყარა. როგორც პროკურატურა აცხადებს, ლომჯარია, ყიფშიძე, მისურაძე და მისაშვილი საამისოდ, საგანგებოდ მოემზადნენ. შეიარაღდნენ არა მარტო ცეცხლსასროლი იარაღით, არამედ „ბაბოქის“ ტიპის დანითაც, მოიმარაგეს რეზინის ხელთათმანები, ხოლო შავი ნაქსოვი ქუდებისგან ნიღბები დაამზადეს. გეგმის მიხედვით, მათ პაატა შარიფაშვილის ცოლი – ლელა მისურაძე უნდა ეიძულებინათ, რომ მათთვის ფული და ძვირფასეულობა გადაეცა. შარიფაშვილის ოჯახზე ინფორმაცია პროკურატურის ცნობით,

მისურაძემ მოიპოვა.

საღამოს, დაახლოებით 10 საათისთვის, ბოროტმოქმედები ნიშნულზე ჩასაფრდნენ და სწორედ იქიდან ადევნებდნენ თვალყურს ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მდებარე შარიფაშვილის საცხოვრებელ სახლს. სახლის წინ შარიფაშვილის კუთვნილი მწვანე ჯიპი „ჩეროკი“ იდგა. თავდამსხმელებისთვის წინასწარ იყო ცნობილი, თუ სახლში როგორი იყო ოთახების განლაგება, აგრეთვე – ოჯახში მცხოვრებ პირთა რაოდენობა და თითოეული მათგანის ადგილსამყოფელი...

**ლელა მისურაძე**, დაზარალებული:

„განსასჯელებს ადრე არ ვიცნობდი, თუმცა, როგორც გაირკვა, ისინი ჩვენი უბნელები ყოფილან. მათ, როგორც ვიცი, არც ჩემი ქმარი იცნობდა. 1999 წლის 18 თებერვალს ჩვენს ოჯახში სტუმრად ჩემი მეუღლის მეგობარი იმყოფებოდა. ღამის 12 საათი დაწვეებული იქნებოდა, როცა მე, პაატა, ჩვენი მცირეწლოვანი შვილი და სტუმარი ჩემი ქმრის ავტომანქანაში ჩავსხედით და ყველანი ერთად წავკვდით – სტუმარს ვაცილებდით. როდესაც უკან დავბრუნდით, შუქი გამორთული დაგვხვდა. პაატამ მანქანის ავტოფარეხში დაყენება გადაწყვიტა. გადავკვდით თუ არა მანქანიდან, უცებ ფეხის ხმა მომესმა. მოულოდნელად ავტოფარეხში ნიღბიანი მამაკაცები შემოცვივდნენ. ერთი ჩემთან მოვიდა, დანარჩენებმა კი ჩემი მეუღლე, ავტოფარეხის გვერდით მდებარე ოთახში გაიყვანეს. შემდეგ ისევ ჩემთან მობრუნდნენ და მითხრეს – ფული და ოქრო! კუპასუხე – ყველაფერს მოგცემთ, ოღონდ, არაფერი დაგვიშავოთ-მეთქი. მაშინვე ზევით ავედი და ოქროს სამკაულები გამოვიტანე. როცა თავდამსხმელებს კვითხე – ჩემი ქმარი სად არის-მეთქი? მიპასუხეს – გაზის ბალონით გავთიშეთ და მალე მოვა გონზეო. სახლიდან რაც კი ფასეული ნახეს, ყველაფერი გაიტანეს, ჩააწყვეს ჩემი ქმრის მანქანაში და წავიდნენ. ამის შემდეგ, ბავშვთან ერთად ჩაკვეტი ავტოფარეხში ქმრის მოსაძებნად. პაატა ძირს დაგდებული ვიპოვე; ვიფიქრე, რომ გონწასული იყო და საშველად მეზობლებს დავუძახე, „სასწრაფო“ რომ მოვიდა, მაშინ მითხრეს, რომ ჩემი ქმარი უკვე მკვდარი იყო“...

საქმის მასალების მიხედვით, პაატა შარიფაშვილი დანით იყო დაჭრილი. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა გულმკერდის არეში სასიკვდილო ჭრილობა დააფიქსირეს. როგორც პროკურატურა აცხადებს, შარიფაშვილმა თავდამსხმელებს აქტიური წინააღმდე-

გობა გაუწია, მაშინ არ დააყოვნეს და მისაშვილმა, ლომჯარიამ და დანარჩენებმა ის სასიკვდილოდ დაჭრეს. ამის შემდეგ, ყიფშიძემ მას ხელები სკოჩით გაუკოჭა და იქვე დატოვა. მიღებული დაზიანების შედეგად შარიფაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

საბრალდებო დასკვნის თანახმად, თავდამსხმელებმა ბინიდან ოქროულობის გარდა, ვიდეოკამერატურა, სხვა საოჯახო ნივთები და ნაღდი ფული – 19.750 ლლარი და 600 ლარი გაიტაცეს. გატაცებული ჯიპი „ჩეროკი“ ეწ. მახათას მთაზე წაიყვანეს და დაწვეს, თავად კი მიიმალნენ.

თავდაპირველად სამართალდამცავებმა მხოლოდ ყიფშიძისა და მისაშვილის კვალს მიაგნეს. დაკავებულებმა გამოძიებას აღიარებითი ჩვენებები მისცეს და ისიც თქვეს, რომ დანაშაულებში ლომჯარიაც, შარიფაშვილის დაყარალებასა და მკვლელობაში კი, მისურაძეც მონაწილეობდა. უზენაეს სასამართლოში გამართულ პროცესზე ყიფშიძემ და მისაშვილმა წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული დეტალური ჩვენებები უარყვეს და განაცხადეს, რომ მართალია, დანაშაული თავად ჩაიდინეს, მაგრამ მასში ლომჯარიას მონაწილეობა არ მიუღია. მათი თქმით, გამოძიების პერიოდში, ლომჯარიას დასახელება მათ სამართალდამცავებმა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის შედეგად აიძულეს. ყიფშიძემ და მისაშვილმა პროცესზე ისიც თქვეს, რომ აღიარებით ჩვენებებზე არსებული ხელმოწერები მათ არ ეკუთვნოდათ. ამის გამო სასამართლო კოლეგიამ გრაფიკული ექსპერტიზა დანიშნა. გამოკვლევის შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ საქმის მასალებში არსებულ ყველა დაკითხვის ოქმზე ხელმოწერები სწორედ ყიფშიძისა და მისაშვილისაა. შესაბამისად, კოლეგიამ განსასჯელების მიერ ამ საკითხზე სასამართლოსთვის მიცემული ჩვენებები არ გაიზიარა.

ამჟამად უზენაესი სასამართლო 23 წლის გურამ ლომჯარიას ასამართლებს. პროკურატურამ მას რამდენიმე მუხლით წაუყენა ბრალი. მაგრამ განსასჯე-ლი არც ერთ მათგანს არ ადასტურებს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. იმავეს აღნიშნავს მამამისიც, რომელიც სასამართლო პროცესში უშუალოდ მონაწილეობს და შვილის ინტერესებს ადვოკატთან ერთად იცავს. წინა სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა დაზარალებულმა ალი ასლანიშვილმა სწორედ ლომჯარიას დაადო ხელი და განაცხადა, რომ სწორედ ის ცდილობდა მის დაჭრას. ■

# სპეციალური წინადადება

## განსაკუთრებული ფასები



### 50%-იანი ფასდაკლება

### ქართული წარმოების პროდუქციის

### რეკლამირებისას

*„კვირის პალიტრა“  
მიესალმება ყველა  
ქართველ მენარმეს  
და უსურვებს  
წარმატებებს!*

ტელ. 33-78-07



### ქართული წარმოების დროებით უნდა სარგებლობდეს

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

23235



**ნათია თენიეშვილი**

სახლი ძირითადად, ნიკოს ფინანსებით და ნინას გემოვნებით არის მოწყობილი. შემოსავლებში, ჩალის დაწნულ ჩარჩოში უზარმაზარი სარკის ჩასმა და დაწნული ჩალით კედლების მოპირკეთების იდეა ნინას ქუჩაში, დაწნული კალათების დანახვისას მოუვიდა. უზარმაზარ ოთახში ყურადღებას იქცევს უღამაზე-სი ბუხარი, რომელიც როგორც აღმოჩნდა, გუგა კოტეტიშვილის მოფიქრებულ-დამზადებული ყოფილა. ბინას აგრეთვე ძალიან ლამაზი ვერანდა აქვს. ნიკოს ენერგიულ და ხალისიან მეუღლეს თითქოს ყველაფერი გაუთვალისწინებია, მაგრამ ერთი შეცდომა მაინც მოსვლია: რაც პოეტმა ჩვენთან შეხვედრისას, მისთვის ჩვეული ირონიულობით არაერთხელ აღნიშნა.

— ჩემთვის ყველაზე გემოვნებიანი და ინტელიგენტი ადამიანი ქართველებს შორის ვაჟა-ფშაველაა. ვახტანგ კოტეტიშვილს, როცა ვაჟას ბიოგრაფიას წერდა, იმ ადგილას, სადაც პეტერბურგის სასწავლებელში თავისუფალ მსმენელად, ვაჟას მოწყობის შესახებ მოგვითხრობს, ფრჩხილებში უწერია — ვაჟა ყველაფერში თავისუფალი უნდა ყოფილიყო... აი, ეს არის გემოვნება. ვაჟა პეტერბურგში იქნებოდა, შტატებში თუ ფშავში, — სულერთია, ის ვაჟა იყო!..

**ნინა:**

— ახლა, თანამედროვე ცხოვრებაში, თუ შესაძლებლობა — ე.ი. ბევრი ფული გაქვს, შენს საცხოვრებელს არაჩვეულებრივად მოიწყობ: შეხვალ კარგ მაღაზიაში, სადაც არაჩვეულებრივი მასალები იყიდება, გადაიხდი ფულს და ტვინის ჭყლეტა აღარ გჭირდება. აი, როცა ფული არა გაქვს, მაშინ ნამდვილად გჭირდება გემოვნება, რომ ცუდიდან კარგი ამოარჩიო და არაფრისგან რაღაც შექმნა. გუგა კოტეტიშვილი ნიკოს დეიდაშვილია. რე-

პოეტი და მსახიობი ნიკო ბომბლაშვილი მეუღლესთან — ნინა ჩოღდრიშვილთან ერთად ვაკეში, ახალ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. მათთან გემოვნებაზე სასაუბროდ მივედი, მაგრამ მანამდე გეტყვი, რომ ნიკომ ახალი ლექსების კრებული — „უაზრო ლექსი“ გამოუშვა. ბელორუსიაში ქალაქ ბრესტში გამართულ თეატრალურ ფესტივალზე ავთო ვარსიმაშვილის „კომედიაანტიები“ იყო წარმოდგენილი და ნიკო დაჯილდოვდა პრიზით — მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებებისათვის. პრიზთან ერთად მას საჩუქრად სალიჩა გადასცეს, რომელიც ახლა, მის ახალ ბინაში იატაკზე აფენია.

# ჩოგოჩი ქაღვამი მოსწონს ნიკო ბომბლაშვილს ანუ „მოსუდა“ თუ აჩა საქართველოში თხვიანუფარი ნიჟუჩკური

მონტის დროს, ის და ნიკოს მეგობარი გიორგი ნადირაძე მენამარბოდნენ. როცა გუგას ვუთხარი, რომ ბუხარი მინდოდა, გააკეთა ის, რაც მე თავში არც მომივიდოდა. ზედაპირი უბრალოდ, გავით არის გაღესილი, ოღონდ, ფორები სპეციალურად დატოვებული, გვერდითი რკინის რიკულის ფუნქციას ძველი საკერავი მანქანის ფეხი ასრულებს, ზემოთ აფარებული რკინა კი, ძველისძველი, უზარმაზარი „ფეხის“ ნაწილია. აი, ეს არის გემოვნება!..

— ნიკოს არ ეკითხებოდით ხოლმე რჩევას რემონტის დროს?

— ნიკოს ძალიან კარგი გემოვნება აქვს და პრინციპული საკითხების გადაწყვეტისას, ყოველთვის ვეკითხებოდი. ელიავას ბაზრობაზეც დამეცებოდა ხოლმე. მას ცნობდნენ და ფასს გვიკლებდნენ. მერე უკვე გაკვალულ გზაზე მე მარტო დავდიოდი. საშინელება გადავიტანე.

— ავეჯი მისი გემოვნებით არის შერჩეული?

**ნიკო:**



ჩემთვის არსებობს 3 ქალი, რომელსაც ლექსის წერის „უფლება აქვს“... სხვა ქალები უნდა შეეშინან ამას, იმიტომ, რომ ქალი ყალბია და არა მარტო პოეზიაში...

ლი უნდა ყოფილიყო. მწარედ მახსოვს, იმ დღეს ჩემმა მეგობარმა დამირეკა და მითხრა – ნიკო რუსთაველზე ვნახე, კაფეში ლექსებს კითხულობსო. გავეიფიდი – აჰა, ეი. ის კაფეში ზის, ლექსებს კითხულობს, მე კიდევ, აქ ვიტანჯები-მეთქი?! თან, თავს ვიწვინარებ – პოეტია და მართო მე ხომ არ წამიკითხავს ლექსებს-მეთქი?! როცა უკვე გადმოვედი ამ ბინაში და კარადას ვალაგებდით, აღმოჩნდა, რომ ის განყოფილება შარვლისთვის მოკლეა. ნიკომ წუწუნი დაიწყო – რა ვქნა, შარვალი როგორ დავკიდო? – წადი და იმ კაფეში ჩამოკიდე-მეთქი, – ვუთხარი. მწარედ მახსოვს ის დღე.

— **ერთმანეთის ჩაცმულობაში ერევით? ურჩევთ ხოლმე ერთიმეორეს ტანსაცმელს?**

— მე სულ ვეკითხები. თუ რამეზე მითხრა – არ გიხდებაო, – გბრაზობ, მაგრამ მაინც ვეკითხები. ნიკოც მეკითხება ხოლმე. თუ რამეზე ვუთხარი – არ გიხდება-მეთქი, – იმწუთას არ იმჩნევს, მაგრამ მერე ითვალისწინებს...

— **ნიკო, თქვენ უფრო თავისუფალი სტილის ტანსაცმელი გაცვიათ ხოლმე...**

— მე „თავისუფალი თეატრის“ მსახიობი ვარ და...

**ინა:**

— სხვათა შორის, ძალიან უხდება პიჯაკი და კლასიკური სტილის ტანსაცმელი.

**ნიკო:**

— ტანსაცმელს მამაჩემი ყიდულობს ჩემთვის. მას კარგი გემოვნება აქვს და თან, ძვირფას ტანსაცმელსაც ყიდულობს ხოლმე.

**ინა:**

— მეც ვყიდულობ ხოლმე.

— **ნიკო:**

— იშვიათად. ერთხელ მომიტანა „თოვლის ბაბუამ“ ერთი იაფფასიანი შარვალი...

**ინა:**

— უსინდისო ხარ, არ გაგიხდია ის შარვალი!.. მე ქალაქში რამდენიმე ადგილი მაქვს ამორჩეული, სადაც ტანსაცმელს ვყიდულობ. გამყიდველები სახლში მატანენ ხოლმე, რომ ნიკოს უჩვენო; თუ მოეწონება, ვიტოვებთ თუ არა და ვაბრუნებ ხოლმე. ეს ფეხსაცმელი, რომელიც ახლა მაკვია, ნიკომ მიყიდა. მთელი თბილისი მეკითხება – სად იყიდო? ჰგონიათ, რომ ძალიან ძვირად ღირებულება, ამ დროს – სულაც არა. ნიკოს შეუძლია, 100-დან ამოარჩიოს ერთი კარგი. თან, ფეხსაცმელში ფული არ ენახება. მე თვითონ 2 წელია ჩემთვის ტანსაცმელი არ მიყიდა, ვყიდულობდი გაჯს, ცემენტს, ბუტონში

ჩასაჭედებელ ლურსმნებს და ა.შ. ტანსაცმელს ჩემი ქალიშვილის დედამთილი მწუქნის ხოლმე.

**ნიკო:**

— ჰო, ჩვენ „ბომბები“ ვართ და გვწუქნიან ხოლმე ტანსაცმელს...

**ინა:**



ჰო, ჩვენ „ბომბები“ ვართ და გვწუქნიან ხოლმე ტანსაცმელს...

— ეს ბინა ძალიან დიდია და ბევრი რამ სჭირდებოდა... ნიკო სულ ეკრანზეა, სცენაზეა, ხალხის ყურადღების ცენტრშია მოქცეული და მთელი წელი ერთი პერანგით ვერ ივლის. გარდერობის განახლება მისთვის სამსახურებრივი საჭიროებაც არის. ამ პერიოდში მე ვითმენდი. ამ ბინაში რომ გადმოვედი, ვიქაღნებოდი – ძალიან ბევრი „შმოტკა“ უნდა ვიყიდო-მეთქი. მაგრამ არ გამოდის – კიდევ გვაქვს სახლში რაღაცები გასაკეთებელი, პატარა „კულები“ დარჩა.

— **საჩუქრების მორთმევა თუ უყვარს ნიკოს?**

— კი, ყვავილებს მწუქნის, სუნამოს. არ დამეიწყდება, ერთხელ ძველ სახლში, აივანზე ვიდექი. ვხედავ – მოდის ნიკო და მომუშტული ხელით მიქნევს ხელს. მოვიდა, გახსნა მუშტი და უღამაზესი წითელთვლიანი ბეჭედი გამოაჩინა. ძალიან მიყვარს ეს ბეჭედი.

**ნიკო:**

— ახლა რომ ჩამოგიტანე, იმაზე არაფერს ამბობ?... საოცარია, მგონია, რომ კარგი რაღაც ვაჩუქე და ერთხელაც არ

ასხენა.

**ინა:**

— კი, ბეჭედი და ფირუზის მივიცი. ძალიან ლამაზია. ერთხელ ახალ წელს „თოვლის ბაბუამ“ მომიტანა სამაჯური, რომელსაც ზემოთ დამატებით რაღაც დეტალი ჰქონდა. ძალიან ლამაზი იყო, მაგრამ მეგონა, რომ მაჯაზე არ მიხდებოდა, ამის გამო ვერ ვატარებდი. ვფიქრობდი – რომ ვუთხრა, ამას მოვადრობ, ხომ არ ეწყინება-მეთქი?... უეცრად, ხელიდან გამივარდა და ის დეტალი თავისით მოსძვრა. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

— **ნიკო, ემთხვევა თუ არა თქვენი და ნინას ლიტერატურული გემოვნება ერთმანეთს? ვიცი, რომ ნინას საყვარელი პოეტები, სანამ თქვენ გაგიცნობდათ, ახმატოვა და ცვეტაევა იყვნენ...**

**ინა:**

— ჩვენს დროს, წიგნის კითხვის პროცესი თავისებური კაიფი იყო. ამის გარეშე არ შეგვეძლო. დღეს, სამწუხაროდ, ასე არ არის.

**ნიკო:**

— არ ვიცი, ემთხვევა თუ არა ჩვენი გემოვნება ერთმანეთს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია, დავსხდეთ და გაუთავებლად ვილაპარაკოთ – განსოვს?... რა გენიალურია!.. — და ა.შ. რაც შეეხება ქალის პოეზიას, ეს მე არ მესმის. ჩემთვის არსებობს 3 ქალი, რომელსაც ლექსის წერის „უფლება აქვს“ – ახმატოვა, ცვეტაევა და ანა კალანდაძე. სხვა ქალები უნდა შეეშვან ამას, იმიტომ, რომ ქალი ყალბია და არა მართო პოეზიაში. ქალი ძირითადად, წერს მამაკაცზე, მამაკაცი კი პოეზიას „აკეთებს“. ჩემი საყვარელი პოეტები, ვაჟა და გალაკტიონი არიან. ისინი არიან მამაკაცები, რომლებსაც უამრავი ქალური თვისება აქვთ – ცრემლი სდით და ა.შ.

— **თქვენ გდით ხოლმე ცრემლი?**

— მე სულ ვტირი, მაგრამ პედერასტი კი არა ვარ... ჩემს ცრემლებს ვაგინებ ხოლმე. ერთმა ძალიან საყვარელმა ქალმა, ქალმა, რომელიც მიყვარდა, მითხრა –

დიდია ძალა სიყვარულისა, რომელიც ალანთებს მიჯნურებს მძიმე საქმეებისათვის, გაუთვალისწინებელი სიძნელეების დასაძლევად.

ჯოვანი ბოკაჩო

გენიალური

# ტესტი პრუდიციუზი

1. რით წმინდან სუპონს-  
ტაზი საბასარაუო მოედანს?



- ა) მარილითა და ანკარა წყლით;
- ბ) შაქრითა და საკეთი;
- გ) მარილითა და ბრინჯით.

2. რა ჰქვია ლუდის  
ჭურჭელს სივსურეთში?




- ა) ხაბი;
- ბ) ჩხუტი;
- გ) აგიდელი.

3. მუსლიმანი ვალდაუ-  
ლია დღეში ... ილღოცო:



- ა) ხუთჯერ;
- ბ) სამჯერ;
- გ) თერთმეტჯერ.

4. სადაურია ფიხსურთის  
ცნობილი მსაჯი პირლუივი  
კოლინა?



- ა) ესპანელი;
- ბ) მექსიკელი;
- გ) იტალიელი.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

შენი ცრემლები მომბეზრდო...

**წინა:**

— მე ვერ არ მომბეზრებია. არანაირად არ მაღიზიანებს. ეს ემოციაა, საკმაოდ დატვირთული და ჩემთვის — დადებითი. ვთქვათ, ერთად ვუყურებთ ფილმს და მე უკვე ვიხრჩობი, ისე მინდა ტირილი. შევხედავ — ნიკოს თვალები აუცრემლიანდა და მოთქმით ვიწყებ ტირილს. აი, ასეთი იდილია გვაქვს ცრემლებთან დაკავშირებით.

— **ნიკო, ვიცო, რომ ბევრი ფანი გყავთ. განუხებენ ხოლმე?**

**წინა:**

— ნიკოს ფანებზე მე ვილაპარაკებ. მე მიყვარს რუსი მომღერალი ლეონიდ აგუტინი. კარგი პოეტი და მე მისი ფანი ვარ...

**ნიკო:**

— ნინას არ უყვარს დაბალი მაკაკები და ვუუბნები ხოლმე — დედა, რა დაბალია აგუტინი!.. — ნუ ივრნებო — მბასუხობს. რას ვივრნებ? შეხედე-შეთქი!..

**წინა:**

— ნიკოს ზოგიერთი ფანი ძალზე სასაცილოა: ამტკიცებს, რომ ის უყვარს, როგორც პოეტი და მსახიობი; მერე აღმოჩნდება, რომ ეს უბრალოდ სვლაა, მის გასაცნობად. თან, ვითომ თავისუფალი სიყვარული „მოსულა“, თან — საქართველოში ცხოვრობენ და მთლად არ „მოსულა“...

**ნიკო:**

— მოკლედ, ნინა ეჭვიანი ქალია.

**წინა:**

— არა ვარ ეჭვიანი!.. მე ნიკომდე მყავდა ქმარი, რომელსაც ვერაფრით ათქმევინებ, რომ ეჭვიანი ვარ. როცა ნიკოს მიყვებოდი ცოლად, მზად ვიყავი სირთულეებისთვის. ის პოეტი და თავისთავად, ემოციურად უფრო დატვირთულია, ვიდრე სხვა ადამიანი. მისი ლექსები ჩემთვის საჩუქარია, ჩემი ცხოვრებაა და ამიტომაც, იოლად ვიტან ყველა სირთულეს. მაგრამ როცა ვიდაც, ზღვარს სცილდება, მერე ვბრაზობ. არ შეიძლება, ღამის 3 საათზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დაღლიე და ნიკოსთან ურთიერთობა მოგინდა, დარეკო. ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ნიკოს გვერდით ჰყავს ქალი, რომელიც შეწუხდება, ინერვიულებს. ნიკოს ხათრით მაინც არ უნდა გააკეთო ეს. არ უნდა ითავებდო. რაც მთავარია, ნიკო არ აპატიებს არასდროს თავსებდ ქალს...

— **ნიკო, თქვენი ლექსების ერთი ნაწილი ეძღვნება თქვენს პირველ ცოლს, მსახიობ ეკა ნიჟარაძეს. მეორე ნაწილი — ნინას. სხვა ქალისთვის თუ მიგიძღვნათ**

**ლექსი?**

— ამ ორის გარდა, სხვა სიყვარული არ მქონია. თუმცა, ლექსები სხვა ქალებისთვისაც დამიწერია. ლექსი რა არის?.. ტყუილია!..

**წინა:**

— ნიკოს არც ერთი ლექსი არ არის ტყუილი. თუ ოდესმე ვინმესთვის ლექსი დაუწერია, იმწუთას, მისით ალფრთოვანებულიც კი იქნებოდა... ისე, იმდენ ტყუილს ამბობს, რომ არ ვიცი ხოლმე, სად წავიდე. ისეთ სისულელეებს აკეთებს



„ისეთ სისულელეებს აკეთებს და ამ დროს, ისე ამრგვალებს თვალებს, რომ სახეზე აწერია — ვიტყუებიო...“ (ბრესგში მიღებული დიპლომით)

და ამ დროს, ისე ამრგვალებს თვალებს, რომ სახეზე აწერია — ვიტყუებიო... მიუხედავად იმისა, რომ მსახიობია, სახლში თამაში არ შეუძლია.

— **ნიკო, ნინასი ყველაფერი მოგწონთ?**

— ყველაფერი მომწონს მაშინ, როდესაც ცუდად ვარ და ვამბობ: „ღმერთო, არაფერი არ მინდა, მხოლოდ ნინა მინდა!..“ როცა ცუდად ვარ, მაშინ მომწონს ყველაზე მეტად. ხდება ხოლმე ეგეთი რამეები...

ნიკოს მიაჩნია — თუ ორი კარგი ლექსი გაქვს დაწერილი, უკვე პოეტი ხარ. ნინასთვის, როგორც თვითონ თქვა, ნიკოს ლექსები მთელი ცხოვრებაა. როგორი ქალები მოსწონს ნიკოს, არ მიკითხავს. ალბათ მაღალი, ძალიან ღამაში ფეხებით, ქერა თმითა და ცისფერი თვალებით — ე.ი. ნინასნაირი, ისეთები, რომლებსაც დაუწერს:

ეს სიყვარული ისე ვრცელდება... გავახალისებ, მიიღე ცნობად. უნდა გაგმორდე, უეჭველია, რომ კიდევ ერთხელ შეგირთო ცოლად.

# უძრავი ქონების საზონი ბრძედება




ჟურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, ტენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

**ჟურნალშია — ორი სუპერრუბრიკა**



**ყოველთვიური რეალტორი ინფორმაცია**

დაპირებისამებრ, განვაგრძობთ ყოფილი კანონიერი ქურდის სპარტაკ ბურდულაძის თავგადასავლის თხრობას. დღევანდელი საუბრიდან შეიტყობთ: რა მოხდა ნოვოჩერკასკის ზონაში, რა როლი ითამაშა ბერძენმა პედერასტიმა ქურდების ცხოვრებაში და რატომ უნგრევდა ის სპარტაკს ოჯახს. როგორ შეაძვრინა სპარტაკის ერთ-ერთმა ცოლმა 15 მილიციელი მაგიდის ქვეშ და აგრეთვე, ცნობილი რუსი კრიმინალური ავტორიტეტის ბორია ბრიანსკის ცხოვრების ეპიზოდებს... საუბარს კი იქიდან განვაგრძობთ, როდესაც სპარტაკი შორეული ციმბირის გზას გაუყენეს.



სპარტაკ ბურდულაძე

# ქურდული მონაწილე

## მარი ჭაჭარიძე

### „კიშკები“ და „მასტერკა“

— ჩამსვეს მატარებელში და იძენ ხანს ვიარეთ, რომ მეგონა, ქვეყნის დასალიერში მივლიდი. ალბათ ერთი თვე მაინც ვიყავი გზაში. სულ ტყე-ტყე მივლიდით და ფიქრობდი — გეოგრაფია აქ მთავრდება-მეთქი... გზადაგზა მატარებელი ჩერდებოდა და ორ-ორი კაცი ჩაჰყავდათ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ცივი წყალი არ დამილევია. ჭაობის წყალს აღუღებდნენ და ამ მწვანე სითხეს გვასმევდნენ... მიველით ზონაში. იმ ადგილს ტრანსპორტი არ უღვევოდა. პროდუქტს „ვერტალოტიდან“ ყრიდნენ ხოლმე. ქართველი ბიჭები დამხვდნენ და მათი საშუალებით გავერკვე, თუ რა ხდებოდა ამ ზონაში. ქართველების უძრავ-ლესობა „კრიტში“ იჯდა, რადგან ეს „წითელი“, ე.წ. ბოზური ზონა იყო. დილით ადრე დგებოდნენ, სასაილოში „Солдат вернёт ТСЯ“-ს სიმღერით მიდიოდნენ, მერე კი სამუშაოდ უნდა წასულიყვნენ. ქართველები ასე არ ვცხოვრობდით, ამიტომ კარცერში გვიკარავდნენ ხოლმე თავს. იქ კი ყოველ-დღე თითო ჭიქა წყალს და დღეგამოშვებით — ნახევარ პურს გვადლევდნენ. ამიტომ პატიმარი სუსტდებოდა და ავადდებოდა. ბიჭები ერთმანეთს ვესმარებოდით ხოლმე. ძალზე გაძლიერებული დაცვა იყო. ამიტომ პროდუქტის შეგზავნას ვერ ვახერხებდით. პურს ვახზობდით, შემდეგ ბოთლს გადავატარებდით და ვფშვნიდით, თითქმის ფქვილად ვაქცევდით და შაქარში ვურევდით. შემდეგ ზეწრისგან გვერავდით წვრილ, მილისებურ თასმას, რომელსაც „კიშკას“ ვეძახდით და ამ „კიშკას“ ვავსებდით პურისა და შაქრის ფხვნილის ნარევით. ის ადვილად ეტეოდა სულ პატარა ნახვრეტშიც კი. ასე ვაწვდიდით გარედან, რომ ძალზე არ დასუსტებულიყვნენ ბიჭები... ცოტა ხანს მითმინეს, სამუშაოდ რომ არ გავდიოდი და რეჟიმს რომ არ ვემორჩილებოდი, მაგრამ შემდეგ მომადგნენ ციხის თანამშრომლები და მომთხოვეს, „უსტავის“ მიხედვით მემო-

ქმედა. ცუდად ვარ-მეთქი, ვუთხარი. გადაწყვიტეს, ექიმთან მივეყვანე. ვიდრე „სანასტ-ში“ გამომიძახებდნენ, გადავწყვიტე, მესიმულანტა. ასეთი მეთოდი არსებობს: ლოყას შიგნიდან იხვრეტ ნემსით, შემდეგ ყურებზე და ცხვირზე ხელს მოიჭერ და ჰაერს ჩაბრავ. ამ დროს სახის კანის ქვეშ გროვდება ჰაერი და ისე ვისივლება სახე, რომ შინაურიც ვერ ვიცნობს. ბევრი ჰაერის შემყება მომივიდა და ისე გამისივდა სახე, რომ თვალებიც კი აღარ მიჩანდა. ასე რომ მნახეს, გადაირივნენ. სასწრაფოდ გამაქციეს ექიმთან. ულამაზესი მოსკოველი ქალი იყო. ჩემს დანახვაზე შეიკვლა. სკამზე დამსვა, ჯერ მთვალეირა, მერე ლოყაზე ხელი დამაჭირა და ჰაერი რომ გამოვიდა — ფშშშ, — ასეთი ხმა გაისმა. ექიმმა ციხის თანამშრომლები გარეთ გაუშვა და მკითხა — ვიცი, რომ „მასტერკა“ გაქვს გაკეთებული, მითხარი, როგორ გააკეთე და გაგიშვებო. ვიუარე, — რის „მასტერკა“, თირკმლები მაწუხებს-მეთქი. დამაწვინეს სამდიცნო ნაწილში. ორ დღეში სახეზე სიმსივნე ჩამიიქცრა. ექიმის განკარგულებით, შარდის ანალიზი უნდა ჩამებარებინა. მომცეს ქილა. ამ დროს, ბღრაგი ზურგს უკან ვიდგას. შეგბრუნდი კედლისკენ, საცვლის რეზინში გაყრილი ქინძისთავი გამოვიადრე, თითში ვიჩხვლიტე და რამდენიმე წვთი სისხლი შარდში შევურიე... საშინელი ანალიზის პასუხი მოვიდა. ამის გამო კარგა ხანს, სამდიცნო ნაწილში ვიწვიე. ეს მოსკოველი ექმიც იქ მყავდა. ერთმანეთს ძალზე დაუახლოვდით. რაღა მიხლოდა ზონაში?.. განცხრობით ვცხოვრობდი. ქალი იქვე მყავდა, არც ყურადღება მაკლდა, არც სასმელ-საჭმელი. ზონაში ბიჭები არაყს ხდიდნენ ხოლმე, მაგრამ არ ვსვამდით. ამ არაყს სხვა რამისთვის ვიყენებდით — ზონის თანამშრომლებს უეცვლიდით პროდუქტში — ჩაიში, შაქარში, პაკეტის „სუპში“... დამითავრდა პატიმრობის ვადა და გამოსვლის წინადღეს, მაგრად გამოთვეერი. დავიწყე გახურება — მაინც მივდივარ-მეთქი, — და დავერიე „ბოზებს“ — ცვემე. მათ უფროსებთან მიჩივლეს. გამომიძახეს და

რომ მიხვდნენ, ნასვამი ვიყავი, ერთი ამბავი ატენეს. მე ვუთხარი — დილით მივდივარ, დღეს დავლიე, რა ქვეყანა შეყარეთ-მეთქი?! ერთი სათვალაიანი კაცი იყო, მომიბრუნდა და მითხრა — რას „ბლატაობთ“ ეს ქართველები?.. თქვენ ის ხალხი არა ხართ, მოსკოვში ვყავილებს, მწვანეხალსა და მანდარინს რომ ყიდით?.. — ვერ მოვითმინე ქართველების აბუხარ ავლება და მუშტი პირდაპირ ცხვირში გავუქანე, სათვალე და-ვუმტვრიე და კიდევ საცემრად ვიწვიე, მაგრამ გამაქავეს. ამის გამო, ერთი წელი კიდევ დამიმატეს. ის ერთი წელიც, როგორც იქნა, გავიდა. ჩამომაკითხეს ახლობლებმა და იქიდან ლენინგრადში გადავფრინდით. იქ რესტორანში შეველით. გვერდით მაგიდასთან 6 რუსი იჯდა: 3 გოგო, 3 — ბიჭი. ჯიბეში, ციხეში გაკეთებული სანთებელა-პისტოლეტი მდო, რომელსაც გარეგნულად ნამდვილისგან ვერ გაარჩევდი. ამოვიღე ეს პისტოლეტი, ერთ-ერთს შუბლზე მივადე და ვუთხარი — ახლა რასაც გეტყვით, ის გააკეთეთ-მეთქი. ჩემი ახლობლები გაგიფლენ — შარს რატომ ეტებო?! რუსები დამმორჩიდნენ. აეროპორტში წავიყვანე, ბილეთი ავუღე და ჩემთან ერთად ჯერ თბილისში, შემდეგ წნორში ჩამოვიყვანე. აქ კი, ერთი გოგო მე დავილოვე, დანარჩენები კახელებს დავურიე. 2 თვე მყავდა ისინი წნორში, შემდეგ გაუშვე. მიჩივლეს კიდევ, მაგრამ ეს საქმე ჩაიფარცხა.

### „პრიგავორი“ ქურდი ბორიასთვის

— ამ ამბის შემდეგ, რამდენიმე წელი გავიდა და ისევ დამიჭირეს. რუსეთის ციხეში, კერძოდ, ნოვოჩერკასკში გამეზავნეს. მიმიყვანეს „კრიტში“. იქ სიტუაციას აკონტროლებდა ვინმე გომეა-ოუნეცი. მაგარი ავტორიტეტი იყო. იქვე იხდიდნენ სასჯელს ბორია-ჟიდი — ის ებრაელი ვახლდათ, ასევე ბაქოელი ედიკა-მასკვა, კიდევ — ბაქოელი რაფიკა. მიმიყვანეს. როცა „კრიტში“ ახალი ქურდი მიდის, იქ აუცილებლად სიტუაცია იძაბება. თავდაპირველად დავგზამენ და გეკითხებიან —



ქურდი ხარ თუ არა? ხომ არ იბრალებ?... სულ მცირე შეცდომას შესაძლოა, დიდი ამბავი მოჰყვეს. ამ პერიოდში ერთ სომეხ ქურდს, რომელიც ბაქოშია დაბადებული და გაზრდილი, კონფლიქტი ჰქონდა დანარჩენ ქურდებთან. ზის — „აღნიჩკაში“. თანამშრომლებისთვის დიდი პლუსია, რაც უფრო მეტი ქურდი დარჩება არაქურდად. ამიტომ, ყოველთვის ცდილობენ, კონფლიქტური სიტუაცია შექმნან. ჯერ მაგრად მცემეს, მერე იმ სომეხ ქურდთან, ბორიასთან მიმიყვანეს კამერაში. ის კიდევ არაქურდად არის დატოვებული და ქურდებმა „ბოზად“ გამოაცხადეს. კამერაში რომ შემიყვანეს, ასეთი სურათი დამხვდა — ბორიას წვერი აქვს მოშვებული, თავისი „პაიაკ“ (ულუფა. — ავტ.) პურები კი ერთმანეთზე აქვს დალაგებული: ქურდებთან კონფლიქტს ძალზე განიცდიდა და ამ ხნის განმავლობაში ერთი ლუკმაც არ ჰქონდა ნაჭამი. თანამშრომლებისგან წინასწარ იცოდა, მასთან ქართველი ქურდი რომ უნდა შეეყვანათ. ნაცემი რომ მნახა, გაგიჟდა — ხელი როგორ დაგარტყესო? „ნარზე“ წამომავინა, „ჩიფირი“ მომიდღა. ციხეში „ჩიფირს“ ისეთივე დანიშნულება აქვს, როგორც კახეთში — ღვინოს. ვინ ხარ-მეთქი? — ვკითხე. Я вор, но русские меня схавали... — (შემჭამეს). — თქვა და ტირილი დაიწყო. ვიხსოვ, მიეყოლა ყველაფერი. თურმე, ვიდრე არაქურდად დატოვებდნენ, მისი შიშით მთელი „კრიტი“ კანკალებდა. რუსებს კი გადამეტებულად ჩაგრაგდა. როდესაც რუსი ავტორიტეტი, გომკა-ოუნეცი მოიყვანეს, ყველა რუს „ნარუმიტელს“ მისთვის მიუწერია, — გვიშველი, ბორიასგან გაგვათავისუფლო. იმ დღიდან დაიწყო გომკამ ჩაღი, რომ ეს არაქურდად დაეტოვებინა და თავისი ავტორიტეტი აუმაღლებინა. ამის გამო, ასეთ ხერხს მიმართა: მან იცოდა, რომ ბაქოელი რაფიკა, ქურდი არ იყო და იბრალებდა. ამიტომ დაისვა და გამოჰკითხა, ვინ მონათლა ქურდად. მან ისეთი ხალხი დაუსახელა, ვინც უკვე მკვდარი იყო. რუსმა ეს არ „ჭამა“, მაგრამ სამაგიეროდ, სათავისოდ გამოიყენა. უთხრა — თუ გინდა, რომ ქურდად დარჩე, ბორია უნდა ჩავსვათ „მეშოკში“, ამისათვის კი შენ მასზე უნდა თქვა, რომ ქურდი არ არის; რადგან შენც ბაქოელი ხარ და იქიდან იცნობ, აუცილებლად დაგვიჯერებენო. რაფიკამაც დაიწყო ლაპარაკი, რომ ბორია ჯარში იყო ნამყოფი და ქურდი არ იყო. მთელი „კრიტი“ ამ ამბავს აღევნებდა თვალყურს. ბორია გაანერვიულეს. მან იცოდა, რომ რაფიკა ქურდი არ იყო და უკვირდა, რატომ აძლევენ რუსები „პადდერჟაკს“. „კრიტი“ ტუალეტები დამტვრეული იყო. იქიდან ხდებოდა „გრევების“ გაგზავნა საკნიდან საკანში. ისე იყო მოწყობილი, თითქოს სა-

კანში ტელეფონი იყო. ამას ხაზს ეძახდნენ. ერთხელ ბორიამ ხაზზე დაუძახა რაფიკას. გომკას მითითებით, რაფიკამ უპასუხა — შენთან ლაპარაკი არ მინდაო. ბორია გაგიჟდა. „პრაგულკაზე“ რომ გავიდნენ, ბორიამ რაფიკა დაიმართოხელა და უთხრა — *Коза ты дранная, я тебя поймаю и разорву!* — თან ღელას აგინებდა. მთელი ციხე ელოდებოდა, რომ მას დანაშაული ჩაედინა და რაღაც შემლოდა. ხმაურზე ფანჯრიდან გომკამ გადმოსახა — ბორია, ღირსება არ დაკარგო! ამან ვერ მოითმინა და გომკასაც გადასწვდა. გომკამ კი, „პრიავორი“ დაწერა. ასე ხდება ქურდებში — დაიწერება, რომ ამა და ამ დანაშაულის გამო, ესა და ეს ქურდი არაქურდად რჩება. ამას ყველა ქურდი აწერს ხელს. ეს გახლავთ „პრიავორი“. ჰოდა, ბორიასაც ასე გაუკეთეს. დაწერეს — იმის გამო, რომ ბოზების, პატიმრებისა და ძაღლების თვალწინ ქურდმა ქურდს შეაგინა, ე.ი. არასწორი საქციელისთვის — *Боря Бакински не вор!* ყველა ქურდმა მოაწერა ხელი და ამის შემდეგ ციხის თანამშრომლებმა ბორია სასწრაფოდ ცალკე კამერაში გადაიყვანეს... სწორედ ამ დროს მივედი მე. ბორიამ ეს ყველაფერი მიაბო და რაფიკაზეც მითხრა — ეგ ქურდი არ არის, გომკამ გამოიყენაო. თუმცა, სიმართლე ბოლომდე არ მითხრა, რადგან დაძინებულა და რადგან მისი მატყუა კიდევ... მე რომ მიმიყვანეს, ქურდებმა პლანი და წამალი გამომიგზავნეს. ჰოდა, ვალდებული იყვნენ, საქმის კურსში ჩაგვეყვინებინე, ამიტომ გამომიგზავნეს „ქსივი“ — ეგ არის „ბოზური“ კამერა, მანდ ზის ბორის მართროსოველი — *Гадкий удав!* გელოდებით, ჩვენთან გადმოდიო... მე მივწერე, რომ როგორც ქურდი, ვალდებული ვარ, ბორიას მოვუსმინო და საქმეში გავერკვე, ამისთვის 2 დღე დამჭირდება და მერე გადმოვალ-მეთქი. ამის შემდეგ, ქურდებმა ჩემთან კონტაქტი გაწყვეტეს. შევეხმიანე — რა ხდება-მეთქი? — სანამ თქვენ ერთი ჰაერით ისუნთქებთ, ჩვენ ასე მოვიტყვევით, ჩვენი ძმა ხარ და აქ გელოდებითო. გავუგზავნე პირდაპირი შეკითხვა — ბორია ქურდი არ არის? ბოზი და *Гадкий удав*-ია? — კიო, მიპასუხეს. — მაშ, თუ ასეთი უვარგისია, კამერიდან ცოცხალი როგორ გამოუშვით-მეთქი? — მაგამი ვტყვითო... ბორიას უთხარი — შენთან დიდი ბოლიში, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ უნდა დაგჭრა-მეთქი. ავდექი და „შტირი“ ვატაკე. ის სასწრაფოდ, სამედიცინო ნაწილში გადაიყვანეს. ამის შემდეგ ქურდებს მივწერე — მე ქურდულად მოვიტყევი, ჩემი კამერიდან ბორია თავისი ფეხით ვერ გავიდა, მაგის საქმე წასულია-მეთქი... დიდი ამბავი ატყდა. გომკამ იჩაღინა და თავისთან ჩამიყვანა. მე მოვითხოვე არქივი: ეს არის მთე-

ლი ქურდული ფოსტა, წერილები, რომელსაც ერთმანეთის სწერენ, „პრიავორები“, რომლითაც არაქურდად ტოვებენ ავტორიტეტებს. ამ ფოსტის გადაყრა არ შეიძლებოდა. ქურდს უფლება აქვს, მოითხოვოს ქურდული არქივი და გაეცნოს. 500-მდე წერილი იყო შენახული. ყველა მათგანი დანომრილი და აკურატულად დაკეცილი. ბევრი რამ ვიპოვე არქივში. ისიც კი, რომ ბაქოელი რაფიკა ქურდი არ იყო. სამი წერილი დავიტოვე, გომკას წინ დავუდე და ვუთხარი — რაფიკა ქურდი არ არის-მეთქი. — მართალი ხარ, მოვიშორეთო. მოკლედ, რაფიკა გამოვიძახეთ. რაღაცები შეგვეკითხე, მათ შორის — „მონათვლის“ თარიღიც, რომელიც არ ასსოვდა, დაბოლოს, რაფიკა არაქურდად დავტოვე. ისიც ცალკე გადაიყვანეს. რამდენიმე დღეში, მას კვლავ ქართველი, ავღანური ქურდი შეუსახლეს. მოძურა — გამაგებინეთ, რომელ კამერაში ვზივარო? ვუპასუხე — აქამდე ეგ კამერა „ბოზური“ იყო, ახლა ქურდი შეხვედი და ხომ ვერ ვიტყვით, რომ „ბოზური“? მანდ ჯდომას არ გირჩევ-მეთქი... ამ დროს, კიდევ ერთი ქართველი ქურდი — სოხუმელი ვა ესებუა მოიყვანეს და ის ჩემს კამერაში შემოვაყვანინე. ამასობაში მოხდა ასეთი რამ... პატიმრებისთვის შემოიღეს სპეციალური „ბირკები“, რომლებზეც სახელი, გვარი და ნომერი ეწერა და გულის ჯიბეზე, გარედან უნდა დაგეკრებიხა. გომკამ ბრძანა — „გრეხი“ არ არის, გაიკეთეთო. მე უარი ვთქვი — ჩემთვის „გრეხი“ და მე არ გავიკეთებ-მეთქი. ეს „გაუტყდა“. ჩვენ შორის სიტუაცია დაიძაბა. კიდევ ერთი ამბავი ხდებოდა. „კრიტში“ იჯდა ერთი ტაშკენტელი ბერძენი, ახალგაზრდა და ქალივით ლამაზი ბიჭი, რომელსაც ნუმანჩიკას ვეძახდით. ის პედერასტი იყო და ყველა ქურდი ჩაღიწობდა, რომ თავის კამერაში გადმოეყვანა. გომკას მასთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გაჩაღებული. ისიც პასუხად საალერსო სიტყვებს სწერდა და — შენი ცოლი ნუმანჩიკაო, — უწერდა ბოლოს. აღმოჩნდა, რომ ნუმანჩიკას ყველა ქურდთან ასეთი მიწერ-მოწერა ჰქონდა. გომკამ მისი „ქსივი“ დაიჭირა და კინაღამ გავიჟდა. მე ვკითხებოდი — მართლა განიცდი? რა განერვიულებს-მეთქი? — ბორია-ჟიდა იცის, ეს „ქალი“ როგორ მიყვარს, როგორ გაბედა, რომ ისიც ეჩაღიწებო?! მე ვისარებელი შემთხვევით და ვუთხარი — რუსები ასეთები ხართ, ერთმანეთის „ქალებს“ თვალებს უპრაწავთ, აბა, რომელი ქართველი მოიტყვევა ასე? თუ ასე ნერვიულობ, მოდი, ბორია-ჟიდა არაქურდად დავტოვოთ-მეთქი. მაშინ გაიხსნა და ყველაფერი გულახდილად მიაბო, რაც „კრიტში“ ხდებოდა. ისიც მითხრა — ბორია-ჟიდა ქურდობას იბრალებსო. ერთხელ, „პრაგულკაზე“, ქურდები „ვტასაობდით“. ნუმანჩიკამ „ვალჩოკში“ (საკნის კარის

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები

1. სირაქლემას კვერცი 1500 გრამს იწონის.
2. კლინტ ისთვუდი 5 ფილმის მუსიკის ავტორია.
3. მექსე უფრო მეტს ლას-ვეგასში ლოცულობენ.
4. „ზა კამპანუ ევრი პავესილს“ – ამბობენ რუსები.
5. ეგვიპტელები ღმერთებს ხშირად ხახვს სწირავდნენ.
6. პლანეტა ვენერას არც ერთი თანამგზავრი არა ჰყავს.
7. ღ'არტანინის ძეგლი საფრანგეთში 1931 წელს გაიხსნა.



8. ვაჟა-ფშაველას მამა პავლე რაზიკაშვილი თვითნასწავლი მღვდელი გახლდათ.
9. სიტყვა „გეიმა“ ორ იეროგლიფს აერთიანებს: გეი – ტალანტი, სი – აღამიანი.
10. სალომე ზურაბიშვილი რუსეთის დელეგაციასთან შეხვედრისას მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე საუბრობს.
11. კოსმონავტი ლერიო ჩაო აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატებს ორბიტალურ სადგურზე მისცემს ხმას.
12. „მხოლოდ ორი სტიმული აიძულებთ ადამიანებს იმუშაონ: სურვილი მიიღონ გასამრჯელო და შიში ამ გასამრჯელოს დაკარგვისა“ – ამბობდა ჰენრი ფორდი.
13. თავდაპირველად, ინგლისელები ამერიკიდან შემოსულ პომიდორს შხამიან მცენარედ თვლიდნენ და მხოლოდ დეკორატიული სახით ზრდიდნენ.
14. შიმპანზეებს ღიბინის ემინიათ და პრიმატებიდან ერთადერთნი არიან, რომელთაც სიცოცხლე შეუძლიათ.
15. ანტონიო ხესე ლე სუკრე ესპანელებსაგან ლათინური ამერიკის გათავისუფლებისათვის იბრძოდა. მან თანამედროვე ეკვადორის ტერიტორია გაათავისუფლა. ამ ქვეყნის ფულის ერთეულს სუკრე სწორედ მის პატივსაცემად დაარქვეს.
16. როდესაც მიხეილ ველებს კითხვა დაუსვეს, თუ რამდენი დაწერა ცხოვრების განმავლობაში, მან თაროს შეხედა, სადაც მისი ნაწარმოებები ელაგა და უპასუხა: „45 სანტიმეტრი“.
17. ცხოველებიდან „ბიბლიაში“ ღორი ორჯერ არის ნახსენები, ცხვარი – 45-ჯერ, თხა – 88-ჯერ, ძაღლი – 14-ჯერ, ლომი – 89-ჯერ.

საჭვრეტი. – ავტ.) შემოიხედა და დაიძახა – აბა, ის ქართველი ქურდი, სპარტაკა რომელია? ამის შემდეგ ქურდებს წერილი მისწერა: თქვენ ყველანი ჩემზე გიჟდებით, მაგრამ ახლა გავიხსენებ, მე სპარტაკა მიყვარს; თქვენ ერთმანეთთან იჩხუბებთ, გამარჯვებული სპარტაკს შეხვდეს და მათ შორის ვინც გაიმარჯვებს, იმისი ვიქნები. ამის გამო გომშკამ უფრო მეტად შემოვივარა და ჩვენ შორის ძალზე დაიძაბა სიტუაცია. ასეთი სიტუაციის გამო, ცალკე კამერაში მყოფ ვა ესებუას წერილებს ვწერდი და ამბებს ვატყობინებდი. თან ბოლოს ვუწერდი – წერილი დაწვი-მეთქი. იმედი მქონდა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ვა ჩემს მხარეზე იქნებოდა.

ომი გომშკასთან და ბორია ბრიანსკის გამოჩენა

– ერთ დღეს, მე და გომშკამ ნარდი ვითამაშეთ. ვუკვები. ბოლო ხელის დასასრულს, ისევ კარგი პოზიცია მქონდა. ერთადერთი მოგების შანსი გომშკას ის ჰქონდა, რომ შამ-იაქე უნდა გაეგორობინა, სხვა შემთხვევაში, წაგებული იყო. გააგორა და შამ-იაქე დასვა. უცებ, ნარდს ქვევიდან ხელი ავარტყი. გომშკას სათამაშო ქვები სახეში შეეყარა. შენი დედა-მეთქი!.. – ქართულად შევიგინე. თურმე, მას ქართულად გინება სცილდნია. ნარდი გვერდზე გადადო და მკითხა – ვის ეთამაშებო? – მივხვდი, რომ შევტოპე. – ქურდს-მეთქი. – მერე, რატომ ხულიგნობ? რატომ შემაგინე? შენ არ გითქვამს, ნარდის დედაო, შენ მე შემაგინეო. – ქართული, ცხელი სისხლი მაქვს და იმითომ მოხდა ასე, მითხარი, რა გინდა-მეთქი?.. ქურდებს დაუძახა, მომხდარის შესახებ დაწვრილებით უამბო და უთხრა – ვერ ვაპატიებ, უნდა დაგაყენო: ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დაგმდარიყავი ხელგაუნძრევლად და იმას ვეცემე: ვიფიქრე – ვაი, შენს სპარტაკას!.. უშველებელი სიგრძე-სიგანის იყო გომშკა, ერთი რომ დაერტყა, ფეხზე ვეღარ ავდგებოდი... რას ეიზამდი? დავდექი. ჩემ წინ გაიარა და გამოიარა. საღისტი ხომ არ ხარ? დამარტყი-მეთქი! – ვუთხარი. უეცრად, მუშტი მოიქნია, მაგრამ სახესთან გამიჩერა. მითხრა – „რაშოტში“ ვართო. ასე ფარჩაკულად მომცა „რასხოლი“. გულში ჩავიდე და გადავწყვიტე, სამაგიერო გადამეხადა. სულ ძალე, მოვიდა საერთო „ქსივი“ ქურდებისთვის. წესია, რომ ეს „ქსივი“ ყველა ქურდმა უნდა წაიკითხოს. გომშკამ კი პირველმა წაიკითხა და დაწვა. ვუყურებდი, როგორ წვავდა წერილს, მაგრამ ხმას არ ვიღებდი. ცოტა ხნის შემდეგ კი, „ქსივი“ მოვიკითხე. დაწვი, მაგრამ მოვიყვები, რაც ეწერაო, – მითხრა. – არა, ქურდი ხარ, შენი მჯერა, მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყავი, რას იზამ? ქურდებს დაუძახე თუ დადგები-მეთქი? – დავა. მეც ვუთხარი – „რასხოლი“ ხარ-მეთქი.

მაშინ მითხრა – სხვა კამერაში გადაბარედი და ვიომოთო... რამდენიმე დღის შემდეგ, ვა ესებუამ გამომიგზავნა ჭადრაკი, თან მომტანს დააბარა – შენთვის შიგ საჩუქარი დევს, კარგად მოძებნე და რამდენიმე ხნით „პრაუგულაკზე“ გავსვლიყვან თავი შეიკავეო. ჭადრაკს გვერდი ავაძებრე და იქ „შტირი“ დამხვდა. მივხვდი, რომ ვა მაფრთხილებდა. თუ სასეირნოდ წავიდოდი, ერთ წიგნს წინ ვიმაგრებდი შარვლის სათავით, მეორეს – უკან, რადგან „შტირი“ წიგნს ვერ ხვრეტს. ამასობაში, გომშკასთან მიღის ბრძოლა. ვიამ ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა. აი, აქედან ჩაერთო ბორია ბრიანსკი ჩემს საქმეში. ის გვერდით კამერაში იჯდა. მაშინ ქურდი არ იყო. გომშკა გამართული რუსული მწერდა წერილებს. მე კი რუსული კარგად არ ვიცოდი. ამიტომ შესაძლოა, ერთ პატარა ნიუანსსაც შეცდომაში შევეყვანე. ამიტომ ვიხოვე, გასაგები ერთი მოეწერა, მაგრამ თავისას არ იშლიდა. დახმარება ბორიას ვიხოვე. ის მიწერდა საპასუხო წერილებს, მე გადავწერდი ხოლმე და შეცდომებს განკებ ვუშვებდი, რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, რომ ბორია მეხმარებოდა... ბორიას ამანათი მოუვიდა დედისგან. მოახერხა, რომ კამერაში გაუხსნელი მოუტანეს. ყუთი სავესე იყო მორიგის ამულებით. ყოველდღე მიგზავნიდა ჩემს წილს. სხვას კი არავის უნაწილებდა. ეს ამბავი გომშკამდე მივიდა. ადგა და ასეთი რამ მოაწყო: ყველა კარგ კამერაში (კარგში იგულისხმება „არაბოზური“ კამერა, სადაც „არესტანტები“ სხედან) შეაგზავნა ქურდული „გრევი“ – თითო „ზავარკა“ ჩაი, ერთი-ორი პაპირისი პლანით და ერთი თუმანი ფული. ბორიასაც შეუგზავნეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ დაუძახეს და უთხრეს – შენთან ქურდული „გრევი“ შეცდომით შემოვიდა და უკან დააბრუნეო. ბორია ჩემთან მოვარდა და მკითხა, რა ხდებო? მე ვუთხარი – ჰკითხე, რას გეტყვან, საინტერესოა-მეთქი. გომშკამ კი უპასუხა – შენ რომ წამლით გრიალებ და ქურდები არ გახსენდება, ქურდულ „გრევს“ რატომ თხოულობ? ჩვენ მარტო კარგ კამერაში ვარიგებთ „გრევს“. სადაც შენ ზიხარ, ევ „ბოზური“ კამერააო. წარმოგიდგინათ? იმ კამერაზე ლაპარაკი, სადაც „მხეცი“ ბორია ბრიანსკი ზის! პატიმრების უმეტესობა მხარს ბორიას უჭერდა. მე ვუთხარი – ნუ გემინია, ან ერთად მოვკვდებით, ან გავიმარჯვებთ-მეთქი. ქურდებს დაწვი „პრივატორი“ – ესა და ეს კამერა „ბოზური“ – და შემომიგზავნეს ხელმოსაწერად. მე ვუთხარი – პირადად ჩემთვის, ეს კამერაც და ბორია ბრიანსკიც „ჩისტაკრონი“ „არესტანტა“-მეთქი. – აგვისინიო. მივწერე – მე წაიკითხე ბორიას დედის წერილი, რომელშიც სიტყვასიტყვით ეწერა – გიგზავნი წამალს, кайфуй от души, кайфуй для души, – იქ არ ეწერა, რომ ქურდები „ლომკაში“

არ დატოვო, „გრევი“ გაუგზავნე-მეთქი. ეს იყო პირადი „გრევი“ და არა საერთო, ამიტომ, ბორიას როგორც უნდოდა, ისე მოიქცეოდა; შესაძლოა, ბორია კარგად არ მოიქცა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ბოზურად და არაქურდულად მოიქცა-მეთქი. ამასობაში თურმე, ბორიამ იჩქარა და ქურდებისთვის მიუწერია – „დაღლებს“ დავაყენებ, თქვენს კამერაში შემოვალ და ყველა ქურდს „დაეშტირაო“. სწორედ ეს წერილი ამაფარეს თვალებზე – შენი პროტექტე ქურდებს გვემუქრება, ამაზე რას იტყვიო? ბორიამ წერილი გამოძგზავნა. – ციხე პანთონი არ გვეონოთ, თეთრს თეთრი დაარქვით, შავს – შავი, თქვენ „ჩესტი“ როგორ უნდა წამართვათ? ახლა დავიჭირებს, მე კიდევ ამ კედლებში დავიბადეო!.. თურმე, დღემისი პატიმარი ყოფილა და ბორია ციხეში გაუჩნია. მეც ავდექი და ქურდებს მივწერე – ბორია აქ დაბადებულა, დღესაც აქ არის და ეს თუ „არესტანტი“ არ არის, მაშ, ვინ არის კი ბიჭი-მეთქი?.. მოკლედ, ბორია ვაგამართლე. ცოტა ხანში მე გაეთავისუფლდი და მერე გავიგე, რომ გოშკა არაქურდად დარჩენილა და „ბოზურ“ კამერაში გადაუყვანიათ. ჩემი იქ ყოფნის დროს, ნუმანჩიკამ ვალერია დაირქვა, რადგან თუ გახსოვთ, რომელი სპარტაკის ცოლს სწორედ ეს სახელი ერქვა... რომ გაეთავისუფლდი, წერილებს მწერდა – მიყვარხარო. – და ლამის იყო, ოჯახი დამხვდებოდა. რაც შეეხება ბორიას, ის „გრევი“ გადაუყვანიათ, იქ კი მთელ ციხეს უყვირია – ბორია ქურდიო!.. ერთი ასეთი ამბავიც გავიგე: ზონაში ციხის თანამშრომლებს უცემიათ და ფეხებით დაუკიდიათ. მერე დღეს თანამშრომელი რომ შესულა, ბორიას თავი მოუმკვლარუნებია; ბაღრავს მისთვის გულზე ყური მიუღვია, – სუნთქავს თუ არაო? – ბორიამ კი ხელით დაიჭირა, კბლებით ყელში სწვდა და ხორხი გამოჰკლიოდა. ის კაცი დაიღუპა, ბორია კი გაასამართლეს. ის 2 წლის წინ, მანქანაში ჩაცხრილეს. ასეთი მაგარი ავტორიტეტი რუსებში არასოდეს შემხვდებოდა. ყველაზე თავმოყვარე და ვაკუაციური ტიპი იყო.

„დაიჩოქე, შენი დედაც!..“

– ერთი უღამაზესი ქალი მყავდა, რომლისგან შევიღეც მყავს. მას ქეთინო ერქვა. ერთხელ შინ ვეწვიე, მარტო იყო. შევთავაზე – წავიდეთ, მამანური ვიყიდოთ, მერე შენ პანინოზე დაუკრავ, მე კი შენს საღვთაძელოს ვიტყვი-მეთქი. მაშინ მამანური ღვეციტს წარმოადგენდა, ამიტომ წითელწყაროს (ახლანდელი დედოფლისწყარო. – ავტ.) რესტორანს ვეწვიეთ. რომ შევედი, დავინახე, რომ ასე, 15-მდე მილიციელი ქეიფობდა. მე კი ამ პერიოდში „ნაღზორი“ მქონდა დანიშნული და 8 საათის შემდეგ, გარეთ გამოსვლის უფლება არ მქონდა, მაგრამ გამობრუნება უკვე გვიანი იყო. ვიყ

იდეთ, რაც გვინდოდა და უკან რომ გამოვბრუნდით, მილიციელებმა დამიძახეს – ერთი ჭიკა დაგვიღიეო. მოგბრუნდი. მეტი რა გზა მქონდა? შემდეგ ორივე, სუფრასთან დაგვეყვას, მთხრეს – შენს „ნაღზორს“ ჩვენზე ვიღებთ, შემოგვიერთდით. დავემორჩილე. მე ერთ-ერთთან საუბარი გავაბი, გავიგონე, როგორ სთხოვა ქეთინომ გვერდით მჯდომ მილიციელს, გურამ ჩიტოშვილს – შენი იარაღიდან გამასროლინეო. მან უარი უთხრა, ამიტომ ყურადღება მოვაღუნე. ბოლოს, მაინც შეაბა, გურამმაც იარაღს ტყვია პირში მისცა და ქეთინოს მიაწოდა. ის წამოდგა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, იარაღი ორივე ხელით დაიჭირა, მკლავები გაშალა და გურამს მიუშვია – აბა, მუხლებზე დაეშვიო!.. ყველამ მე შემომხედა. მეც მათ მღვთაშობაში ვიყავი. შეველა არ შემქმლო. ისინიც დარწმუნებული იყვნენ და მეც, რომ ქეთინო ესროდა. ამასობაში ის ისევ გურამს ატერორებდა – დაიჩოქე, შენი დედაცო! – თან ავინებდა. გურამი მუხლებზე დაეშვა. ახლა მაგდის ქვეშ შეძვერიო! – შეძვრა. მოჰყვა ასე სათითაოდ და თხუთმეტივე მილიციელი მაგდის ქვეშ შეძვრინა. დავრჩი მე. გულმა მიგრძობა, ახლა მე მომადგებოდა, დაიჩოქება კი არ მინდოდა. რა უნდა მექნა? მართლაც, იარაღი მომიშვირა და მეკითხება – ესენი „დაღლები“ არიან? – ჰო-მეთქი. – მაგარი ცუდი ტიპები და „ბოზები“? – კი-მეთქი, – თავს ვუქნევ. – შენ ძველი ბიჭი ხარ? ისევ დავეუქნე თავი. – მაგარი ტიპი ხარ? – ჰო! – აბა, ავთანდილოვიჩი, დაიჩოქე, თორემ, ჩაგადაღებო! გადავწყვიტე, შეშება. დავიჩოქე, ქეთო, მაგრამ შენ ხომ მე ასეთი გიყვარვარ? დაიჩოქე სპარტაკი ხომ აღარ გეყვარება? ასეთი დაუძორილებელი რომ ვარ, ხომ იმიტომ გიყვარვარ? ვინმემ რომ დაინახოს, იარაღიანი ქალის წინ დაიჩოქილი სპარტაკი, გინდა-მეთქი?! – მოკლედ, იმდენი ველაპარაკე, რომ შევაბი. ბოლოს, ერთი ჰერში გაისროლა და კისერზე ჩამოშვიდა. იარაღი წავართვი და ტარით შუღლში ვთხლიშვი. სისხლი წამოვივინა. იარაღი პატრონს იატაკზე დავეუდე, ქეთინოს ხელი ჩავჭიდე და შინ წამოვიყვანე. რომ არ დამერტყა, არ შეიძლებოდა – მილიციასთან პრობლემები შემექმნებოდა... ისე, ქეთინოს გაცნობის ამბავიც ძალზე საინტერესოა, ის ნახევრად ლიტველი იყო და ისე დაიღუპა, რომ საკუთარი მამის ვინაობა არ იცოდა...

ვინ იყო მისი ნამდვილი მამა, როგორ მოხდა მათი გაცნობა, რატომ დაჭრა ქეთინო სპარტაკის მთელი ცოლმა, როგორ დაანება სპარტაკმა თავი „წამლის“ კეთებას, როგორ იტყებოდა ის ქალთა კოლონიიდან მკვლელ გოგონას და რა უთხრა ბორის კაკუბა-ვამ, – ყოველივე ამის შესახებ „გზის“ მოძღვერო ნომერში ვიამბობთ. ■

ინფორმაციულ-მედიცინური კოლაჟი

ეონა დვალის უბის ნიგნაკიდან:

18. ტაივანის მეტროში მგზავრობისას აკრძალულია რამის ჭამა, დალევა და უბრალოდ ლეჟვაც კი. ამდგვარი დარღვევისათვის 750 ტაივანური დოლარია ჯარიმა.

19. გერმანიის ქალაქ ლაიფციგში გამოვიდა წიგნი სახელწოდებით „ასი სიტყვა, რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მეოცე ასწლეულში“. ამ წიგნში პირველი სიტყვაა „გენოციდი“, მეორე – „სექსი“, მესამე – „მაფია“.

20. რუსი ფერმწერი ვასილ ვერემჩაგინი, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, პორტრატურში, ჯავშნოსან „პეტროპავლოვსკის“ აფეთქების დროს დაიღუპა.

21. „პატარები ქვიშაში ერთობიან, მღერიან, უკანონო „პასკა-პასკა“ დოუნგრია მერიაო“ – მღეროდა „VIP შოუს“ პირდაპირ ეთერში ნიკა ქავთარაძე.

22. ერთ ებრაელ ჯარისკაცს ღამის პანიკური შიში ტანჯავდა. ამ მიზეზით არმიიდან რომ არ დაეთხოვიათ, დღემისი მის ნაწილში ჩადიოდა და საგუშაგო კოშკზე შვილთან ერთად მორიგებოდა.

23. ირლანდიაში მანქანების გამტაცებლებმა თავიანთ საქმიანობაში ვირთხები „ჩააბეს“. ამ ცხოველს ისინი მანქანის ღია ფანჯარაში უგდებენ მძღოლ ქალებს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი წივილი-კივილით ტოვებენ მანქანას, ისე რომ სტარტერიდან გასაღების გამოღება აზრადაც არ მოსდით. მძრცველი სწრაფად ჯდება საჭესთან და თავის მღრღნელ „კოლეგასთან“ ერთად უჩინარდება.

24. როდესაც ოლივერ კრომველის ჯარი მეფის არმიასთან შესაბრძოლებლად მდინარის გადასალახავად ემზადებოდა, ლორდ-პროტექტორმა ასეთი სიტყვებით მიმართა თავის ჯარისკაცებს: „ღვთის შემწეობის იმედს ნუ დაკარგავთ, მაგრამ მდინარის გადალახვისას ეცადეთ, დენთი მშრალად შეინახოთ.“

25. ბეთჰოვენმა უვერტიურაში „ლეონორა № 3“ პირველად გამოიყენა საყვირი. ეს ინსტრუმენტი კულისებიდან აღერდა. ერთხელ თეატრში მომუშავე მეხანძრემ, რომელმაც ჩათვალა, რომ ვიღაც ხულიგანს კონცერტის ჩაშლა სურდა, მუსიკოსს ხელიდან გამოჰკლიოდა ინსტრუმენტი, რის გამოც კონცერტი მართლაც ჩაიშალა.





### მარი ჯაფარიძე

— ჩემი გვარის წარმოშობა მეჭურჭლეობასთან არის დაკავშირებული და ეს ხელობა თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ეს არის უძველესი ტრადიცია, მაგრამ ახლა ორი ადამიანი მივლევთ ამ საქმეს. ის ჭურჭელს აკეთებს, — მე — თონეს. 15 წლისას უკვე შემეძლო თონის გაკეთება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩემი ნახელავი თონე გაიყიდებოდა და ორი შაური გამიჩნდებოდა ხოლმე. ამან წამათამაშა, უკვე საფუძვლიანად მოვიცილე ხელი ამ საქმეს და დღემდეც ამით ვჭამ პურს.

### — როგორია თონის დამზადების ტექნოლოგია?

— თინა სპეციალური ადგილიდან მომაქვს. შემდეგ ვზელ, თონის ქვედა ნაწილის ამოსაყვანად თინაში ნამჯას ვურევ, რომ არ დაიზაროს. შემდეგ ვაკეთებ დაახლოებით ერთი მეტრის სიგრძის, მილივით ნამზადს, ოღონდ შუაში ხვრელი არა აქვს. ვიწყებ თონის კედლის ამოყვანას. ამ დამრგვალებულ ნამზადს ვღებ მიწაზე. წრეს ვკრავ, ზემოდან მეორე რიგს ვღებ და მოხრილი საჩვენებელი თითით ორ ფენას ერთმანეთთან ვაერთებ, თითქოს ვლეკავ. მერე ისევ ვამატებ ფენას და ვლეკავ. ასე ამოყავს საჭირო სიმაღლის თონე. თავდაპირველად, თონე მრგვალია, მთლიანი; ცოტა რომ შეშრება, მერე შუაზე ვჭრი და ვიღებ ნახევარცილინდრის ფორმის ორ ნაწილს. შემდეგ საჭიროა, თონის ქურაში გამოწვა. ამისათვის ერთი ღამის განმავლობაში ნელ ცეცხლზე უნდა გააჩერო, რომ თონე სითბოში იყოს და არა სიცხეში. დილით ვიწყებ ცეცხლის გაღვივებას და მთელი დღის განმავლობაში, ძლიერ ცეცხლზე გამოვწვავ. ერთი დღე განელვებს სჭირდება, რომ გამოძვარი თონის ნაწილები გადმოვიღო. სულ ეს არის.

— ამჟამად თონეს ბევრი კლიენტი ჰყავს?

ჩვენს დროში ბევრი ძველი და საჭირო პროფესია დაიწყებას მიეცა. მაგალითად, ნალბანდი ვულკანიზატორით შეიცვალა, მჭედელი — მეტალურგით. ერთ-ერთი ასეთი პროფესია გახლავთ მეთონეობა. საქართველოში სულ თითზე ჩამოსათვლელი არიან ის ადამიანები, რომლებიც მამაპაპისგან ნასწავლ ამ ხელობას მისდევენ. სიღნაღის რაიონში, სოფელ ბოდბისხევში ცხოვრობს არსიან მიძურაძე, რომელიც დღესაც თონებს აკეთებს და გული სწყდება, რომ ცოტა ხანში მისი ნახელავი აღარავის დასჭირდება.

## ბოდბისხევში მეჭურჭლეობის

### შრომელმა მეჭურჭლეობას გაანახლებს

— კი, კლიენტი ბევრია. თბილისში პურის საცხობების უმეტესი ნაწილი ჩემ მიერ დამზადებულ თონეებში აცხობს პურს. ზოგი წინასწარ მიკვთს საჭირო ზომის თონეს და მეც ვამზადებ.

### — მოსწავლე თუ გყავთ?

— არა, სამწუხაროდ, არავის უნდა ხელობის შესწავლა. „ბირჟაზე“ დგომა და დომინოს თამაში ურჩევნიათ, მაგრამ ვერც გაამტყუნებ: ჩემზე უკეთ ცხოვრობენ და რატომ შეიწუხებენ თავს მიწის ზელით?.. ერთი მოსწავლე მყავდა, მაგრამ ძალიერ გაემქცა. თბილისის ერთ-ერთი კოლეჯიდან მივიღე მოწვევა, რომ ბავშვებისთვის ხელობა შესწავლებინა. კარგი წამოწყება იყო, მაგრამ აბა, თბილისში როგორ წავიდოდი საცხოვრებლად?.. ხელობას ხომ ვერ მივატოვებდი?!

### — ჭურჭელს არ ამზადებთ?

— ჭურჭლის გაკეთებას ძალზე ბევრი წვალეა სჭირდება. 10 დღე უნდა გაყიდო, რომ ერთი თონის საფასური ამოიღო. მასსოვს, როცა ხელობას ვსწავლობდი, ჩემი მასწავლებელი ჭურჭელსაც აკეთებდა ხოლმე და ნახევარზე მეტი უკან მოჰქონდა — წყალი გასდინა. თონეს ერთ საათში ვაკეთებ, პაწაწინა დოქს კი ძალზე ბევრი წვალეა სჭირდება. ჯერ დაზგა უნდა ატრიალო,

ამოიყვანო, მერე გააშრო, მერე ყური გაუკეთო. თონეს კი უცებ გავაკეთებ, წავალ და დავიძინებ...

### — ჭურჭელს იმერეთშიც ამზადებენ, კერძოდ — შრომაში. რომელი თინა ჯობს, კახური თუ იმერული?

— იქაური თინა კარგია კეცის გასაკეთებლად, რადგან ძლიერ ცეცხლს უძლებს და არ იზარება. მასსოვს, ერთხელ, დასავლეთში მიქონდა თონე კლიენტთან. უკან დაბრუნებისას, შრომაში ვთხოვე, ერთი ვედრო თინა გამატანეთ-მეთქი. ვიფიქრე, რამდენიმე კეცს გავაკეთებ და ოჯახში გამოვიყენებ-მეთქი. ფული მომთხოვეს: თუ გინდა, მოგყიდი. ხელი ჩავიქნიე და წამოვედი. ერთი ვედრო თინა რაღაა და იმის გაყიდვა?.. ჩემთან რომ მოვიდნენ, რამდენის წაღებასაც შეძლებენ, იმდენს გავატან საჩუქრად.

### — თინაზე მუშაობა წლის ნებისმიერ დროს შეიძლება?

— ზამთარში თინა იყინება და მისი დამუშავება ძნელია. თუ განსაკუთრებული პირობები, სითბო და სინათლე გაქვს, მაშინ არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს თინაზე მუშაობა, მაგრამ რადგან მე ასეთი პირობები არა მაქვს, ახლა უნდა დავამზადო, ზამთარში კი გამოვწვავ და გავყიდი...



ვერც გაამტყუნებ: ჩემზე უკეთ ცხოვრობენ და რატომ შეიწუხებენ თავს მიწის ზელით?..

# „დავაქოჩინეთ, შა-აშ!..“

## ჟურნალის ფურცლებზე ნაკოვნი 13 წლის წინ მიძინებული სიყვარული

### მარი ჯაფარიძე

ამ ამბის თხრობას იმ მესიჯით დავიწყებ, რომელიც ჩემს მობილურზე 20 ოქტომბერს, დილის 7-ის ნახევარზე მოვიდა: „დილა მშვიდობისა, მარი. როგორ ხარ? გახსოვარ? ვიცი, რომ ძალზე ადრინანი დილაა, მაგრამ მე იმის მიზეზი და უფლება მაქვს, რომ ასე ადრე შეგაწუხო. შენი მადლიერი ვარ. დიდი სიხარული და ბედნიერება მომანიჭე. ვიპოვე ჩემი სიყვარული და ოცნება. არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადო შენ, „გზავნილებს“ და „გზას“.

გზააბნეული ვიყავი და კურსი მიჩვენეთ, ოცნება რეალობად მიქცეით. ჩემი გული გლოცავს, მეორედ დავიბადე. ჩემი სიყვარული ვიპოვე... უფრო სწორად, მაპოვნინეთ... კვირას, 24 ოქტომბერს, წინანდალში ჯვარს ვიწვრთ. გუშინ დაენიშნე ჩემი ნატო. მარი, სრული უფლება გაქვს, ამ ღონისძიებას დაესწრო. ზვიად ქათამაძე, ბათუმი“.

ყველაფერი კი, ერთი წლის წინ, უფრო სწორად – 13 წლის წინ დაიწყო. მაგრამ ჯერ იმის შესახებ ვამცნობთ, თუ რა მოხდა შარშან შემოდგომაზე: ზვიად ქათამაძისგან მივიღე მესიჯი, სადაც „გზავნილების“ შესახებ რაღაცის დაზუსტება მთხოვა – ისევე, როგორც ამას ბევრი ჩვენი მკითხველი აკეთებს ხოლმე. პასუხი გაუუვზავნე. კვლავ მივიღე მესიჯი, სადაც აღფრთოვანებული ზვიადი მწერდა: „არ ძჯეროდა, რომ გამოქვეყნებული ტელეფონის ნომერი მართლა არსებობდა და ახლა დავრწმუნდი, რომ მარი ჯაფარიძე ნამდვილად არსებობს“. ამის შემდეგ, ზვიადი თითქმის ყოველდღე მიმესიჯებდა, ბოლოს, როგორც იქნა, თავისი გულისნადები გამიმხილა და მიაგმო, რომ წლების წინ, ერთი გოგონა უყვარდა, მის შესახებ კი კარგა ხანია, აღარაფერი სმენოდა. ისიც კი არ იცოდა, ისევ გასათხოვარი იყო თუ არა და რჩევა მკითხა – რა ვქნა? ვურჩიე, „გზავნილებში“ გამოაქვეყნოთ, რომ ექვს; იქნებ, წაიკითხოს და გამოგეხმაუროს-მეთქი. ჰოდა, „გზის“ ერთ-ერთ ნომერში, (2003 წ. №41) გამოქვეყნდა ასეთი მესიჯი: „ვსწავლობდი თელავში. წინანდელი გოგო მიყვარდა – ნატო, მეტსახელად „კარტოფილის ჭიას“ ეძახდნენ. გამოძეხ-

მაუროს თქვენი საშუალებით, ზვიადი. ბათუმი“.

რამდენიმე დღის შემდეგ, ქალბატონი შემეხმინა და მაცნობა: ევ „კარტოფილის ჭია“ ჩემი დისშვილია და ისევ გასათხოვარია. იქნებ, ზვიადის ტელეფონის ნომერი მომცეთო. ბუნებრივია, ნომერი ჩავაწერინე, ზვიადთან კი მესიჯი „ვაფურინე“ – გასათხოვარი ყოფილა შენი ნატო და სულ მალე დაგიკავშირდებიან-მეთქი. ჰოდა, სწორედ ზვიად ქათამაძისა და ნატო ბატიაშვილის ქორწილში გახლდით გასულ კვირას. როგორ განვითარდა მოვლენები ამის შემდეგ და რა მოხდა 13 წლის წინ, ამის შესახებ პატარძალი გვიამბობს:

– ზვიადი ბათუმელია, მაგრამ რატომღაც თელავში, სამხედრო-საინჟინრო ფაკულტეტზე სწავლობდა. მე მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი. ჩემს მეგობარ გოგონებს მისი ტელეფონის ნომერი ჰქონდათ და საღამოობით ურეკავდნენ ხოლმე, თუმცა, გარეგნულად არც ისინი და არც მე არ ვიცნობდით. მისი ტელეფონის ნომერი მეც მომცეს. დავურეკე. ზვიადს ჩემი ხმა მოეწონა და ამის შემდეგ, ჩემ გარდა აღარავის ელაპარაკებოდა ხოლმე. შუაღამემდე, საათობით ვსაუბრობდით ტელეფონით. 2 წელი ისე გავიდა, რომ ერთმანეთი არ გვეხანა. ზვიადი უკვე მეზუთე კურსზე იყო, მეც სკოლა დავამთავრე და ერთ დღესაც შეხვედრაზე შევთანხმდით. ისე მოხდა, რომ იმ დღეს, ბებიანემი შეუძლოდ შეიქნა და სასწრაფოდ წინანდლიდან თელავის საავადმყოფოში წავიყვანეთ. შეხვედრა იმდენი იყო, რადგან ბებიას ვეღვეი თავზე. ავადმყოფმა ცოტა რომ მიიხედა, მისაღებში ჩავიღო და ზვიადს დავურეკე: ასეთი ამბავი მოხდა და ვერ შეგხვდები, არ იფიქრო, თავს გარიდებ და გეძალეები-მეთქი. რომ გაიგო, თელავში ვიყავი, 10 წუთში საავადმყოფოში გაჩნდა. ყვაილები მომართვა და სულ რამდენიმე წუთით გავესაუბრეთ ერთმანეთს. ის მაშინ 27 წლის იყო, ოჯახის შექმნაზე ფიქრობდა. შემდეგ, დამირეკა და მითხრა – ძალიან მომიწონე, ცოლად გამომიყვით. რა თქმა უნდა,



ნატო ბატიაშვილი და ზვიად ქათამაძე

მოსაფიქრებლად დრო მჭირდებოდა. ავწონ-დავწონე და უარი ვუთხარა.

— რატომ, რა მიზეზით უთხარი უარი?

– ჯერ ერთი, ის ბათუმელია, მე – კახელი და ასე შორს გათხოვება არ მინდოდა. ამის წინააღმდეგი იყვნენ ჩემი მშობლებიც. თანაც რომ შეგხვდი, თითქოს არ მომეწონა. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ზვიადს უკვე ისე ხშირად აღარ ველაპარაკებოდი და ისე წავიდა ბათუმში, რომ აღარც შეგხვედრივარ. ზვიადს უკვე დიპლომი აღებული ჰქონდა, ბათუმში მუშაობა დაუწყია და კახეთისკენ აღარც გამოუხედავს. მხოლოდ ხანდახან, თელავში, მეგობარს სტუმრობდა, მაგრამ მე მის შესახებ აღარაფერი გამიგონია.

— ახლა, როდესაც დეიდამ შეგატყობინა, რომ ზვიადი გეძებდა, მაშინვე მიხვდი, ვისზე იყო საუბარი?

– რა თქმა უნდა. ბათუმში მის გარდა არც არავის ვიცნობ. სტუმრად ვიყავი წასული მეგობართან. შინ რომ დავბრუნდი, დეიდა დამახვედრა ურუნალი „გზა“ და მითხრა, წაიკითხეო...

საუბარში ნატოს მეგობარი და მე-ჯვარე ჩავკვრითო.

– დეიდამისმა ჩემს მობილურზე დარეკა და გვითხრა – „გზა“ იყიდეთ და „გზავნილები“ წაიკითხეთო. ლამის გავგიჟდით, ზვიადის მესიჯი რომ ვნახეთ. შინ დაბრუნებულ ნატოს მესიჯი წავაკითხეთ, მაგრამ შევატყვევით, რომ დიდად არ აღფრთოვანებულა. კარგა ხნის განმავლობაში ვეხვეწებოდით, რომ ზვიადისთვის დაერეკა, მაგრამ ვერ და-

# ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილები, შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდებით პასუხის გაცემა...

## 1. მსუბუქი ავტომანქანა-გიდან, „საუკუნის მანქანად“ რუსეთში აღიარა:



- ა) „ზაპოროჟეცი“;
- ბ) „ვაზ-2101“;
- გ) „ვაზ-21“.

## 2. რას ნიშნავს ლათინური სიტყვა „ცინტარა“?



- ა) წვიმის წყლის რეზერვუარს;
- ბ) ღანძრულ სივრცეს;
- გ) წყაროს წყლის ავზს.

## 3. იაპონელი მწერალი აკუტაგავა რიუნოსკი ამოკვდა: „აღამიანის ცხოვრება ასანთის კოლოფს ჰგავს. მასთან სერიოზული მოყვარობა... არასერიოზული კი, სასიფათოა“. რომელია გამომთვავალი სიტყვა?



- ა) შეუძლებელია;
- ბ) საზიანოა;
- გ) სასაცილოა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

როგორც ამბობენ, ამ ხეივანში რომ გაივლი და სურვილს ჩაუთქვამ, აუცილებლად აგისრულდება



ითანხმეთ. ავდექი და ნატოს არც გავაგებინე ისე დავუძეხივე ზვიადს. ნატოს მეგობარი ვარ, ის ისევე გასათხოვარია და არ გამამხილო, მე რომ დაგიძეხივე-მეთქი, — მივწერე. შემდეგ ზვიადმა დარეკა და მათ შორის სატელეფონო საუბარი შედგა. თავიდან ნატო ძალზე გულგრილი იყო. ამ ზაფხულს ერთი თვით დასასვენებლად წავიდი და რომ დავბრუნდი, გაოცებული დავრჩი: ნატო ისეთი შეგვარებული დამხვდა, ერთ ვერ აღვწერ. ყოველდღე ურეკავდა ზვიადი და ეუბნებოდა — ჩამოვალ და დავნიშნავო...

### ნატო:

— მე ვეუბნებოდი: ჩემ გამო ნუ ჩამოხვალ, კახეთში საქმის გამო თუ მოხვდები, შემატყობინე და შეგხვდები-მეთქი. ჰოდა, ზუსტად ერთი კვირის წინ ჩამოვიდა. თუმცა, წინასწარ ვეუბნებოდი — არ გეგონოს, ერთი ნახვით დაგთანხმდები ცოლად გაყოლაზე-მეთქი, მაგრამ წინა კვირას, ვნახე თუ არა, მაშინვე თანხმობა მივეცი. მეორე დღეს მეგობართან დამაბრუნებინა სტუმრად და საქორწინო რგოლიც მომაზომა. სამშაბათს კი, ჩემს ოჯახში

მოვიდა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ მისი ცოლი გავხდებოდი. ეს ძალზე მოულოდნელი იყო ყველასთვის და ახლაც ვერ მოვსულვარ გონზე... ასე მგონია, ეს ყველაფერი ლამაზ სიზმარში ხდება.

სულაც არ დასიზმრებია ნატოს თავისი ქორწილი. სიძე-პატარძალმა წინანდლის პატარა ეკლესიაში ჯვარი დაიწერა, შემდეგ, ბათუმელ სტუმრებთან ერთად, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს ესტუმრა. სიყვარულის ხეივანში გაიარა (როგორც ამბობენ, ამ ხეივანში რომ გაივლი და სურვილს ჩაუთქვამ, აუცილებლად აგისრულდება). სუფრასთან კი კახური „მრავალჯამიერი“ და „აჭარული“ ენაცვლებოდა ერთმანეთს. მე კი, სიძის ბრძანებით, სუფრის თავში ვიჯექი და ბედნიერი წყვილის ყურებით ვტკებოდი...

გამომშვიდობებისას, ზვიადმა მითხრა: „მარი, რა მეშველებოდა, შენ და „გზა“ რომ არ ყოფილიყავით?.. დღეს ასეთი ბედნიერი არ ვიქნებოდი. ძალზე მშველოდა შენი მესიჯები, დროდადრო რომ მიგზავნიდი და მეუბნებოდი — არ დაკარგო, ბიჭო, სიყვარული, რადგან იპოვე, ხელი მაგრად ჩასჭიდო...“

P.S. ჯვრისწერა რომ დამთავრდა და ტაძრიდან გამოვედი, ჩემს მობილურზე ასეთი მესიჯი მოვიდა: „გამარჯობა, მარი. როგორ ხარ, ჩემო კარგო? გახსოვს, რომ მოგწერე — სექტემბერში გიოს ვხვდები-მეთქი?.. ყველაფერი კარგად აქვს. მშობლებმა გამიგეს. გიოს მშობლებმაც ყველაფერი იციან და ვფიქრობ, მე და გიო საშუალოდ ერთად ვიქნებით. დიდი მადლობა! ეს თქვენი დამსახურებაა. როცა დაეკორწინდებით, აუცილებლად დაგპატიჟებთ. გოცინი. ნინო“. დამეთანხმებით, მართლაც საოცარი დამთხვევაა... ზვიადს და ნატოს ბედნიერებასა და ულევ სიყვარულს ვუსურვებთ, მათთან ერთად კი ყველა ჩვენს მკითხველს, მით უმეტეს, მათ, ვინც „გზავნილებს“ განსაკუთრებული გულისფანცქალით ელოდება...

სუფრასთან კახური „მრავალჯამიერი“ და „აჭარული“ ენაცვლებოდა ერთმანეთს. მე კი, სიძის ბრძანებით, სუფრის თავში ვიჯექი და ბედნიერი წყვილის ყურებით ვტკებოდი...



# ასჯერ გავზომე, ერთხელ გავჭირი



**„დედა მართო მზრდიდა და მის რჩევას ანგარიში გავუწიე. ამიტომ უსიყვარულოდ გავთხოვდი...“**

როგორც ჩანს, რაც დრო გადის, მით უფრო ვერ ერგება ჩვენი ბრძენი წინაპრების გამონათქვამები დღევანდელ რეალობას. ასჯერ გავზომე, ერთხელ გავჭირი, — გვასწავლის ძველი სიბრძნე, მაგრამ ჩვენი მკითხველები გვეუბნებიან — ვიდრე ჩვენ ასჯერ გავზომავთ ან სხვა გვასწარებს „გაჭრას“, ან „გასაჭრელი“ უკვე აღარააფერიაო... როგორც ჩანს, დროის დინამიკურობამ ყველაფერს დაატყო ხელი და თუ წინათ ასჯერ უნდა გავზომავ, ახლა ერთხელ, ჰა-ჰა, ორჯერ გავზომავ თუ არა, უცებ უნდა გაჭრა, რომ სხვამ არ დაგასწროს... ძველ ფრანგულ ანდაზას თუ დავუჯერებთ, ქერტლის მოცილების საუკეთესო საშუალება, გილიოტინაა, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რომ ამას უკვე საუცხოოდ უმკლავდება ზოგიერთი შამპუნ?! მაშ, ბოლოს და ბოლოს, რა ექნათ — დავუჯეროთ თუ არა ბრძენ წინაპრებს?... ვცადოთ, იქნებ ამის გარკვევაში ჩვენი მკითხველებს მის შესწავლა დაგვეხმაროს...

ქალბატონი მერი ირწმუნება, რომ ასჯერ გავზომავ, ერთხელ გაჭრა, მაგრამ მაინც, კარგად მომზადებული აფერის მსხვერპლი გახდა.

## მარი ჯაფარიძე

### „გიჟად ნუ ჩამთვლით...“

„გავზომე ბატონო, ასჯერ და ათასჯერ გავზომე, მაგრამ რად გინდა? ისეთი რამ დამემართა, ვფიქრობ, გაუზომავად გაჭრა სჯობდა. ყველაფერი კი, ასე მოხდა: გასული საუკუნის 80-იან წლებში, საქართველოში სიტუაცია რომ აირია, სულ 18 წლის ვიყავი. მამაჩემს ოჯახის რჩენა გაუჭირდა, ამიტომ საცხოვრებლად მოსკოვში გადავედი. იქ ვისწავლე, დავამთავრე იურიდიული ფაკულტეტი და ერთ-ერთ ბანკში, იურისტად მუშაობა დავიწყე. 22 წლიდან დამოუკიდებლად ვცხოვრობდი, რადგან ჩემი მშობლები თბილისში დაბრუნდნენ, მე კი მოსკოვში დავრჩი. თვალი დამაღვა ჩემი ბანკის მმართველმა. მართალია, ძალზე მდიდარი იყო ალექსეი, მაგრამ მაშინ ის 50 წლის გახლდათ, მე კი — 23-ის. გარეგნობით საკმაოდ სიმპათიური კაცი იყო, ამიტომ მის ასაკზე თვალი დავხუჭე და საყვარლობაზე დავთანხმდი. რომ გაიგო, ქალწული ვიყავი, სულ გადაირია, გვერდიდან აღარ მიშორებდა და ვგრძნობდი, რომ უზომოდ ვუყვარდი. 10 წელი ასე ვიცხოვ-

რეთ. ბინაც მიყიდა მოსკოვის ცენტრში და ფუფუნებაშიც მაცხოვრებდა. შემდეგ, ცოლს გაეყარა და დაქორწინდით. ვიდრე ცოლ-ქმარი გავხდებოდით, შვილი არ გავაჩინე, მეუღლე უკვე — აღარ მიჩნდებოდა. გადიოდა წლები. ალექსეი ნელ-ნელა მოტყდა, თავისი მამაკაციური ფუნქციაც დაკარგა, მაგრამ მისგან წასვლა არც მიფიქრია, რადგან ვერ ვივიწყებდი მის ამავსა და სიყვარულს. ჰო, იმის თქმა დამავიწყდა, რომ 60 წლის რომ შესრულდა, ბანკის მმართველობა მე გადმომაბარა, თვითონ კი პენსიაში გავიდა. ვიყავი მდიდარი, კარგი გარეგნობისა და ძალაუფლების მქონე ქალი. ბევრი მამაკაცი ცდილობდა ჩემს ხელში ჩაგდებას, მაგრამ ახლოს არავის ვიკარებდი. ალექსეი სულ ჩემთან ერთად დამყავდა — სამსახურში, წვეულებაზე, კინოში და ყველგან. ერთი საათითაც არ ვშორდებოდი და არც ეჭვიანობის მიზეზი ჰქონდა. ამიტომ, როდესაც მარშან ვთხოვე — 2-3 თვით თბილისში წავალ-მეთქი, უარი არ უთქვამს. ბანკის საქმე დროებით მას ჩავაბარე და მშობლებთან ჩამოვედი. შემთხვევით გავიცანი ლექსო. ესეც ბედის ირონიაა, რომ ალექსეის სეხნია იყო. ძალზე ლამაზი მამაკაცი გახლდათ. პირველად რომ ვნახე, წელს ზემოთ შიშველი იყო. ისეთი დაკუნთული სხეული ჰქონდა, ჩემს 65 წლის ალექსეის რომ შევადარე, ისეთი სხვაობა დავინახე, როგორც დღესა და ღამეს შორისაა. პირველი დანახვისთანავე მისი მოფერების სურვილი გამიჩნდა. დღედაღამ თავბრუსხვეული დავდიოდი, ლექსოს გარდა აღა-

რაფერი მახსოვდა. შეხვედრა რომ მოხდა, 15 წლის გოგოსავით ავცანცარდი, ისე გამიხარდა. შეხვედი, მეორედაც შეხვედი. მესამე შეხვედრა კი ვნებიანი ღამით დამთავრდა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გიჟებივით ვეფერებოდით ერთმანეთს. ეს სულ სხვა რამ იყო. ალექსეისთან ასეთი არაფერი განმიცდია. მოკლედ, სექსუალურ „მანიაკად“ გადავიქციე. ხანდახან დღეში 3-4-ჯერ ვურეკავდი ლექსოს და შეხვედრას ვთხოვდი... მოსკოვში რომ მივედიოდი, მისი დათმობა არ მსურდა. ამიტომ ვთხოვე, საცხოვრებლად გადმოსულიყო. დამთანხმდა. ბინა ვუქირავე და ჩემთან ახლოს გადავიყვანე საცხოვრებლად. უმუშევარი იყო და ბუნებრივია, ფულს მე ვაძლევდი. ყველაფრით ვანებივრებდი. ერთ დღეს, მასთან რომ მივედი, მითხრა — ქალაქში ვიყავი გასული და ჩემი ბავშვობის მეგობარი გოგო შემხვდა; ჩათვალე, რომ ჩემი დაიკოა, აუცილებლად უნდა გაგაცნო, იმეგობრეთ, მინდა, რომ ერთმანეთი თქვენც დღეებით შეიყვაროთო. ეჭვიც არ შემპარვია მისი სიტყვების სიმართლეში. მართლაც, არაჩვეულებრივი გოგონა გამაცნო. დავმეგობრდით. მე თვითონ ვეპატიუებოდი ხოლმე ჩვენთან სტუმრად. ის კი არა და, ალექსეიც კი გავაცანი, ჩემთან შინ მიმყავდა ხოლმე. ერთხელ ლექსო თბილისში ჩამოვიდა რამდენიმე ხნით. შემდეგ დამირეკა და მითხრა — პოლიციამ დამაკავა, რაღაც საქმეს „მტენიან“ და რომ არ მომისაჯონ, 20 ათასი დოლარი მჭირდებაო. მაშინვე წინ მოვძებნე (ლექსოს მეგობარი) და ვთხოვე, თბილისში წაღ-

და ფული წაუღე-მეთქი. უარი არ უთქვამს. იმ დღის შემდეგ, ერთიც დაიკარგა და მეორეც... ახლა თბილისში გახლავართ, ლექსოს მოსაძებნად ჩამოვედი, მის მშობლებს მივაკვლიე და ისეთი რამ გავიგე, რომ შოკირებული დავრჩი: თურმე, ლექსო და ნინო ცოლ-ქმარი ყოფილან და ორი შვილიც ჰყლიათ. ჩემი ფულით შვილებს ინახავდნენ; მე რომ შინ დამიგულელებდნენ, ისინი ჩემს ნაქირავებ ბინაში განცხრობას ეძლეოდნენ. ახლა კი შვილებთან ერთად უცხოეთში წასულან. სამინელ დღეში ვარ. ჩემს თავს ვერ ვპატიობ, ასე რომ გამაცურეს. ასჯერ გავზომე, რომ ლექსოსთან ურთიერთობაზე გადაწყვეტილება მიმეღო, გავკერი და... თურმე, არასწორად. „გზა“ შემთხვევით ჩამივარდა ხელში და გადავწყვიტე, მომეწერა. რამდენიმე დღეში, ჩემს ალექსეისთან დავბრუნდები. შესაძლოა, გიჟად ჩამივალთ, მაგრამ ლექსო უზომოდ მიყვარს და მის დავიწყებას ვერასოდეს შევძლებ. პატივისცემით, მერი“.

შემდეგი რესპონდენტი შუახნის მამაკაცია, მაგრამ მისთვის სკლეროზი, ვფიქრობ, ჯერ ნაადრევია. მაგრამ ასჯერ რომ გავზომა და ერთხელ ვაჭრა, მიხვდა, რომ ის, რაც მას სჭირდა, სკლეროზი კი არა — „შტეროზი“ იყო... ასე თავად ამბობს და საინტერესო ამბავსაც გვიყვება, მაგრამ ვიდრე მის ნაამბობს ვაღმოვცემდეთ, ერთ ანეკდოტს მოგიყვებით: მამაკაცი საკონდოტროში შედის და კითხულობს: — უკაცრავად, სკლეროზი გაქვთ? — ასეთი რამ არც გამოვიდა, — პასუხობს გამყიდველი. — როგორ? სკლეროზი თქვენთან არ იყიდება? — არა! გაკვირვებული მამაკაცი მაღაზიიდან გამოდის, მხრებს იჩეჩს და თავისთვის ბუბბუბტებს — ვა, „ნეუჟელი“ ეკლერი მაქვს?..

ახლა კი ვნახით, როგორი „ეკლერი“ აქვს ბატონ ვანოს. მოქმედება კახეთში ხდება:

**„მე მაგათი დედაც...“**

„იგეთი ფაშფაშა დედაკაცი მყავს, რომ ერთ სკამზე ვერ ეტევა. მთელი დღე ბაზარში ზის და პროდუქტს ყიდის — ხან პამიდორს, ხან კიტრს, ხან ხილს... ამით ინახავს ოჯახს. მეც ხშირად მივდივარ მასთან და ბაზრის „ბირჟაზე“ ბიჭებთან ვლაპარაკობ ხოლმე. ჩემს დედაკაცს ფული სულ აქვს, მაგრამ მიმაღავს ხოლმე და თუ ხასიათზე არ არის, არ მამღევს. ერთხელ, ვიდრე ბაზარში წავიდოდა, ვთხოვე, 10 ლარი მომეცე-მეთქი. უარი რომ მითხრა, ვინახებო. კარი გაიჯახუნა და წავიდა. გადავწყვიტე, დამალული ფული მომეძებნა. კარადების უჯრები, კომოდი და ყველა კუთხე-კუნჭული გადავქექე, მაგრამ ვერაფერს მივაგე-

ნი. ბოლოს, ლოგინს მივაღდექი, იატაკზე გადმოვყარე და დავიწყე საითათოდ დალაგება. ბალიში რომ გავსინჯე, ხელში რაღაც მომხვდა. კარგად მოვძებნე და ბალიშის პირის ქვეშ რაღაცას მივაგე, მაგრამ ეს ფული კი არა, ფოტოსურათი აღმოჩნდა. იქიდან კი ახალგაზრდა, ქოჩირანი მამაკაცი მიმზერდა. გადავისვი მელოტ თავზე ხელი და — მდაა-მეთქი, — ვთქვი. ცოლი რომ დაბრუნდა, ვკითხე — ეს ახალგაზრდა ყმაწვილი ვინ არის-მეთქი? — არც დავიქრებულა, ისე მომიგო, — ვინ და შენ! რა, შენ თავს ვეღარ ცნობ? აი, ასეთი ლამაზი იყავი ახალგაზრდობაში, ახლა კი რას ჰკვავხარო!.. სურათი შევიხანხე და დავფიქრდი — ნუთუ, მართლა ასეთი სიმპათიური ვიყავი-მეთქი? გულის სიღრმეში მესიაძუნა, მაგრამ ვჯვმა არ მომასვენა. მეორე დღეს, შინ მარტო რომ დავრჩი, სურათი ხან თვალებთან ახლოს მივიტანე, ხან შორს გავწიე, ხან სარკეში ჩავიხედე და სურათს დავაკვირდი, მაგრამ მსგავსება ვერ ვიპოვე. ასჯერ გავზომე და ვიფიქრე, ან სკლეროზი მაქვს, ან „შტეროზი“—მეთქი და გადავწყვიტე, ერთხელ გამეჭრა. ავდექი და სურათიანად დედაჩემს მივაღდექი — ქალო, აბა, აქმ სურათ დააკვირდი, გახსოვს, ეგეთი როდის ვიყავი-მეთქი? იმანაც ხან სათვალთ, ხან უსათვალოდ შეხედა და თქვა — ესა, კაცო, მახარე ბიჭ, გოგიტასა ჰკავსო. კარგად რომ დავაკვირდი, მეც მივამსგავსე. ავდექი და პირდაპირ სახლში მივაღდექი. სურათი რომ დაინახა, დაიბნა: ჩემი სურათი საიდან გაქვსო? — მკითხა. ერთი მუშტი „დავაჯახე“ ცხვირში და წამოვედი. იმ საღამოს ცოლიც გავაგდე შინიდან. ახლა ერთად ცხოვრობენ, მე მაგათი დედაც... შენა ხარო, კაცო, როგორ მამატყუა?!“

შეყვარებულ ადამიანს მიაჩნია, რომ ყველაზარი დანაშაული ეპატიება, რომელსაც სიყვარულისთვის ჩაიდენს, ფიქრობს, რომ სიყვარული ბრმა და საზღვრები არა აქვს. რა ქნას გოგონამ, თუ ცოლა „შავტუხა“ და თმხუჭუჭა ბიჭი შეუყვარდა?

**„ყველა თეთრ ხაცს მირჩევნია ჩემი შავი ქმარი...“**

„23 წლის გოგო ვარ, დღისერთა. შარშანწინ გერმანიაში გავემზავრე სამუშაოდ და სასწავლებლად. ძალზე კარგ ოჯახში მოვხვდი. თითქმის ჩემი კბილა ცოლ-ქმარი ცალკე ცხოვრობდა და მათ ერთი წლის ბავშვს ვუვლიდი. ძალზე მდიდარი ოჯახი იყო. ისეთი სახლი ჰქონდათ, რომლის მსგავსი კინოშიც არ მინახავს. ისინი ჩემთან მეგობრობდნენ. მხოლოდ ძიძად კი არ მიმიღეს, ოჯახის

წევრად და ახლობელ ადამიანად მივლიდნენ. მათთან ხშირად იყრიდნენ თავს მეგობრები. ერთ-ერთ მათგანს ძალზე მოვეწონე. კარგი აღნაგობისა და ხასიათის მამაკაცი იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა — ზანგი იყო. თუმცა, სულ მალე, ისე შემეყვარა თავი, რომ უიძისოდ სიცოცხლე ვერ წარმომეღვინა. როდესაც ცოლობა მიხოვა, მართლა ასჯერ გავზომე. ვიფიქრე — ვუყვარვარ, ლამაზია, მდიდარია, მიყვარს... მეტი რა იყო საჭირო ოჯახის შესაქმნელად?... ჰოდა, „გავკვირე“ და თანხმობა განვუცხადე. ჩემს ოჯახს რომ შევატყობინე, გავთხოვი-მეთქი და ჩემი ქმრის ფოტო გამოვუგზავნე, თურმე დედაჩემი ცუდად გამხდარა და „სასწრაფო“ „სასწრაფოზე“ მოდიოდა ჩვენს სახლში. მერე ნელ-ნელა შეეგუვნენ. ახლა, უკვე 5 თვეა, თბილისში ვართ. თავს ძალზე ბედნიერად ვგრძნობ და ყველა თეთრ კაცს მირჩევნია ჩემი შავი ქმარი...“

დღღხანს ვიყოყმანე, შემდეგი მესიჯი გამომეკვებებინა თუ არა, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, ავტორის თხოვნა გამოვალისწინებინა და მისი ნაამბობი თქვენთვის გადმომეცა.

**„მამამთილი მავინროებდა...“**

„ოჯახი რომ შეექმენი, 17 წლის ვიყავი. დედა მარტო მზრდიდა და მის რჩევას ანგარიში გავუწიე. ამიტომ უსიყვარულოდ გავთხოვი. გარეგნობით თოჯინა „ბარბის“ მამსგავსეხდნენ. ოჯახმა თბილად მიმიღო. წლები გადიოდა, მაგრამ შვილი არ მიჩნდებოდა. მამამთილი კი, საყვედურების ნაცვლად, ისე თბილად მექცეოდა, რომ თავს უხერხულად ვგრძნობდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ქმარი ჯარში გაიწვიეს. მამამთილმა კი, ჩემთან დახლოება მოინდომა. მეუბნებოდა — გაგაბედნიერებ, შვილი გავაჩენინებ და გვარი არ გადამიშენდებო... გავიჟიდი, ეს რომ გავვიგონე, მაგრამ უარმა უფრო გააღიზიანა. თუ დამიმარტოხვლებდა, ცდილობდა, გავემიშვლებინე. ძალზე ვიტანჯებოდი, მაგრამ ჩემს გასაჭირს ვერავის ვუმხელდი... დროდადრო ქმარი მნახულობდა ხოლმე. დავფენხმძიძი და ბიჭი გავაჩინე. მამამთილი კი თავისას არ იშლიდა და სურდა, ერთხელ მინც მოვეხვლეთინე. მოთმინების ფილა ამევსო და ყველაფერი ქმარს მოვუყვიე. მეგონა, რამეს იღონებს, მეშველება-მეთქი, მაგრამ ჩემდა გასაოცრად მითხრა — რა კქნა, მამას როგორ ვეჩხუბო?... გავმრი. იქ ცხოვრებას, სიკვდილი მერჩია. ასჯერ გავზომე, სანამ ქმარს ამ ამბავს გავუზხელდი და გავტრით კი იმით გავკვირე, რომ ბავშვს ხელი მოვიკიდე და ოჯახის



დან წამოვედი. ღმერთო! ასეთ უნია-  
თობებს რად უნდათ ოჯახი და ცოლ-  
შვილი?... ადამიანს რომ თავმოყვარეობა  
არ გააჩნია, წლების მანძილზე რაღას  
ზომავე? - აიღე და პირდაპირ გაჭერი...  
27 წლის...“

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ თურ-  
მე, ასეთი ამბებიც ხდება... ახლა კი  
მოკლე მესიჯებს გავუცნოთ.

„ნეტავ, როდის გაიგებს?...“

„მაისის ბოლოს, დაქალთან ერთად  
ვსერირობდი. სივარეტის საძიებლად ქუჩის  
მეორე მხარეზე გადასვლას ვაპირებდით,  
როცა უშიშროების სამინისტროს ეზოდან,  
ჩქარი ნაბიჯებით ბიჭი გამოვიდა. რაღაც  
ძალად გამაჩერა. დავაკვირდი. ეს ნამდ-  
ვილი შოკი იყო: საოცრად ელეგანტურად  
„დაზმანული“, ქერა, ცისფერთვალება და  
სულის გამყინავად ცივი გამოხედვით...  
როცა მიუახლოვდი, შავი ჯიპი გაჩერ-  
და, სერიით QQQ. ეტყობოდა, რომ ძალიან  
ეჩქარებოდა. ვეღარ მოვითმინე და გიჟივით  
მივეჭერი. მანქანის კარი უკვე გამოლე-  
ბული ჰქონდა. მხარზე ხელით შევებე  
და როცა გამომხედა, გაუღიმე. თვითონ  
კი არც დაბნეულა, ცივად გამიღიმა და  
მკითხა - რაიმე პრობლემა ხომ არ  
გაქვსო? მე მობილურის ნომერი ვთხოვე,  
მაგრამ არ მომცა. მხოლოდ ის მითხრა,  
რომ ფოთელი იყო და გოგა ერქვა...  
მინდა ვუთხრა, რომ ღღემდე მესიზმრება  
და მუდამ მასზე ვფიქრობ. ვიდრე მო-  
გიახლოვდებოდი, ჩემო ფოთელი გოგა,  
ასჯერ გავზომე და ერთხელ გავჭერი.  
მგონი, არ გამიმართლა. სოფკა“.

„ასჯერ გავზომე და ერთხელ გავჭერ-  
იო?... არა, ბატონო! სანამ მე ვზომავედი,  
მგონი, სამუდამოდ დავკარგე... რის გა-  
ზომვა, რა გაზომვა, ხალხნო? მხოლოდ  
თქვენს გულისხმას მიჰყევით და ისე  
იცხოვრეთ!“

„ჩვენს მეგობარს თავისი „ტურფა“,  
შეცდომას არ პატიობს, რაც ყველას გვახ-  
არებს. თვალი გაახილე, ძმო, ეგ შენი  
შესაფერისი არ არის, ეგ მუდო, ეგა! რატი  
და ჯაბა. იმედი მაქვს, ვუშველით, სანამ  
უპატიებია...“

„ასჯერ გავზომე, მაგრამ რა ვქნა?...  
ვარ გეი და მყავს 4 საყვარელი. ვერ  
ვამბობ, ერთმანეთის შესახებ არაფერი  
იციან. რომ გაიგონ, დიდი ამბავი ატყფე-  
ბა. ოთხივე მდიდარია და ყველა მიყ-  
ვარს“.

„ღეღაჩემი მეუბნებოდა - ვიდრე  
მეგობარს შეარჩევ, ჯერ მისი ღირსე-  
ბები შეაფასეო. ასჯერ გავზომე, ერთხ-  
ელ გავჭერი და მაინც შევცდი. ისეთ  
ადამიანს დაუახლოვდი, რომ სამუდამო  
დაღი დაასვა ჩემს ცხოვრებას.“

ახლა ველარავის ვენდობი“.

„ასჯერ ვთქვი, როგორი ბიჭი უნდა  
მომწონებოდა: ყურადღებიანი, მოსიყ-  
ვარული, რომელმაც კარგად იცის ქა-  
ლის ფასი... მაგრამ ზუსტად ამის ან-  
ტიპოდი შემეყვარდა. რაღა გავჭრა ამის  
შემდეგ? ნანა“.

„ეპ, მარი, ასჯერ კი არა, ათასჯერ  
გავზომე და ასჯერ გავჭერი, მაგრამ  
უშედეგოდ. აღარც მასსოვს, პერამდენედ  
ვეუბნები - გიორგი, წადი და დამივიწ-  
ყე-შეთქი! ნეტავ, როდის გაიგებს?... ქეთი“.

„დიდხანს ვფიქრობდი ოჯახის შე-  
ქმნაზე. ასჯერაც გავზომე და ბოლოს,  
ერთხელ გავჭერი. მაგრამ ნეტავ, ის  
მაკრატელი ჟანგისანი ყოფილიყო! ახლა  
ასე ხომ არ ვინანებდი?!“

„თამუნა, ათასჯერ გავზომე და  
ერთხელ გავჭერი. მაგრამ მიყვარხარ.  
პუსკუნა“.

„ასჯერ გავზომე, ერთხელ გავჭერი  
და მივხვდი, რომ მიშკა ფ-ია ჩემი სიყ-  
ვარულის ღირსი არ ყოფილა. შენ  
ყველაზე ლამაზი, ბავშვობის 8 წელი  
წამართვი. „გამადლობ“. არც ისეთი  
ლამაზი და ძლიერი ყოფილხარ... მშ-  
ვილობით, ახლა უშენოდ ვარ ბედნიერი,  
სხვასთან“.

„ჩემი მეზობელი ირაკლი ცუდი ბი-  
ჭია. 15 წლის ბავშვს, თავი შემეყვარა  
27 წლის ბიჭმა, მერე მოულოდნელად  
„დამადო“ და ცოლი მოიყვანა. ჭკუიდან  
შევიშალე. მეგონა, მოგვედებოდი... ახლა  
სახლის კარს რომ გავაღებ და მის  
შვილს ვუყურებ, ბედნიერი ვარ, რომ ეს  
ყველაფერი ჩემთვის უკვე პრობლემა  
აღარ არის“.

„სვან დათოს მინდა ვუთხრა, რომ  
მიყვარს! ძალიან მოხდენია ევროპა.  
ცოლი რად არ მოგყავს, მე ხომ არ  
მეძებ? კარგად დამაკვირ-  
დი და შემნიშნავ. „მერ-  
სო“ რა უყავი?“

„არ გეგონოთ, ამ სი-  
ტყვების სისწორეში ეჭვი  
მეპარებოდეს, მაგრამ ერთს  
დავამატებდი: ზოგჯერ, სან-  
ამ ასჯერ გავზომავთ, მან-  
ამ არის გადაჭრილი... შე-  
მოთავაზებულმა თემამ წა-  
მიერად გადაამაფიქრებინა ის,  
რაზეც დღეში ასჯერ  
ვფიქრობდი. საქმე ეხება  
იმ ადამიანს, რომელსაც  
მართლა ვუყვარვარ. მს-  
გავსი სიყვარული წიგნებ-  
ში თუ წამიკითხავს მხ-  
ოლოდ. დიდსულოვანი და  
სამართლიანი ადამიანია,  
ხელი მთხოვა და პასუხ-  
საც მოთმინებით ელის. მე-

გონა, მეც მიყვარდა და მოულოდნელად  
გადავჭერი მწარედ. თუმცა, ჩვენი ბედი  
თავიდანვე გადაწყვეტილი იყო - ის  
ხომ საქართველოში მცხოვრები მუს-  
ლიმანია. ძალზე გამიჭირდება მისთვის  
უარის თქმა. მასავით იქნებ, ვერც ვერ-  
აინ შემეყვაროს, მაგრამ მიუხედავად  
სიყვარულისა, სხვა რჯულზე არასოდეს  
მოექცევა. მწარეა რეალობა“.

„მინდა ვითხრაოთ, რომ ასჯერაც გავ-  
ზომე, ათასჯერაც, ათი ათასჯერაც, მა-  
გრამ მაინც ვერ გავჭერი, ხალხო! წელი-  
წად-ნახევრის წინ დავკარგე ჩემი პირვე-  
ლი სიყვარული, მე კი დღესაც მიყ-  
ვარს... ჩემს თამთას, ჩემს ყველას და  
ყველაფერს მინდა პატიება ვთხოვო, რომ  
ჩემი უმწივობის გამო, ვერ დავიცავი. მიყ-  
ვარხარ, მაპატიე... მიშკა“.

„ლევან, ჩემო „ბომბორა“. დიდხანს  
ვფიქრობდი შენს წინადადებაზე... მზად  
ვარ, მთელი ცხოვრება შენ გვერდით ვიყო.  
გელი, ჩემო პოლიციელო ბიჭო“.

„სამინელ დღეში ვარ. ძალიან ვუყ-  
ვარვარ ერთ ყმაწვილს. მეც მიყვარს,  
მაგრამ ისეთი ჯიბეგაფხეკილია, სულ  
ფეხით დამატარებს და ჩაიხეც ვერ შე-  
პატივება. მე კი ასეთი ცხოვრება არ  
შემიძლია. არც ფიქრობს, რომ იმუშაოს.  
ასეთ კაცს ცოლად ვერ გავყვები, მყარ  
ოჯახს ვერ შევქმნიო“.

„ასჯერ გავზომე, ერთხელ გავჭერი  
და მაინც შევცდი. ვლდანელო დათო  
ქავ-ძე, შენივე ხერხებით ვიძიებ შენზე  
შურს. სოფო კ“.

„გზაპნილების“ მოძღვენო თემად ვთა-  
ვაზობთ: სახლის გატეხას თავის გატეხა  
სჯობიაო... გამოგზავნეთ მესიჯები ტე-  
ლეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გეპ-  
შვილობით მომავალ ხუთშაბათამდე.

სცომბსცოლოგიური კლინიკა

**ჩიქო-ღენბი**

1. უმტკივნეულო მკურნალობა მოკლე ვადებში;
2. 100% სტერილიზაცია;
3. დაბალი ფასები;
4. ულტრა თანამედროვე მასალები აშშ-სა და გერმანიიდან;
5. მაღალკვალიფიციური მედ-პერსონალი;
6. უფასო კონსულტაცია;
7. მკურნალობა გარანტიით.

მის: თავისუფლების მოედანი №4ა  
(ახალაშენებული სასტუმრო „აერიოტის“ ეზოში)  
☎ 98-64-83



# გრიპი – მზად ვართ თუ არა ახალი ეპიდემიებისათვის

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი

## გრიპის გამომწვევი ვირუსები

იმ ორასამდე ვირუსს შორის, რომლებიც ზემო სასუნთქი გზების დაავადებებს იწვევს, გრიპის ვირუსი ყველაზე საშიში და დაუმორჩილებელია. გლობალური ეპიდემიების (პანდემიების) გამოწვევის უნარი აქვს მხოლოდ გრიპის ვირუსს. ამ ტიპის ვირუსით გამოწვეულმა ეპიდემიამ მეოცე საუკუნის მეორე ათწლეულში 20 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. B ჯგუფის ვირუსები შედარებით ნაკლებად ცვალებადობს და მის მიერ გამოწვეული ეპიდემიებიც მცირეა. ხოლო C ტიპის ვირუსები დიდ აფეთქებებს არასოდეს იწვევს და მხოლოდ პატარა ბავშვებისთვის წარმოადგენს საშიშროებას.

ვირუსის სახესხვაობებით გამოწვეუ-


მედიცინის მიღწევების მიუხედავად, გრიპი ყველაზე მასობრივ ინფექციად მოიაზრება. ეს იმიტომ, რომ გრიპის ვირუსი ცვალებადობის უნართ ხასიათდება. მისი ეს თვისება არ იძლევა საშუალებას, რომ შეიქმნას პროფილაქტიკური ვაქცინა. ყოველწლიურად საჭირო ხდება მისი „ინდივიდუალური საზომით“ დამზადება თითოეული ახალი სახის ვირუსის წინააღმდეგ. დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიურ ფაქტორებსაც: იზრდება ქალაქები, უარესდება ჰაერისა და წყლის ხარისხი, სულ უფრო ბინძურდება სოფლის მეურნეობის პროდუქტები. შედეგად, მრავალ ჩვენგანს უვითარდება მეორადი იმუნოდეფიციტი.

ლი გრიპი აღმოჩენილია ფრინველებსა და ცხოველებში. შინაური ფრინველები უფრო ცუდად იტანენ ამ ინფექციას, ვიდრე გარეული. ლიტერატურაში აღწერილია შინაურ ფრინველთა „შავი ჭირის“ ეპიდემია, რომელმაც XIX საუკუნეში იფეთქა. იგი სხვა არაფერი იყო, თუ არა გრიპი.

## ეპიდემიათა „სამშობლო“

ყველაზე საშიშ ვირუსთა „ეპიცენტრს“ ჩინეთი წარმოადგენს. ამის მიზეზი მთელ რიგ ფაქტორთა (მაღალი შობადობა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, ცუდი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები) თანხვედრაა. სოფლებში კი, სადაც ფრინველთა და ცხოველთა ფერმები ადამიანთა საცხოვრებლის გვერდით მდებარეობს, გრიპის ვირუსთა შორის გენეტიკური ინფორმაციის გაცვლისათვის იდეალური პირობები იქმნება, ჩნდება ახალი ვირუსის რეკომბინატორული ფორმები. თუმცა, საბედნიეროდ, ყველა მათგანი არ ფლობს ეპიდემიურ პოტენციალს, მაგრამ გასულ საუკუნეში „აზიური“ და „კონკონგის“ პანდემიები გამოიწვია ვირუსმა, რომელიც „ფრინველისა“ და „ადამიანის“ ვირუსთა კომბინირებით შეიქმნა.

ვირუსი ფრინველების ნაწლავებში მრავლდება და ბუნებრივი გზით გამოიყოფა წყალში, სადაც კარგად ინახება ერთ წლამდე. წყლიდან ავადდებიან სხვა ფრინველები და გადაფრენის პერიოდში, ისინი მთელ გზაზე ავრცელებენ ინფექციას.



## როგორ დავიცვათ თავი

**ვაქცინაცია.** სამედიცინო საზოგადოებამ შეიგნო, რომ ასეთ მრისხანე მტერთან საბრძოლველად მუდმივი მზადყოფნაა საჭირო. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ვირუსოლოგიური ცენტრების მიერ გრიპის მიმდინარე ავადობის შესახებ ინფორმაციის შეკრების საფუძველზე იქმნება ახალი ვაქცინები.

**ცოცხალი ვაქცინა** ცხვირიდან შეიყვანება ორგანიზმში. სამი კვირის შემდეგ, საჭიროა რევაქცინაცია (განმეორებითი ვაქცინაცია).

**დასოცნილი (ინაქტივირებული)** ვაქცინა კეთდება ინიექციით ერთჯერადად.



ბოსტნეული	რძის პროდუქტი	საბჭოთა მსახიობი - დონატას ...	კარტოფილის კერძი	ბოსტნეული	ტყის ფრინველი	ლონცენი
ბოსტნეული	რძის პროდუქტი	საბჭოთა მსახიობი - დონატას ...	კარტოფილის კერძი	ბოსტნეული	ტყის ფრინველი	ლონცენი
ფიცი მწამს ... მაკვირვებს	რა ააგო ნოემ	ქალაქი რაჭაში	მოსკული	კურორტი საქართველოს შავიზღვისპირეთში	აკრობატის სამიქსი	ქალაქი, სადაც ჯონ კენელი მოკლეს



# სიფრებით გამოხატული ადამიანის სტრუქტურა



ადამიანის 60% წყალია. იგი არათანაბრადაა გადანაწილებული: ცხიმოვან ქსოვილებში 20%-მდე წყალია, ძელებში – 25%, ღვიძლში – 70%, კუნთებში – 75%, სისხლში – 80% და ტვინში – 85%. ამ ციფრების შემხედვარეს პარადოქსულად გვეჩვენება, რომ თხევად სისხლში ნაკლები წყალია, ვიდრე საკმაოდ მყარი კონსისტენციის ტვინში. მაგრამ მნიშვნელოვანია წყლის არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ მისი „ჩალაგების“ ხასიათი.

წონის დანარჩენი 40% ასე ნაწილდება: 19% ცილები, 15% ცხიმები, 5% მინერალური ნივთიერებები და 1% – ნახშირწყლები.

ჩვენი ორგანიზმის შემადგენელ ელემენტთაგან ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფანჯბადი, ნახშირბადი, წყალბადი და აზოტი. მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში ისინი 70 კილოგრამამდეა. დაახლოებით 2 კილოგრამამდეა კალციუმი და ფოსფორი, რომლებიც ძირითადად ძვლის შემადგენლობაში შედის და მის სიმყარეს უზრუნველყოფს. კალიუმი, გოგირდი, ნატრიუმი, ქლორი ორგანიზმში სულ რამდენიმე ათეული გრამია, რკინა – სულ 6 გრამამდეა, მაგრამ იგი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს, რადგან შედის ჰემოგლობინის შემადგენლობაში.

მშვიდ მდგომარეობაში, წოლისას, ადამიანი დღე-ღამეში 400-500 ლიტრამდე ფანჯბადს მოიხმარს, წუთში 12-20 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვას აკეთებს. შედარებისთვის ცხენის სუნთქვის სიხშირე წუთში 12 ჩასუნთქვა-ამოსუნთქვაა, ვირთხის – 60, იაღონის – 108.

მოზრდილი ადამიანის გული დღეში 10000 ლიტრ სისხლს გადაქაჩავს. ერთი დარტყმისას აორტაში 130 მილილიტრამდე სისხლი გადაიტყორცნე-

ბა. ნორმალური პულსი, მშვიდ მდგომარეობაში წუთში 60-80 დარტყმაა, ქალებში გული 6-8 დარტყმით უფრო ხშირად ცემს ხოლმე, ვიდრე მამაკაცებში. მძიმე ფიზიკური დატვირთვისას პულსი შეიძლება აჩქარდეს 200-მდე და უფრო მეტადაც. შედარებისათვის სპილოს პულსის სიხშირე წუთში 20 დარტყმაა, ხარისა – 25, ბაყაყის – 30, კურდღლის – 200, თავის – 500.

სისხლძარღვების საერთო სიგრძე ადამიანის ორგანიზმში 100 ათასი კილომეტრია.

თითოეული ერითროციტი შეიცავს ჰემოგლობინის 270 მილიონ მოლეკულას. ძვლის ტვინი მოზრდილი ადამიანის ორგანიზმში იწონის 2600 გრამს. 70 წლის განმავლობაში იგი წარმოქმნის 650 კილოგრამ ერითროციტებს და 1 ტონამდე ლეიკოციტებს.

ნეირონების (ნერვული უჯრედების) ნახევარზე მეტი ტვინის ნახევარსფეროებშია თავმოყრილი. თავის ტვინის ქერქის საერთო ფართობი 1468-დან 1670 კვადრატულ სანტიმეტრამდე ვარირებს.

ქალა-ტვინისკენ შემავალ ნერვებში 2600000 ნერვული ბოჭკოა, გამოშვალში – 140000.

ერთი წუთის განმავლობაში ტვინს გაივლის 740-750 მილილიტრი სისხლი.

30 წლის ასაკიდან ადამიანის ორგანიზმში ყოველდღიურად იღუპება 30-50 ათასი ნერვული უჯრედი. მცირდება ტვინის ზომები. ასაკის მატებასთან ერთად ტვინი არა მხოლოდ წონაში იკლებს, არამედ ფორმასაც იცვლის – მკვირვდება. მამაკაცის ტვინის წონა მაქსიმალურია 20-29 წლის ასაკში, ქალისა – 15-19 წლის ასაკში.

თვალს შეუძლია განასხვავოს ფერთა 130-250 ათასამდე ტონი და 5-10 მილიონი შერეული ჩრდილი.

თმის ღერების საშუალო რაოდენობა ქერების თავზე 140 ათასია, წაბლისფერთმიანებში – 109 ათასი, ყვალთმიანებში – 88 ათასი. თმის საერთო რაოდენობა სხეულზე (თავის გარდა) 20 ათასამდეა.

თმის ზრდის სიჩქარე

0,35-0,4 მილიმეტრია დღე-ღამეში.

ყური ყველაზე მეტად მგრძობიარეა, 2000-2300 ჰერცი დიაპაზონისადმი. საუკეთესო მუსიკალური სმენა 80-600 ჰერცზე მოდის. ამ შუალედში ჩვენს ყურს შეუძლია განასხვავოს 100 და 100,1 ჰერცი სიხშირის ბგერები. სულ ყურს 3-4 ათასამდე სხვადასხვა სიმაღლის ბგერის გარჩევა შეუძლია.

ენაზე 900-მდე გემოს რეცეპტორია. მათი მუშაობისთვის საუკეთესო ტემპერატურა 24 გრადუსია.

ცხვირის ყნოსვის ზონის ფართობი 5 კვადრატული სანტიმეტრია. ამ უბანზე ყნოსვის მილიონამდე ნერვული დაბოლოებაა. ყნოსვის ნერვულ ბოჭკოში იმპულსის წარმოსაქმნელად მის დაბოლოებაზე სუნიანი ნივთიერების მინიმუმ 8 მოლეკულა უნდა მოხვდეს. სუნის შეგრძნების წარმოსაქმნელად კი 40 ნერვული ბოჭკო მაინც უნდა აღეგნოს.

ხელის ფრჩხილების ზრდის სიჩქარე 0,086 მილიმეტრია დღე-ღამეში, ფეხის ფრჩხილების – 0,05 მილიმეტრი. წლის განმავლობაში ხელის თითებზე ორ გრამამდე ფრჩხილი იზრდება.

საჭმლის ღეჭვისას ყბის კუნთები ძირითად საღეჭ კბილებზე 72 კილოგრამამდე ძალის ზეწოლას ავითარებს, საჭრელებზე – 20 კილოგრამამდე. პურის დასაღეჭად 25 კილოგრამი ძალა საჭირო, შემწვარი ხორცის დასაღეჭად – 15 კილოგრამი.

კუჭის ლორწოვანი გარსის ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე ასამდე ჯირკვალაა, რომელიც საჭმლის მომწელებელ წვეს გამოყოფს.

წვირლ ნაწლავს, რომლის მეშვეობითაც ხდება გადაჭედილი საკვების სისხლში შეწოვა, შიგნითა ზედაპირზე 5 მილიონამდე უწვირილესი თმოვანი წანაზარდი – წამწამი აქვს, რომელთა მეშვეობითაც ხდება საკვები ნივთიერებების შეწოვა.

წყურვილის გრძობა მაშინ ჩნდება, როცა ორგანიზმი კარგავს საერთო წონის ერთ პროცენტამდე წყალს, 5%-ის დაკარგვა გულის წასვლას გამოიწვევს, 10%-ის – სიკვდილს, გაუწყლოების გამო.



# რა უნდა გიცოდეთ მესამე და მეოთხე მცნებებთან დაკავშირებით?

## შორენა მერაპვილაძე

ღვთაებრივ ათ მცნებათაგან მესამე გვა-სწავლის – „არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამოსა ზედა“; მეოთხე მცნება მიგვითითებს: „მოიხსენე ღლე იგი შაბათი და წმინდა ჰყავ იგი: ექვს ღლეს იქმოდე და ჰქმნე მათ შინა ყოველივე საქმე შენი, ხოლო ღლე იგი შაბათი არს უფლისა ღმრთისა შენისა“. ეს მცნებები განგვიწესებს სიყვარულს ღვთისადმი, ე.ი. განსაზღვრავს ადამიანის ვალდებულებას ღვთის წინაშე, გვასწავლის, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ღმერთი და როგორ გამოვხატოთ სიყვარული მის მიმართ.

### როგორ უნდა ვსმოდე ადამიანს მესამე მცნება?

მესამე მცნების თანახმად, ადამიანი ვალდებულია, პატივი სცეს ღმერთის სახელს – არ ახსენოს მისი სახელი წარამარა, ამაოდ – ანუ ტყუილად, როცა არ არის საჭირო. სწორედ ამას მიგვანიშნებს სიტყვები: „არა მოილო სახელი უფლისა ღმრთისა შენისა ამოსა ზედა“.

### კონკრეტულად რას გვიკრძალავს მესამე მცნება? რა შემთხვევაში ახსენებს ადამიანი ღმერთის სახელს ამაოდ?

მესამე მცნება უბრველესად გვიკრძალავს ღმერთის სახელის უმიზეზოდ და დაუფიქრებლად ხსენებას, რასაც ხშირად მიმართავენ ადამიანები უბრალო საუბრისას – მაგალითად, „ღმერთმანი“, „ღმერთო ჩემო“ და ა.შ. ზოგიერთი ადამიანი მკრეხლობამდე და ღვთის გმობამდე კი მიდის გამოთქმით – „ამის ღმერთი არ იყო!“... მესამე მცნება გვიკრძალავს აგრეთვე: ღმერთის სახელის ხსენებას სახუმარო ფორმით; ღვთის გმობას – ანუ უშუალოდ სიტყვების თქმას ღვთის წინააღმდეგ. ქირდას – ე.ი. დაცინვას და გინებას ღვთისას და საღმრთო საგნებისას; ღმერთის სახელის გამოყენებას სიცრუის დასამტკიცებლად – ე.ი. ცრუფიცს ან დამოწმებას ღვთის სახელით იმისას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება; ფიცის ანუ ღვთის წინაშე დადებული აღთქმის დარღვევას, ლოცვისადმი უყურადღებობას. ამ მცნებას არღვევენ ის ადამიანებიც, რომლებიც ლოცვისას ღმერთს შემწეობას სთხოვენ, თავიანთი ბოროტი განზრახვის აღსასრულებლად. მესამე მცნებას არღვევენ ისინიც, ვინც წმინდა სამების ერთარსობას უარყოფენ ან ირონიით და ქილიკით იხსნიებენ მას (თუნდაც, გონება-

ში); ასევე ისინიც, ვინც ცრუობენ ან ამტკიცებენ, თითქოს ცხადში თუ ძილსა შინა ანგელოზები და წმინდანები ეცხადებიან და ამის მეშვეობით გავლენის მოპოვების ან ყურადღების მიპყრობას ცდილობენ.

### რას მოითხოვს მეოთხე მცნება ადამიანისგან?

მეოთხე მცნება ადამიანისგან მოითხოვს, რომ ექვსი ღლის მანძილზე იმუშაოს და გააკეთოს თავისი საქმე, ხოლო მეშვიდე ღლე შესწიროს ღმერთს: როდესაც ღმერთმა ებრაელებს მისცა ათი მცნება – მეოთხე მცნებით უბრძანებდა შაბათის დაცვას სწმინდით და მოსვენებით, მოსაგონებლად იმისა, რომ ღმერთმა მეშვიდე ღლეს განისვენა საქმეთაგან თავისთა და ამ ღლეს უწოდა შაბათი – განსვენება: „ღმერთმა იმისათვის, რომ ადამიანებს ხსოვებოდათ მის მიერ კაცთა მოდგმისთვის ქმნილი კეთილი საქმეები, დაადგინა ერთი ღლე და მიუძღვნა იგი თავისი ყველა ქველის საქმეების მოხსენიებას, რათა ადამიანები გაიხსენებდნენ რა ამ ღლეს ღმერთისაგან ბოძებულ წყალობას, მადლობას შესწირავდნენ მას და განადიდებდნენ მის დიდებულებას, კერძოდ, რაკი მან მთელი სამყარო ექვსი ღლემი შექმნა არარასაგან, ხოლო მეშვიდე ღლეს მოისვენა თავის საქმეთაგან, ამიტომ სწორედ ეს (მეშვიდე) ღლე ჰყო, რათა ადამიანებსაც ამ ღლეს მიეტოვებინათ ყველა თავისი საქმე და ეკურთხებინათ და განედიდებინათ ღმერთი იმ კეთილმოქმედებათა მოხსენიებით, რომელნიც მან მოგვმალა სამყაროს შექმნით... მაგრამ ჩვენ, ქრისტიანები, შაბათის ნაცვლად იმ მიზეზით ვდღესასწაულობთ კვირა ღლეს, რომ ამ ღლეს უფლისა ჩვენის იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით აღსრულდა მთელი სამყაროს განახლება და კაცთა მოდგმის გათავისუფლება ეშმაკისადმი მონობისგან“ – განმარტებულია „სარწმუნოების მართლმადიდებლურ აღსარების“ განმარტებაში“. ამრიგად, ებრაელთა შაბათი ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის შეცვალა კვირა ღლემ. თუკი კვლავ „სარწმუნოების მართლმადიდებლური აღსარების“ განმარტებას გამოვიყენებთ: „მიზეზი, რომლითაც შაბათის ღლე შეცვლილ იქნა კვირა ღლე – იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ღლეზე, არის ის, რომ ქრისტიანის უფალი შაბათისა, სიტყვისაგან „წმინდა წერილისა“: „უფალ არს ძე კაცისაი შაბათისა“ (მათე 12, 8). ამრიგად, თუკი ქრისტიანი უფა-

ლი შაბათისა, მაშინ კეთილგონიერად ყოფილა შაბათი ღლე შეცვლილი კვირა ღლით – აღდგომის ღლით, – იმიტომაც, რომ ქრისტიანთა მორჩილებას არ ექვემდებარება და იმიტომაც, რომ ქრისტიანს სწორედ ამ და არა სხვა რომელიმე ღლეს, აღდა მკვდრეთით და რაკი ამის ძალით – ამ ღლეს იქნა აღორძინებული და განახლებული მთელი სამყარო მისთვის საუკუნო ხსნის (ცხოვნების) მინიჭებით“.

როგორც აღვნიშნეთ, წმინდა ეკლესია შაბათის ნაცვლად დღესასწაულობს კვირიაკის პირველ ღლეს – კვირას, ქრისტეს აღდგომის ღლეს, ღლეს ჩვენი გამოხსნისა. გარდა კვირა ღლისა, მეოთხე მცნება ასევე განგვიწესებს, რომ უფალს მივუძღვნათ და ვიდღესასწაულოთ საეკლესიო დღესასწაულის დღეებიც – თორმეტი საუფლო და სხვა საეკლესიო დღესასწაულის დღეები, რომლებიც დაწესებულია, უფლის, ღვთისმშობლის, წმინდანთა თუ მნიშვნელოვან საეკლესიო მოვლენათა მოსახსენიებლად და თავგანსაცემად.

### როგორ უნდა გავატაროთ კვირა და საეკლესიო დღესასწაულის დღეები?

კვირა ღლეს და საეკლესიო დღესასწაულის დღეებში მართლმორწმუნე ქრისტიანმა უნდა მიატოვოს ყველა საქმე და საზრუნავი და მთელი ღლე მიუძღვნას უფალს, რაც სადღესასწაულო ღვთისმსახურებაზე დასწრებით, შინ მომეტებული ლოცვით, „წმინდა წერილისა“ და სულითვის სასარგებლო სხვა სასულიერო ლიტურგურის კითხვით, მოწყალების გაცემით, სხეულთა მონახულებითა და ღვთისთვის სათნო სხვა საქმეთა აღსრულებით უნდა გამოხატოს. მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გაატაროს ადამიანი კვირა – უქმე და საეკლესიო დღესასწაულის დღეები, არის ქრისტიანთა მაცხოვარი, რომელიც ყველა დღესასწაულზე და შაბათს დადიოდა იერუსალიმის ტაძარში და მომეტებულად აღსრულებდა კეთილ საქმეებს. აქედან გამომდინარე, ის ადამიანები, ვინც არ იცავენ ამ წესს, პატივს არ სცემენ საეკლესიო უქმეებს და არღვევენ მეოთხე მცნებას, რაც ცოდვად ითვლება. მეოთხე მცნების წინააღმდეგ სცოდავენ ის ადამიანებიც, ვინც თავიანთ ხელქვეითებს ამუშავებენ საეკლესიო უქმეების დღეებში და იძულებულს ხდებიან, რომ დაარღვიონ საღვთო მცნება.

მეოთხე მცნება ადამიანს არ უკრძალავს საეკლესიო უქმეებზე გადაუდებელი, აუცილებელი საქმეების გაკეთებას, მაგრამ მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ეს საქმეები სპეციალურად არ უნდა გადაიტანოს კვირისა ან საეკლესიო დღესასწაულის დღეებისთვის.

# მშავი მშენარეობა

## ლევან პერალია

უდაბნოსა და ღარიბ ნიადაგში მზარდ ზოგ მცენარეს დამატებითი კვების წყაროდ მწერების დაჭერა და „შეჭმა“ გაუჩინია. ცნობილია მტაცებელი, „მწერი-იჭამია“ მცენარის 500-მდე ჯიში. მათ არსებობა ცხოველური საკვების გარეშეც შეუძლიათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ძალიან სუსტდებიან. მტაცებლები სხვადასხვა ხერხით მოქმედებენ. უმრავლესობა ტენიან ნიადაგში ჭაობებსა და გუბებში ბინადრობს, სადაც აზოტის უკმარისობას მწერების ხარჯზე ინახაურებენ. გამონაკლისია ევროპული ბუზიჭერია, რომელიც მშრალ, კლდოვან ადგილებშია გავრცელებული. პორტუგალიაში, სადაც ისინი ყველაზე ხშირად გვხვდება, მის ფოთლებს წებოვანი ქაღალდის მსგავსად ბუზების დასაჭერად იყენებენ.

მტაცებელ მცენარეებს ქლოროფილი აქვთ – ანუ, როგორც ყველა სხვა მწვანე მცენარე, ისინიც აწარმოებენ ორგანული ნივთიერებების სინთეზს. ყოველი მათგანი მოყვავილია. თანაც ზოგიერთს განსაკუთრებით ღამაში ყვავილი აქვს. თუმცა მწერების მისაზიდად ისინი სხვა სატყუარებით არიან აღჭურვილნი. ახასიათებთ მკვეთრი ფერები, რაც მწერებისთვის ნექტრის ადვილსამყოფელთან ასოცირდება. ხშირ შემთხვევაში მათი ხაფანგები უშვებენ ტკბილსუნიან სითხეს, ანდა ბუზების მისაზიდად გადამუშავებული მწერების ნარჩენების სიმყარეს.

## დროზერა

ერთ-ერთი მტაცებელი მცენარის – დროზერას ფოთლები დაფარულია წითელი ბუსუსებით, რომელთაც თავზე თავლის მსგავსი სითხის მბრწყინავი წვეთები ამშვენებს. მაგრამ როდესაც ამ წვეთებს ეხება ბუზი, ჭიანჭველა, კოლო ან სხვა მწერი, მაშინ აღმოჩნდება, რომ ეს სითხე ჩინებული წებოა. მსხვერპლი რაც უფრო მეტად ცდილობს თავის დაღწევას, მით უფრო მეტი ბუსუსი ედება, და ბოლოს წებოვანი სითხით მთლიანად იფარება. მწერი იღუპება. ამის შემდეგ, დროზერა გადამამუშავებელ ფერმენტს უშვებს. ხელუხლებელი რჩება მხოლოდ ფრთები და სხვა მკვრივი ნაწილები, რასაც მომავალში წვიმისა

და ქარის მეშვეობით იცილებს მცენარე. თუ ფოთოლზე ერთდროულად ორი მწერი მოხვდება, მაშინ ბუსუსები მოვალეობას ინაწილებს და ორივეს უმკლავდება.

დროზერას, იმავე ცვრიანას თითო ფოთოლი ხაფანგის როლს 2-3-ჯერ ასრულებს. შემდეგ ხმება და ახლით იცვლება. სამხრეთაფრიკულ დროზერას ლოკოინებისა და ბაფაყების გადამუშავება-მონელებაც კი შეუძლია.

## ნეპენტესი

სამხრეთ აზიისა და ინდონეზიის ტროპიკულ ტყეებში ჭაობებისა და მდინარეების ნაპირებზე იზრდება მწერი-იჭამია ლიანა – ნეპენტესი. ამ მტაცებელს აქვს დოქის ფორმის, ღია შეფერილობის ყვავილი. ყვავილის კედლების გარეთა ზედაპირზე მოედინება მწერებისთვის მიზიდველი ნექტრის წვეთები. „დოქის“ ნაპირებისკენ ნექტრის რაოდენობა მატულობს. მწერებს ჭვინიათ, რომ

საქმე აქვთ ისეთ ყვავილთან, რომელშიც ტკბილი ვაჟინის მთელი ზღვა არის. „დოქის“ ყელი დაფარულია ცვილის მაგვარი საფრით. ჯერ კიდევ ტკბილ ვაჟინაზე მწერი შივნით ჩასრილდება და აღმოჩნდება, რომ ყვავილის 1/3 ტკბილი ნექტრით კი არა, მსხვერპლისთვის საშიშელი, საჭმლის მოსანელებელი წვენი და მკვდარი თუ ჯერ კიდევ ცოცხალი მწერების ნარჩენებითაა სავსე. 5-7 საათის შემდეგ, მთლიანად ხდება ნანადირევის მონელება.

მოზრდილ „დოქებში“ ლიტრამდე გადამამუშავებელი წვენია. თურმე ამ მომჟავო სითხეს დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ორანგუტანგები.

## ჰენარას ბუზიჭერია

მტაცებელ მცენარეთა უმრავლესობისთვის სისწრაფეს მნიშვნელობა არა აქვს. მათი მსხვერპლი ან წყალში იძირება, ან წებოვან ბუსუსებს ეკვრის. შტატ კაროლინის დაბებში მზარდი ვენერას ბუზიჭერია ყველაზე აგრესიულია. ბუზიჭერიას თითოეული ფოთოლი ისევე იხურება, როგორც ხამანჭკის ნიჟარა. ფოთლის კიდებზე განლაგებულია სქელი ეკლები, ხოლო მის ვარდისფერ შუაგულში – სამი მოღარავე ბუსუსი. ნათელი ფერებით მიზიდული მწერი ან სხვა არსება თუ მოხვდა ფოთოლზე, აუცილებლად შეეხება ამ ბუსუსებს. თუ შეეხება მხოლოდ ერთ ბუსუსზე მოხდა, რეაქცია არ მოჰყვება, ხოლო თუ – ორზე, ან ერთზე, მაგრამ ორჯერ, მაშინ ფოთლების ორივე ნახევარი იხურება. ფოთოლი სულ რაღაც ნახევარ წამში „მუწავს პირს“ და მისი გახსნა შეუძლებელია. პატარა, რბილსხეულიანი არსებები მახეში ებმებიან. თუ ფოთოლმა ვერ მოასწრო დაჭერა, ან მასში საჭმელად უვარგისი რამ მოხვდება, ფოთოლი ნახევარ საათში კვლავ გადაიშლება. სხვა შემთხვევაში დაზარული დარჩება, სანამ მსხვერპლს არ მონელებს, რაც შეიძლება რამდენიმე კვირაც კი გაგრძელდეს. ჩვეულებრივ, ფოთლები ნადირობას სიკვდილამდე სამჯერ ახერხებს, შემდეგ კი ახლით იცვლება.

მტაცებელ მცენარეებს შესაბამის პირობებში ოთახშიც ზრდიან.




ნეპენტესი



ნეპენტესი

როდის არის მამაკაცი ხელფენშეკრული? როცა მას ყოფით პრობლემებთან გამკლავება, ცხოვრების სირთულეების გადალახვა და არსებობისთვის ბრძოლა აღარ შეუძლია? ნუთუ, ყველა ადამიანში ხელფენშეკრული მამაკაცი უფულო, უქონელ მამაკაცთან ასოცირდება? რატომ მიაჩნიათ ფსიქოლოგებს, რომ როცა მამაკაცი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება, მიზეზი უმეტესად მის გარშემო მყოფ ქალთა წრეში უნდა ვეძებოთ?



## ხელფენშეკრული მამაკაცი

### ბანსაქუთრეხული რეაქტი უიღლოთათვის

რეიტინგის წახალისებს + ცოლის თანხლებას...

#### ლელა ჭანკოტაძე

ნათია, 32 წლის:

– ჩემთვის ხელფენშეკრული მამაკაცი უმწეო, ძალაგამოცლილი და დამცირებული, ცხოვრებისგან ჩაწიხლული მამაკაცია. ის სუსტი აღმოჩნდა და ვერ შეძლო, ბოლომდე დირსეულად ეტარებინა ცხოვრების მძიმე ჭაპანი... უჩა ყოველთვის ძლიერი, შეუპოვარი და შემტევი ყმაწვილი მეგონა. ამიტომაც დაუუკავშირე მას ჩემი ბედი. მეგონა, სირთულეებს დაეძლედი და სიკვდილამდე ერთად ვიცხოვრებდი, მაგრამ ასე არ მოხდა. ჩვენი მომავალი, ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურ-პოლიტიკურმა მდგომარეობამ განსაზღვრა. როცა სამოქალაქო ომი დაიწყო და თბილისში სიღუპეობდა, შიმშილი და უიმედობა გამეფდა, ჩვენც გაგვიჭირდა. მაშინ წერეთელზე ვცხოვრობდით. იქვე ახლოს პურის საცხობი იყო. რომ დავინახე, ქმარი დღე და ღამე ნერვიულობდა იმაზე, თუ საიდან მოეტანა ლუქმაპური, გადავწყვიტე, ამ საცხობში დამეწყო მუშაობა. უჩამ ვერ იუარა, ფენმძიმე ქალი მთელი ღამე ხაჭაპურისა და ფუნთუშების ცხობას როგორ შეძლებო?! მაგრამ რომ ვუთხარი, ყოველ მორიგეობაზე 15 მანეთს გადამიხდიან-მეთქი, დამთანხმდა. პირველი რამდენიმე დღე, მართლაც, საშინლად მიჭირდა, ჩემთვის აუტანელი აღმოჩნდა მთელი ღამე ფენზე დგომა და გახურებულ ლუმელთან ტრიალი. მაგრამ ვიცოდა, თუ რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი ოჯახისთვის თითოეულ კაპიკს და ყველაფერს ვუძლებდი. სიცხესაც ვიტანდი და მაწანწალების შემოტევისაც, რომლებიც საცხობის კარზე გამეტებით აბრაზუნებდნენ და გვთხოვდნენ – გაგვიღეთ, ღამე სითბოში გავგათენებინეთ.

– ამ დროს თქვენი მეუღლე რას აკეთებდა?

– ის შინ იყო და მოთმინებით შეჭურებდა დღაჩემს, რომელიც ყოველ

წუთას ამბობდა: სად გაგონილა ქალი მუშაობდეს, ქმარი კი ნებივრობდეს?! დედასთან ამის გამო ბევრჯერ მიჩხუბია: რა ქნას, რა გააკეთოს, სად წავიდეს?.. ხელები აქვს შეკრული, სამსახური არსად არის, ხომ ხელავე ქვეყანა თავზე გვეშობა-მეთქი... ცხადია, დღაჩემი ჩემს აზრს არ იზიარებდა. იგივე მდგომარეობა იყო მეზობლების ოჯახებშიც. მამაკაცები თითქოს შემინდნენ, დაიბნენ, არ იცოდნენ, რა გზას უნდა დასდგომოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. მათი ცოლები და დედები კი, ქარსა თუ წვიმაში, პურის რიგებში იდგნენ. მაშინ პურის მანქანა სანამ ჩამოდებოდა, მაღაზიასთან გრძელ რიგი იდგა ხოლმე. გათოშილ ადამიანებს შორის, სულ რამდენიმე კაცს თუ შენიშნავდით – დანარჩენები, ქალები იყვნენ... არ შემრცხვება თუ ვიტყვი, რომ ქართული ოჯახები მაშინ ქალებმა გადავარჩინეთ. ჩემი მეგობარი, ხეობარი იყო, სიარული არ შეეძლო. რომ დაინახა, ძმა უმუშევარი დარჩა, შვილებთან პურიც კი ვეღარ მიჰქონდა, თოჯინის ტანსაცმლის კერვა დაიწყო. როცა არ უნდა მიეწოდებოდა მასთან, ყოველთვის პატარა კაბები და ქუდეები ეწყო კალთაში. იქვე ახლოს, საბავშვო ბაღი იყო. თავისი სახეობრო ეტლით იქ მიდიოდა; მთელ ტანზე ასხული ჰქონდა ჭრელაჭრულა კაბები. ბავშვები მოხიბლულები რჩებოდნენ და მშობლებს აიბულებდნენ, თითო ცალი მაინც ეყიდათ მათთვის. რომ ჰკითხავდნენ: რა ღირს ეგ ჯღანიო? – მაია მშვიდად პასუხობდა: ერთი ნაჭერი პურიო...

– გასამრჯელოდ პურს იღებდა?

– არა, 100 კუპონს. პური ძვირი ღირდა. 100 კუპონად ერთ ნაჭერზე მეტს მართლა ვერ იყიდდი. რადგან ასე იაფად ყიდდა თავის ნაშრომს, პატარა კლიენტებიც არ ელეოდა. ზოგ ბავშვს თავისი შიშველი თოჯინა მოჰქონდა მასთან, მაია ტანსაცმელს უკერავდა და ღილით გამოწყობილ თოჯინას საბავშვო ბაღის კართან ახვედრებდა. აი, ასე აგროვებდა პურის

ფულს. მასსოვს, მთელი მეზობლები როგორ მივარბენებდით ხოლმე მასთან ქსოვილის პატარ-პატარა ნაჭრებს, ბისერებს, ფერად ძაფებს... ასე რომ, ქალები ვწვალბდით და რაღაცას ვახერხებდით. როგორც გითხარით, მე ფენმძიმე ვიყავი. მშობიარობა რომ დამეწყო, ხელები ცოცხლად მოსვრილი. ქმარიც გვერდით მყავდა. ორსულობის ბოლოს, უჩა სამსახურში მარტოს აღარ მიშვებდა. მაშინვე გააღვიძა მეზობელი, რომელსაც ძველი მანქანა ჰყავდა. ბენზინი არა მაქვსო, – შეწუხდა ის კაცი. ბენზინი ჩვენ გვქონდა წინასწარ ნაყიდი. უჩამ ერთი თვით ადრე იყიდა 5 ლიტრი ბენზინი და საგულდაგულოდ გადაამალა, ვინმეს რომ არ მოეპარა... როგორც იქნა, სამშობიაროს გზას დავადექით. კინოთეატრ „საქართველოსთან“ მანქანა გაფუჭდა. არადა, მე უკვე სიარული აღარ შემიძლო. ტკივილებსგან გონებას ვკარგავდი. უჩამ ფენმძიმე ქალი ზურგზე მომიკიდა და ასე მატარა პირველ სამშობიარომდე. გზაში კაციშვილი არ შეგვხვედრია. მაშინ ღამით ქუჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო ხოლმე... სამშობიარო სასლში ელექტროენერგია არ იყო. სანთლის შუქზე მამშობიარეს, რადგან უჩამ „დეიფოკის“ მოტანა ვერ შეძლო... ისე ციოდა, რომ პალატის ფანჯრები ყინვას ერთიანად აუჭრებდნენ. საწოლში ვკანკალებდი, ცხადია, გაცივდით. სამშობიაროდან შინ რომ წამომიყვანეს, ფილტვების ანთება მქონდა. სწორედ იმ დღიდან იქცა ჩვენი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად.

– რატომ? მუშაობა ვეღარ შეძელით?

– ისეთი მაღალი სიცხეები მქონდა,

რომ საცხოვრებელ წესებს ვეღარ ვახერხებდით. სამსახური რომ არ დამეკარგა, დედაჩემი და უჩა მიდიოდნენ ხოლმე ფუნთუშების გამოსაცხობად. მაგრამ დედამ დამისთვია ვერ შეძლო. ჯანმრთელობამ უმტყუნა. ამიტომ უჩას მოსთხოვა, დროებით საცხოვრებელ შენ იმუშავეო. უჩას უარი არ უთქვამს, მაგრამ მისგან მცხობელი ვერ დადგა. იმდენი ხაჭაპური და ფუნთუშა გააფუჭა, რომ ფორტუბანო გავყვილეთ, ზარალი რომ დაგვეფარა. ასე დაგრჩი უმუშევარი. გამუდმებით მესმოდა დედაჩემის წუწუნი: შენი ქმარი პურის რიგში მაინც დადგეს, რაღაცა ხომ უნდა გააკეთოს, კაცია, ბოლოს და ბოლოსო. უჩა ამაზე კატეგორიულ უარს ამბობდა – მეზობლების მრცხენია, კაცი 5 წელი მთავარი ინჟინერი ვიყავი, ახლა ჩემს მუშებს ასეთი გასაცოდავებელი ვერ დავენახებო... უჩა ჩემზე 10 წლით უფროსი იყო, მან იცოდა კარგი ცხოვრების გეგმა, როცა დენიც ჰქონდა, ვაზიც და სახეც მაცოცხლებო. არ ვიცი, ჩემსა და უჩას შორის ურთიერთობა როდის დაიძაბა, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ მისაყვედურა: გეუბნებოდი, ჯერ ბავშვის გაჩენის დრო არ არის; რომ დაგვეკერებინა, ახლა სამსახურიც გექნებოდა და დაუყვედრებელი ლუკმაცო. ეს ბოლო წვეთი იყო. ამ ფრაზამ გამანადგურა. თუ მანამდე, ქმრის მიმართ თანაგრძნობით ვიყავი განწყობილი, უკვე ბრაზით და ბოლმით ავივსეთ. თანაგრძნობა სულ დამავიწყდა და ყველაფერი პირში მივახალე.

**— რა უთხარით? რაში დაადანაშაულებთ?**

— ვუთხარი, რომ კაცი არ იყო და თავმოყვარეობა არ ჰქონდა... ამ ჩხუბს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ბოლოს მივხვდი, რომ ჩვენი გზები გაიყარა. მე და დედა თემქაზე ჩვენს ბინაში გადავედით, უჩა კი თავის ბინაში დარჩა. ერთ ოთახში ჩაიკეტა, მეორე კი გააქირავა. მერე თავისი მდგომარი შეირთო ცოლად. ახლა ვიცი, რომ მისი ცოლი მუშაობს, მარჯვე გოგო აღმოჩნდა. ქმარს ცივ ნიავს არ აკარებს. დარწმუნებული ვარ, უჩა ვეღარასდროს შეძლებს, ცხოვრებას ნაბიჯი აუწყოს და ოჯახის მართვის სადავეები ხელში აიღოს. არ ვიცი, ჩვენი ოჯახის დაზარალებაში რომელი ჩვენგანია უფრო მეტად დამნაშავე, მაგრამ უკადრეს სიღუჭირეში რომ არ გვეცხოვრა, არ გავიყრებოდით...

როდის და რატომ ხდება მამაკაცი უძლური, ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავებაში? რა განაპირობებს მის უძომელობას, როცა მის გვერდით მყოფი ქალი ცდილობს, მისი ფუნქციები და მოვალეობები გადაიტაროს. რატომ არჩევს ზოგიერთი მამაკაცი განზე დგომას და

პრობლემებისთვის თვალის არიდებას? ვესაუბრებით ფსიქოლოგ **ლია ანდლუ-ლაძეს**.

**— როგორ უნდა მოიქცეს ქალი, როცა მის გვერდით მყოფი მამაკაცი უძლურია?**

— სხვათა შორის, უფრო ხშირად, სწორედ ქალები აქცევენ მამაკაცებს ხელმოცარულებად, ხელჩაქნეულებად და ხელშეშეკრულებადაც. არავისთვის უცხო აღარ არის ქართული ოჯახის ყველაზე მანკიერი მხარე — შშობლები საშუალებას არ აძლევენ შვილებს, რომ „გაიზარდონ“. ხშირად დეებმა ვაჟებს დაკაცებაში უშლიან ხელს. ამას ცხადია, ვერ აცნობიერებენ. პირიქით — ბევრი მზრუნველი და შვილზე გადაყოლილი დედა მოსულა კითხვით — სად დაუშვი შეცდომო? ვთხოვ ხოლმე, მიაბნონ, როგორ ექცეოდნენ ვაჟს გარდატეხის ასაკში და ისინიც მიყვებიან: როგორ უგვარებდნენ ყველა პრობლემას და არანაირ საზრუნავს აღარ უტოვებდნენ. არიან ისეთი დეები, რომლებიც ვაჟის საშუალებად გარბიან, გაიგებენ თუ არა, რომ ის თანატოლს ეჩხუბება. კბილებით იცავენ შვილებს თანატოლებისაგან და მათ აღარ უტოვებენ საშუალებას, თანაკლასელებთან, უნებლეთან დამოუკიდებლად მოაგვარონ ურთიერთობა. ასეთი ვაჟები, როგორც კი ცხოვრებასთან პირისპირ აღმოჩნდებიან, მაშინვე უმწყოები ხდებიან; ცდილობენ, ცოლის კალთას ამოეფარონ, სიდედრის ხარჯზე იცხოვრონ და ა.შ. ასეთი მამაკაცების შესახებ ამბობენ: არ უმართლებთ, სადაც არ წავიდნენ, ყველგან ხელი მოეცარათო. ის კი ავიწყდებათ, რომ მათ თავიანთი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე სდევთ თან წარუმატებლობა. ის მძიმე წლები, როცა ბევრი ქარხანა-ფაბრიკა დაიხურა და სამუშაო ადგილების დეფიციტი შეიქმნა, ძალიან მტკივნეულად გადაიტანეს ჩვენმა მამაკაცებმა. რომ არა ქალები, რომლებიც უფრო ამტანები აღმოჩნდნენ, ბევრი ოჯახი შიმშილს თავს ვერ დააღწევდა. ამ ქალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მომავალში იმავე მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდნენ მათი შვილები. შეძლებენ კი ისინი, თავი გაართვან სირთულეებს? აუცილებელია, ქალებმა შვილებს ცხოვრებასთან ჭიდელი ვასწავლოთ.

**გივი ალსაჯიშვილი, მწერალი:**

— ჩვენს ქვეყანაში სოციალური ვითარება ისეთია, რომ ადამიანთა უძრავ-ლესობა ორიენტირებულია მერკანტილურ ინტერესებზე — ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს. საარსებო მინიმუმი უმეტესობას არა აქვს. ყმაწვილი ამთავრებს სკოლას, გამოდის ცხოვრების ფართო ასპარეზზე, თვალი გაურბის გოგონებისკენ, მაგრამ მათთვის არაფრის

შეთავაზება არ შეუძლია, რადგან ხელფესზეკრულია, შებოჭილია, საარსებო მინიმუმის არქონის გამო.

**— იქნებ, ხელფესზეკრული მამაკაცი ასოცირდება მამაკაცთან, რომელიც იძულებულია, ნავიდეს დათმობაზე და თავისი ნების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს?**

— მე გამოვიარე საბჭოთა პერიოდი ისე, რომ არც ერთი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა არ დამიწერია კომუნისტების სასარგებლოდ. მთავარბოლნენ კომკავშირის პრემიას, მაგრამ უარი ვთქვი. არ დაუწერე ყიული შარტავას, როცა შემიკვეთა ერთი ლექსი ბამზე (ბაიკალ-ამურის სარკინიგზო მაგისტრალი. — ავტ.) ერთი კომპარტიზაზე, ერთიც კომკავშირზე და მეუბნებოდა — დაწერე და კომკავშირის პრემიას მოგცემ, მთავარი რელაქტორიც გახდები, პრესტიჟულ ადგილას ბინასაც გამოგიყოფთო. ეს წინადადება არ მივიღე. მაგრამ იყო ხალხი, ვინც ეს მიიღო. დიდი ნაწილი წავიდა დათმობაზე, მცირე ნაწილი კი — არა. ჩემმა ნათქვამმა შეიძლება, ბევრი გააღიზიანოს, მაგრამ ეს ოდესმე ხომ უნდა თქმულიყო?! მაშინ მწერლები წიგნებს ვებჭდავდით და საარსებო მინიმუმი გვექონდა. მე მეტი არაფერი მანტერესებდა. ჩემთვის, ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას და არა პირიქით. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებსთვისაც ეს გაუგებარია.

**— გახსოვთ ალბათ, ის მძიმე წლები, როცა ჩვენი მამაკაცების უმეტესობამ ცხოვრებას ფეხი ვეღარ აუწყო. რა უნდა ქნას კაცმა, როცა ხელები აქვს შეკრული? არაფერი გამოსდის? არ იცის, რა აკეთოს?**

— არიან ადამიანები, რომლებმაც არანაირი შრომა არ ითაკილეს და იმ რთულ პერიოდში, თავიანთი ოჯახები საშიშროებაში არ გაწირეს. მაგრამ ისეთ მამაკაცებსაც ვიცნობ, რომლებმაც შავ მუშად მუშაობას, შიმშილი ამჯობინეს — აქაოდა, ღირსება შეეწინარწინეთო. ეს ინტელიგენტისთვისაა დამანასათებელი და მიმანია, რომ არ არის სწორი მიდგომა. კაცმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, ცხოვრების სიმწიფეები რომ გადალახოს. არ მესმის იმ მამაკაცების, რომლებმაც წლების მანძილზე თანამდებობებზე იმუშავეს, ამის გამო ფიზიკური შრომა ითაკილეს, სამაგიეროდ, ცოლები, დები, დედები საზღვარგარეთ სამუშაოდ გაუშვეს.

**ბია როინიშვილი:**

— ჩემს თაობას ძალიან მძიმე პირობებში მოუხდა ცხოვრება. როცა წარმატებაზე უნდა გვეფიქრა, მაშინ თბილისში ყველაფერი დაინგრა, სამოქალაქო ომი



დაიწყო და საშინელი სიდუხჭირე გამეფდა. ამიტომაც ვთვლი, რომ ჩემი თაობის ბიჭებმა საკუთარი თავის და შესაძლებლობების რეალიზება ვერ შეძლეს. ეს მთელი თაობის ტრაგედია აღმოჩნდა. წარმოიდგინეთ, ფენომენალურად ნიჭიერმა ახალგაზრდა კაცებმა ცხოვრების რადიკალურად შეცვლის გამო, ჩრდილში ღვომა არჩიეს. ხელფეხშეკრული აღმოჩნდა უამრავი მამაკაცი. რა უნდა ეკეთებინათ?.. თავი რით უნდა ერჩინათ?.. არც სამუშაო ადგილები იყო, აღარც კინოსა და თეატრში დადიოდა ხალხი. ამ დროს, ქალებმა უფრო შეძლეს მდგომარეობასთან გამკლავება. მასხოვს, იყო პერიოდი, როცა არაფერს ვაკეთებდი, თითქოს ჩემი საკეთებელი საქმე საერთოდ აღარ იყო. დედაჩემმა და ჩემმა მეუღლემ გამომიყვანეს ამ მძიმე მდგომარეობიდან. ქალებმა უფრო იოლად იპოვეს გამოსავალი. თამრიკო ბავშვებს ამეცადინებდა და ოჯახს ამ გზით არჩენდა... ეს საშინელი პერიოდი დასრულდა. მიუხედავად ამისა, ბევრმა ვეღარ შეძლო მარწუხების მოცილება, აქტიურ ცხოვრებას ვეღარ დაუბრუნდა და ძალიან ადრეულ ასაკში გაირიყა ცხოვრებისგან...

*არიან მამაკაცები, რომლებიც საკუთარ უშწევობას მტკივნეულად განიცდიან. ცდილობენ, გარეგნულად არ შეიმჩნიონ, როგორ ნერვიულობენ, მაგრამ ბოლომდე ვერ უმკლავდებიან ნალევლს და ღებრეისაში ვარდებიან. თამარი ვერასდროს იფიქრებდა, თუ მისი ძმა სწორედ უშუშევრობის, უფულობის და შესაბამისად, საკუთარი უშწევობის განცდის მსხვერპლი გახდებოდა. ერთ დროს უზრუნველი ოჯახი მეგალებმა აიკლეს და გააცამბვერეს. არავის ეგონა, რომ მშვიდი და გაწონასწორებული თემური ამის გამო სიცოცხლეზე იტყოდა უარს.*

**თამარი, 40 წლის:**

— ჩემმა ძმამ ბიზნესი წამოიწყო. ცხინვალიდან საწვავი შემოჰქონდა და აქ ყიდდა. თავიდან გაუმართლა: იმდენი ფული რჩებოდა, რომ მის ობლებს საჭმელ-სასმელი აღარ მოჰკლებოდათ. მერე გადაწყვიტა, მანქანა ეყიდა და ბენზინი საკუთარი ავტომანქანით ეზიდა. ამბობდა — ასე უფრო მეტი მოგება დამრჩება. ფული ისესხა და საწვავის გადასახიდი მანქანა შეიძინა. მაგრამ ხიფათი თითქოს იქვე იყო ჩასაფრებული. ერგენტის გზაზე შეიარაღებული ბანდა დაესხა თავს. ყველაფერი წაართვეს. ცხადია ნასესხები ფულით ნაყიდი მანქანაც. მასხოვს, სახლში გაფითრებული მოვიდა და თქვა: მგონი, დავიღუპე და საშვილიშვილოდ ვალებში გადავკარდიო... რას ვიზამდი?.. მანქანას უკან ვინდა დავვიბრუნებდ?.. მეგალებიც მაშინვე შემოგვე-

სივნენ. ვალს რით გადავიხდიდით?! თემურს შევთავაზე, სოფლის სახლი გავგვეყიდა. დამთანხმდა. მამაპაპეული სახლის გაყიდვა არ გავგვირებია, მაგრამ სანამ ფული მეგალებს დაუბრუნეთ, ფულის ნიშანი შეიცვალა, გადახურდა ვეღარ მოვასწარით და ხელში ფარატიხა ქალაღლებილა შეგვერჩა.

**— რითი დამთავრდა მეგალებების შემოტევა?**

— ბინა, რომელშიც ვცხოვრობდით, გაყვიდეთ. ისევ გავრისკეთ და ამჯერად, ვალების დაფარვა შევძელით. მე და თემური მისი ორი ობლით საცხოვრებლად სოფელში წავედით. იქ პატარა ქოხი ვიყიდეთ და დავბინავდით. მაგრამ ოჯახს, თავშესაფრის გარდა, გამოკვებაც ხომ უნდა?! ჩემმა ძმამ, საითაც არ გაიხედა, ყველგან წინაღობა დახვდა, ყველგან ხელი მოეცარა. ბოლოს, თონსა და ბარს ჩაებლაუჭა — მიწა მინც არ მიმტყუნებს და მოსავალი მოვაო. მაგრამ იმ წელს მიწიდან სულ რამდენიმე საზამთრომ ამოყო თავი. ეს იყო და ეს... ამის შემდეგ, თემური რადიკალურად შეიცვალა. დღე და ღამე ფანჯარასთან იჯდა. ხმას არ იღებდა, თითქოს ჩვენს არსებობას ვერც ამჩნევდა. ძმა ასეთ ყოფაში რომ დავინახე, ახლა მე გააქეტიურდი და ვაჭრობას მივყავი ხელი. სოფელ-სოფელ დავატარებდი ათას წვრილმანს. დილით რომ გავიდოდი ფუთამოკიდებული, დაღამებამდე აღარ ვბრუნდებოდი შინ. თემური კი, ისევ ფანჯარასთან დამჯდარი მხვდებოდა. ბოლოს, ვუსაყვედურე კიდევ — ბავშვებს სწავლაში მინც დაეხმარე, რა გულხელდაკრეფილი ზინარ-მეთქი?.. ნთვის შემდეგ, თემურმა თვითმკვლელობა სცადა. ამის გამო საშინლად ვეჩხუბე: შენს ობლებს ვის უტოვებ-მეთქი?! მეორე დღეს, მისი უსულო სხეული ბავშვებმა ბადის ბოლოში იპოვეს.

*რა მნიშვნელობა ენიჭება ოჯახს და აღზრდას მამაკაცური თვისებების ჩამოყალიბებაში? რა უნდა ვავაკეთოთ იმისთვის, რომ ვაჟს ადრეულ ასაკში ჩაკუნერგოთ საკუთარი თავის რწმენა, რათა ხელი შევეწყობოთ იმას, რომ თავდაჯერებულ მამაკაცად ჩამოყალიბდეს? გვესაუბრება ფსიქოლოგი მარიკა პალანდამი:*

— ადრეულ ასაკშივე ყვრება საფუძველი პიროვნების ისეთ განსაკუთრებულ და უმნიშვნელოვანეს თვისებას, როგორიცაა საკუთარი თავის პატივისცემა — ანუ განზოგადებული თვითშეფასება და ამასთანავე წყდება საკუთარი თავის პიროვნებად აღიარების ან არაღიარების საკითხი. საკუთარი თავის პატივისცემა იმაზე მიუთითებს, რომ

აღამიანი არ მიიჩნევს თავს სხვებზე უარესად. იგი საკუთარი თავის ძიმართ დაღებითადაა განწყობილი. ეს საშუალებას მისცემს, იოლად გაუმკლავდეს სირთულეებს, გადალახოს ცხოვრებისეული სიმძნელები და თავი გაართვას დაკისრებულ მოვალეობებს. საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაბალი დონე კი, საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის და საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობების ურწმუნობის ნიშანია, რაც შემდგომში, ხშირად საერთო ცხოვრებისეული წარუმატებლობის მიზეზი ხდება. ყოველივე ამას საფუძველი ეყრება უფროს კლასებში სწავლის პერიოდში. რაოდენ არასასიამოვნოც არ უნდა იყოს ჭაბუკური თვითდაჯერებულობა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, გაცილებით არასასიამოვნო და სასიფათოა, როცა ის საკუთარი თავისადმი პატივისცემის დაბალი დონით გამოირჩევა...

**— რა უნდა გააკეთოს მშობელმა, როცა თავის ვაჟში რომელიმე ამ თვისებას აწყდება?**

— საგანგაშოა, როცა ყმაწვილი თავის შესაძლებლობებს რეალურად ვერ აფასებს და თავდაჯერებული არ არის. ამის შემჩნევა იოლია და ამას ნებისმიერი მშობელი შეძლებს. ასეთი ვაჟები ავადმყოფურად რეაგირებენ ყოველგვარ კრიტიკაზე, დატუქსავსა და შენიშვნაზე, ცდილობენ განმარტოებას. მათ არ ჰყავთ მეგობრები და არ ცდილობენ თანატოლი ვოგონების მოხიზვლას... თუ მშობელს ეს პერიოდი გამოეპარა, შემდეგ ვეღარ შეძლებს, შვილს პრობლემებთან გამკლავებაში დაეხმაროს. მისი შვილი დასახულ მიზანს ვერ მიაღწევს და შესაბამისად, ფარხმალს დაყრის პირველსავე წინაღობის დროს. ასე რომ, როცა ხელფეხშეკრულ მამაკაცზე ვსაუბრობთ და ამაში არ ვგულისხმობთ პატიმარ მამაკაცს, უნდა გვახსოვდეს, რომ „ბორკილები“ მშობელმა „გამოუჭედეს“, როცა არ დაეხმარნენ საკუთარი თავის აღმოჩენასა და შეფასებაში. ჭაბუკს ხშირად უნდა უთხრათ, რომ ის ძლიერია და რომ მისგან ნამდვილი მამაკაცი დადგება. ხელი უნდა შეუწყობთ იმაში, რომ ისეთ საქმიანობას მიჰყოს ხელი, რომელიც კარგად გამოუვა. მოუნახეთ ისეთი წრე ან სპორტის ის სახეობა, რომელშიც თავის გამოჩენას შეძლებს. ზოგჯერ მინც გამოხატეთ აღფრთოვანება საკუთარი შვილით. არასდროს არ შეადართო სხვა მოზარდებს და არ უთხრათ: „ნახე, ის როგორი ნიჭიერია რა გამიჩნდი ასეთი უნიჭო; ან შეხედე იმას, იქნებ, მისგან კარგი მანერები გადაილო...“ თუ არ შეგიძლიათ სწორად წარმართოთ შვილის აღზრდა, რჩევა ფსიქოლოგს ჰკითხეთ.



## ბაქსი ანდრას ფანი ყოფილა

საინტერესო ფაქტი მოხდა მადრიდში გამართული საჩოგბურთო ტურნირის მატჩის შემდეგ, რომელშიც ერთმანეთს ამერიკელი ანდრე აგასი და ესპანელი ტომი რობრედო ხვდებოდნენ. როგორც აღმოჩნდა, დევიდ ბექჰემი აგასის დიდი ქომაგი ყოფილა. შეხვედრის დამთავრებისთანავე, ბექჰემი გამარჯვებულ ამერიკელთან მივიდა და ავტოგრაფი ჩამოართვა. ცხადია, დევიდის გადაწყვეტილებამ ანდრეც ნა-


სიამოვნები დატოვა. თვითმხილველები მიიჩნევენ, რომ „რეალის“ ნახევარმცველს დიდი ჩოგბურთელის ავტოგრაფი თავისი ვაჟიშვილებისთვის უნდოდა, რომლებიც ფეხბურთის გარდა, სპორტის სხვა სახეობებითაც ყოფილან დაინტერესებული. არც ისაა გამორიცხვად, რომ ბექჰემს, ცოლისთვის უჩვეულო „საჩუქრის“ მირთმევა სურდა.

## სტრიკტიზიორი დასჯას გადაურჩა

2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩზე, რომელშიც ლატვიისა და პორტუგალიის გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, მოედანზე თითქმის დელიშობილა გოგონა შეიჭრა (მას მხოლოდ ქვედა საცვალი ეცვა). მან რიკარდუ კარვალუსთან მიიბრინა და გადაეხვია, შემდეგ კი, პოლიციელებთან ერთად დატოვა მიწა. სწორედ ამ შემთხვევის შემდეგ, პორტუგალიელებმა ორი გოლი გაიტანეს და მატჩის ბედიც გადაწყდა. მოგვიანებით, 18 წლის ლიენ ბულ-



დურის წინააღმდეგ ხულიგნობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელიც „სტრიკტიზიორს“ ორწლიანი პატიმრობით, იძულებითი სამუშაოთი ან ფულადი ჯარიმით ემუქრებოდა. კარვალუს თავგანისმცემელი პროკურორ რენარ სლადზევსკის გადაწყვეტილებამ გადარჩინა, რომელმაც ბულდურის საქმე დახურა. თუმცა, თუ ეს უკანასკნელი უახლოესი 6 თვის მანძილზე კვლავაც გამოიჩენს თავს, მას ციხე არ ასცდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიენის საქციელისთვის ლატვიის ფეხბურთის ფედერაცია საჯარიმო თანხას გადაუხდის ფიფას.



## მუბუ ვიაგრას იღაბდა?!

ბოლო დროს, დიდი მიტქმა-მოტქმა ატყდა „ჩელსის“ თავდამსხმელის, ადრიან მუტუს სახელთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, მას აკრძალული სტიმულატორებისა და ნარკოტიკების მოხმარებაში ედებოდა ბრალი. ორიდღე დღის წინ კი, ფეხბურთელმა განაცხადა, რომ იგი სტიმულატორებს არა სპორტული,

არამედ სექსუალური მონაცემების გასაუმჯობესებლად იღებდა.

Daily Mirror-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ადრიანმა განაცხადა, რომ მას არასოდეს მიუღია კოკაინი და ერთადერთი აღმგზნები საშუალება, რომელსაც ის იყენებდა, სქესობრივი პოტენციის ასამაღლებლად გამოიყენება. „ეს იყო და ეს, რასაც მე ვხმარობდი, — ამბობს მუტუ, — ერთადერთი, რისი გაკეთებაც მსურდა, ჩემი სქესობრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება იყო. შეიძლება ჩემი ნათქვამი სასაცილოდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს სიმართლეა“. მიუხედავად ფორვარდის მიერ გაკეთებული განცხადებისა, არიან მოწმეები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ 25 წლის ადრიანი მართლაც, მოიხმარდა კოკაინს. მაგალითად, პორნოვარსკვლავ ლაურა ანდრეანის თქმით, რომელიც ადრე ფეხბურთელთან „მეგობრობდა“, მუტუ მთელი წლის მანძილზე, მისი თანდასწრებით მოიხმარდა კოკაინს. ამჟამად ადრიანი ყოველდღე თითო საათს ვარჯიშობს. იგი „ჩელსიში“ ხელფასს არ იღებს (მისი ანაზღაურება კვირაში 60 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენს), რადგან მოედანზე გასვლა ჯერ არ შეუძლია. რუმინელი დარწმუნებულია, რომ რომან აბრამოვიჩის გუნდში მას აღარ დაელოცება და ელოდება, როდის ვაყიდონ ან გაცვლიან. არაა გამორიცხვად, რომ იგი დონეცკის „შახტიორში“ გადავიდეს.

## ხელოვანი მწვრთნელის ხარისხის დასასრული

ინგლისური „ოქსფორდის“ მოთამაშეს ჯულიან ალსოპს, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე, კლუბის ბავშვთა გუნდს ამზადებდა, მოზარდების გარყვანაში ეღება ბრალი. როდესაც ის ამ დანაშაულში ამხილეს, უმაღლესი გააგდეს გუნდიდან. ბუნებრივია, მის საფეხბურთო კარიერას უმაღლესი წერტილი დაეცა, რადგან არც ერთი გუნდი აღარ ისურვებს პედოფილი მწვრთნელის საკუთარ გუნდში მიწვევას. საინტერესოა, კერძოდ რა ჩაიდინა ჯულიანმა? როგორც ინგლისური პრესა იუწყება, მან ბავშვთა გუნდის გასახდელში სცადა, ბანანის გამოყენებით „შეეცდინა“ 16 წლის ბიჭი, თანაც ამას ვითომდა ხუმრობით აკეთებდა, ხოლო როცა ნორჩ სპორტსმენს წინააღმდეგობის გაწევა უცდია და ტირილიც დაუწყია, ალსოპს მისთვის პირსახოციც აუკრავს პირი... უკვე ცნობილია ისიც, რომ ასეთი ქმედება „ოქსფორდის“ მოთამაშის სამწვრთნელო პრაქტიკაში პირველი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მოზარდები შექმნილი ვითარების გამოაშკარავებისგან თავს იკავებდნენ, რადგან ფეხბურთელი მათ, გუნდიდან გაგდებით ემუქრებოდა. მაგრამ ახლა, ჯულიან ალსოპს თავად მოუწევს ფეხბურთთან დამშვიდობება და სამწვრთნელო კარიერის ნაადრევად დასრულება.

# კიმი და ლეიტონი ერთმანეთს დაშორდნენ

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლეიტონი ჰიუიტი და კიმ კლიისტერსი ერთმანეთს დამორღვენ და მომავალი წლის თებერვლისთვის დაგეგმილი მათი ქორწილიც აღარ შედგება. როგორც ცნობილია, მათი ურთიერთობა ჯერ კიდევ 2000 წელს დაიწყო, როდესაც ჰიუიტმა თავისი რჩეული კიდევ ერთი ავსტრალიელი ჩოგბურთელის – პატრიკ რაფტერის დაბადების დღეზე წაიყვანა. შარშან დეკემბერში კი, ლეიტონმა კიმს ხელიც სთხოვა. მოგვიანებით კლიისტერსი ჰყვებოდა, რომ ჰიუიტმა მას საქორწინო ბეჭედი, ნავით რომანტიკული გასეირნებისას მიართვა და ცოლობა სთხოვა. მაგრამ ცოტა ხნის წინ, ჩოგბურთელთა რომანს წერტილი დაესვა, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ კორპორაციული ქორწინება დიდ სპორტში არცთუ ისე ხშირად ხდება. ერთ-ერთი გამონაკლისი, აგასი-გრაფის წყვილია. ბევრი ცნობილი ჩოგბურთე-



ლი გოგონა არატრადიციული სექსუალური ორიენტაციითაა ცნობილი, მაშინაც კი, სხვა პროფესიის ქალებთან ურთიერთობას ამჯობინებენ. მაგალითად, არგენტინელმა გილერმო კორიამ უბრალო ბულალტერი მოიყვანა ცოლად, ევგენი კაფელნიკოვი მოდელზე იყო დაქორწინებული; ანასტასია მისკინა და ამელი მორეზმო მოსკოვის „დინამოში“ მოთამაშე ჰოკეისტებს ხვდებოდნენ; ასევე ჰოკეისტთან ჰქონდა რომანი ანა კურნიკოვასაც, რომელმაც პაველ ბურეს შემდეგ, კიდევ არაერთი ბოიფრენდი გამოიცვალა, მაგრამ ჩოგბურთელი მათ შორის, არც ერთი არ ყოფილა.

# აგასი მოდელზე დათრგუნეს

ანდრე აგასის განცხადებით, ერთადერთი, რაც მას მადრიდის კორტზე მიმდინარე „მასტერსის“ ტურნირში თამაშისას მობოლიზებაში უშლიდა ხელს, საჩოგბურთო არენაზე მოდელთა ყოფნა იყო, რომლებიც იქ ბურთის მიმწოდებელთა როლში მოველინენ მონაწილე სპორტსმენებს. ესპანური ტურნირის დირექტორმა მანუელ სანტანამ ეს ნაბიჯი მაყურებელთა მიზიდვის მიზნით გადადგა. აი, ჩოგბურთელი მამაკაცები კი ხაზს უსვამენ იმას, რომ კორტზე ლამაზმანთა ყოფნამ მათ დათვური სამსახური გაუწია. „ვერავითარი მიკრძალვებული კოსტიუმი ვერ ცვლის საქმის არსს, – ამბობს აგასი, – როდესაც მოდელს ვუყურებდი, უმაღლვე ვკარავდი კონცენტრაციის უნარს“. საგულისხმოა ისიც, რომ ანდრეს ყოველ მატჩს ესწრება მისი მეუღლე შტეფი გრაფი, რომელიც ამერიკელ ჩოგბურთელს ლამაზმანებთან ფლირტის საშუალებას ნამდვილად არ მისცემს.



# რეპრესიები NBA-ში


NBA-ში იმ სპორტსმენთა დასჯას აგრძელებენ, რომლებიც კანონს არღვევენ. ამგვარად, სამმატიანი დისკვალიფიკაცია მისცეს „მინესოტის“ მოთამაშეს ედი გრიფინს, რომელსაც კინაღამ ქალი შემოაკვდა. დანაშაული არც თავად კალათბურთელს უარუყვია. გრიფინს საკუთარ სახლში თავისი ყოფილი გელფრენდისთვის გაურტყამს და ცეცხლსასროლი იარაღით მისი მოკვლაც კი უცდია. სპორტსმენი მას შემდეგ გაცხარებულა, რაც შეუტყვია, რომ გოგონას მასთან ურთიერთობის გაგრძელება აღარ სურდა. NBA-ს წესდების თანახმად, უნდა დაისჯოს ყველა მოთამაშე, რომელმაც კანონი დაარღვია. სხვათა შორის, გრიფინისთვის ეს პირველი ინციდენტი არ ყოფილა. ადრე იგი „ნიუ-ჯერსი ნეთსს“ ეკუთვნოდა და სწორედ თავისი ხასიათის გამო ჰქონდა პრობლემები კლუბთან, რომელშიც არც მოუწია თამაშმა. ერთხანს ედი ალკოპოლიზმისაგან განსაკურნებლად 6 კვირა კლინიკაშიც იმყოფებოდა. კალათბურთელს ბრალი ედებოდა მარისუანის უკანონოდ შენახვაშიც, რომელიც პოლიციამ მის მანქანაში აღმოაჩინა. ისე კი, თუ NBA-ში ყველა წესრიგის დამრღვევს დისკვალიფიკაციას მიუსჯიან, ალბათ ჩემპიონატის მსვლელობისას, კალათბურთელთა ნახევარიც აღარ დარჩება.



# ზეიმი და აღვირახსნილი გულშემატკივრები

ბეისბოლისტა გუნდის – „ბოსტონ რედ სოკს“ – გამარჯვების აღსანიშნავად ქუჩაში გამოსული 60 ათასი კაცის ზეიმი თანდათან, მასობრივ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რასაც 21 წლის გოგონა ემსხვერპლა. დაშვებული 16 გულშემატკივარი კი, ჰოსპიტალში მოათავსეს. დიდ სპორტში მსგავსი ფაქტი სისტემატურად ხდება. არცთუ ისე დიდი ხნის წინ, 2006 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ალბანეთის ნაკრებმა მოიპოვა სენსაციური გამარჯვება საბერძნეთის გუნდზე – 2:1 (როგორც ცნობილია, სწორედ ამ ჯგუფში ასპარეზობს საქართველოს ნაკრებიც), რის გამოც არა მარტო ტირანაში, არამედ ათენშიც ალბანელებსა და ბერძნებს შორის დაპირისპირება მოხდა. ერთ-ერთმა ორთაბრძოლამ ალბანელი ქომავლის სიცოცხლე შეიწირა. შარშან ზაფხულში კი, „ტურ დე ფრანსის“ მსვლელობისას, 64 წლის ფრანგი გულშემატკივრის გვამი აღმოაჩინეს. პოლიციის მუშაკთა განცხადებით, იგი 40 მეტრის სიმაღლიდან გადმოვარდნილა მაშინ, როდესაც ველირობლას ადგენებდა თვალს... ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი შემთხვევა რამდენიმე წლის წინ, თურქეთში მოხდა: ადგილობრივმა ქომავებმა ინგლისური „ლიდისი“ ორი ფანი მოკლეს. შემდგომში, საფეხბურთო ბოსებს დიდი ძალისხმევა დასჭირდათ იმისათვის, რათა თურქ და აღმოსავლეთ გულშემატკივრებს შორის დაპირისპირება ჩამცხრალიყო.





(დასანების ინ. „გზა“ №26-43)

# მცაცენლოს ინსცინქცი

## რუსულან ბერიძე

მკვლევლობის ბრალდებით დაპატიმრებული ახალგაზრდა ბიზნესმენის ანდრო სვანიძის დასაცავად, მისი საყვარელი დალი ხაჩიძე, წარსულში თავის უახლოეს მეგობარს, ადვოკატ მეგი ლალიძეს მიმართავს. ანდროს კახეთში მინის ნაკვეთი აქვს, სადაც ნავთობის საბადო უნდა იყოს და მეგი ხედება, რომ შესაძლოა, ვიღაცები სწორედ ამის გამო ცდილობენ გზიდან მის ჩამოცილებას. ანდროს „ჩაბირვით“, წარსულში მეგის შეყვარებული კახაცაა დაინტერესებული. არც კახამ და არც მეგიმ (რომელიც მშობიარობის შემდეგ მოატყუეს — ბავშვი დაიღუპაო) არ იციან, რომ მათ საერთო შვილი ჰყავთ. ამ ამბავს მეგის, კახას დედა გაანდობს, სიკვდილის წინ. ბედის ირონიით, მეგის შვილი — მიშკო, ანდროსა და მისი ყოფილი ცოლის — ლანას ოჯახში მოხვედრილა...

ამასობაში, ციხეში ანდროს კრიმინალები დაჭრიან, კახას კი, დედა მოუკვდება. სწორედ ამის შემდეგ შვიტყობს იგი მიშკოს არსებობის ფაქტს, შინ მიუფარდება მეგის და ეტყვის, რომ შვილის დაბრუნებას აპირებს... მეორე დღეს, ციხიდან

პატიმართა ჯგუფი გაიქცევა, მათ შორის — ქრილობამოუშუშებელი ანდრო სვანიძე, რომელიც ღამით მოულოდნელად, მეგის მიადგება კარზე... მეგი და ანდრო ნახევარ ღამეს საუბარში გაატარებენ. მისდა გასაოცრად, ქალი შვიტყობს, რომ ანდროსთვის ცნობილია, თუ ვინ არის მიშკოს ბიოლოგიური დედა. ბავშვის მამის ვინაობას კი მეგი მას თავად გაუხსნის. მიუხედავად იმისა, რომ ანდრო ძალზე დაუსტებელია, ის მეორე დღით, ჯერ კიდევ მეგის გაღვიძებამდე მის სახლს დატოვებს. საკუთარ სანოლში, რომელიც დაჭრილ ანდროს დაუთმო, მეგი ბარათს აღმოაჩენს, რომელშიც მისი აღსარებით თავზარდაცემული ანდრო სწერს — სრული სიმართლისთვის მიშკოს მაინც ნუ გაიმეტებო...

მეორე დღეს, კახას დედის დაკრძალვის შემდეგ, დალი და მისი ყოფილი ქმარი ზაზა აბაშმაძე (რომელიც დროებით, ცოლყოფილის ცხოვრებაში ანდროს ადგილს იკავებს...), რესტორანში წასვლაზე დაიყოლიებენ მეგის. იქ ზაზა მეგის შებმას ცდილობს, მაგრამ ამაოდ. გვიან ღამით კი, მეგის მთვრალი კახა დაადგება შინ და ეჭვიანობის სცენასაც გაუმართავს: ის დარწმუნებულია, რომ ციხიდან გაქცეული ანდრო მასთან იმალებოდა. ნერვებმოშლილი და გაბრაზებული მეგი, რომელსაც კახას წასვლის იმედი გადაეწურება, გამოუცხადებს — საბაზანოში შეედივარ და რომ გამოვალ, აქ აღარ დახვდები...

სააბანოში შეკეტულმა მეგიმ ცოტა ხნის შემდეგ, კარის გაჯახუნების ხმა გაიგონა და მაშინვე გულზე მოეშვა: „მადლობა ღმერთს!.. წაბრძანდა!“, სააბანოს კარი ფრთხილად გააღო და ჰოლში გაიხედა. იქ ჩამიჩუმი არ იმყოფა. მეგიმ ცოტა ხანს კიდევ შეიცადა და პირდაპირ სასტუმრო ოთახს მიაშურა. ოთახის კარი მჭიდროდ გამოხურული დახვდა. კარი თამამად შეაღო და ზღურბლზევე შედგა: სავარძელში ოთხად მოკცილ კახას თავი მხარზე ჩამოვარდნილია და ბავშვივით უღრტვინველად ეძინა.

— არა!.. ასე არაფერი გამოვა! — ხელები საბრძოლველად მომუშტა მეგიმ და კახას მიუახლოვდა, მაგრამ სწორედ იმ-

წუთას კახა შეიშმუნა და ძილისთვის სრულიად მოუხერხებელ სავარძელში გვერდიც იცვალა.

მეგის გულში რაღაც სიბრალულის მსგავსმა გრძობამ გაჰკრა, ჯერ მომუშტული თითები გაშალა, შემდეგ ხელებიც ნელ-ნელა დაუშვა და ტახტზე ფრთხილად ჩამოჯდა, მაგრამ ტახტმა მაინც უსიამოვნოდ გაიჭრიალა.

— ეგ ტახტი ძალიან მაგარი დასახეთია... — თვალის გაუხსნელად წამოისროლა კახამ და ისევ ფშვინვა ამოუშვა.

კახას წინ მჯდარ მეგის თავადვე უკვირდა, ერთ დროს ასეთ სასურველ მამაკაცს თითქმის სრულიად გულგრილად როგორ ათვალეობდა. თუმცა, მერე და მერე გულის სიღრმეში თითქოს, რაღაც სითბოს მაგვარი მაინც იგრძნო და ის ღამეც ცხადად გაახსენდა, როცა ერთხელ, მასთან სტუმრად მისულმა კახამ სწორედ ამ სავარძელში შეგნებულად მოიმძინარა თავი, ხოლო როცა მეგი გასაღვიძებლად მხარზე ფრთხილად შეეხო, უმაღლეს კლავებში მოიმწყვდია და... კიდევ ერთ ღამეს კი, მეგიმ კახა თავად დაიბარა, რათა თავისი დაფხვნილობის ამბავი გაემხილა, მაგრამ სანამ მეგი სამზარეულოში ჭურჭელს რეცხავდა და თან, თავისი ყველაზე მძიმე აღსარებისთვის ემზადებოდა, კახას სავარძელში მართლა ჩაეძინა და მეგი რომ ოთახში შესრუნდა, უკვე კარგა გემრიელადღაც ხვრინავდა.

ტკბილ-მწარე ფიქრებაშლილმა მეგიმ კახას ცოტა ხანს კიდევ სევდიანად უცქირა, შემდეგ იქვე ტახტზე მიგდებული პლედი აიღო და მუხლებზე უხერხულად მიაფარა. მოგვიანებით, როცა თავადაც დასაძინებლად მოემზადა და სასტუმრო ოთახში შექის ჩასაქრობად შევიდა, კახა პლედში უკვე საგულდაგულოდ გახვეულიყო.

„ნეტავ, მაშინდელივით თავს ზომ არ იმძინარებს? — ერთი უსიამოდ კი გაჰკრა გულში მეგის, მაგრამ ხელი ძალევე ჩაიჭია და შეუქც გამოროთო — რაც უნდა, ის ქნას...“

საძინებელში შესულმა მეგიმ კარი გულმოდგინედ გადარაზა და ტანსაცმლის გახდა მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო. მაგრამ ძალევე გაახსენდა, რომ ანდროს ნაწილი თეთრული გამოუცვლელი ჰქონდა და საბოლოოდ ხასიათაფუჭებული, ლოგინზე ზემოდან მიეგაღო. თავის დაღება და ჩაძინება ერთი აღმოჩნდა, გამოთინიასას სიცივემ გამოადვიდა. აკანკალებული მეგი ახეჯრად საბანოში დაუფიქრებლად გაეხვია, ჩამობარს ძალევე ჩაეძინა და საკმაოდ უცნაური სიხმარიც ნახა:

ვითომ, ერთ საღამოს შინ ძალიან გვიან და ძალიან დაღლილი დაბრუნდა და ის იყო, თავი მოიწესრიგა და დასაძინებლად დაწვა, რომ შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ

ფრთხილად დააკუნა. „არ გავალებ“ – ჩაბურტყუნა უკვე ძილბურანში მყოფმა მეგომ, მაგრამ კაკუნს კიდევ რამდენჯერმე განმეორდა. მეგი ლოგინიდან ბუზღუნ-ბუზღუნით წამოდგა, ჰოლში გავარდა და შემოსავლელი კარის საჭკვრეტელში გაიხედა. იქ ვიღაც მოხუცი ქალი იდგა. – „ეს ვინდა?“ – გაუკვირდა მეგის და კარი სწრაფად გააღო.

– გამარჯობა! – უკემხად მიახალა მეგის მოხუცმა, რომელსაც ხელში ატლასის ბაფთაშებები ჰქონდა, კარგა მოზრდილი მუყაოს ყუთი ეჭირა.

– გამარჯობა! – მოხუცი საიდანაც ეცნო მეგის, თუმცა საიდან, უცბად ვერ გაიხსენა.

– ეს შენ გამოვიგზავნეს, – მუყაოს ყუთი სასწრაფოდ შეაჩეხა მას მოხუცმა.

– მე-უ?! – გაუკვირდა მეგის. – ვინ გამომიგზავნა?

– ყუთს რომ გახსნი, მაშინ გაიგებ! – კვლავ მოკლედ მოუჭრა მოხუცმა და შემდეგ დაუმატა: – ოღონდ, მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ უნდა გახსნა, თორემ სანუკვარი ოცნება არ ავისრულდება!

– რომელი სანუკვარი ოცნება? – ვერ მიუხედა მეგი.

– მაგას მე მეკითხები? – მკაცრად ჰკითხა მოხუცმა და მაშინვე პირი იბრუნა.

– მოიცა! – დადევნა სიტყვა მეგომ. – ის მაინც მითხარით, თავად ვინდა ბრძანდებით?.. მგონი, სადღაც მინახავართ, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ...

– დრო რომ მოვა, ყველაფერს გაიხსენებ! – უკანმოუხედავად მიაძახა მოხუცმა და წაშში უკვალოდ გაქრა.

დაბნეული მეგი კარში კარგა ხანს უძრავად იდგა, მერე შინ შებრუნდა და ყუთი იატაკზე ფრთხილად დადგა:

– ოთხი თვის შემდეგ არა, კიდევ რა გინდა? – დაექანა ის მოხუცს. – ახლავ ვნახავ, რა არის ამ ყუთში!

მაგრამ ის იყო, მეგი ატლასის ბაფთას გასასხნელად წაეტანა, რომ კარზე კვლავ ვიღაცამ დააკუნა...

– მეგი, გაიღვიძე! შენი მობილური რეკავს! – ჩაესმა მეგის ძილში კახას ხმა, რასაც საძინებლის კარზე ენერგიული კაკუნიც მოჰყვა.

– ჰო, ახლავე!.. – როგორც იქნა, რეალობას დაუბრუნდა მეგი, ლოგინიდან წელი ძლივს და ათორია და კარი გააღო.

ზღურბლზე კახა გამოჩნდა, რომელსაც ხელში მეგის ხელჩანთა ეჭირა:

– შენი მობილური რეკავდა, – ისევ გაიმეორა მან.

მეგომ მამაკაცს ხელჩანთა უსიტყვოდ გამოართვა და ისევ საწოლისკენ შებრუნდა. კახაც მაშინვე უკან მიჰყვა, საწოლის კიდევ ჩამოუვდა და ქალი შეათვალიერა:

– შენ რა, ასე გეძინა?.. კახა სულ დაგჭმუჭნია...

– შენ ხომ ყველაფერი გაუთიებულ-გატყობინებელი გაცვია, აი! – შეუღრინა მეგომ და ხელჩანთა გახსნა.

ჩანთის გახსნა და მობილურის აწკრი-აღება ერთი იყო.

– ნეტავ, ვის აღარ ასვენებს გამჩენი? – აპარატი ჩართო მეგომ.

– ანდრო იქნება, შენი გულის კოკორი... – უშნოდ იხუშრა კახამ.

– კოკრები და კვირტები შენკენ მოიკითხე! – ყურმილი ყურზე სწრაფად მიიღო გაღიზიანებულმა მეგომ.

– კოკორია? – თავისას არ იშლიდა კახა.

– არა, კვირტი. თავად ელაპარაკე! – აპარატი უხეშად მიაფარა კახას მეგომ.

– ალო, მეგი, ვის ელაპარაკები? – გაისმა ყურმილში დალი ხაჩიძის ნამძინარევი ხმა.

– ვის და მე, ქალბატონო დალი! – არხინად უპასუხა კახამ.

– შენ მანდ რა გინდა? – გაუკვირდა დალის.

– სიბნელებში გზა ამებნა და საკუთარ სახლს ვეღარ მივაგენი... – თავი მოიკატუნა კახამ.

– მაინც რა ხართ ეს კაცები! – კახას უკბილო ხუმრობა მაშინვე აიტაცა დალი.

– სულ გარიგებთ, კომპასებით იარეთ-მეთქი, მაგრამ შეაყარე კვლეოს ცერცვი!.. აგერ, შენს ძმაკაც ზაზასაც აებნა გზა და კარზე რატომღაც, მე არ მომადგა?!

– რას მეუბნები? – ირონიულად გაეღიმა კახას. – არ მითხრა ახლა, „სპალნასაც“ ვეღარ მიაგნო.

– „სპალნას“, იცოცხლე, წაშში მიაგნო! – ატყრციალდა დალი.

– მაშინ მაღარიჩი შენზე! – სასწრაფოდ ვალი დაადო კახამ.

– ეგრე იყოს!.. ოღონდ, ახლა მეგი დამალაპარაკე, რა! – სთხოვა დალი.

– მისმინე! – როგორც კი მეგის ხმა გაიგონა, მაშინვე შეთქმულივით აჩურჩულდა დალი. – სადმე ისეთ ადგილას გადი, რომ კახამ არ გაიგონოს, რაღაც უნდა გითხრა!

– კარგი!.. – შშვიდად უპასუხა მეგომ და კახას მიუბრუნდა: – შეიძლება, ჩემს დაქალს მოწმის გარეშე დაველაპარაკო?

– კი... რა თქმა უნდა!.. – ფეხზე უხალისოდ წამოდგა კახა.

როგორც კი კახა ოთახიდან გავიდა, მეგომ მაშინვე ყურმილში ჩასძახა:

– გისმენ!.. მითხარი, რა მოხდა?

– ანდრომ დამირეკა... – როდის?

– გამთენიისას... – მარტო იყავი თუ?..

– მარტო... ზაზა წუხელვე წავიდა... – მერე? – გააწყვეტინა მეგომ.

– რა მერე?.. ანდროს ხმა რომ გავიგონე, კინაღამ გულიც გამისკდა...

– მე შენი გულის მღვობარეობა კი არა, ის მაინტერესებს, კონკრეტულად რა გითხრა?

– მე რა მითხრა თუ შენთან რა დამაბარა?

– ჩემთანაც რამე დაგაბარა?

– აბა რა!.. თუმცა, მართალი გითხრა, მე ბევრი ვერაფერი გავიგე...

– ე, გოგო, დროზე ამოღერდე, რა! – მოთმინების ძაფი გაუწყდა მეგის.

– მოკლედ, ასე, ჩემო კარგო!.. ანდრომ შემოგითვალა, ოთხი თვე კიდევ მაცალეო...

– რა მაცალეო?.. – გააწყვეტინა მეგომ.

– ეგ შენ უკეთ უნდა იცოდე! მე სიტყვასიტყვით ასე მითხრა: მეგის გადაეცი, რომ ოთხი თვე მაცალოს და მერე ყველაფერი თავისით გაირკვევაო.

– რა გაირკვევაო?

– აბა, მე რა ვიცი?!

– მერე ვერ ჰკითხე? – გაღიზიანდა მეგი.

– ვკითხე, აბა, რა ვქენი?! – ხმას აუწია დალიმაც. – მაგრამ მაშინვე მომაკეტინა, მეგი თვითონ მიხვდება, რასაც ვგულისხმობო... როგორც ჩანს, თქვენ უკვე რაღაც ისეთი საიდუმლოც გაქვთ, რომელიც...

– შენ რაღა გთხოვ? – სასწრაფოდ გააწყვეტინა მეგომ.

– მე რაც მთხოვა, ის მხოლოდ ჩემსა და ანდროს შორის უნდა დარჩეს, გასაგება? – გაღიზიანება ვეღარ დაფარა დალი.

– ბოდიში!.. საწყენად ნამდვილად არ მიკითხავს...

– არა, არა!.. პირიქით, შენ არ გეწყინოს!

– სასწრაფოდ მოლბა დალი. – უბრალოდ, ტელეფონში ვერ გეტყვი...

– შეგიძლია, მერეც არ მითხრა...

– ნუ იბღღმები, რა!.. თქმა რომ არ მნდომებოდა, ამ ამბავს საერთოდ არ ვახსენებდი... მართლა, კახას შენგან რა უნდა? – სალაპარაკო თემა მოხერხებულად შეცვალა დალი.

– გულუბრყვილო კითხვებს ვერ ვიტან!

– მიიღო?

– რა?

– რაც უნდოდა...

– ძალიან კარგად იცი, რომ რასაც შენ გულისხმობ, „ის“ ჯერ კიდევ ათი წლის წინ მიიღო... – გაღიზიანდა მეგი.

– აბა, ახლა „რეპეტესთვის“ შემოიარა? – ატყრციალდა დალი.

– მორჩი, რა!.. კაცმა გუშინ დედა დაასაფლავა და მაგისთვის სცხელა?

– აუ, ეს ვინ არის?! – შეიცხადა დალი. – ქალი დაბერდა და კაცები მაინც ვერ გაიცნო!..

– ისიც მეყოფა, შენ რომ გაიცანი. – არ იცი, რო?.. კაცი, ჩემო ლამაზო,

პატარა ბავშვითაა — სულ სითბო და მოფერება სჭირდება... დისკომფორტს საერთოდ ვერ უძლებს... ამიტომაც, ყოველთვის ისეთ ადგილს ეძებს, სადაც გაათბობენ, გემრიელად ასმევე-აჭმევენ და... აგერ, თუნდაც, ზაზა აიღე!.. ბოლო ხუთი წელი, მე კი არა, საკუთარი შვილიც არ განსენებია და უცბად — „ბაც“ — და არ გამოჩნდა?! და იცი, რატომ?

— საიდან უნდა ვიცოდე?  
— ცოლმა სხვა ქალთან წაასწრო და სახლიდან ცარიელ-ტარიელს გამოუძახა. სად უნდა წასულიყო?.. რა თქმა უნდა, დალისთან... დალი ხომ ყოველთვის ყველაფერს გაუგებს, აპატიებს და...

— მართლა აპატიებ?  
— ალბათ... — ამოიხრა დალიმ. — რაც არ უნდა იყოს, ჩემი შვილის მამაა... მაგრამ იცი, რომ იქით „იმტვრევა“ ტანში და თავსაც იფასებს?.. მაგრამ არა უშავს, მაგის წამალიც ვიცი...

— კარგი! — გააწვევტინა მეგიმ. — მაგაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. ახლა საქმეზე მაგვიანდება!..

— მერე კახას რას უპირებ?  
— რას უნდა ვუპირებდე?..  
— შენი საქმისა შენ იცი, ოღონდ, ძლიანაც არ გაუტოო... — კიდევ ერთხელ „დამოძღვრა“ დალიმ დაქალი და, როგორც იქნა, დაემშვიდობა.

მეგიმ აპარატი გათიშა და სასტუმრო ოთახში გავიდა. კახა ისევ იმ სავარძელში იჯდა და სადღაც შორს იფურებოდა. ფეხის ხმაზე მეგისკენ გამოიხედა და ბოლმიანად ჰკითხა:

— მორჩით?  
— ჰო... — მშვიდად უპასუხა მეგიმ. — წამოდი სამზარეულოში, ყავა დავლიოთ...  
— რომელი ყავა?  
— მე პირადად, მხოლოდ უნალექოს ვესვამ...

— მეც, — გააწვევტინა კახამ. — მაგრამ იქნებ, მანამ ერთი წერილის წარმომავლობა დაგვედგინა...  
— რა წერილის? — ვერ მოუხვდა მეგი.  
— აი, ამის... — პიჯაკის ჯიბიდან ოთხად მოკეცილი ფურცელი ამოიღო კახამ.

მეგიმ ანდროს წერილი იცნო და გული გადაუქანდა:  
— შენ ეგ წერილი ვინ მოგცა? — ნერვიულად ჰკითხა მან.  
— არავინ... — მშვიდად უპასუხა კახამ. — სავარძელზე იღო და ავიღე, — წერილი ფრთხილად გახსნა მან. — მაშ ასე, კკითხულობ: „შენმა აღიარებამ ბოლო საყრდენი გამომაცალა...“

უცბად, მეგი კახასთან გაჩნდა და წერილის ხელიდან გამოვლევდა დაუპირა, მაგრამ კახამ მაჯაში ხელი ისე გამეტებით ჩაავლო, რომ მეგის სიმწრისგან ცრემლებიც კი გადმოსცვივდა:

— გამიშვი!..  
— სად გაჭირდით?.. — მეგისთვის ხელი მაინც არ გაუშვია კახას. — ჰო, აი, აქ: „უსაყრდენო კაცი კი უშვილო ქალზე უბედურია...“ აუ, რა ღრმად ფილოსოფიური ნაბოლვარია!..

— კმარა! — ხელი ძალით გამოჰკლივდა მეგიმ. — ახლავე შეწყვიტე!  
— როგორც მიბრძანებთ! — კახამ ფურცელი ნება-ნება დაკეცა და ისევ პიჯაკის ჯიბეში ჩაიღო: — მაშ ასე, ქალბატონო! — განაგრძო მან შემდეგ. — ვისია ეს წერილი და რა შვილის დაბრუნებაზეა ლაპარაკი?..

— რა შენი საქმეა?  
— რადგან გეკითხები, ესე იგი ჩემი საქმეცაა!  
— ერთი კაცისაა.  
— კაცს გვარი და სახელი არ აქვს?  
— აქვს... — წამით დაფიქრდა მეგი. — გივი ძიძიგური... — პირზე მომდგარი პირველივე გვარი და სახელი წამოისროლა მან.

— ეგ ვინდა ეშმაკია?  
— ჩემი ერთ-ერთი კლიენტია.  
— კარგი ერთი! კლიენტი, ხომ?.. მაშინ გამოდის, რომ კლიენტებს აღიარებით ჩვენებს ისეთ აძლევე... გაიხსენე, რას გწერს: შენმა აღიარებამ რაღაცა მან მაგარი გამომაცალა...  
— ნუ სულელობ, რა! — როგორც იქნა, წონასწორობა აღიდგინა მეგიმ. — ეგ წერილი ჩემმა კლიენტმა საკუთარ ცოლს ცინხეში მოხვედრამდე დაუტოვა... ცოლმა კი, როგორც ნივთმტკიცება, მე მომიტანა.

— ხოს! — ტაში შემოჰკრა კახამ. — ეგრევე დაგიჯერე, რა!  
— გინდ დამიჯერე და გინდ — არა... ეს შენი ნებაა...  
— დიხაც, რომ ჩემი ნებაა! — ხმას აუწია კახამ. — ეს წერილი ვიღაც ძიძიგურს კი არა, ანდრო სვანიძეს ეკუთვნის და ამას მალევე დაგიმტკიცებ! ხომ არ დაგავიწყდა, რომ პროფესიით მეც იურისტი ვარ?!.. ჰოდა, მერე ნახე შენი გაჭირვება!

— რა გაჭირვება?  
— ვერ ხვდები?.. — ჩაიქირქილა კახამ. — იცი, რა ამბავი ატყდება, როცა „ზემოთ“, — საჩვენებელი თითი ჭერისკენ აღმართა მან, — მაჯანი და მაჯანი გაიგებენ, რომ თავისი შუუვალბითა და უკომპრომისობით ცნობილმა ადვოკატმა მეგი ლალიძემ ცინხიდან გამოქცეული კაცის მკვლელი საკუთარ სახლში შეიფარა?.. ხომ ხუხულასავით ერთ წაშში დაგეშობა თავზე ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ნაშენები ძვირფასი კარიერა!.. მაგრამ, ეს კიდევ არაფერია!.. შენ ახლა ლანას აღარ იკითხავ?

— ლანა რაღა შუაშია? — ძლივს და ამოიკნავლა მეგიმ.  
— ლანა თუ არა, აბა, ვინდაა შუაში? —

დამცინავად ჰკითხა კახამ. — თანაც, იცი, რა გაგიჟება იცის?.. ამ წერილს რომ წაიკითხავს, ჩემს მტერს, ის რომ ამბებს დაატრიალებს...

— რა გინდა ჩემგან? — ტანტზე უღონოდ დაეშვა მეგი და თავი აკანკალებულ ხელებში ჩარგო.  
— მხოლოდ ერთადერთი რამ: შვილი უნდა დამიბრუნო!

— მე შენთვის შვილი არასდროს წამირთმევია და ვის დაბრუნებას მოხოვ?.. — დაიწყო მეგიმ, მაგრამ კახამ გააწვევტინა:  
— ნუ ღემაგოვობ!  
— ვინც მე არ მეკუთვნის, შენ როგორ უნდა დაგიბრუნო? — მაინც განაგრძო მეგიმ.

— რა-რა და პროფესიონალ ადვოკატს ამის გაკეთება ნამდვილად არ გაგიჭირდება, — „დამშვიდა“ ქალი კახამ. — შეაგროვე საჭირო საბუთები, ზოგის მოძიებაში მეც დაგეხმარები და მიმართე სასამართლოს...

— არა, არა!.. — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა მეგიმ. — გესმის, რას მოხოვ?! საქმე ხომ ჩემს შვილს ენება... ჩემს სისხლს და ხორცს და გინდა, რომ გამოძიებულებისა და მოსამართლეების საჯიჯვენი გავხადო?.. თანაც, იცი, ღვინობის ან მამობის დასადგენად, რამდენი სამედიცინო პროცედურაა ჩასატარებელი?

— შენ მაგაზე ნუ ღელავ... ფულს ყველაფერში მე გადავიხდი...  
— შენ ფული რაშიც გინდა, იმაში გადაიხადე, მე კი ჩემს შვილს ამისთვის არასოდეს გავიმეტებ!.. ან ვინ გამამეტებინებს?.. წელან შენ თეთონ არ თქვი, ლანას გაგიჟება არ გინახავსო?.. გგონია, ასე ადვილად დათმობს ბავშვს, რომელიც ცხრა წელი ღვიძლი შვილივით ზარდა?.. მე რამდენიმე ასეთ პროცესში პირადად ვმონაწილეობდი და კარგად ვიცი, რა ტუ ლომებივით იბრძვიან დელობილები!..

— მერე რა? — სავარძლის საზურგეზე არხეინად გადაწვა კახა. — ბრძოლა ერთია და შედეგი — მეორე... იქნებ ისიც მითხრა, რომ ყველა პროცესი დელობილის სასარგებლოდ მთავრდება?!  
— კი, ათიდან ცხრა...

— შენც ადექი და რიგში მეთოდ ჩაეწერე, რაღა! — უშნოდ იხუმრა კახამ.  
— ჩავეწერო რა, ხორცის რიგია?! — იკივლა მეგიმ. — გესმის, რას ლაპარაკობ?!  
— კარგი, ჰო, ნუ ავარდი! — სასწრაფოდ უკან დაიხია კახამ. — ვაღიარებ, ნამდვილად ცუდად გამომივიდა... უბრალოდ, იმის თქმა მინდოდა, რომ საქმე არც ისე უიმედოდაა, როგორც შენ მიხატავ.

— იმედი საერთოდ ბოლოს კვდება... — ბოლმიანად ჩაილაპარაკა მეგიმ.



მეგი.

— А вот это, уже очень спорный вопрос, дорогая,

— კარი მშვიდად გაიხურა კახამ...

კახას წასვლის შემდეგ მეგი ტახტზე უღონოდ მიესვენა და გული პატარა ბავშვივით ამოუჯდა:

— რატომ, რატომ, რატომ?..

— სლუკუნებდა იგი. — განა, ამდენი წლის შემდეგ ღმერთმა შვილი იმიტომ მაპოვნინა, რომ უღირსმა მამამისმა საშუალოდ წამართვას?..

უცბად, შემოსასვლელ კარზე ვიღაცამ ფრთხილად დააკაკუნა. მეგიმ

მაშინვე თავი წამოსწია:

— ალბათ, კახა დაბრუნდა! — ცრემლები სწრაფად მოიწმინდა მან, წაშში პოლში გაჩნდა, კარი დაუფიქრებლად გამოაღო და მაშინვე ჩაქრა: ზღურბლზე კარის მეზობელი თამარ იმედაძე იდგა.

— მეგი, შვილო, ხომ არ გაგაღვიძე? — მორიდებით ჰკითხა მან.

— არა, ღვიდა თამარ, რა დროს ძილია?!

— იუარა მეგიმ, — მობრძანდით... მართალი გითხრათ, დიკვირს, ამ დროს შინ რომ გხედავთ...

— ცოტა დასვენება გადავწყვიტე. — ზღურბლს მორიდებით გადააბიჯა თამარმა. — ძალიან გადავიღაღე და ვიფიქრე, სადმე არ დავცე-მუთქი.

— ისევ წნევამ ხომ არ ავიწიათ? — ოთახში შეუძღვა სტუმარს მეგი.

— წნევამ, გულმა... ყველაფერმა ერთად შემომიტია. — მეგის შეთავაზებულ სავარძელში ნელა ჩაეშვა თამარი.

— ჩაის მოგართმევთ. — შესთავაზა მეგიმ.

— ჩაიზე უარს ნამდვილად არ გეტყვოდი, მაგრამ სამსახურში ხომ არ დაგაგვიანებ?

— არა. — დაამშვიდა მეზობელი მეგიმ. — ამ დღით სადაც უნდა მივსულიყავი, იქ თქვენამდე დამაგვიანდა, პროცესი კი მხოლოდ სამზე მეწყება.

— მაშინ ჩაი დამისხი და მერე საქმეზეც დავილაპარაკოთ. — დაყაბულდა თამარი.

მეგი მაშინვე სამზარეულოში გავიდა, ჩაიდან წყლით აავსო, გაზქურაზე შემოდგა და ჩაფიქრდა...

მეგის კარის მეზობელმა, მარტონელა თამარ იმედაძემ მთელი 25 წელი სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად იმუშავა. მაგრამ მერე, ცხოვრება რომ აირია და პედაგოგის შრომაც საბოლოოდ გაუფასურდა, შიმშილის პირას მისული თამარი სკოლას და წილობით ნალოლიაგებ მოსწავლეებს თვალცრემლიანი გამოეთხოვა და... მეტროს ერთ სადგურში, გაზთების გამყიდველად

— ახლა კი შენ არ გესმის, რას ლაპარაკობ... — უცბად, მეგის წინ ჩაცუცქდა კახა და მუხლებზე ხელი ნახად გადაუსვა.

— რას შვრები?! ხომ არ გაგიჟდი?! — მაშინვე ფეხზე წამოხტა მეგი.

კახაც მას აჰყვა და თან, თვალი თვალშიც გაუყარა:

— კი არ გაგიჟდი, მინდა, ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინო: შენ ჩემი ცოლი უნდა გახდე, მიმიკო კი — ჩემი შვილი... — ქალს ახლა წელზე მოხვია ხელი კახამ და მთელი ძალით მიიზიდა...

— არასოდეს! — ხელიდან მინც გაუსხლტა კახას მეგი: — არასოდეს!

— კარგი... — ხელები თმაზე რამდენჯერმე ნერვიულად გადაისვა კახამ. — მაშინ აქედან პირდაპირ ლანასთან მივდივარ. — კარისკენ შებრუნდა იგი.

— ლანასთან რა გინდა? — შეცბა მეგი.

— წერილი უნდა ვაჩვენო და საერთოდაც, ყველაფერი დაწვრილებით აუხსნა...

— მერე ამით რას მიაღწევ?

— ვნახოთ!.. ცდა ბედის მონახევრა...

— არ გაბეღო! — მხარში გამეტებით ჩააფრინდა მეგი.

— რა?.. ლანას ნახვა?..

— ლანას ჯანდაბამდე გზა ჰქონია!.. მიმიკოს სიმართლე არ უთხრა!

— ეგ არც მიფიქრია, — მეგის ხელი ცივად გააშვებინა კახამ. — ეჭვიც არ მეპარება, რომ ლანა, რომელსაც ცოლად მალევე მოვიყვან, ამას ჩემზე ბევრად უკეთესად გააკეთებს...

— გააკეთებს და გააკეთოს! — უცბად, მამაკაცს ხელი ცივად გაუშვა მეგიმ და განზე გადავა:

— ორივეს ჯანდაბამდე გზა გქონიათ!

— რატომ ორივეს? მერე მიმიკო?.. ან იქნებ, ეჭვი გეპარება, რომ სადაც ლანა იქნება, იქაც — მისი შვილი?

— მიმიკო ლანას შვილი არ არის... — წყალწაღებულივით მინც ხავსს ჩაეჭვიდა

დაიწყო მუშაობა. ამის შემდეგ თამარი შინიდან სისხამ დილით გადიოდა და უკან მხოლოდ შუალამისას, მეტროს დაკეტვის შემდეგ თუ ბრუნდებოდა. სადარბაზოს კიბეზე მუდმივად სიბნელები ამავალ-ჩამავალი თამარი, არცთუ იშვიათად, მეზობლების ცხოვრებაში მომხდარი ამა თუ იმ პიკანტური ამბის მოწმეც ხდებოდა. თამარი რომელიმე მარტონელა მეზობლის კარზე ატუზულ საყვარელს თუ პირდაპირ სადარბაზოში მკოცნავ წველისა ც ბევრჯერ გადაჰყარა, მაგრამ გვერდი მხოლოდ თავის უკმაყოფილო ქნევით აუვლია.

ღუმლის გამო, მეზობლები თამარის მადლიერნი იყვნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად, მინც „თამარა კომენდანტს“ ეძახდნენ.

ბევრისგან განსხვავებით, მეგი „თამარ კომენდანტის“ თვალთახედვის არეში უშნოდ არასდროს მოხვედრილა. თუმცა, მასთან პირისპირ შეხვედრას მინც გაურბოდა. მეგის საძინებელსა და თამარის ერთადერთ ოთახს საერთო კედელი ჰყოფდა, რომელიც ხმაურს ადვილად ატარებდა და მეგისაც მუდმივად ეჩვენებოდა, რომ თამარ იმედაძემ მისი პირადი ცხოვრების ყველა დეტალი ზეპირად იცოდა...

„ნეტავ, ახლა რომელზე უნდა მელაპარაკოს? — შიშით ფიქრობდა მეგი და ჩაის სურნელოვან ნაყენს ფინჯნებში ნელ-ნელა ანაწილებდა. — თუ დილიდან არსად გასულა, შეიძლება, ჩემი და კახას კამათის ხმაც გაიგონა... ან, იქნებ, სულაც... გაიგონა და გაიგონოს! — გულში ბოლმიანად დაუმატა მან შემდეგ. — რა ყველას მე უნდა ველოლიაყო?.. ჩემს სახლში მინდა, ვიჩხუბებ და მინდა, ყორაზე დავდგებო...“

მეგიმ ჩაით სავსე ფინჯნები ლანგარზე ფრთხილად დადგა, გვერდით კაკლის მურაბა და თევზით ნამცხვარი მოუღვა და სასტუმრო ოთახში შეიტანა.

— რა ამბავია, შვილო? — შეწუხდა თამარი. — კედელ-ყურეში აღარაფერი დაიტოვე?

— მიირთვით... — შესთავაზა მეგიმ. — მე ტკბილეული დიდად მინც არ მიყვარს და ყოველთვის სტუმრებისთვის ვინახავ.

— კაკლის მურაბაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვი... — მურაბა პატარა სამურაბე თევზზე გადაიღო თამარმა, — ამბობენ, გულს ძალიან უხდებო. ნამცხვარი კი სხვა სტუმრებს შეუნახე.

— ეჰ, ღვიდა თამარ, ჩემთან სტუმრობისთვის ვიღას სცალია? — თავი მოისაწყვლა მეგიმ. — საუკუნეა, აღარავის გავხსენებია... კიდევ კარგი, რომ თქვენ მინც არ მივიწყებთ და...

— მომისმინე, შვილო, — გააწყვეტინა

თამარმა. — ხომ იცი, როგორ მიყვარხარ და პატივს გცემ.

— ვიცი... — უბასუხა მეგიმ.

— იმასაც ხომ ხვდები, რომ ამ დილაადრიან შენთან ჩაის დასალევად არ შემოვიდოდი...

— ვხვდები... — თავი დამნაშავესავით ჩაქინდრა მეგიმ და ისე დაუმატა: გისმენთ, დეიდა თამარ!..

თამარმა რამდენიმე ყლოუბი ჩაი კიდეც მოსვა და მერეღა დაიწყო:

— ამ დილით არსად მეჩქარებოდა, მაგრამ, ჩვეულებისამებრ ადრე გამეღვიძა. რამდენიც არ ვიწვიალე, მაინც ვეღარაფრით დავიძინე და ამიტომ, ბაზარში წასვლა გადავწყვიტე. ვიფიქრე, პროდუქტებს მაინც მოვიმარაგებ-მეთქი. ბაზრიდან რომ ვბრუნდებოდი, სადარბაზოსთან ორი ყმაწვილი დამხვდა. ორივე მაშინვე ვიცანი: ჩემი ნამოწაურები იყვნენ. აქ რას უღვახართ-მეთქი? — ვკითხე. თამარა მასწ., მოგეხმარებითო, სიტყვა ბანზე ამოვღეს და მაშინვე ხელეში მეტყნენ. პროდუქტები სახლამდე ამომატანინეს, მე ორივე შინ შევიპატიჟე და თითო ფინჯანი ყავითაც გაუუმასპინძლდი..

— მერე? — თამარის დაწვრილებითმა თხრობამ მოთმინების ძაფი გაუწყვიტა მეგის.

— მერე ის, რომ ორივე ორგანოს თანამშრომელი აღმოჩნდა. — გამომცდელად შეხედა თამარმა მეგის.

— მერე? — მაინც არაფერი შეიმჩნია მეგიმ.

— მერე მაგიდაზე ვილაც ახალგაზრდა კაცის სურათი დადეს და პირდაპირ მკითხეს, ეს კაცი ამ კორპუსში შემოსული ან უკან გასული ხომ არ ვინახავსო? რა იყო, ბიჭებო, ჩემი „კომუნდანტობის“ ამბავი თქვენც ხომ არ გაიგეთ-მეთქი? — გახუმრება ვცადე, მაგრამ შუბლები მკაცრად შეიკრეს: სახუმაროდ საქმე ნამდვილად არა გვაქვს, ეს ტიპი საშიში დამნაშავეა, კაცი ჰყავს მოკლული.. ორი დღის წინ ციხიდან გაიქცა და დიდი და პატარა ვეჭებოთ... — ჰოდა, ეძებეთ!.. მე კი ასეთი კაცი ამ სახლში კი არა, საერთოდ არსად, არასდროს მინახავს-მეთქი... — ცივად გავაწყვეტინე მე და ფეხზე წამოვდექი. ისინიც მაშინვე ამყენენ და ოთახიდან უსიბუცოდ გააძურწნენ. სადარბაზოში მაინც ვავატილე. კიბეზე რომ ჩადიოდნენ, ერთმა გაბედა და წაშით მომბრუნდა: თამარა მასწ., გვაპატიეთ, თქვენი წყენინება ნამდვილად არ გვინდოდა... კარი რომ მივხურე და ოთახში შემოვბრუნდი, ის ფოტო იატაკზე, მაგიდის ფეხთან ეგდო. არ ვიცი, დაუვართ თუ შეგნებულად დააგდეს... მე კი ავდექი და შენ მოგიტანე — ფოტო მაგიდაზე პირქვე დადო თამარმა.

გაგრძელება იქნება



# სული

1993 წელს, რეჟისორმა ნილ ჯორდანმა 5000 პრეტენდენტს შორის, 11 წლის კირსტენ დანსტი გამოარჩია და ფილმში — „ინტერვიუ გამპირთან“ — მთავარ როლზე მიიწვია, სადაც მისი პარტნიორები ბრედ პიტი და ტომ კრუზი იყვნენ. მოგვიანებით გოგონა გამოტყდა, რომ ფილმის გადაღებისას, ყველაზე მეტად ის სცენები არ მოსწონდა, სადაც ბრედ პიტის კოცნა უწევდა, სამაგიეროდ, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა იმ ეპიზოდების გადაღება, სადაც გამპირის ეშვები უნდა გამოეჩინა...

## ყველაზე ძვირად ღირებული

# პორტრეტი ბეკმი

### მინიბიოგრაფია

დაბადების თარიღი: 1982 წლის 30 აპრილი.  
დაბადების ადგილი: ჰონგ კუნგანგი, ნიუ ჯეისის შტატი.  
სხელი სახელი: კრისტინ კაროლინ დანსტი.  
მეტსახელი: ბეკმი.

ასე დაიწყო ახალგაზრდა ვარსკვლავის კინოკარიერა. მაგრამ გადასაღებ მოედანს და კამერების ჩხაკუნს კიკი გაცილებით ადრეული ასაკიდან იყო მიჩვეული. უკვე 3 წლის კირსტენი კომპანია „ფორდის“ მოდელი გახდა და სხვადასხვა კომპანიის სარეკლამო რეკლამებშიც მონაწილეობდა. სარეკლამო ბიზნესში მისი კარიერა ამჟამადაც გრძელდება და დღეისათვის, მის ანგარიშზე უკვე 70-ზე მეტი რეკლია...

მსახიობის მამა, კლაუს დანსტი სამედიცინო კომპანიის მოსამსახურე იყო, დედა, ინეზი — მხატვარი, სამხატვრო გალერეის დამაარსებელი და მფლობელი. 1987 წელს, კირსტენის ძმა, კრისტინი დაიბადა. 1991 წლამდე, ოჯახი პონტ პლეზანტში ცხოვრობდა. მშობლების განქორწინების შემდეგ, ბავშვები დედასთან ერთად სამხრეთ კალიფორნიაში გადავიდნენ საცხოვრებლად, ნიუ ჯერსიში დარჩენილი მამა კი, თვეში ორჯერ ჩადიოდა მათ მოსანახულებლად.

1989 წელს მისი კინოდებიუტი შედგა. იგი პირველად, ვუდი ალენის ფილმში — „ნიუ-იორკის ამბები“ — გამოჩნდა. სულ მალე, ოჯახი საცხოვრებლად ლოს-ანჯე-

ლესში გადავიდა და კირსტენ დანსტის თავბრუდამხვევი კარიერაც დაიწყო.

უკვე 1990 წელს, მას სახელგანთქმულ ტომ ჰენსტონთან ერთად იღებენ ფილმში — „პატივმოყვარეობის კოცონი“.

ფილმის — „ინტერვიუ გამპირთან“ გამოსვლის შემდეგ კირსტენის ნამუშევარი რამდენიმე ჯილდოთი აღინიშნა. ტომ კრუზმა კი განაცხადა: „განცვიფრებულნი ვიყავით მისი აქტიორული სიმწიფით. ისეთი







შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ მოზარდის სხეულში 35 წლის გამოცდილი მსახიობის სული იყო ჩასახლებული“.

მომდევნო – ემის როლმა ფილმში „პატარა ქალები“ კირსტენი ყველაზე ძვირად ღირებულ ჰოლივუდედ ბავშვად აქცია. იგი ეკრანზე ისეთ ვარსკვლავებთან ერთად ჩნდებოდა, როგორებიც არიან: რობინ უილიამსი (ფილმში „ჯუშანჯი“, 1995) და რობერტ დე ნირო (ფილმში „კუქს ძაღლი აქიციებს“, 1997).

კინოს გარდა, კირსტენს ხშირად იღებდნენ სხვადასხვა სატელევიზიო სერიალში, მათ შორის, პოპულარულ სერიალში – „სასწრაფო“. გახმოვანებული აქვს ანასტასიას როლი ამავე სახელწოდების მულტფილმში.

1999 წელს ახალგაზრდა მსახიობის ცხოვრებაში ახალი, უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო, რადგან სწორედ ამ წელს განასახიერა ეკრანზე პირველად არა ბავშვი, არამედ მოზრდილი პერსონაჟი.

კირსტენ დანსტის სამსახიობო კარიერაში უდიდეს მიღწევად იქცა ლუქს ლისბონის სახე სოფია კოპოლას კინოფილმში „თვითმკვლეელი ქალწულები“.

2000 წლის ივნისში კირსტენმა ლოს-ანჯელესის ერთ-ერთი სოლიდური სას-

წავლებელი – Notre Dame High School დაამთავრა და ამაჟამად, საკუთარ საპროდიუსერო კომპანიაში – Wooden Spoon Productions – დედასთან ერთად მუშაობს.

2001 წელს, ფილმში – „სიყვარულის ვირუსი“ – კირსტენი პირველად ამღერდა და სიმღერა – Dream of me – შესარულა.

2002 წელს, ფილმში „ადამიანი-ობობა“ შესრულებულმა, პიტერ პარკერის მეგობარი გოგონას როლმა კირსტენ დანსტს მსოფლიო პოპულარობა მოუტანა. ამას მოჰყვა როლები ფილმებში: „მონა ლიზას ღიმილი“ (2003), „ენების მარადიული ციალი“ (2004), „ადამიანი-ობობას“ მეორე ნაწილი. სულ მალე, კინოეკრანებზე მისი მონაწილეობით კიდევ ერთი ახალი ფილმი – „უიმბლდონი“ გამოვა.

მიუხედავად ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ასაკისა, კირსტენის ბოიფრენდების სია საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. ის სხვადასხვა დროს ხვდებოდა: ჯეკ ჰოფმანს (დასტინ ჰოფმანის

ვაჟს), სპორტსმენ კობ ბრანტსა და მსახიობ ბენ ფოსტერს.

ეურნალ People-ის 1995 წლის გამოკითხვის მიხედვით, კირსტენი მსოფლიოს 50 ულამაზესი ადამიანის სიაში მოხვდა.

კირსტენს მანვე ჩვევები არა აქვს. მისი საყვარელი ფილმია სტივენ სპილბერგის „მინდღერის სია“. მოსწონს სერიალები – „მეგობრები“ და „ბივისი და ბატხედი“, არის MTV-ის ფანატი.

სკოლაში სწავლისას, სკოლის საბჭოსა და საკალათბურთო გუნდის მხარდამჭერთა ვგუფის წევრი იყო. შინ ძაღლი და ორი კატა ჰყავს. როდესაც კირსტენი გადაღებებზე მიემზავრება, კატებს ღელას უტოვებს, ძაღლი კი, მუდამ თან დაჰყავს. ■



## კატინი ლაუმა თავი დამნაშავედ ცნო

როგორც უკვე ვიუწყებოდით, პოპ-ვარსკვლავის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე იყო აღძრული. კორტინი ლავს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და თავყვანისმცემლის გალახვაში სდებდნენ ბრალს. და აი, ვარსკვლავმა თავი დამნაშავედ ცნო. ნიუ-იორკის სასამართლომ კორტინის, ე.წ. წინასწარი გათავისუფლების ვერდიქტი გამოუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი წლის შემდეგ, მის წინააღმდეგ აღძრული საქმე დაიხურება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ის დაზარალებულს, სამკურნალო კომპენსაციის სახით, 2.336 დოლარს გადაუხდის. გარდა ამისა, მომღერალი ვალდებულია, ჩაიტაროს ნარკოლოგიური მკურნალობის კურსი და აგრეთვე,



აღნიშნულ პერიოდში, სანიშნუში ქცევის ნორმებს არ გადაუხვიოს – ე.ი. არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული. ამ პირობათაგან რომელიმეს დარღვევის შემთხვევაში, კორტინის 15-დღიანი პატიმრობა ელის. ამასობაში, მომღერალმა გადაწყვიტა, საპყრობილეს სწვეოდა – იმ მიზნით, რათა გაემართა კონცერტი პატიმარი ქალებისთვის. შესაძლოა, მას ისიც აინტერესებდა დაეგინა, თუ რა პირობებში ცხოვრებას გადაურჩა... „ნამდვილად გამიმართლა, – თქვა მომღერალმა საპყრობილეში გამართული კონცერტის შემდეგ და დასძინა: „ახლა კარგად მესმის, თუ რას განიცდიან ეს ქალები და იმედი მაქვს, რომ ჩემმა კონცერტმა ცოტა ხნით მაინც აგრძობინა თავი ბედნიერად“.

## ნათმი კემპელის ახალი სიყვარული

როგორც ჩანს, ხმები სუპერმოდელ ნათმი კემპელისა და მომღერალ ამერის რომანის შესახებ უსაფუძვლო არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ ამერს მოსვენებას არ აძლევს მისი ყოფილი შეყვარებული, ის უკვე დაუფარავად ხვდება „ავაზას“, რომელმაც თავის მხრივ, ამერთან დაახლოება იმით გამოხატა, რომ მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, დიდი წვეულება მოაწყო. არადა, როგორც მის საახლობლოში ამბობენ, ეს მოდელს არ სჩვეია... გავიდა ცოტა ხანი და პაპარაცებმა წვეული ნიუ-იორკში კიდევ ერთ საღამოზე დააფიქსირეს, სადაც ამერი ტროსტით ხელში გამოცხადდა და სახეს შავი შლაპის ფარფლებით იფარავდა... სამაგიეროდ, ნათმი არ ერიდებოდა საკუთარი თავისა და საკუთარი გრძობების გამომჟღავნებას და მთელი წვეულების მანძილზე, ახალ ბოიფრენდს ეკეკლუცებოდა.



## მეთ დეიმონი მზადაა, 1 მილიონიც დათმოს...

მსახიობს არ ენანება ეს თანხა, ოღონდ საპრეზიდენტო არჩევნებში ჯონ კერმ გაიმარჯვოს. მეთ დეიმონი ჰოლივუდის ვარსკვლავთა საკმაოდ მრავალრიცხოვან რიგს განეკუთვნება, რომლებიც ამ არჩევნებში არა მოქმედ პრეზიდენტს – ჯორჯ ბუშს, არამედ დემოკრატიული პარტიის კანდიდატს უჭერენ მხარს. შეწირულობები, რომლებიც კერის საარჩევნო კამპანიისთვის მსახიობებმა დღემდე გაილეს, ასეთია: მეთ დეიმონი – 27 ათასი დოლარი, პოლ ნიუენი – 54 ათასი, რობერტ დე ნირო – 29 ათასი, მაიკლ ლუგლასი – 15 ათას 300. ბარბრა სტრეიზანდი, კევინ კოსტნერი, მეგ რაიანი და სხვები მონაწილეობდნენ ტურნეში, რომელიც სხვადასხვა შტატში შეწირულობების შეგროვებას ისახავდა მიზნად და ამ აქციის შედეგად, 2,7 მლნ შემატეს დემოკრატების საარჩევნო ყულაბას. მაგრამ არც ჯორჯ ბუში და არც რესპუბლიკელები უჩივიან უსახსრობასა და ვარსკვლავების უყურადღებობას. მაგალითად, არნოლდ შვარცენგერი – აწ კალიფორნიის გუბერნატორი – მოქმედ პრეზიდენტს უჭერს მხარს. მას სოლიდარობას უცხადებენ ტომ კრუზი და სტივენ სპილბერგი. ვინ ვის აჯობებს – ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ...



## მილიატრების სკანდალისცი ძალიმჯილის „ალიატრები იჯუნმა“

ავიარასხნილი ქცევით ცნობილი პეირის ჰილტონი, რომლის სახელსაც მასმედიაში განსაკუთრებით ხშირად მაშინ ახსენებდნენ, როცა მან თავის ბოიფრენდთან ერთად გადაღებული, ინტიმური სურათები გაავრცელა ინტერნეტით, ახალგაზრდა გოგონებს მოძღვრავს. სასტუმროების მრავალმილიონიანი იმპერიის – Hilton-ის მფლობელის 23 წლის მემკვიდრემ გამოუშვა 178-გვერდიანი წიგნი, რომლის ფურცლებზე ტკბილი ცხოვრების საიდუმლოებებს ჰყვება. პეირისის ცხოვრებისეული ფილოსოფია ამ წიგნის ერთ-ერთ ციტატაშია გადმოცემული, სადაც ის აღნიშნავს: „ჩვენ ისეთ საინტერესო დროში ვცხოვრობთ, როდესაც ნებისმიერი კარიერა, განსაკუთრებით, თუ ის შოუბიზნესთანაა დაკავშირებული, ძალზე პოპულარულია. ცხოვრებაში მთავარი ის არის, თუ როგორ წარუდგენ გარშემო მყოფთ თავს. მე მიმაჩნია, რომ ნებისმიერ გოგონას შეუძლია, დედოფლად იგრძნოს თავი – მთავარია, მოინდომოს. საქმე მხოლოდ ფულში როდია: მიმოიხედეთ ირგვლივ და დარწმუნდებით, რომ სუპერმოდური ნივთები საკმაოდ იაფად შეგიძლიათ იყიდოთ“...



მშენიერი თაკო გაჩეჩილაძე 2 წელია, რაც საკუთარი დანაზოგით შეძენილ მანქანას მართავს. უყვარს ჩქარი სიარული და საჭესთან შიშის გრძობა არასოდეს გასჩენია... დამოუკიდებლად შორ მანძილზე თაკო პირველად, ნლეულს ზაფხულში — ბათუმში წავიდა დასასვენებლად...



# „ობედის“ მოვლით დუცხნჭული თაკო გაჩეჩილაძე „ბუგატიზე“ ოცნებობს

## ეკა მინდაკე

— მყავს ნაცრისფერი „ობელი“. მაგრამ ამ მანქანის კმაყოფილი არა ვარ, იმდენად დავიტანჯე მისი მოვლით. აქედან გამომდინარე, ძალიან მინდა ავტომანქანის შეცვლა.

— მერე, რა მანქანის ყიდვა გინდა?

— საერთოდ, ძალიან მინდა ჯიპი. მაგრამ ეს მართლ ჩემს სურვილზე არ არის დამოკიდებული. ვნახოთ, რასაც შეგწვდები, იმას ვიყიდი, ყოველ შემთხვევაში — ამაზე უკეთესს მაინც...

— რა ასაკიდან უზიხარ საჭეს?

— 19 წლიდან. ბავშვობიდან მქონდა სურვილი, საკუთარი მანქანა მყოლოდა.

— მართვა ვინ გასწავლა?

— ბავშვობიდან, ხან ვინ დამსვამდა ხოლმე საჭესთან და ხან — ვინ. მიუსხედავად ამისა, პროფესიონალური კურსები მაინც გავიარე.

— პატრულთან რაიმე პრობლემა ხომ არ შეგქმნია?

— პატრულთან ჯერჯერობით, არანაირი პრობლემა არ მაქვს.

— ჩქარი სიარული თუ გიყვარს?

— ძალიან. ამის გამო, ხშირად მეჩხუბებიან. ბევრჯერ ვცაღე, მანქანით ნელა მევლო, მაგრამ არ გამომდის...

— გაიხსენე, ყველაზე დიდი სიჩქარე, რომლითაც გივლია.

— ვიტყვი — მაქსიმუმ 160 კმ-მდე „ამიწვევია“.

— შენი მეგობრებიც ასე ჩქარა დადიან?

— სამწუხაროდ, ჩემი მეგობრებიდან ჯერ არც ერთს არ ჰყავს მანქანა. მანქანიანი ჩემ გარშემო მყოფთაგან, ერთადერთი ნინია (ბადურაშვილი), რომელიც ჩემგან განსხვავებით, საკმაოდ ნელა ატარებს. მეც სულ მეჩხუბება — ჩქარა ნუ დადიხარ, ნელა იარეო.

— მამაკაცები ხშირად ამბობენ, რომ ქალი საჭესთან საშიშია, რადგან მას სწრაფი რეაქციის უნარი არა აქვსო...

— მართალია, კეთანხმები. რა თქმა უნდა, მანქანის მართვაში მამაკაცები გვევლიან. ქალების უმეტესობა კი, ხშირ შემთხვევაში იბნევა.

— ოდესმე თუ დაბნეულხარ მანქანის მართვისას?

— არასდროს. დაბნევა ჩემთვის უცხოა. უფრო მეტსაც გეტყვი — ყველა, ვისაც ჩემი ტარება უნახავს, აღნიშნავს, რომ მამაკაცივით დამყავს...

— საერთოდ, მანქანით ბევრს მოძრაობ?

— შეიძლება ითქვას, რომ მთელი დღე ვმოძრაობ.

— ღამით მანქანით სეირნობა გიყვარს?

— არა. ისე, მართალი რომ ვითხრა, ამ ბოლო დროს, მეზარება საჭესთან ჯდომა, იმიტომ, რომ ეს ძალზე დამღლეულია, რადგანაც ამ დროს, ასე თუ ისე, დაძაბული ხარ. აქედან გამომდინარე, მირჩევენია, სხვა ატარებდეს მანქანას და მე გვერდით ვეჯდე.

— საცობებს თავს როგორ აღწევ ხოლმე?

— ვერ ვიტან საცობებს. მაგრამ მაინც, როგორღაც ვუძლავლები.

— მანქანა თუ გითხოვებია ვინმესთვის?

— კი, როგორ არა?! ჩემი ახლობლისთვის.

— როცა საჭესთან ზიხარ, ვის სიმღერებს უსმენ?

— ძირითადად ჩემს დისკებს ვატრიალებ. სხვათა შორის, მინდა ალენიშინო, რომ რადიოს არ ვუსმენ.

— ჰო, მართლა, კანა ცისკარიძისა და სტეფანეს ახალციქონლი კომპანია მომავალში რას აპირებს?

— ჯერჯერობით, არაფერი ვიცი. ყველაფერი გასაიდუმლოებულია.

— რეკლამაში პირველად გადაგიღეს?

— კი.

— როგორ აღმოჩნდი „ლაილას“ კლიპში?

— უბრალოდ, სიმღერაზე გაღაღე-

ბული კლიპი მობილური კავშირის კომპანიამ დაასპონსორა და კლიპის ნაწილი თავის რეკლამაშიც გამოიყენა.

— გაქვს თუ არა ახალი შემოთავაზება, სარეკლამო კლიპში გადაღების თაობაზე და თუ დათანხმდები?

— ჯერჯერობით, შემოთავაზება არა მაქვს. მაგრამ თუ კარგ პირობებს შემომთავაზებენ, აუცილებლად დავთანხმდები.

— თაკო, ყველაზე შორ მანძილზე სად წასულხარ შენი მანქანით?

— ქალაქკარეთ ბევრჯერ ვყოფილვარ. მაგრამ ყველაზე შორს პირველად, ამ ზაფხულს წავედი ბათუმში.

— მანქანის ტექნიკური მხარის თუ გესმის რაიმე?

— არაფერი. აბსოლუტურად ვერ ვერკვევი მანქანის ნაწილებში.

— არც საბურავი გამოგცვლია საკუთარი ხელით?

— არა.

— იმ შემთხვევაში, თუ მანქანა გაგიფუჭდება, დახმარებისთვის ვის მიმართავ?

— ამ შემთხვევაში, ვურეკავ ხოლმე მეგობრებს ან მამას. ისინი ძალიან ჩქარა მოდიან და მეხმარებიან პრობლემის მოგვარებაში.

— ოდესმე წასვამი თუ დამჯდარხარ საჭესთან?

— არასოდეს.

— რაიმე ხიფათი თუ შეგმთხვევია ტარებისას?

— როგორ არა?! სამჯერ დამეჯახნენ და სხვათა შორის, სამჯერვე ეს იმ მძღოლის ბრალი იყო, ვინც დამეჯახა. საბედნიეროდ, არ დავზიანებულვარ.

— დაბოლოს — რა მანქანის ყოლას ინატრებდი?

— ჩემი ოცნებაა, მყავდეს „ბუგატი“.

ამჯერად თავისი პირველი პაემნის ამბავს ჯგუფ „ქუჩის ბიჭების“ წევრი ზურა ხაჩიძე მოგგიტობს. ტინეიჯერების გულთამყრობელს თურმე, სიყვარულში არ უმართლებს. არადა, შეყვარებული ზურა საგმირო საქმეების ჩადენასაც არ ერიდება. თუ ვის ერგო მასთან პირველ პაემანზე წასვლის ბედნიერება, ამას მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.



# ზურა ხაჩიძე: ბევრჯერ მიფიქრია, რომ ეს უკანასკნელი სიყვარული იყო...

## მერი კობიაშვილი

— ზურა, სიყვარული შენზე როგორ მოქმედებს?

— სიყვარული კედელზე ამკრავს და ხელებს ამწვევინებს, მამუნჯებს კიდეც და ლექსსაც მაწერინებს. ამ გრძობის გამო ისობით, კარგი მძლილი გავმხდარვარ (ამის შესახებ — ქვემოთ. ავტ.). ვფიქრობ, ადამიანი სიყვარულისთვისაა დაბადებული და ამის გამო, თავიც უნდა გაწიროს.

— ბევრჯერ ყოფილხარ შეყვარებული?

— მხოლოდ ოთხჯერ ვიყავი შეყვარებული. მაგრამ ყველა სიყვარული ჩემთან სხვადასხვანაირად მოვიდა.

— პირველად საბავშვო ბაღში შეგიყვარდა?

— იმ ასაკში უფრო, ჩხუბით ვიყავი დაკავებული. გოგონების მიმართ კი ინტერესს იმით გამოვხატავდი, რომ მათ საწოლში ვუძებრებოდი ხოლმე. მეოთხე კლასში ჩემი კლასელი შემეყვარდა. მასსოვს, ქერათმიანი იყო და ორი ბავთით დადიოდა. ჩემს ძმაც კი მისი დაქალი შეუყვარდა. შემომთავაზა, შეყვარებულთა სახელები ხელზე დაგვეწერა. ვიყიდეთ რამდენიმე კოლოფი ასანთი, ისეთ ადგილას წავიდეთ, სადაც ვერავინ გვიპოვიდა და ასანთის ღერების ხასუნით მე „თამუნა“ დავიწერე, მან — „მაიკო“. ის „მრამბი“ ხელზე კარგა ხანს მაჩნდა. ასე

რომ, პირველი სიყვარულის გამო, ძალიან დიდ ტკივილს გავუტელი.

— იმ გოგონამ შენი ასეთი თავგანწირვა როგორ დააფასა?

— ისეთ ასაკში იყო, რომ ძარტო იპრანჯებოდა და ამ გრძობას სერიოზული ურთიერთობა არ მოჰყოლია. მასსოვს, იმ გოგონებს არ უთქვამთ, ჩვენც გვიყვარხართო.

— პირველად პაემანზე როდის წახვედი?

— 13-14 წლის ვიქნებოდი. ძალიან არაორდინარული პირველი პაემანი მქონდა. მაშინ ფუნბურთზე დავდიოდი. სტადიონის გვერდით აუზი იყო, სადაც ვარჯიშის მერე მივდიოდი ხოლმე. იქ სმირად ვხვდავდი ლამაზ გოგონას, რომელიც ძალიან მომწონდა. ერთ მშვენიერ დღეს, მისი მეგობარი გოგონა მოვიდა და მითხრა — ჩემი დაქალი პაემანს გინიშნავსო. ძალიან გამიკვირდა იმ გოგოს სითამამე, მაგრამ ვიფიქრე, რაღაც საქმე აქვს და იმიტომ მიბარებს-მეთქი. ის კი, ადგა და პირდაპირ მითხრა, მიყვარხარო და მაკოცა. სამი დღე და ღამე არ მეძინა. სულ იმ გოგონას სახე მედგა თვალიწინ.

— ის გოგო შენც სომ მოგწონდა. პირველი ნაბიჯის გადადგმა მან რატომ დაგასწრო?

— სიმართლე გითხრა, მეც ვაპირებდი, მეთქვა — მიყვარხარ-მეთქი, — მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დამეწყო ამ თემაზე მასთან საუბარი... ერთი წელი ვხვდებოდი ერთ-

მანეთს. შემდეგ დაეშორდით.

— ალბათ, მესამედ რომ შეგიყვარდა, შენ დაუნიშნე პირველად პაემანი...

— სერიოზული სიყვარული 15 წლის ასაკში მეწვია. ბორჯომში „ბასტი-ბუზუს“ ბავშვებს ცეკვას ვასწავლიდი. ერთხელ, ის ბავშვები სანატორიუმ „ცემში“ წავიყვანეთ. იქ ძალიან დავუახლოვდი გოგონას, რომელსაც მანამდე ვიცნობდი, მაგრამ ეტყობა, სანატორიუმის მშვენიერი გარემო დამეხმარა იმ გოგოს აღმოჩენაში: იქიდან რომ დავბრუნდი, მიხვდი, რომ უკვე სერიოზულად ავად ვიყავი სიყვარულისგან. მაშინ „ქუჩის ბიჭები“ ახალი ჩამოყალიბებული იყო. ის გოგონა სარეპუტაციო დარბაზში დავიპარე და ვუთხარი, რომ სიყვარულე მიყვარდა. პასუხის მოსაფიქრებლად სამი დღე ჰქონდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მიხვდი, რომ ჩემ მიმართ საპასუხო გრძობა მასაც გასჩნოდა. 4 წელი გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა, მაგრამ ორივეს შეჯიბრების და კაპრიზების, არაბუნების გამო დაეშორდით ერთმანეთს... ახლა ის გოგონა უკვე გათხოვილია და არაჩვეულებრივად ღელა. მინდა, აღვნიშნო, რომ ამ სიყვარულმა ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა. იმ დროიდან დავიწყე ეკლესიურად ცხოვრება, უფრო სწორად — შეძლებისდაგვარად ვცდილობ, ეკლესიურად ვიცხოვრო.

— ჯერო მეოთხე სიყვარულის ამბავზე მიდგა...

— მეოთხე სიყვარულს ვერ გავიხსენებ. ამ ამბავზე ფიქრი და საუბარი ტკივილს მაყენებს. ეს ის სიტუაცია იყო, რომელშიც პრინციპით — სადაც არა სვლობს, გაცვლა სვლობსო — უნდა იმოქმედო... ბევრჯერ მიფიქრია, რომ ეს უკანასკნელი სიყვარული იყო და მასზე უარის თქმით, ჩემი ცხოვრების ქალზე ვამბობდი უარს... ოღონდ არ იფიქროთ, რომ მასზე ისევ ვარ შეყვარებული, უბრალოდ, ამ სიყვარულთან ძალიან ლამაზი მოგონებები მაკავშირებს, სხვა არაფერი.

— საუბრის დასაწყისში მითხარო



— სიყვარულმა კარგ მძლოლად მაცქიაო. რა გქონდა მხედველობაში?

— ერთ მშვენიერ საღამოს, საჭეს მიუყვებოდა და მოელი დამე ვიყვი და დავდიოდი. ისე დამთენდა თავზე, რომ ვერც ვიხილავდი და ახლაც მიკვირს, როგორ გადავრჩი და სივთას არ გადავყვარე. მაშინ ძალიან აუბრუნებელი ვიყვი სიყვარულით. დიდი დროით მომივიდა ემოციის მიღება. ალბათ უნდა დაახლანსო ეს ყველაფერი, რომ თავი არ დაკარგო და რაიმე სივთას არ გადავყარო... პირადად მე, თავი არასდროს დამიკარგავს. კარგად ვიცი, სიყვარულის გულისთვის რაზე უნდა წასვიდე და რაზე — არა. ამის გამო არ მამართლებს ხოლმე სიყვარულში. თუკა დღეს შეყვარებული და ძალიან ბედნიერი ვარ.

— განვილილმა ცხოვრებამ რა გამოცდილება შეგძინა სასიყვარულო ურთიერთობებში? როგორ ფიქრობ — სიყვარულის შესანარჩუნებლად რისი გაკეთებაა საჭირო?

— მე ვიტყვი, რომ „სიყვარულის ფაქტორები“ მაქვს დამთავრებული. ყველანაირად ვეცდები, დაგროვილი გამოცდილება გამოვიყენო. ეს იმას არ ნიშნავს, რომ დამთმობი გავხდი. სასიყვარულო ურთიერთობებში დაუნდობელი და მრისხანე ვარ — ანუ ვარ ქართული მამაკაცი, რომელსაც ქართველი


ლი ქალი უყვარს. ჩვენი სიყვარული კი უცხოურისგან ძალიან განსხვავდება. ჩემი აზრით, ის ოჯახი, სადაც ქალის სიტყვა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მამაკაცის, ოჯახს აღარ ჰგავს. ქალი უნდა გიყვარდეს, მისთვის თავს უნდა წირავდე, მაგრამ არც ზედმეტი სიტყვის თქმა უნდა აპატიო.

— შეყვარებულს სიყვარულს როგორ უმტკიცებ ხოლმე?

— ადრე ამისთვის რისკიან ხერხს მიმართავდი. ერთხელ, მაგალითად, ბორჯომში მტრედის სიდიდან გადავხტი მტკვარში, უფრო სწორად, ხიდის სიმაღლემაც არ დამკამოფილა და ბოძზე ავძვერი და იქიდან გადავხტი წყალში. ასე დაუმტკიცე გოგონას სიყვარული. ახლა სხვანაირ მეთოდებს მივმართავ. სამწუხაროდ, შესაძლებლობა არა მაქვს, თორემ, ჩემთვის ძვირფას გოგონას მივლ მსოფლიოს უყვიდი.

— შენ მიმართ ყურადღებას როგორ იჩენენ? ალბათ საჩუქრებს არც თავიანთსმცემლები იზურებენ შენთვის...

— თავიანთსმცემლების მხრიდან მართლაც, დიდ ყურადღებას ვგრძნობ. ძალიან ორიგინალურ ლექსებს და ჩანაწერებს მიგზავნიან. მათი კითხვისას ბევრ მნიშვნელოვან რამეს ვიგებ. მიღებული ემოცია მოგვიანებით, ჩვეს რეპერტუარში ასახება ხოლმე.



— მითხარი, შეყვარებული ვარო. ეს იმას ნიშნავს, რომ მალე ოჯახს შექმნი?

— არავითარ შემთხვევაში. სიყვარულის გამოცდას წლები სჭირდება. დაახლოებით 4 წელი ცოლის მოყვანას არ ვაპირებ. ოჯახის შექმნა დიდი პასუხისმგებლობაა, რომელსაც მე ვერ ვჯერობით, ჩემს თავზე ვერ ავიდებ.

ნათელმზილველ ნელი ბიჩიკაშვილს მომავლის წინასწარტყვრეტის ნიჭი ბებუისგან მემკვიდრეობით გადაეცა. მას უამრავი ადამიანი ემადლიერება. ბიზნესმენები ქალბატონი ნელის რჩევის გარეშე ახალ საქმეს არ იწყებენ. ხალხი მასთან რაიონე-ბიდანაც ჩამოდის. ნათელმზილვის უნიკალური ნიჭის წყალობითა და შელოცვებით, ქალბატონმა ნელიმ ბევრი ოჯახი გადაარჩინა მოსალოდნელ უსიამოვნებას. როცა რაიმე პრობლემა აქვთ გადასაწყვეტი, მაშინაც ნელისთან მიდიან.

— ამას წინათ, ერთმა ქალბატონმა ვაჟიშვილი მომიყვანა. 20 წლის ახალგაზრდა, მამის სიკვდილის შემდეგ ავად გახდა. დღის თქმით, მასაც იგივე სიმპტომები აღენიშნება, რაც გარდაცვლილს.

— რისგან დაიღუბა მამამისი?

— კაცი თვალსა და ხელს შუა სანთელივით დადნა თურმე. თანდათან ენერგია გამოეკალა, დაუძლურდა, ბოლოს მიელი დღეები სავარძელში ყოფილა ჩასვენებული, ფეხზე ვეღარ დგებოდა. ისე მოკვდა, ექიმებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს.

— თქვენ რა გაარკვიეთ?

— ვუმარჩილე ქალბატონს და ვუთხარი მის ოჯახში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზი... გარდაცვლილი მშობლების ბინის გამო, ძმებს შორის მოხდა კონფლიქტი და მის ქმარს, მასლის ცოლმა 15 წლის წინ გაუკეთა ჯადო, რომელმაც 52 წლის ახალგაზრდა კაცი იმსხვერპლა.

— ჯადო თუ იპოვეს?

— სამწუხაროდ, თავის დროზე ვერ იპოვეს. მე ვუთხარი, სადაც იყო დამალული. როცა ლეიბი დაშალა და ჯადოს მიაგნო, იტირა, — ქმრის ავადმყოფობის მიზეზი რომ მცოდნოდა, ახლა ცოცხალი მეყოლებოდა, სიკვდილს გადავარჩენდი.

— მის ვაჟიშვილს რა დავმართა?

— საუბელურად, მოუხსნელი ჯადო ხშირად შთამომავლობაზე გადა-

ნელი ბიჩიკაშვილი: მოუხსნელი ჯადო შთამომავლობაზეც გადაედის



დის. მამის დაბინძურებული აურიდან, მზხიბავის მიერ მსხვერპლის ბიოვლში შეტანილი უარყოფითი პროგრამა დროთა განმავლობაში შვილის აურაზე გადავიდა და „მუშაობა“ დაიწყო, ამიტომაც აღენიშნება იგივე სიმპტომები, რამაც დედა საფუძვლიანად შეაშინა.

— შვილსაც მამის ბედი ელის?

— სამწუხაროდ, რძალმა მასლის სასიკვდილო ჯადო გაუკეთა... დედას ეშინია, რომ შვილსაც დაკარგავს.

— რამდენად რეალურია მისი შიში?

— თუ მაგიური ზემოქმედება არ განეიტრალდება, წლების შემდეგ, ალბათ, შვილიც მამის ბედს გაიზიარებს. ჯადომ მასშიც გამოიწვია ენერგეტიკული დაავადება, რომელსაც ტრადიციული მედიცინა და სამკურნალო პრეპარატები ვერ შეეღობა, პირიქით, პაციენტის მდგომარეობა თანდათან მძიმდება, რადგანაც ორგანიზმი ქიმიური მედიკამენტებით იწამლება. წლების განმავლობაში მოუხსნელი ჯადო მძიმე კვალს ტოვებს და მისი განეიტრალება საკმაოდ რთული საქმეა, სასურველი შედეგის მიღწევას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ ყველაფერს გაგაკეთებ ახალგაზრდა კაცის გადასარჩენად.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! მისამართი: წერეთლის №12 (მეტრო „წერეთლის“ გვერდით), II სტადარბო, II სართული, ბინა №24. საკონტაქტო ტელეფონები: 35.29.72; 89.3.30.65.51, 899.20.37.64. [R]

# თაფლობისთვის ეროვნული კონფლიქტი და პერიული ყავის ელვა



**„ოჯახი, ეს არის ადგილი, სადაც ურთიერთპატივისცემა და სიყვარული სუფევს“ — თვლიან მსახიობები ნინელი ჭანკაძე და ზაზა მიქაშაშვილი, რომელთა მეუღრო „ბუდეში“ კამათი მხოლოდ საქმიანობის გამო თუ ხდება, თუმცა როგორც თვითონ ამბობენ — კამათის ზღვარიც მონიშნული აქვთ და მის იქით აღარ გადადიან...**

## ლიპა ქაჩია

— სად და როგორ გაიცანით ერთმანეთი?

**ზაზა:**

— თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანი. ნინელის ჯგუფიც, ისევე, როგორც ჩვენი, ბატონ მიშას (რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი. — ავტ.) ჰყავდა აყვანილი...

**ნინელი:**

— სანამ ერთმანეთს გავიცნობდით, მე უკვე მომწონდა, როგორც მსახიობი. იმ პერიოდში, საკმაოდ პოპულარული იყო სატელევიზიო სპექტაკლი — „მე შენ მიყვარხარ“, სადაც მთავარ როლს ზაზა თამაშობდა, მარინა ჯანაშიასთან ერთად. თითქმის მთელი თბილისელი კაცები მარინაზე იყვნენ შეყვარებულნი, ქალები კი — ზაზაზე. გამონაკლისი არც მე ვიყავი...

— ზაზა, პირველი პაემანი სად დაუნიშნეთ საყვარელ ადამიანს?

**ზაზა:**

— ოფიციალურად პაემანი არასოდეს გვქონია. ერთმანეთს თეატრში ვხვდებოდით.

**ნინელი:**

— ზაზა ჩვენს ჯგუფს დაუახლოვდა. არ ვიცი, ჩემ გამო თუ რაიმე სხვა მიზეზი იყო, მაგრამ არც ერთ ჩვენს შეკრებას არ აკლდებოდა და ეს არც არავის უკვირდა — იმიტომ, რომ ვიცნობდით, როგორც ბატონი მიშას მსახ-

იობს, რომელიც ლექციებზეც გვესწრობოდა და ჩვენ მას ბატონ ზაზას ვეძახდით.

— როგორ გამოუტყვდით ერთმანეთს სიყვარულში?

— სიყვარულში ჯერ სცენაზე გამომიტყდა, მერე — ცხოვრებაში. ეს მესამე კურსზე სწავლის დროს მოხდა, როცა თეატრში მიმიწვიეს, სადაც ზაზას შეყვარებულის როლი უნდა მეთამაშა.

— ქალების დიდ ნაწილს, ამ დროს მამაკაცების წვალბა უყვარს. თქვენ?..

— მე არ მივეკუთვნები ქალების ამ კატეგორიას. სკოლაშიც, ინსტიტუტშიც ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ არასოდეს არავინ მიწვალბებია იმის გამო, რომ მათი რიცხვი გამეზარდა და ვიღაცისთვის დამემტკიცებინა — ნახე, რამდენს მოვწონვარ-მეთქი!.. დაუფარავად ვეუბნებოდი მათ უარს და ისინიც ხშირ შემთხვევაში მიდიოდნენ.

— მაგრამ რა მეთოდებს იყენებდით იმ თაყვანისმცემლის მიმართ, რომელიც თქვენს უარს არაფრად აგდებდა?

— მაშინ იწყებოდა ბუტიაობა. ასეთი ამბავი სკოლაშიც გადამხდა: მეხუთე კლასში ვიყავი, როცა ერთ ბიჭს ამის გამო გავუბრაზდი და სკოლის გამოსაშვებ ბანკეტზე ძლივს შეგვარიგეს...

— გაიპარეთ თუ ტრადიციების დაცვით დაქორწინდით?

**ზაზა:**

— ტრადიციების დაცვით. სამასკაციანი ქორწილიც გადაგვიხადეს...

**ნინელი:**

— ჩვენს ოჯახებს შორის, არ იყო მონტეგებისა და კაპულეტების მსგავსი შუღლი, ამიტომ გააპარვა არ დაგვჭირვებია. სხვათა შორის, მამაჩემი ამით ამაყობდა კიდევ, რადგან ბევრი მისი მეგობრის შვილი გაიპარა. სამაგიეროდ, ჩემმა დამ „რევანში აიღო“ და მერე უკვე საამაყო აღარაფერი ჰქონდა...

— თაფლობისთვე სად გაატარეთ?

**ზაზა:**

— მაშინ მოღაში იყო ტალინი. ტალინის მერე, აფხაზეთში წავედით, იქიდან კი — ქობულეთში.

**ნინელი:**

— ქობულეთში, ზაზას ფიცხი ხასიათის გამო აღმოვჩნდით. აფხაზეთში, დასასვენებელი სახლის იმ ნომერში, სადაც უნდა გავჩერებულიყავით, ვიღაც ჩინოვნიკი ცხოვრობდა და ცოცხალი თავით არ გამოდიოდა... სხვა ნომერი შემოგვთავაზეს, მაგრამ ზაზა სასტიკად შეეწინააღმდეგა და თითქმის კონფლიქტამდე მივიდა საქმე — კინალამ დაგვიჭირეს... ბოლოს ნომერი გათავისუფლდა, მაგრამ ზაზამ მატარებელში ჩამსვა და ქობულეთში წავედით...

— ოჯახურ საქმეებს როგორ უმკლავდებით?

— ქალურ საქმეს მე ვაკეთებ, კაცურს — ზაზა...

**ზაზა:**

— ბაზარშიც მივდივარ ხოლმე...  
**ნინელი:**

— ზოგ მამაკაცს ბაზარში სიარული დამცირებდად მიაჩნია. მე მგონი, უფრო დამამცირებელია, როცა ცოლი აიკიდებს ტონიან ჩანთებს იმისთვის, რომ პროლუქტი მიიტანოს შინ და მერე „ჩაახეთქოს“ იმას, ვინც მხარ-თეძოზეა წამოწოლილი...

— როგორ კერძებს ამზადებს ნინელი?

**ზაზა:**

— ძალიან გემრიელ კერძებს ამზადებს. განსაკუთრებით — ჩანახა, ბაყეს...

— კერძის მომზადებაში ზაზა თუ მონაწილეობს ხოლმე?

**ნინელი:**

— პრინციპში საჭმლის კეთება არ უწევს, მაგრამ იშვიათად — როცა შინ არა ვარ, ამზადებს ხოლმე. ჩემზე კარგად გამოსდის შემწვარი კარტოფილი. სხვათა შორის, ამის საიდუმლო გამომხილა: შენ კარაქი გენახება, მე კი ორი „ბრიკეტი“ ვწვავო. დაიჩემა — ლობიოც კარგად გამოძისო, — და როცა

ამ კერძს ამზადებენ, მე თავისუფალი ვარ – ჩემი შვილი ირჩევს კერძს, მამამისი აკეთებს...

— ხართ თუ არა ეჭვიანები?

**ზაზა:**

— მეტ-ნაკლებად...

**ინელი:**

— ბუნებრივია, ეჭვიანობა ყველა ქალში ზის. მეც მქონდა ასეთი მომენტები, მაგრამ ეს გრძნობა ჩემთან რჩებოდა და არ გამოვხატავდი... სიმართლე ვითხრათ, ზაზაც ნაკლებად იძლეოდა ამის საბაბს.

— რის გამო კამათობთ ხოლმე?

— ძირითადად, საქმიანობის გამო. გარეთ თავს ვიკავებთ ან ბოლომდე არ გამოვთქვამთ აზრს, შინ კი დაუნდობლები ვხდებით, მაგრამ ისიც ვიცით – სად უნდა გაეჩერდეთ. ზაზა ფიცხია, მეც კარგი ჩიტი ვარ, მაგრამ ღათობა, უკან დახევა ვიცით.

— სულ ერთად ყოფნა გინწევთ. როგორ ეგუებით განშორებას?

**ზაზა:**

— მშვენივრად. ხანდახან ცოლ-ქმარი უნდა დაშორდეს ერთმანეთს. ჩვენ მართლაც, სულ ერთად ვართ – სახლში, თეატრში, მეგობრების წრეც ერთი გვაქვს. სხვათა შორის, წელს „ვერცხლის ქორწილი“ გეჰქონდა...

**ინელი:**

— როცა ზაზა სანადიროდ ან ზღვაზე მარტო მიდის, წინააღმდეგობას არ ვუწევ. ჩვენ ერთმანეთს ვენდობით. ოჯახისგან მოშორებით ყოფნა ქალისთვის უფრო ძნელია, მაგრამ ხანდახან ჩვენც გვეჭირდება ამოსუნთქვა.

— ვის ჰგავს თქვენი გოგონა?

— ორივეს. მე და ზაზაც ვგავართ ერთმანეთს – სიჯიუტით, ფეთქებადი ხასიათით... მაგრამ ჩვენი გოგონა კიდევ ვიღაც სხვაა. ამას წინათ გამოვეიცხა-

და – მსახიობობა მინდაო.

— მსახიობობისკენ ალბათ თქვენ უბიძგებთ?

**ზაზა:**

— არა. მე არ მინდა, ჩემმა შვილმა იწვალოს...

**ინელი:**

— ანა ჯერ 7 წლისაა და მისი ნათქვამი სანერვიულოდ არ ღირს. თუმცა, ორივეს შეგვეშინდა. ჩვენი პროფესია, რამდენადაც საინტერესოა, იმდენად რთულია. მე ამისთვის არ მემეტება ჩემი შვილი, ისევე, როგორც ჩემს მშობლებს არ ვემეტებოდი...

— როგორ ფიქრობთ — მსახიობი ერთი ცხოვრებით ცხოვრობს?

**ზაზა:**

— აბა, რამდენი ცხოვრება გვაქვს?

**ინელი:**

— მე კი ფიქრობ, რომ ბევრი ცხოვრება გვაქვს, იმიტომ, რომ ჩვენი ფსიქიკა, ნერვები ძალიან იტვირთება, იხარჯება. ალბათ, ამიტომაცაა ბევრი მსახიობის ცხოვრება ასეთი ხანმოკლე: ჩვენ სწრაფად ვიწვით. ალბათ ყველა როლი, ცალ-ცალკე სიცოცხლეა...

— როგორ ფიქრობთ — სიყვარული მარადიულია?

**ზაზა:**

— მარადიულია იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცდილობს, შეინარჩუნოს, არ მოკლას, მარად კვებოს სიასლეებით...

**ინელი:**

— შენი პარტნიორისთვის მუდამ სასურველი უნდა იყო. ბუნებრივია, ამის მოხერხება ძალიან ძნელია, ხან გამოვდის, ხან – არა. ოჯახში უნდა სუფევდეს ურთიერთპატივისცემა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოჯახი არსებობდეს კამათის გარეშე, პირიქით – კამათი ხანდახან საჭიროცაა.

— როგორ ზეგავლენას ახდენს ყოფითი პრობლემები მარადიულ

სიყვარულზე?

— ხშირად, სწორედ ეს ყოფითი პრობლემები იწვევს ოჯახის დანგრევას. ადამიანმა უნდა შეძლოს, მისთვის უფრო მთავარის არჩევა. ყველაფერი არ უნდა გადააყლოს კომფორტს. მართალია, სიტყვის თქმა ადვილია, შესრულება – ძნელი, მაგრამ თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ შენთვის ძვირფას ადამიანს დაკარგავ და შეგრჩება მხოლოდ ფული, სამსახური, სადილი...

— ცხოვრებისეულ კურორზ ხომ ვერ გაისვენებდით?

— ერთხელ, გასტროლებზე ესპანეთში წავედი. საკმაოდ სოლიდური თანხა გვექონდა, რომელიც ზაზას ელო ვიბეში, რადგან მე ბატად ვითვლებოდი – ჩემზე ამბობდნენ – ყველაფერს კარგავსო... მოკლედ, ერთმა ესპანელმა ლამაზმანმა გაგვექურდა და დავრჩით იმ მცირე თანხის ამარა, რომელიც პატარა-პატარა საჩუქრების საყიდლად მქონდა. ჩვენები (კოლეგები) შეწუხდნენ, მაგრამ რას იზამდნენ?! ჩვენც გვერიდებოდა მათი და საჭმელად ცალკე დავდიოდით ხოლმე... მადრიდიდან წამოსვლის წინ, ზაზამ შემომთავაზა: ბოლო ფულით კაფეში ყავაზე დაგვატიეებო. წავედი. დავსხდით, მაგრამ საშინლად ვნერვიულობ – ისეთ კომფორტულ ბარში ვსხედვართ, რომ შესაძლოა, ფული არ გვეყოს. ზაზა მაწყნარებს: ნუ გამოგეფე, ყავა რა უნდა ღირდესო?.. ჩვენ გვერდით მაგიდასთან ვიღაც კაცი ყავას მიირთმევს. ანგარიში რომ მოუტანეს, ფურცელს მეც ჩავხედე, ყავის ფასის გასაგებად და... კინაღამ მოკვდი; იმდენი ციფრი მომხვდა თვალში, რომ ყავა „ყელში გამეჩხირა“. ზაზას ქართულად ვეუბნები: ამდენი ღირს-მეთქი. ისიც გაგიჟდა, გათეთრდა, დაიწყო ფიქრი, რა უნდა გვეღონა... ბოლოს, საათი მოიძრო – ამას დავტოვებ ან სასტუმროში გავიქცევი, ჩვენებს ფულს გამოვართმევ და მერე თბილისში გავუსტუმრებო. ვზივარ და ვფიქრობ, რომ ახლა მოვლენ და დავვიჭერენ... ამ დროს ანგარიში მოგვიტანეს, სადაც „კაპიკები“ ეწერა... აღმოჩნდა, რომ იმ კაცმა ისადილა, ჭამა, „გასკლა“ და ბოლოს ყავა დააყოლა.

— დაბოლოს, რას უსურვებით ახალდაქორწინებულებს?

**ზაზა:**

— ყველაფერ კარგს.

**ინელი:**

— უზარმაზარ სიყვარულს და ვურჩევდი, გაუფრთხილდნენ მას. თუ მას იპოვი, არ უნდა დაკარგო. დანარჩენი (სიძნელები) კი, მჭორეხარისხოვანია...



ესპანელმა ლამაზმანმა გაგვექურდა და დავრჩით მცირე თანხის ამარა...



**გიორგი შრამბიშვილი**

— 1993 წელს, ბრინჯაოს მედალი მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდეგ — ვერცხლის ჯილდო ევროპის პირველობაზე... კარიერა საკმაოდ კარგად დაგინწყიათ და შემდგომშიც, დიდ რინგზეც საცესებით დამაკმაყოფილებლად გამოდიოდით. მაშ, რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან წასვლა?

— მართალი ბრძანდებით. ორთაბრძოლებში უმეტესწილად ვიმარჯვებდი და 20 წლის ასაკში არცთუ ისე ურიგო შედეგები მქონდა, მაგრამ თქვენ მიერ ჩამოთვლილ შეჯიბრებზე პირველობა ვერსად მოვიპოვე. თუ დაუკვირდებით, დასკვნას ადვილად გამოიტანთ. თუ სპორტსმენი საუკეთესო ვერ ხდება, ე.ი. რაღაც გაკლია, საჭიროა მეტი მუშაობა, შესაფერისი სპარინგ-პარტნიორები, საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და კიდევ ბევრი რამ. საქართველოში კი, 90-იანი წლების დასაწყისში, სპორტი თანდათან უკანა პლანზე გადადიოდა. ბუნებრივია, ხალხსაც და ქვეყანასაც სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა და ჩვენც ვეღარ გვაქცევდნენ ჟურნალდებს. მოკრივის კარიერა კი, იცით, ხანმოკლეა. რამდენიმე წელიწადში უნდა მიადწიო ყველაფერს, თუ საერთოდ რამეზე ფიქრობ. ამის გამო, ბევრმა ქართველმა ათლეტმა მიაშურა სხვადასხვა ქვეყანას. მეც 1994 წლიდან, რუსეთში გავეაგრძელე კარიერა, სადაც უკეთესი სავარჯიშო პირობები მქონდა და უფრო რეალურიც იყო ჩემი გეგმების განხორციელება.

**და მიაღწიეთ მიზანს?**

— ბოლომდე — ვერა. ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გავხდი, მაგრამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიე. გავხდი რუსეთის ჩემპიონი. იმავე წელს სანქტ-პეტერ-

ალბათ არავინ განიცდის სამშობლოსთან განშორებას ისე, როგორც ქართველი კაცი. უკვე 10 წელია, რამაზ ფაღლიანი სხვადასხვა ქვეყნის დროშით გამოდის რინგზე, მაგრამ გული მაინც მესტიისაკენ მიუწევს.

პირველ სერიაზულ წარმატებას რომ მიაღწია, 17 წლის იყო. ირკუტსკში გამართული საბჭოთა კავშირის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ყველა ორთაბრძოლა მოიგო და უძლიერესის ტიტულიც დაისაკუთრა. მალე ჩეხოსლოვაკიაში, თანატოლთა შორის ევროპული მასშტაბითაც იმარჯვა, ხოლო მსოფლიო პირველობაზე პერუსში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 1992 წელს, ბარსელონის ოლიმპიადის წინ, დსთ-ის ჩემპიონატზე, ივანოვოში ვერცხლის პრიზიორი გახდა, კატალონიის დედაქალაქში კი, პირველი ქართველი იყო, ვინც ოლიმპიურ კვარცხლბეკზე შედგა ფხი. კიდევ ორჯერ გამოვიდა ოლიმპიურ რინგზე რამაზ ფაღლიანი, ატლანტაში — რუსეთის, ხოლო სიდნეიში — თურქეთის გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ სანადებს ვერც ამერიკის და ვერც ავსტრალიის კონტინენტზე ვერ მიაღწია. ვიდრე განვლილი ოლიმპიადების გახსენებას ვთხოვთ რამაზს, საქართველოდან წასვლის მიზეზი მინდოდა გამერკვია.

**ახსენით მუხატან ნაგაჯი მრთაზაძე, ნადირიზა ნიგოზაძე და გიორგი კანდიაკისთვის ნასროლი ხანთათანი**

ბურგში გამართულ „კეთილი ნების თამაშებზე“ ოქროს მედალი მოვიპოვე. ამასთან ფინალში მსოფლიო ჩემპიონს, კუბელ კასამაიორს მოვუგე. მოგვიანებით, იგი მსოფლიო ჩემპიონი გახდა პროფესიონალებშიც. შემდეგ დანიაში, ევროპულ ჩემპიონატზე კონტინენტის ჩემპიონის პირველი ტიტული დავისაკუთრე. სხვათა შორის, იქაც ძნელი ფინალი მქონდა სერაფიმ ტოდოროვთან და მეამაყება, რომ პირველმა შედეგი ამ მართლაც დიდი მოკრივის დამარცხება. ყოველივე ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ატლანტაში წარმატების იმედი მქონდა, მაგრამ მოგეხსენებათ, სპორტში ცოტა ილბალიც გჭირდება. ატლანტის რინგზე მეოთხედფინალში მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონთან, ტაილანდელ სომლუკ კამსინგთან წავაგე ქულებით და ოლიმპი-

ურ ჩემპიონობაზე ოცნებაც კიდევ 4 წლით გადაიდო.

— რამდენადაც მახსოვს, რუსეთის შემდეგ, 90-იანი წლების ბოლოს, თურქეთის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვეთ...

— მანამდე კიდევ ერთი ქვეყნის — საბერძნეთის ჩემპიონი გავხდი. 1998 წელს კი, მინსკში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეორედ ავედი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მომდევნო სეზონში აშშ-ში, მსოფლიო ჩემპიონატზე ბრინჯაოს კიდევ ერთი მედალი მოვიპოვე, ხოლო ოლიმპიურ 2000 წელს კარგად გამოვედი კონტინენტის ჩემპიონატზე, რომელიც ტამპერეში ჩატარდა. იქ ევროპის ჩემპიონის მესამე ტიტულთან ერთად სპეციალური პრიზი დავიმსახურე — საუკეთესო ტექნიკისათვის.

— ამ ტიტულების მიუხედავად, ვერც სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე აისრულეთ ოცნება...

— რას იზამ?.. წელან ვითხარით — სპორტში ცოტა ილბალიც გჭირდება კაცს. ჩემს პირველ ევროპულ ჩემპიონატზე გადამწვევტი შეხვედრა მომავალ ჩემპიონთან წავაგე. ამერიკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ნახევარფინალში ისევ მომავალ ჩემპიონთან დავთმე ბრძოლა. სიდნეიშიც იგივე მოხდა.





— **საინტერესოა, ამ სამი ოლიმპიადიდან რომელზე გქონდა ოქროს მედლის მოპოვების ყველაზე რეალური შანსი?**

— რა თქმა უნდა, ბარსელონაში. მახსოვს, მაშინ ჩინებულ ფორმაში ვიყავი და დამაჯერებლადაც ვუგებდი მეტოქეებს. პირველ ორთაბრძოლაში ამერიკელ ჯულიან ვილერთან 8:4 გავიმარჯვე. კიდევ უფრო დაეჩაგრე ბრაზილიელი რუჟერიო ბრიტუ — 19:2. მეოთხედფინალში 11:5 დაგამარცხე რუმინელი დანიელ დუმიტრესკუ და ნახევარფინალში გავედი, სადაც მასპინძელთა გუნდის წევრ ფაუსტო რეისთან წამაგებინეს. ჩვენი შეხვედრის საყურებლად და როგორც ხვდებით, თავისი ავტორიტეტის გამოსაყენებლად, ესპანეთის მეფე ხუან კარლოსიც მოვიდა. ასე რომ, ორთაბრძოლის ბედი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. მსაჯებმა სამეფო კარს პატივი მიაგეს და ესპანელ მოკრივეს მიანიჭეს გამარჯვება, მე კი ბრინჯაოს მედალი მერგო.

— **მაგრამ კარიერა მოყვარულ მოკრივეთა შორის მაინც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დაასრულეთ, როდესაც ბელფასტში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვეთ, ახლა პროფესიონალების რინგზე გამოდისართ. რა იყო ამის მიზანი — ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი თუ საკუთარი შესაძლებლობების ზღვრის ძიება?**

— ალბათ, მეორე მომენტი უფრო მნიშვნელოვანია ჩემთვის. ჩემი აზრით, ვიდრე ახალგაზრდა ხარ და გრძნობ, რომ შეგიძლია გამარჯვებების მოპოვება, უნდა გამოხვიდე რინგზე. ბოლო ორთაბრძოლა კოლუმბიელ ისიდრო ტეპედოსთან მქონდა. რვარაუნდიან პაექრობაში მეათე გამარჯვება მოვიპოვე პროფესიონალთა შორის. ვფიქრობ, ერთი-ორი წელი კიდევ გამოვალ რინგზე, შემდეგ კი, ვნახოთ, როგორ იქნება საქმე.

— **დიდი ხანია, არ ყოფილხართ საქართველოში და ბუნებრივია, მოგენატრებოდათ აქაურობა...**

— რა თქმა უნდა, მენატრებიან ჩემი ანები, მეგობრები თუ ნათესავები, ოჯახის წევრები, მაგრამ რას ვიზამთ?... ახლა დრო და ცხოვრებაც შეიცვალა, ყველა თავის გზას ეძებს. მაგრამ იმედი მაქვს, მალე საბოლოოდ დაგბრუნდები ჩემს სამშობლოში და უკვე აქ გავაგრძელებ ვარჯიშსაც და საქმიანობასაც. 29 ოქტომბერს საქართველოს კრივის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები უნდა გაიმართოს და მეც მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო ქართული კრივის წინსვლა-

ში. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე ჩვენი ათლეტების გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა. როგორც იქნა, ოქრო-ვერცხლიც მოვიპოვეთ. მაგრამ მოკრივეებმა ვერაფრით გამოიჩინეს თავი. ბევრი ნიჭიერი მოკრივე გვყავს. მათი დაოსტატებისათვის შესაფერისი პირობებია საჭირო, კვალიფიციური მწვრთნელები, სავარჯიშო დარბაზები... საერთოდ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩვენი საკრივო მეურნეობის აწყობა და მოწესრიგება საჭიროა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ამის გაკეთება ადვილი არ არის და არც ხელის ერთი მოსმით მოგვარდება ყველაფერი. მაგრამ თანამოაზრეების იმედი მაქვს და მჯერა, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში წარმატებას მივაღწევთ.

— **თქვენ თავად, რა პირობებში გინევდათ ვარჯიში და საერთოდ, როგორ მოხვდით კრივის სექციაში?**

— სვანეთში ძირითადად სპორტის ორი სახეობა — ჭიდაობა და კრივი იყო მეტ-ნაკლებად კარგ ღონეზე. იმ პერიოდში რუსეთიდან ჩამოიყვანეს კვალიფიციური მწვრთნელი ალიოშა ჯაფარიძე, რომელსაც ბევრი სერიოზული მოკრივე ჰყავდა აღზრდილი. ბატონი ალიოშა ძალიან ერუდირებული, მომთხონი და მოწესრიგებული კაცი იყო. ვარჯიშს რომ გაავაცდენდი, სახლში მოგვაკითხავდა ხოლმე. ყველას ყურადღებით ეყრებოდა და ამიტომაც საერთო პატივისცემით სარგებლობდა. ალბათ ამ დიდებული პიროვნების ავტორიტეტიც იყო, რომ სამივე ძმა, ჯერ უფროსი — ზურაბი, შემდეგ მე და ბოლოს უმცროსი ძმაც — შალვა ჩავეწერეთ ბატონ ალიოშას სექციაში.

— **კეთილი, მაგრამ ამისხენი, სამი ძმა — სამივე მუშტებს იქნევდით, მშობლები არ იყვნენ წინააღმდეგნი?**

— მამა თავად ძველი სპორტსმენია, ჭიდაობდა. ჩვენი სერიოზული გატაცება რომ დაინახა, აღარ დაგვიშალა. დედა კი, რა თქმა უნდა, არ გვანებებდა, მაგრამ მოგესხენებთ, სვანეთში ოჯახის უფროსი კაცია და საბოლოოდ, მამის სიტყვამ გადაწყვიტა ჩვენი არჩევანი. მე უკმაყოფილო არა ვარ, რომ არჩევანი კრივზე შევჩერე. სხვათა შორის, ჩემი, როგორც მოკრივის ჩამოყალიბებაში, ძალიან დიდი როლი შეასრულა უფროსმა ძმამ — ზურაბმა. იგი ყოველთვის მიჩინებდა, რომ მეტი მევარჯიშა, თავადაც მუშაობდა ჩემთან. სჯეროდა, რომ შემძლო დიდი წარმატებებისთვის მიმეღწია. ბოლოს, ზურაბი საქართველოს კრივის ფედერაციას ხელმძღვანელობდა და ყველანაირად მიწყობდა ხელს მწვერულების დაპყრობაში. ბედნიერი ვარ, რომ მის სი-

ცხლეშივე შევძელი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვება, თუმცა — უბედურიც. რამდენიმე თვის შემდეგ, ზურაბი გარდაიცვალა. ეს ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია. მას უნდოდა, პროფესიონალებს შორისაც გაემხდარიყავი ჩემპიონი. წინასწარ არ მინდა რაიმის თქმა, მაგრამ ჩვენთან ოთხ სხვადასხვა ვერსიაში ეწყობა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლები. მე უკვე 10 ორთაბრძოლა მოვიგე და ვფიქრობ, კიდევ ერთი წელი დამჭირდება ერთ-ერთი ამ ვერსიით უძლიერესის ტიტულის მოსაპოვებლად. თუმცა, ჯერ კრივის ფედერაციის არჩევნებზე ვფიქრობ.

— **ბოლო დროს, რაღაც სვანებმა ძალიან მოინადინეთ პრეზიდენტობა: კალაბურთის ფედერაციას ბესო ლიპარტიელიანი ხელმძღვანელობს, ძიუდოს დილარ ხაბუღიანი უდგას სათავეში, ახლა თქვენ უმიზნებთ კრივის ფედერაციის პრეზიდენტობას. თუ ასე გაგრძელდა, მესტიაში აღარავინ დარჩება...**

— სვანები კარგი ხალხი ვართ და თუ რომელიმე ორგანიზაციას წესიერი კაცი უხელმძღვანელებს, ამაში რა არის ცული?! სხვათა შორის, ჩვენ რომ კარგები ვართ, იმიტომაც იგონებენ ჩვენზე ამდენ ანეკდოტს...

— **მე ვერ შემოგკადრებთ და ეგებ, თქვენ მომიყვებთ რომელიმე ახალი ანეკდოტი?**

— კეთილი, მასე იყოს. ერთ ჩვენებურ კაცს ცნობილი რუსი მომღერალი ალა პუგაჩოვა მოეწონა და ცოლობა სთხოვა. ესტრადის ვარსკვლავმა სიტყვა მისცა, ოღონდ — ჯერ ნიანგის ჩექმები უნდა მიმოვო. რაღა უნდა ექნა სვანს?... გაემგზავრა ინდოეთში და ნიანგებს დაუწყო დევნა. დაიჭირა ერთი ნიანგი, მოკლა. შემდეგ მეორე, მესამე და ბოლოს რომ გამოუსვა ყელში ხანჯალი, გაბრაზებულმა იყვირა — ამათი დედა ვატირე, არც ერთს არ აცვია ჩექმები და ალას რაღა წაუვლო?!.

— **კარგი იუმორის პატრონი ყოფილხართ და აქამდე, ერთი გოგო როგორ ვერ მოიგდეთ ხელში? ასაკითაც პატარა აღარ ხართ, 31 წელი ამ ზაფხულს შეგისრულდათ... ოჯახის შექმნას არ აპირებთ?**

— ადრე არ მეცალა. სიჭაბუკის წლები კრივის მოვანმარე. ახლა მართლაც, დადგა დაოჯახების დრო, მაგრამ საითაც არ გავიხედე, საქართველოში ისეთი ლამაზი თათბა წამოვიდა, იმდენი მშვენიერი გოგოა, რომ თვალები ამიჭრელდა. ყველას ნიანგის ჩექმებს ვერც ვუყიდი... თუმცა, ამ საკითხსაც უახლოეს მომავალში გადავჭრი.

— საინტერესოა, მოკრივეებს არასდროს გინდებოდათ კითხვა — რინგზე ცხვირ-პირში რომ ვუხათქუნებ ვილაცხას, იქნებ, შეყვარებული უყურებს ტრიბუნიდან მის ლანალუნს და ცოცხალი ხომ არ არისო?..

— აბა, ისიც ნახეთ, მეტოქე როგორ მიყურებს მე, ისიც ხომ ჩემს საცემრად გამოდის რინგზე! მე მოწინააღმდეგეს ვუცინი და ხელს ვართმევ, ის კი ბუღასავით მიყურებს და ნამდვილი მტერი ვგონივარ, განსაკუთრებით — პროფესიონალებში... რას იზამ, ასეთია სპორტის ეს სახეობა. მე გამარჯვება მანიჭებს სიხარულს და არა ის, რომ ვილაც დაეჩაგრე. ორივე სპორტსმენი თანაბარ პირობებშია და პატიოსან ორბობრძოლაში უპირატესობის მოპოვება, ბუნებრივია, გარკვეულწილად კმაყოფილების გრძნობასაც განიჭებს.

— მარცხის შემთხვევაში რას გრძნობთ?

— ნათქვამია — მოგება და წაგება ძმები არიანო, თუმცა მოგება, რა თქმა უნდა, წაგებას სჯობია. მაგრამ რინგზე მეც დავმარცხებულვარ. ამ დროს ჩემს თავზე ვბრაზდები. ზოგჯერ მიფიქრია კიდევ — თავი ხომ არ დავანებო კრივის-მეთქი?... ასეთ დროს მეგობრები და საკუთარი ანალიზი მეხმარება: თანაგუნდელები მამშვიდებენ, მე კი მარცხის მიზეზებს ვეძებ და ვცდილობ, დაშვებული შეცდომები აღარ გავიმეორო. დღევანდელი კრივი პირველ რიგში, აზროვნებაა და არა მუშტი-კრივი. რინგზე იმარჯვებს ის, ვინც მეტოქეს წამის მეათედით დაასწრებს შემდეგი კომბინაციის გაფიქრებას და მის განხორციელებას...

— დაბოლოს, კიდევ ერთი კითხვა ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით: ამჟამად პრეზიდენტი, გიორგი კანდელაკია. თუ არ ვცდები, იგი შენ უფროსი ძმის — ზურაბის შვილის ნათლიაა. ალბათ ნათელმშობლობა გარკვეულ უსწრებლობას გიქმნით, არა?

— მართალი ბრძანდებით. ასეა. მეორე მხრივ, მე ჩემი პროგრამა მაქვს, მას — თავისი. ვფიქრობ, რომ უფრო მეტის გაკეთებას შევძლებ ქართული კრივისათვის, ვიდრე გიორგიმ მოახერხა ამ ორი წლის განმავლობაში. ამიტომაც, ეს მნიშვნელოვანი საკითხი ორი კაცის პირადულზე არ უნდა დავიდეს. მაღალფარდოვან სიტყვად ნუ ჩამომართმევთ და აქ ასობით და ათასობით ახლანდელი თუ მომავალი სპორტსმენის ბედიც წყდება და თავად კრივის სამყარომ უნდა გადაწყვიტოს, რომელი კანდიდატი იქნება უკეთესი საერთო საქმისათვის. ■

# რატომ განვასხალე უარი ვერტეფრანით მაიამი-ბიჩის ლათვალიერებას...



ნინამორბედი ნერლი  
იხ. „გზა“, №42

**მიუჩვეველს ნუ მიაჩვენებ და მიჩვეულს ნუ გადააჩვევო — ხომ გაგიგონიათ? მეც ასე დამემართა მაიამი-ბიჩის ფეშენებელურ სასტუმროში, უძვირფასეს აპარტამენტში მოკალათებულს. ერთი სული მქონდა, იქაურობას თავს როდის დავაღწევდი და ჩემს ამერიკულ ყოველდღიურ ცხოვრებას დავუბრუნდებოდი. თუმცა, ამაზე ქვემოთ...**

## აკაკი ბეზენაძე

### მაიამი-ბიჩის ხუთვარსკვლაფიან სასტუმროში

მთელი დღე ტრაილერის საჭესთან ვჯდომამ, მერე კიდევ გვიანობამდე ჩემს მილიონერ კლიენტთან ქეიფმა და ბარში ყოფნამ, რაც იმით დამთავრდა, რომ როგორც სასურველ სტუმარს შეეფერება, მასპინძელმა თავისი სასტუმროს საუკეთესო ნომერში „გამამწესა“, შეიძლება ითქვას, რომ არაქათი გამომაცალა.

ამერიკული საზომით ძალზე გვიან, 10 საათზე გავახილე თვალი. ერთბაშად აზრზე ვერ მოვედი, სად ვიმყოფებოდი. ტრაილერის კაბინის ვიწრო, არცთუ ისე მოხერხებულ საწოლში ძილს დაჩვეულმა, სასტუმროს უზარმაზარ საწოლზე თავი უხერხულადაც კი ვიგრძენი და სწრაფად გამოვფხიზლდი.

მთელი ოთახი გასაოცარი გემოვნებით შერჩეული, უძვირფასესი ავეჯით იყო მოწყობილი. ისეთი შეგრძნება მქონდა, აქ რომ რაიმეს შევეხო, ვაითუ, გავაფუჭო-მეთქი. საძინებელიდან ლამის დარბაზისოდენა სასტუმრო ოთახში მოვხვდი. აქაც ყველაფერი უხადოდ განელაგები-

ნათ — სავარძლები, სკამები, მაგიდა, უჩვეულო ფორმის კარაღები ძვირფასი ჭურჭლით, ტახტები და უზარმაზარი ტელევიზორი... პატარა ქანდაკებები და მდიდრულ ჩარჩოებში ჩასმული, ჩემთვის უცნობი მხატვრების ალბათ ძვირფასი ტილოები... და კიდევ — მომცრო, ულამაზესი შადრევანი, რომლის გვერდითაც არასტანდარტული ფორმის აკვარიუმი იდგა, თანაც იმხელა, რომ მოგენდობინა, რამდენიმე ოჯახის სამყოფ ხრამულს მოაშენებდი... აკვარიუმი ეგზოტიკური, სხვადასხვა ზომისა და ფერის თევზი დაცურავს... მოკლედ, თავი სიზმარში მეგონა. აივანზე გასულს, კიდევ ერთი მოულოდნელობა მელოდა — ტელესკოპი, რომლის მეშვეობითაც კიდევ უფრო ახლოს შეემძლო მაიამი-ბიჩის ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება, თუმცა აქედან ყველაფერი ისედაც ხელისუფლივით მოჩანდა.

ერთი წუთით თავი მილიონერად ანუ სასტუმროს მეპატრონედ წარმოვიდგინე. ტელეფონის ყურმილს დავწვი და მშვენიერი ხმის მქონე გოგონას ვთხოვე, ჩაი და საუზმე მოერთმიათ ჩემთვის. ხუთი წუთიც არ გასულა, რომ სასტუმრო ოთახში, უნიფორმაში გამოწყობილმა ახ-

აღგაზრდა პორტიემ ათასგვარი საუზმეუ-  
ლით დატვირთული ურიკა შემოაგორა  
და ისიც მკითხა, ცვილონის ჩაის მიფრთ-  
მევი თუ ჩინურს... ქართულს-მეთქი, —  
მინდოდა მეთქვა, მაგრამ ენას კბილი  
დავაჭირე, რადგან ქართული ჩაი მაშინ  
(და ახლაც!) ამერიკაში კი არა, საქართვე-  
ლოშიც აღარ ასსოვთ...

გვარიანად მომშვივებოდა და პორტიეს  
ვანიშნი, ჩაის მე თვითონ დავისხამ-მეთ-  
ქი. ისიც თავაზიანად დამემშვიდობა და  
თანაც მითხრა — თუ კიდევ რაიმე  
დაგჭირდებათ, შავ ლილას დააჭირეთ  
თითო. ასეთი ლილაკი კი, თუ არ ვცდუ-  
ბი, ერთი ათ ადვილას მანც შემხვდა  
ჩემს აპარტამენტში...

გამოეცხვებოდა, ისე გემრიელად კარგა  
ხანი იყო, არ მესაუზმა. ცვილონის ჩაისაც  
გაუუსინჯე გემო და ჩინურსაც... რომე-  
ლი ჯობდა — ნამდვილად ვერ გეტყვით,  
მე ორივე მომეწონა!

ახლა უკვე ლილაკებზე გადავიდი.  
ჯერ პორტიე მოვიდა და ურიკა წაიღო,  
მერე — მოხდენილი, 20-ოდე წლის მწ-  
ვანეთვალეა ანგელოზი გამოემცხადა და  
თითქოს პატაკს მამარებსო, სხაპასუპით  
მითხრა:

— გამარჯობა, სერ! სასტუმრო „ბო-  
უერი“ შენს განკარგულებაშია. მე შემ-  
იძლია, ყველაფერი შეგისრულო, რასაც  
მოისურვებ... ბოლო სიტყვებს ღვთაე-  
ბრივი ღიმილიც მოაყოლა და ლამის  
დავინი ამხელა კაცი.

— გამარჯობა, როგორ ხარ?... — სხვა  
ვერაფერი მოვიფიქრე, რომ მეთქვა.

— გმადლობ, სერ, კარგად! — გაოცე-  
ბულმა მიპასუხა და ისევ გამიმეორა,  
რომ სასტუმრო „ბოუერი“ ჩემს განკარ-  
გულებაში იყო.

მინდოდა, რაიმე ორიგინალური მეთქ-  
ვა, მაგრამ თავში არაფერი მომდიოდა.  
ბოლოს, რაღაც ამოვლერდე:

— ვერტმფრენით ქალაქის დათვა-  
ლიერება მინდა და თუ წამომყვები, მალ-  
ლობელი ვიქნები...

— მე ახლა სამსახურში ვარ და არ  
შემიძლია წამოსვლა. რაც შეეხება ვერტ-  
მფრენს, მითხარი, როდის გინდა და მე  
შეუუკვეთ; პირდაპირ სახურავიდან აგ-  
იყვანს და მოგემსახურებს!... — ისე მიპა-  
სუხა, ეტყობოდა, ოდნავდაც არ გაუკვირე-  
ბია ჩემს თხოვნას, რომლის შესრულე-  
ბაც მე წარმოუდგენლად მეჩვენებოდა.

— რადგან შენ ვერ წამოხვალ, ვერტ-  
მფრენზე უარს ვაცხადებ (გოგონამ ისევ  
გაიღიმა!), ისე, თქვენთან რა ღირს ეს  
მომსახურება? — ცნობისმოყვარეობა ნამ-  
დვილად ძნელი დასაძლევია იყო ჩემთვის.

— ერთი საათი 3 ათასი დოლარი  
ღირს(!). სამაგიეროდ, მართლა ისიამ-  
ოვნებს ადამიანი! — ეს უკვე რეკლამას  
ჰკავდა და გოგონამაც სარეკლამო აგენ-  
ტის სახე მიიღო ჩემს თვალში.

### მილიონერის ამპლუიდან — ყაზბეგის გმირამდე

თავი ისე დავიჭირე, ვითომ არც ფასი  
გამკვირვებია და არც ვერტმფრენით  
სეირნობა ყოფილა ჩემთვის უცხო...

— ჯასტი ბოუერი სად არის? —  
ვიკითხე მოულოდნელად.

— მისტერ ბოუერი ამ სასტუმროს  
მეპატრონეა. რაიმე პრობლემა ხომ არა  
გაქვთ?... — ამკარად შეწუხდა მწვ-  
ანეთვალეა გოგონა.

— მოვიდეს. ან მითხარი, სად არის  
და მე მივალ მასთან... — როგორც ჩანს,  
უკვე მეტისმეტი მომივიდა!

— ახლავე გავივებ! — გაკვირვებულ-  
მა გოგონამ ლამის სირბილით დატოვა  
ჩემი ნომერი! მე კიდევ, ღრუბლებში ფრე-  
ნას შევეშვი და ისევ ის აკაკი გავხდი —  
ტრადიციის მძლიერი, რომელიც ამ მდი-  
დრული სასტუმროს მეპატრონეს რამდენ-  
იმე დღით ემსახურებოდა — ერთი ადგ-  
ილიდან მეორეზე ტვირთი გადმოუტანა —  
ეს იყო და ეს! — და რაღაც ბედნიერი  
შემთხვევის წყალობით, მისი კუთილგანწყ-  
ობაც დაიმსახურა, რის საფასურადაც ახლა  
ამ ნომერში ნებავრობდა...

— სერ, მისტერ ბოუერი დაკავებუ-  
ლია და დღის მეორე ნახევარში მი-  
გიღებს... — მითხრა გოგონამ, რომელიც  
რამდენიმე წუთში ისევ უკან დაბრუნ-  
და...

ახლა უკვე ჩემი სამუშაო დღე იწყე-  
ბოდა. ტრადიციური ავტოსადგომიდან უნდა  
გამომეყვანა და ავეჯი გადმომეტვირთა.  
ძალაუნებურად, კიდევ ერთი დღისთვის  
წინაშე აღმოვჩნდი — აღარ ვიცოდი, სას-  
ტუმროდან ჩემი ახალშემქნილი კოს-  
ტიუმით გავსულიყავი თუ ჯინსით. მერე  
გამახსენდა ის უხერხული სიტუაცია,  
რომელშიც სასტუმროს რესტორანში  
აღმოვჩნდი (ფრაკებსა და საღამოს კა-  
ბეტებში გამოპრანჭული პუბლიკის  
გარემოცვაში, ჯინსით რომ მივუჯექი  
მაგიდას!)... ამიტომ იძულებული გავხ-  
დი, ახლაც კოსტიუმი ჩამეცვა.

კაცმა რომ თქვას, ამერიკის ჩვეუ-  
ლებრივ სასტუმროებშიც უდიდეს სტუ-  
მარს, მაგრამ აქ მართლა მეტისმეტი იყო:  
ვინც კი შემხვდა, ყველა ცდილობდა, რაიმე-  
თი ვესიამოვნებინე... ლიფტამდე ფრაკში  
გამოწყობილმა მამაკაცმა მიმაცილა, ლიფტ-

ში კიდევ დილაკთანაც არ მიმაკარეს,  
ამას შავკანიანი, ყურებადღე გაღიმიებული  
ბიჭი აკეთებდა დიდი მონდობით. ფოიეში  
ზოგმა რესტორნისკენ მიმითითა, ზოგმა —  
ბიბლიოთეკისკენ (სამწუხაროდ, ცალი  
თვალითაც ვერ მოვახერხე, ბიბლიოთეკა-  
ში შემხვდა; საინტერესო კი იყო, რა  
სახის ლიტერატურით მასპინძლობდნენ  
ამ სასტუმროში მოსულთ). ერთი სი-  
ტყვით, ამდენი ყურადღებისგან შევწუხდი  
კიდევ და ერთი სული მქონდა, გარეთ  
როდის გავაღწევდი.

სასტუმროდან გამოსულმა, წინაღუ-  
ცა გაცნობილ თანამემამულეს, მოხვეე გუჯა  
ლულუშაურს დაუწვეე ძებნა. მართლაც,  
ეზოში დავინახე, იდგა და ვიღაცას ელოდა.  
თვალი მომკრა თუ არა, მაშინვე ჩემკენ  
გამოქანდა.

— წმინდა გიორგის ვფიცავ, წასული  
მეგონე, შენი ნახვა მწადადა, საქართვე-  
ლოს მიწას მონატრებულსა!... — გუჯა  
რომ ლაპარაკობდა, ასე მეგონა, ალექსან-  
დრე ყაზბეგის რომელიმე რომანის გმი-  
რი ალაპარაკებდა-მეთქი...

— გუჯას გაუმარჯოს! — გამიხარ-  
და და ხელი ჩამოსართმევად გაუწოდე.  
ვერ ვიტყვი, ასეთი ჩვევა ჰქონდა თუ  
გახარებულმა ვერ მოზომა ძალა, მაგრამ  
ჩემი ხელი თავის ტორში რომ მოიმწყე-  
დია და ჩაბლუჯა, ლამის თითები დამ-  
ამტვრია...

— გვეოფა, ძმაო, ჩამეფუნა ძელები!...  
— სიმწრით წამოვივადე.



– მიხარის, აკაკი, აძენ უცხო ხალხში რომ დავინახე! – აღფრთოვანებას ვერ ფარავდა გოლიათი მოხევე.

– ძალიან კარგი! თუ გინდა, ჩემთან წამოდი, ავტოსადგომიდან ტრიალური უნდა წამოვიყვანო, შიგ ბოუერების ტვირთია...

– არ შემიძლია, მე ახლა აქ ვმორიგეობ; იქნებ, შენ დარჩე?... – გული დასწყდა მოხევეს.

– მაშინ, მე ცოტა ხანში დაგბრუნდები, იცოდე, თავი არ მაძებნინო...

– სად უნდა წაიღე?... ჭკუიდან კი არ შევშლილვარ?! ჩემი სამუშაო აქ არის!... – გაუხარდა გუჯას.

### როგორ დავეუბნებოდა მოხუც დარაჯს

მე ავტოსადგომისკენ გავეშურე, სადაც ჩემი ურჩხული იყო – ასე ვეძახდი ხანდახან ჩემს ტრიალერს.

ავტოსადგომის მცველმა დაეჭვებით შემომხედა. როგორც ჩანს, ჩემი ჩაცმულობა ესამუშა და პირდაპირ მომახალა:

– სერ, მე შენ არ ვიცნობ, მანქანა აქ გუშინ სულ სხვამ დააყენა!

– მე ვიყავი, მე!... – გაუღიმიე მცველს.

– ქვითარი წარმოადგინე! – ისევე ეჭვი ღრღნიდა მოხუცს.

– ახლავე!... – ვუბასუხე და ჯიბისკენ წავიღე ხელი. მერეღა გამახსენდა, რომ ქვითარი ჯინსის ჯიბეში მეღო და რომ ტანსაცმელი, რომელიც კოსტიუმის ყიდვამდე მეცვა, სასტუმროს საძინებელ ოთახში დამრჩა...

– აბა, სად არის ქვითარი? – თამამად შემომიბთა მოხუცმა. როდესაც ახსნა ვცადე, რომ ქვითარი სასტუმროში დამრჩა, წინადადება არც დამამთავრებინა, ისე დასწვდა ტელეფონის ყურმილს, თან ბუზღუნებდა:

– არ აიკლეს ყველაფერი ამ უცხოელმა ყაჩაღებმა?..

– კი, მაგრამ სად რეკავ?

– პოლიციაში!... – არ წყნარდებოდა მოხუცი.

– პოლიციაში რა გინდა?... წავალ სასტუმროში და ქვითარს მოვიტან...

– მე ვიცი, რასაც ვაკეთებ! – უფრო გაცხარდა მცველი. სულელურ სიტუაციაში აღმოვჩნდი, თან მეცინებოდა, რაც კიდევ უფრო აგიჟებდა ავტოსადგომის ერთგულ გუშაგს. ვცდილობდი, დამემშვიდებინა, მაგრამ არაფერი გამოძლიოდა. ამასობაში პოლიციის მანქანაც მოგვადგა(!).

– ჯეკ, მიხედე ამ ტიპს, საეჭვოდ იქცევა! – მოხუცს პოლიციელის დანახვაზე კიდევ უფრო მიეცა გული. პოლიციელი მაშინვე ვიცანი: ის იყო, წინა დამით რომ დამაჯარიმა – დღის 2 საათის შემდეგ, მაიაში-ბიჩის ქუჩებში სატვირთო მანქანით რატომ შემოხვედიო?... თავიდან მანაც ვერ მიცნო, მაგრამ პოლიციელი რის პოლიციელია და მალევე მიხვდა, ვინც ვიყავი. თან გაუკვირდა, ასეთი გამოწყობილი რომ ვიყავი...

– ჯეკ, გუშინ ეს მანქანა ერთმა ახალგაზრდა, ჯინსში ჩაცმულმა უცხოელმა ჩამაბარა, დღეს მოდის ეს ვიღაც მდიდრულად გამოწყობილი კაცი და მეუბნება, გინდა თუ არა, მანქანა ჩემიაო!... – აღშფოთებას ვერ ფარავდა გუშაგი.

– სწორედ ეს არის ის ახალგაზრდა, ვიცნობ, გუშინ დაგაჯარიმე!

– ქვითარიც არა აქვს! – პოლიციელისთვისაც არ აპირებდა დათმობას მოხუცი.

– ქვითარი სასტუმროში დამრჩა, წავალ, მოვიტან... – წასასვლელად მოვეშხადე.

– ოკეი! ყველაფერი გავარკვიეთ. წამოდი, სასტუმრომდე მე მიგიყვან, იქით მივიღებარ... – და პოლიციელმა მანქანაში მიმიპატიჟა. მაინცდამაინც არ გამხარებია პოლიციის მანქანით მეზავრობა, სამაგიეროდ, გუშაგთან მოვიწონე თავი! ნახე, რა მაგარი ვარ-მეთქი (ეს ჩემთვის გავიფიქრე)!..

პოლიციის მანქანა ღიდი სიჩქარით შევარდა სასტუმროს ეზოში და მძღოლ-

მა ხმაურით დაამუხრუჭა (პოლიციელი ყველგან პოლიციელია!). ჯეკთან ერთად მეც გადმოვედი და იქვე დავდექი. იქ მყოფთა გამოხედვაზე გამაჟრჟოლა – ისე მიყურებდნენ, როგორც სასტიკ დამნაშავეს.

ის-ის იყო, პოლიციელს დავემშვიდობე, რომ ჯასტი ბოუერის ხმაც მომესმა:

– ჯეკ, ჩემს სტუმარს აპატიმრებ?

ჯასტი მეორე სართულიდან გვეხმიანებოდა. მანიშნა, მასთან ავსულიყავი. ჯეკსაც დაუძახა, შენც ამოდიო (როგორც მერე გავიგე, ჯასტისა და ჯეკს ერთ კოლეჯში უსწავლიათ თურმე და კვლავაც მეგობრობდნენ)...

– სამუშაოზე ვარ! – იუარა ჯეკმა და მანქანა დაძრა. მოულოდნელად უკან მობრუნდა და მითხრა: – თუ გინდა, ქვითარი წამოიღე და ავტოსადგომზე მიგიყვან...

ამას კი მართლა არ მოველოდი: თავი თბილისში წარმოვიდგინე. ასე ხომ ჩვენ, ქართველებმა ვიცით უცხოელზე თან გადაყოლა!

უცხად ავირბინე ნომერში, ჩემი მცირე ბარგი (და რაღა თქმა უნდა, ჯინსის ქურთუკის ჯიბეში ჩარჩენილი ავტოსადგომის ქვითარიც) ავიღე და დავიძარიო. გზად ჯეკს ერთ-ერთ მაღაზიასთან ვთხოვე მანქანის გაჩერება. 350-გრამიან ბოთლებში ჩამოსხმული ლუდის მომცრო შეკვრა და მშრალი საუზმე ვიყიდე.

– ეს რა არის? – გაუკვირდა ჯეკს.

– მოხუცი დარაჯი უნდა შემოვირიცხო!

პოლიციელმა მხრები აიჩჩა, ვერ მიმიხვდა, რატომ უნდა დამესაჩუქრებინა ჯიუტი მოხუცი...


არც დარაჯს ესაიძონა ჩემი დანახვა.

ჯერ ქვითარი გავუწოდე. ამრეხით დახედა და მანქანის გასაღები ისე გადმომიგლო, თითქოს დანაშაულზე წამასწროო...

– კარგი, ბიძია ჰენკ, ნუ ბრაზობ, ეს კაცი არც ისე საშიშია, როგორც შენ გგონია! – წამომეშველა პოლიციელი.

ასე დავმეგობრდით მე და ბიძია ჰენკი, რომელიც ღიღხანს ათვალიერებდა ჩემს ნობათს – ერთხანს ვერ გავგო, ლუდის შეკვრა და საუზმე მართლა მივეცი თუ უბრალოდ, შესანახად დავუტოვე...

P.S. კიდევ ბევრი საინტერესო რამ მოხდა მაიაში-ბიჩში. მათ შესახებ მორიგ წერილში მოვითხრობთ.



**მ**იჰყევი შენს გზას და ადამიანებმა რაც ენებოთ, ის ილაპარაკონ. **დანგე ალიგიერი**

**ბ ე ნ ი ა ლ უ რ ი**

# ჩეაქსიული Porsche

კომპანია Porsche (ცნობილი ყველგანმავლის – Cayenne-ის ყველაზე მძლავრ და სწრაფ მოდიფიკაციას – Turbo-ს ამზადებს გამოსაშვებად. მისი ძრავა, უწინდელი 450 ცხ.ძ-ის ნაცვლად, 500 ცხ.ძ-ს განავითარებს. ახალი მოდელის მაქსიმალური სიჩქარე 270 კმ/სთ-ია, 100 კმ/სთ სიჩქარეს 5,3 წმ-ში განავითარებს. მწარმოებლის მონაცემებით, საწვავის საშუალო ხარჯი 100 კმ-ზე 15,7 ლ-ია. მანქანის ჩქაროსნულ და დინამიკურ შესაძლებლობათა გაზრდამ კონსტრუქტორებისაგან სამუხრუჭე სისტემის სრულყოფა მოითხოვა, და ამ მიზნის მისაღწევად, მათ სამუხრუჭე დისკების დიამეტრისა და სისქის გაზრდა გადაწყვიტეს.

Porsche Cayenne Turbo-ს კონსტრუქციაში კიდევ ერთი ახალი ელემენტია – 1,4 კვმ ფართობის პანორამული, გამჭვირვალე სახურავი. მოძრავი ნაწილებ-



ის წყალობით, სახურავი სრულად ან ნაწილობრივ, 15 სხვადასხვა კომბინაციით იხსნება. მგზავრებს მცხუნვარე მზისგან ელექტროამრავიანი გასაწვევი ჟალუზი დაცავს. პანორამული სახურავი ოპციას წარმოადგენს და დამატებით 3.190 ევრო ეღირება. 2004 წლიდან შესაძლებელი გახდება Porsche Cayenne-ს ყველა მოდიფიკაციის აღჭურვა უკანა ხედვის ტელეკამერით, რომელიც წინა პანელზე დამონ-

ტაჟებულ მონიტორზე გადასცემს გამოსახულებას. კამერა სპეციალური ნიშიდან ავტომატურად გამოდის, როგორც კი მძღოლი უკუსვლის რეჟიმში ჩართავს გადაცემათა კოლოფს და ამ რეჟიმიდან გამოსვლისთანავე, აღნიშნულ ადგილს დაუბრუნდება. ეს ოპცია მომხმარებელს 1.612 ევრო დაუჯდება. სულ კი, 500 ცხ.ძ-იანი Porsche Cayenne Turbo-ს ფასი გერმანიაში 116.844 ევროდან იწყება.

## ახ შეჩეხე, Schumacher!

იტალიურმა კონცერნმა FIAT-მა კომპაქტური მოდელის – Stilo-ს ორი სპორტული მოდიფიკაცია წარმოადგინა. პირველს M.Schumacher დაარქვეს. ამ სამკარიანი ავტომობილის ბამპერები ძრავასფრადა შეღებილი; უკან სპოილერები აქვს დაყენებული, მისი ჩამოსხმული საბორბლე დისკების დიამეტრი 17 ლუმიია. მანქანა ან 2,4 ლ მოცულობის, 170 ცხ.ძ-ის სიმძლავრის 5-ცილინდრიანი ბენზინის ძრავით, ან მრავალწერტილოვანი შესუფრების პრინციპზე მომუშავე, 1,9 ლ მოცულობის 140 ცხ.ძ-ის სიმძლავრის დიზელის აგრეგატით იქნება აღჭურვილი.

კომპანიის მეორე ახალ სპორტულ მოდიფიკაციას Fiat Stilo Racing დაარქვეს.



## GM: ენივესადეხი „ჯახისჯაცი“

სექტემბერში გამართულ პარიზის ავტოსალონზე ამერიკულმა კორპორაციამ General Motors-მა ექსპერიმენტული მოდელი – S3X Concept Car

წარმოადგინა. ეს ავტომობილი, Saturn Vue-სა და Chevrolet Equinox-ის პლატფორმაზე შექმნილ სპორტულ ყველგანმავალს წარმოადგენს. ამ მოდე-

ლის სერიული წარმოება და მსოფლიო ბაზარზე გაყიდვა 2006 წლიდან დაიწყება. გერმანიასა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში მოდელი S3X როგორც Opel-ი, ისე გაიყიდება, ზოგან კი Chevrolet-ის სამარკო ნიშნით წარდება მომხმარებელთა წინაშე.

ცნობილია, რომ ეს მოდელი სრულამრავიან Opel Frontera-ს შეცვლის.

S3X აღჭურვილი იქნება ძრავებით, რომლებიც Opel Vectra-ზეა აპრობირებული. საბაზოდ 2.2 ლ მოცულობის, 155 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ბენზინის აგრეგატს გამოიყენებენ.

ამასთან ერთად, 6-ცილინდრიანი ბენზინის ძრავასა და ტურბოდიზელის შემუშავება იგეგმება. S3X-ის მთავარ საწარმოო ბაზად სამხრეთკორეული კომპანია Daewoo მოგვევლინება, რომელსაც General Motors-ი აკონტროლებს.



# კვირის (1-7 ნომერი)

# სსპროლოგიური პროგნოზი

## პირი - 21/III-20/IV

**ქალი:** გაიცნობთ ადამიანს, რომელიც მომავალში თქვენი საიმედო პარტნიორი გახდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ. ოჯახში მოსალოდნელი კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**მამაკაცი:** თავი დაანებეთ უპერსპექტივო ოცნებებს. ჯობს, მიხედოთ იმ ადამიანებს, ვინც მზად არის, თქვენი გულისათვის დრო, ენერგია და სითბო გაიღოს.

## პერი - 21/IV-21/V

**ქალი:** ოჯახში მშვიდი და გაწონასწორებული მდგომარეობა გაქვთ. შეინარჩუნეთ ეს. ნურავის მოაბუზრებთ თავს დარიგებებით და შენიშვნებით. ზედმეტი პრეტენზიებისგან თავის შეკავება გმართებთ.

**მამაკაცი:** გაიხსენეთ წარსულის შეცდომები. დიდი შანსია მათი გამეორების, თუ კარგად არ აწონ-დაწონით შექმნილ მდგომარეობას. ამ კვირაში დიდი ალბათობაა იმისაც, რომ ვიღაც შეეცადოს თქვენს პროვოცირებას.

## პირი - 22/V-21/VI

**ქალი:** სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოგიწოდებთ. ამ კვირაში მაქსიმალურად შეეცადეთ, ასიაშოვნოთ საკუთარ თავს. კარგი იქნება, თუ იმიჯის შეცვლაზე იზრუნებთ და ახალ ტანსაცმელსაც შეიძენთ.

**მამაკაცი:** ნუ გაბრაზდებით, თუკი მეგობრები დანაპირებს ვერ შეგისრულებენ. ნუ დაივიწყებთ, რომ არსებობს გარემოებები, რომლებიც სურვილების შესრულებაში გვიშლის ხელს.

## პირი - 22/VI-22/VII

**ქალი:** ის წინადადებები, რომლებსაც ამ კვირაში შემოგთავაზებენ, ფიქრად არ ღირს. ოჯახში დაძაბულობის მიზეზი მხოლოდ თქვენ ხართ. თუ გულწრფელად არ იტყვიან, რა გწყინთ, ვერავინ მიხვდება თქვენი გაბრაზების მიზეზს.

**მამაკაცი:** ამ კვირაში შექმნილ ყველა პრობლემას შეიძლება საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გამწვავებაც დაემატოს. ამიტომ ჯობს, მასთან შეხვედრა სხვა დროისთვის გადადოთ.

## ლირი - 23/VII-23/VIII

**ქალი:** არ გირჩევთ სამსახურბრივი რომანის გაჩაღებას. ამ კვირაში ყოველგვარი ფლირტისგანაც თავი შეიკავეთ, რადგან თქვენი კეკლუცობა შეუმჩნეველი არ დარჩება და მითქმა-მოთქმას გამოიწვევს.

**მამაკაცი:** ცხელი დღეები გელით. ვნებათაღელვა სასიყვარულო ფრონტზე, ინტრიგები სამსახურში, სკანდალი წვეულებაზე... ეს დღეები მომავალში დიდხანს გემანსოვრებათ.

## პირი - 24/VIII-23/IX

**ქალი:** თქვენს მონდომებას, ბოლოს და ბოლოს, დაფასებენ და აქტიურად დაიწყება საუბარი თქვენს დაწინაურებაზე. წინ საინტერესო დღეები გელით. დიდი ხნის ნანატრ წარმატებას მიადწევთ.

**მამაკაცი:** საოჯახო პრობლემებმა შეიძლება თავი მოგაბუზროთ, მაგრამ რას იზამთ?! მათ ისე ვერავინ მოაგვარებს, როგორც თქვენ. ამიტომ ჯობს, სწრაფად გამოასწოროთ სიტუაცია.

## სანერი - 24/IX-23/X

**ქალი:** ერთობლივი პროექტისგან თქვენი პარტნიორი უფრო მეტს მოელოს, ვიდრე თქვენ, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდება. მოულოდნელი სიხარულით გამოწვეული განცდა დიდხანს გაგყვებათ.

**მამაკაცი:** ოჯახის წევრები თავიანთი პრეტენზიულობით და ფულის ხარჯვის ტემპით გაღიზიანებენ, მაგრამ მოთმინება გმართებთ. სამაგიეროდ, ოჯახის მარჩენალის სტატუსი საპატიოა და პატივისცემას იმსახურებს.

## ღიანკალი - 24/X-22/XI

**ქალი:** მიხედეთ პირად ცხოვრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალში დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ მის მოსაწესრიგებლად. თქვენი ბედნიერება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაანაწილებთ დროს სამსახურსა და დასვენებას შორის.

**მამაკაცი:** მოემზადეთ სასიყვარულო თავგადასავლებისთვის. თქვენით ისეთი ქალი აღფრთოვანდება, მეგობრები თქვენს ნაამბობში ეჭვსაც კი შეიტანენ. იაქტიურეთ, ახლა ყველაფერი თქვენზე დამოკიდებულია.

## მეზღობანი - 23/XI-21/XII

**ქალი:** ყველაფერი, რასაც ამ კვირაში ხელს მოჰკიდებთ, წარმატებას მოგიტანთ და ფულის პრობლემაც მოგესწნებათ. წადით მაღაზიაში ოჯახის წევრებთან ერთად და შეიძინეთ ახალი ნივთები.

**მამაკაცი:** თქვენ ირგვლივ ყველაფერი მშვენიერია. კარგი განწყობილება გადაძვება. ამიტომ შეუარეთ მეგობარს, რომელსაც ამ ეტაპზე პრობლემები აქვს და შეეცადეთ, გაამხნეოთ და გაამხიარულოთ იგი.

## თხის რქა - 22/XII-20/I

**ქალი:** კვირის ბოლოს საკმაოდ კარგ ხასიათზე იქნებით, რადგან მოულოდნელად ისეთ საქმიან წინადადებას მიიღებთ, სიზმარში გვეგონებათ თავი. გაატარეთ შაბათ-კვირა მეგობრებთან ერთად, ოღონდ ბევრს ნუ ილაპარაკებთ.

**მამაკაცი:** საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება, თუკი გამბედაობას მოიკრებთ და ეტყვიან, რასაც მის მიმართ განიცდით.

## პირი - 21/I-19/II

**ქალი:** ჯობს, გამოიჩინოთ სიფრთხილე და სარისკო საქმეებისგან თავი შორს დაიჭიროთ. კარგად გააზრეთ ყოველი თქვენი მოქმედება. იყავით კორექტული ახლობლებთან ურთიერთობისას.

**მამაკაცი:** მეტი მოთმინება გამოავლინეთ, რათა კონფლიქტი აცილებოთ თავიდან. პასუხისმგებლობის გამოჩენა გმართებთ სამსახურშიც. უმტკივნეულოდ მიიღეთ შენიშვნები და ეცადეთ, გაითვალისწინოთ მეგობრების რჩევა.

## თხეხეხი - 20/II-20/III

**ქალი:** ამ კვირაში გირჩევთ, გამოიჩინოთ პრინციპულობა. თუმცა, პრინციპულობა სიჯიუტეში არ უნდა გადაიზარდოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მეგობრებს გაანაწილებთ და მერე დიდი დრო დაგჭირდებათ მათ შემოსარიგებლად.

**მამაკაცი:** მშვიდი კვირა არ გაქვთ, მაგრამ ყველფრის გამოსწორება შეიძლება. თავი შეიკავეთ ალკოჰოლისა და დაუგეგმავი მოგზაურობისგან. მეტი დრო გაატარეთ ოჯახში.

				ერთკუ- ზიანი აქლები	ჰ	კურორ- ტი რაჭაში	ზნეობა	გენერალ გუბერნა- ტორი ძე. ჩინეთში	ხვლიკის მსგავსი ამფიბია	ტ	ამერიკელ- თა მეტსახე- ლი
				ჟ	ჟ	მ	ა	ზ	ე	ჟ	ი
				ჟ	ვ	ნ	ნ	ნ	ც	ი	ა
			ძირფეს- ვიანი გალატრი- ალები	ი	ჟ	ა	ა	ა	კანადის დელა- ქალაქი	ტ	ნ
			ძველებური ფრანგული სურდა ფული	ს	ა	ვ	ა	ტ	ტ	კ	
პ	ჩან- თოსანი ღათვი	ლოკა- ტორი	წყლის ღანაღექი წმინდა სილა	ჟ	არქიტექ- ტურული სტილი	ბილზის“ ერთ- ერთი წვერი	ჟ	ა	ნ	ნ	ი
ნ	კ	ნ	ჟ	ა	საცალ- ფეხო გზა	ბ	ი	ნ	ი	კ	ი
ა	ი	ც	ა	მ	ა	ჟ	ა	ს	სკლის მიმა- რთულე- ბა	ა	გემის ტვირთი
ნ	ი	ა	ა	ი	ჟ	ნ	ა	ა	სარების ბრძოლა ჯუჯა ცხენი	ა	ს
ა	ი	ნ	ა	ი	ი	ნ	ა	ა	კარელია- ფინეთის ხალხური ეპოსი	ა	ბ
ღარდი, მწუხარე- ბა	ა	ა	ჟ	ა	მ	ი	ა	ა	მდინარე იტალიაში მვირფუას ლითონი	ა	მუქი ნაცრ- ისფერი
ლოტერ- ატული ნაწარმების დასჯებით საწელი	ა	ა	ი	ნ	ა	ბ	ი				
მკვერმე- ტყველებ- ის თელია	ჟ	სასახლე იტალია- ში	გემის კიბე	ი	ჟ	ნუქურთ- მინი ქვა ან ნიჟარა	ჟ				
ჟ	ი	ტ	ნ	ჟ	ი	ა	ა				
ბ	ა	ჟ	ბ	ნ	ჟ	ა	ნ				
გრეტა	გამა- ღიღებე- ლი შუშა	ა	მ	ბ	ა	ა	ა				
ნ	ა	ა	ა	მაიმუნის სახეობა ჭილაობა	მღარე რონის ძელი სხელწოდება	ა	ნ				
ი	ს	ი	ს	ა	ა	ა	ა				

მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-ბ; 3-ა; 4-გ.  
28-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-გ.

# გამოჩენილი აქამონების მოსხვეპური გამოხატულება



## ბრამსი ბრამსის შესახებ...

გამოჩენილ კომპოზიტორს ხშირად აწუხებდნენ დამწყები მუსიკოსები თუ დიდიტანტები, რომლებიც თავიანთი თხზულებების შეფასებას სთხოვდნენ. უნდა ითქვას, რომ ბრამსი საკმაოდ რბილი ხასიათის კაცი ყოფილა და ვერავის ეუბნებოდა უარს მისთვის მომავლურბეგელი მისიის შესრულებაზე. თუმცა ზოგჯერ, სხვადასხვა ხერხით ცდილობდა მათგან თავის დაღწევას. ერთხელ, ის-ის იყო, შინიდან გამოვიდა, რომ კიბეზე შეხვდა ახალგაზრდა, ნოტების დასტიით ხელში... ყმაწვილმა მორიდებით ჰკითხა ბრამსს:

- უკაცრავად, ხომ ვერ მეტყვით, ამ სახელში ცხოვრობს კომპოზიტორი ბრამსი?
- დაიხ, არ შეძლარხართ! ბრამსი სწორედ აქ, მესამე სართულზე ცხოვრობს, - მიუგო კომპოზიტორმა და იქაურობას გაეცალა.

## ლისტი, ვაგნერის ინტერპრეტაციით

რიჰარდ ვაგნერმა ფერენც ლისტის ქალიშვილი შერთო ცოლად და ხშირად, „ნათესაურად“ სარგებლობდა სახელგანთქული

სიმამრის მელოდით. მაგალითად, თავისი ოპერის - „ვალკირის“ ერთ-ერთ მუსიკალურ მონაკვეთს მილიანად ლისტის სიმფონიას - „ფაუსტს“ დაესესხა. ჰოდა, ერთხელ, შინ გამართულ წვეულებაზე, როცა ლისტი თავის ნაწარმოებს ასრულებდა და იმ მონაკვეთს მიუახლოვდა, რომელიც სიძეს ჰქონდა გამოყენებული, ვაგნერი მასთან მივიდა და ღიმილით უთხრა:

- მამიკო, სწორედ ამ მოტივს დაგეცესხეთ...
- შესანიშნავია! - მიუგო ლისტმა, რომელსაც ყოველთვის ახარებდა სიძის წარმატება. - ამის წყალობით, მსმენელები მას უკეთ დაიმასხოვრებენ...

## მე და მოცარტი...

ბეთჰოვენი განთქმული იყო უჩვეულო ქცევით და ყველა გარშემო მყოფის თვალში მეტისმეტად თავდაჯერებული ადამიანის რეპუტაციითაც სარგებლობდა. ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ, ბეთჰოვენისა და მოცარტის თავყვანიძეებულმა ქალბატონმა, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ მასაც მოსწონდა კიდეც შემოქმედება, გაბადრული სახით ჰკითხა:

- მაცსტრო, თქვენც ხომ ხშირად უსმენთ მოცარტს?
- არა, ქალბატონო, - მშვიდად მიუგო ბეთჰოვენმა. - მას არც კი ვიცნობ. და საერთოდ - მე ბეთჰოვენიც სავსებით მყოფნის...

# ანექდოტები

\*\*\*

ოფელში განვითარებულმა ფოსტალიონმა სვანეთის მაღალმთიან რაიონში კომპი გამოკვტილ ეროდირებულ მიზერს ერთადერთი გამოწერილი ყოველთვიური ჟურნალი „არსენალი“ აუტანა. სვანმა ფოსტალიონს უგუნებობა შეატყო და განუძრება სცადა:

- ჰა... რას ჩამოვიშვია ცხვირი?! ნუ გამაბრაზებ, თორე ყოველდღიურ გაზეთს გამოვიწერ!

\*\*\*

მიტო აბანოში ეპატიყება მიხოს:

- მიხო, წამო აბანოში!
- არა, აბანოში არ დავდივარ.
- რატომ?
- რატომ და, ქალებისაში არ მიშებენ და კაცები რაში მაინტერესებს?..

\*\*\*

- დედიკო, მამჩემი მორცხვი კაცა?  
- მორცხვი რომ არ იყოს, ახლა 5 წლით უფროსი იქნებოდი...

\*\*\*

მიხოს ოჯახში სკანდალია:  
- მარიო... ბოლო-ბოლო, ვინაა ოჯახში უფროსი, მე თუ შენა?! რა უნდა გვაკეთო, რო ჩემი გავიტანო, ჰაა?!  
ორი წლის ფირუხა:  
- იტირე, მამიო!..



\*\*\*

კაცი ეუბნება ტაქსის მძღოლს:  
- თუ ძმა ხარ, წაიყვანე ჩემი სიდედრი აეროპორტში. ოღონდ - სწრაფად, რომ თვითმფრინავზე არ დაგვიანდეს.  
- მენდე, ძმაო - ისე წაიყვან, როგორც ჩემსას.

\*\*\*

მაყვალა შვილს ანამუხებს:  
- ფურუხა, შვილო, თუ კარგათ ისწავლი, მე და მამიშენი ველოსიპეტს გიყიდით... თუ ცუდად კიდეა - პიანინოსა...

\*\*\*

ორი პენსიონერი კამათობს:  
- პელაგია, ქალო, მე ვარ ბებერი?! შენ იცი, რო „დოხტურმა“ მითხრა, შენი ორგანიზმი საათივით მუშაობს?..  
- ჰო, მართალი უთქვამს, საათივით... მარა... ქვიშის საათივით რომ ეთქვა, თლა მართალი იქნებოდა...



\*\*\*

- ალოო... ძმაო, სამხედრო კომისარიატია?  
- დაიხ.  
- შეგიძლიათ ჯარში ჩვენი პარლამენტარებით მოხალისედ წამოყვანოთ?  
- რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას ხომ თქვენნაირი პატრიოტები სჭირდება!.. სად ცხოვრობთ?.. რომელი რაიონიდან რეკავთ?..  
- სად ვცხოვრობ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ვიგარ... ახლა ცინიდან ვრეკავ, ყაჩაღობისთვის ვზივარ და ჩვენს პოლიტიკოსებზე ნაკლებად არ ვხმარობ ავტომატს...

\*\*\*

ორი ქალბატონი დილაადრიან ერთმანეთს ხვდება:  
- რატომ ხარ, ნატაშა, მოწყენილი?  
- ...იცი რა, წუხელ დღეობაზე უგონოდ დავთვერი და ვინ ისარგებლა ამით, ვერაფრით ვისვენებ...

\*\*\*

განცხადება:  
„განდობა (სამოქმედების თანხლებით) ერთ ღამეში. ტრენაჟორების გარეშე. ინდემწარმეები მამა და ღამა“.

\*\*\*

ანზორა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ფეხბურთი შენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცოლი. როგორ შეიძლება, აწი შენთან ვიცხოვრო?  
- მაყვალა, „ზატო“ გევიცები, რო ცურვა, მშვიდლოსნობა, ჰოკეი და გოლფი, შენთან შედარებით ჩემთვის გაცილებით უმნიშვნელო...



# რაოდენად პატივმოყვარე აღაშიანი ხართ?

შესაძლოა, სწორედ პატივმოყვარეობა აღმოჩნდეს ის თვისება, რომელიც ამ ცხოვრებაში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ. ქვემოთ მოცემული ტესტი გაგარკვევთ იმაში, დასახული მიზნის მისაღწევად საკმარისად პატივმოყვარე ხართ თუ არა. შეკითხვებს უპასუხეთ — „დიახ“ ან „არა“.



1. ზოგჯერ ფიქრობთ, რომ თქვენი კარიერა, სამუშაო თუ საერთოდ ცხოვრება, შეიძლება უკეთესადაც წარმართულიყო.

2. თქვენ მზად ხართ იმუშაოთ საღამოობით, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ და დასვენების დღეებშიც, ოღონდაც დასახულ მიზანს მიაღწიოთ.

3. მას შემდეგ, რაც მიზანი მიღწეულია, თქვენ საკუთარ სიაში არსებული შემდეგი მიზნის განხორციელებას ჰკიდებთ ხელს.

4. ცხოვრების გზაზე მიღწეული წარმატებებიდან თუ განცდილი მარცხიდან, თქვენ ყოველთვის გაკვირვების მიღებას ცდილობთ.

5. თუკი წინსვლის შანსი გაქვთ, თანაც ამით კონკურენტის შევიწროების შესაძლებლობაც გეძლევათ, თქვენ უყოყმანოდ დგამთ ამ ნაბიჯს.

6. ხშირად კითხულობთ (ან შეისწავლით) სპეციალურ ლიტერატურას თქვენთვის საინტერესო თემაზე.

7. თქვენ ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ადამიანს შეუძლია ბევრ რამეს მიაღწიოს, თუკი მოინდომებს, ოღონდ მის სურვილს აქტიური ქმედებაც უნდა ახლდეს თან.

8. თქვენ დათანხმდებით სამსახურის გამოცვლას, მიუხედავად იმისა, რომ ამან შესაძლოა საგრძობად დააგლოს ის ტემპი, რომლის მიღწევასაც საკმაო შრომა შეაღიეთ, თუკი თქვენთვის უფრო მეტად საინტერესო საქმის კეთებას შემოგთავაზებენ.

9. ამჟამად, თქვენ ყველაფერს აკეთებთ იმისათვის, რათა წარმატებას მიაღწიოთ.

10. თქვენ მიგაჩნიათ, რომ საერთო ჯამში, აღაშიანები უფრო სწრაფად აღწევენ წარმატებას იმ შემთხვევაში, თუკი ისინი იმ საქმეს აკეთებენ, რომელიც მათ მოსწონთ.

11. განვლილი ცხოვრების მანძილზე განცდილმა არაერთმა მარცხმა, თქვენ კიდევ უფრო გაგიძაფრათ წარმატების მიღწევის სურვილი.

12. თქვენ მიგაჩნიათ, რომ კარიერის მწვერვალზე ასვლა — შესანიშნავი მიზანია, რომლის მისაღწევად ნამდვილად ღირს ბრძოლა.

13. თქვენ სიამოვნებით დათანხმდებით, თუკი სხვა ქალაქში ან ქვეყანაში უფრო მაღალ თანამდებობაზე გადასვლას შემოგთავაზებენ.

14. თქვენ აღგაფრთოვანებთ და სტიმულს გაძლევთ ფიქრი იმაზე, რომ ოდესმე შეგიძლიათ საკუთარი, დამოუკიდებელი საქმე წამოიწყოთ და არ იყოთ სხვის სამსახურში.

15. გამუდმებით იმაზე ფიქრში ხართ, თუ ხელმძღვანელობას კიდევ რაში შეგიძლიათ გამოადგეთ.

16. თქვენ წინასწარ გაქვთ შედგენილი სია, სადაც მომავალში თქვენ მიერ

განსახორციელებელი მიზნები გაქვთ ჩამოწერილი.

17. თქვენ გაბუდებით რაღაცას გეგმავთ, ანგარიშობთ და ექსპერიმენტებს მიმართავთ, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიოთ თქვენ მიერ დასახულ მიზანს.

18. ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევის ვადა, თქვენ ყოველთვის წინასწარ გაქვთ განსაზღვრული.

19. თქვენ იცით დროის ყადრი და ყოველთვის ცუდ ხასიათზე დგებით, როცა ტყუილუბრალოდ ფლანგავთ მას.

20. თქვენ გამამხნევებელი შინაარსის მქონე დევიზებისა და აფორიზმების კოლექციას აგროვებთ, ვინაიდან საკუთარი მიზნისაკენ ლტოლვაში ეს სტიმულს გაძლევთ.

**დააჯამეთი ქულიანი:**  
ყოველ დადებით პასუხში დაიწერეთ 5 ქულა, სოლო ყოველ უარყოფით პასუხში — 0 ქულა.

## ტესტის შედეგები

**95-დან 100 ქულის ჩათვლით:** შესანიშნავია! თქვენ მიერ შეგროვილ ქულათა მაქსიმალური რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ თქვენ ზედმინვნით პატივმოყვარე ადამიანი ბრძანდებით. ამის წყალობით კი, თქვენ ამ ცხოვრებაში უდიდესი მწვერვალების დაპყრობას შეძლებთ.

**85-დან 90 ქულის ჩათვლით:** ეს კარგი შედეგია. თქვენ საკმარისად პატივმოყვარე ბრძანდებით და გაქვთ იმის უნარი, რომ ამ ცხოვრებაში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიოთ.

**75-დან 80 ქულის ჩათვლით:** „საშუალოდ“ პატივმოყვარე ადამიანი ბრძანდებით. არცთუ ისეთი დიდი მოთხოვნები გათვალისწინებით. ასე რომ, უმჯობესი იქნება, თუკი წარმატებ-

საკენ ლტოლვის უნარს განვიითარებთ.

**65-დან 70 ქულის ჩათვლით:** თქვენი შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ითქვას, რომ პატივმოყვარეობის გრძნობა თითქმის არ გაგაჩნიათ. სავარაუდოა, რომ თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ საქმიან ასპარეზზე წარმატების მიღწევა და ამ ცხოვრებაში სხვა ღირებულებებს ანიჭებთ უპირატესობას. თუკი ეს ასე არ არის, მაშინ, თქვენი მიზნების განსახორციელებლად საკუთარ თავზე ბევრი მუშაობა მოგიწევთ.

**60 ქულამდე:** შეიძლება ითქვას, რომ პატივმოყვარეობის გრძნობისაგან აბსოლუტურად დაცლილი ხართ. კარგია ეს თუ ცუდი, საკუთარი წარმატებების მიხედვით იმსჯელებთ.

### შვახცენებეხს ბუშმა ინციმეხი ცხოვხება აუნენა

კალიფორნიის გუბერნატორი, რესპუბლიკელი არნოლდ შვარცენგერი იბულებული გახდა, რამდენადმე შორს დაეჭირა თავი ამერიკის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის წინასაარჩევნო კამპანიისგან, რადგან ეს მის ინტიმურ ცხოვრებაზე უარყოფითად აისახება. როგორც აღმოჩნდა, არნის მეუღლე – მარია შრაივერი, კენედის ძმისშვილი და მისი დემოკრატიული კლანის წარმომადგენელი,



ქმრის საქციელით ფრიად უკმაყოფილოა. „უკვე ორი კვირაა, მეუღლე ახლოსაც არ მიკარებს. წარმოგიდგენიათ?! – მთელი 14 დღე სექსის გარეშე!“ – განაცხადა შვარცენგერმა. როგორც გუბერნატორი ამბობს, ამგვარად ის, ნიუ-იორკში, რესპუბლიკური პარტიის კონგრესზე გამოსვლის გამო დაისაჯა.

დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ კალიფორნიელები მხარს დემოკრატ კერის დაუჭერენ და კალიფორნიის გუბერნატორი – რომელსაც 2006 წელს ხელახალი არჩევის იმედი აქვს – თავის პოტენციურ ამომრჩევლებთან უთანხმოებას არ მოისურვებს.

### ყველაზე გიგანტური გოგია

ორმა ინგლისელმა მოსწავლემ, დიდ ბრიტანეთში ყველაზე დიდი გოგრა გაზარდა. ბოსტნეული, რომელიც ნორჩმა მებაღეებმა კონკურსზე – „ყველაზე გიგანტური გოგრა“ წარმოადგინეს, 415 კგ-ს იწონის. გოგრის სათბურიდან გასატანად, ბავშვებს რვა მეხანძრის დახმარება დასჭირდათ. როგორც ერთ-ერთი მოსწავლის მამას მიაჩნია, ამგვარ წარმატებას მათ, დაულაღავი შრომის ფასად და განსაკუთრებული მზრუნველობის წყალობით მიაღწიეს. „ჩვენ ერთად დავთესეთ ბოსტნეული და მას შემდეგ ბავშვები გააუღმებთ უვლიდნენ მას. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში, მცენარეზე ზრუნვა და მისი რიგიანად მოვლა ნებისმიერ მეცნიერულ მიდგომაზე გაცილებით მნიშვნელოვანია“, – თქვა მან.



ბრიტანულ რეკორდამდე ცოტა ხნით ადრე, კანადელმა მამაკაცმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა – მის მიერ გაზრდილი გოგრა 656 კგ-ს იწონიდა.

### მონლოტეტი – გოლფის მოედანი

35 წლის ამერიკელმა ანდრეს ტოლმმა, რომელიც თავგამოდებული მოგზაური და გოლფის დიდი მოყვარულია, გადაწყვიტა, თავისი ორივე გატაცება ერთ პროექტში გაერთიანებინა: მან მთელი მონლოტეტი, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე (2 ათას კილომეტრზე მეტი) გოლფის თამაშ-თამაშით (ცხადია, ყოველგვარი სპეციალური მოედნის გარეშე) გადააკეთა.

ამჟამად ამერიკელი მოგზაური თავისი მონლოტური გოლფ-ექსპერიმენტის შესახებ წიგნის გამოცემას აპირებს და თან რამდენიმე ახალ, არაორდინარულ იდეაზე ფიქრობს. ეს იდეები, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, – თავისი ორიგინალურობით, „გოლფ-მონლოტეთის“ პროექტს აჯობებს კიდევ.



### გამოცდებისაგან თავის დასაღწევად მოსწავლეებმა სკოლა დატოვეს

ოთხმა იტალიელმა მოზარდმა აღიარა, რომ ძველბერძნულ ენაში გამოცდისგან თავის დასაღწევად, გადაუღებელ ზომებს მიმართა. ეს „გადაუღებელი ზომები“ კი, სკოლის დატოვრა აღმოჩნდა. როგორც ცნობილი გახდა, სამმა გოგონამ და ერთმა ბიჭმა, კვირის ბოლოს, ტუალეტის ნიჟარებში წყლის ყველა სადინარი ამოქოლეს და ონკანები მოუშვეს. წყალმა უქმეების განმავლობაში შეუჩერებელი იდინა. შედეგად – სკოლა მთლიანად დაიტბორა. მიყენებული ზარალის ღირებულება 50 ათას ევროს სცილდება.

მოზარდები შეიძლება ვანდალიზმში, მავნელობასა და საზოგადოებრივი ქონების მიზანმიმართულად განადგურებაში დაადანაშაულონ.

# ფოტოკუჩიონები



# სუთუაგატიღან

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

ნოემბრის  
ნომერში  
იხილეთ:



## არსენალი

„კვირის პალიტრა“, სამხედრო-

№4, ნოემბერი, 2004. ფასი 1.5 ლარი

„პარლამენტში  
ქაღვამას გამოთქვას  
რეზერვისტებად  
მიიწოდების სპრედი“

ქართული  
„სოკრაიონი“  
თურქმენეთის სავაჭრო

უსახელო  
ჯარისკაცთა  
არმიის

„მხველი“, რომელიც  
უკან არასოდეს დაიხევს

გიხურის "დანა"  
ქართული სანავიგაციო  
სადარბაზოები

როდის გრძნობს  
გოქნიორი თ  
ვეურასხეყოფილად



4


მუსტერი




მხეხის  
სიზრდნე ვიქი  
საკუთარ თავში

ქართული  
სპეცრაზმელები  
ავსტრიულ  
„გლოქს“  
ემაღლიერებიან

ქართული  
სამხედრო-საზღვაო  
ფლოტის ისტორიიდან



როდის გრძნობს  
გოქნიორი თავს  
ვეურასხეყოფილად



Land Rover Defender



ყველაზე  
კაცური ჟურნალი  
არა მარტო მამაკაცებისთვის